

ISSN 1987-5789

# ეკონომიკა და ბიზნესი



ECONOMICS and BUSINESS  
ЭКОНОМИКА и БИЗНЕС

ივლისი-აგვისტო  
JULY-AUGUST  
ИЮЛЬ-АВГУСТ

2012

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ეკონომიკისა და პიზნის ფაკულტეტის საერთაშორისო რეფერირებალი  
და რევენგირებალი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

International refereed and reviewed scientific and practical journal  
of the Faculty of Economics and Business,  
Iv. Javakhishvili Tbilisi State University

Международный реферируемый и рецензируемый научно-  
практический журнал факультета Экономики и Бизнеса  
Тбилисского государственного университета имени Ив.  
Джавахишвили



გამოდის 2008 წლის იანვრიდან, ორ თვეში ერთხელ  
Published since January, 2008 once in two month  
Выходит с Января 2008 года раз в два месяца

რედაქციის მისამართი: თბილისი, უნივერსიტეტის ქ., №1,  
თსუ მაღლივი კორპუსი, მე-13 ხართ., ტელ. 230-36-68, 599-10-38-16  
e-mail: ebf.journal@tsu.ge

## სარედაქციო კოლეგია

**რევამ გოგოხია** – მთავარი რედაქტორი

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტები, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები: **ვლადიმერ პაპავა**, **ავთანდილ სილაგაძე**, **ლეო ჩიქავა**.

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები: **იური ანანიაშვილი**, **რამაზ აბესაძე**, **სიმონ გელაშვილი**, **რევამ გველესიანი**, **ნუგზარ თოდუა**, **ირაკლი კოვზანაძე**, **ეკა ლეკაშვილი**, **მურთაზ მაღრაძე**, **ზაია მარგველაშვილი**, **ქეთევან მარშავა**, **ელგუჯა მექვაბიშვილი**, **იაკობ მესხია**, **ნუგზარ პაიჭაძე**, **სერგო სანაძე**, **მურმან გურაფა**, **მირიან გუხაშვილი**, **ეთერ ხარაიშვილი**, **ელენე ხარაბაძე**, **რომან ხარბედია**, **ნოდარ ხადური**, **აკაკი ხელაძე**, **თემურ შენგელია**, **ემზარ ჯგერენაია**.

## EDITORIAL BOARD

**Revaz Gogokhia** – Editor-in-chief Doctor of Economic sciences, professor.

Corresponding members of Georgian National Academy of Sciences, doctors of Economic Sciences: **Vladimer Papava**, **Avtandil Silagadze**, **Leo Chikava**.

Doctors of Economic Sciences, professors: **Iuri Ananiashvili**, **Ramaz Abesadze**, **Simon Gelashvili**, **Revaz Gvelesiani**, **Nugzar Todua**, **Irakli Kovsanadze**, **Eka Lekashvili**, **Murtaz Magradze**, **Maya Margvelashvili**, **Ketevan Marshava**, **Elguja Mekvabiishvili**, **Iakob Meskhia**, **Nugzar Paichadze**, **Sergo Sanadze**, **Murman Turava**, **Mirian Tukhashvili**, **Eter Kharaiashvili**, **Elene Kharabadze**, **Roman Kharbedia**, **Nodar Khaduri**, **Akaki Kheladze**, **Temur Shengelia**, **Emzar Jgerenaia**.

## РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

**Реваз Гогохия** – главный редактор, доктор экономических наук, профессор.

Члены-корреспонденты Национальной Академии наук Грузии – **Владимер Папавა**, **Автандил Силагадзе**, **Лео Чикава**.

Доктора экономических наук, профессора: **Юрий Ананиашвили**, **Рамаз Абесадзе**, **Симон Гелашвили**, **Реваз Гвелესиანი**, **Нугзар Тодуа**, **Иракий Ковзанадзе**, **Ека Лекашвили**, **Муртаз Маградзе**, **Майя Маргвелашвили**, **Кетеван Маршава**, **Злгуджа Мекვაбишвили**, **Якоб Месхия**, **Нугзар Пайчадзе**, **Серго Санадзе**, **Мурман Турава**, **Мириан Тухашвили**, **Етер Хараишвили**, **Элене Харабадзе**, **Роман Харбедия**, **Нодар Хадური**, **Акаки Хеладзе**, **Темур Шенгелия**, **Эмзар Джгеренаия**.

---

---

## სარედაქციო კოლეგიის უცხოელი წევრები.

ვოლფგანგ ვენგი – ბერლინის (გერმანია) უნივერსიტეტის პროფესორი, ჰარალდ კუნცი – ბრანდერბურგის (გერმანია) უნივერსიტეტის ეკონომიკური თეორიის კათედრის გამგე, კიმ ტაქსირი – რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ჯოზეფ ხასიდი – პირეუსის (საბერძნეთი) უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი, ტომას ჰალდმა – ტარტუს (ესტონეთი) უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი.

### **FOREIGN MEMBERS OF THE EDITORIAL BOARD OF ECONOMICS:**

Wolfgang Weng – Professor at Berlin University (Germany), Harald Kunz – Head of department of Economic theory at Branderburg University (Germany), Kim Taksir – Academician of Russian Academy of Sciences, Joseph Hassid - Dean of the Faculty of Economics Piraeus University (Greece), Professor, Toomas Haldma – Tartu University’s Dean Faculty of Economics and Business Administration, professor (Estonia).

### **ИНОСТРАННЫЕ ЧЛЕНЫ РЕДАКЦИОННОЙ КОЛЛЕГИИ:**

Волфганг Венг - Профессор Берлинского Университета (Германия), Кунц Гаралд – зав. кафедрой экономической теории Брандербургского Университета (Германия), Ким Таксир – Академик Российской Академии Наук, Джозеф Хассид – декан экономического факультета Пирейского Университета (Греция), Тоомас Халдма - декан факультета экономики и администрирования бизнеса Университета Тарту (Эстония), профессор.

---

---

## შინაარსი

### ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა

მერაბ ხმალაძე. მსოფლიოს დემოგრაფიული დაბერება: პერსპექტივები, შედეგები .....	11
შალვა გობიაშვილი. სლავა შიბელაძე. ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის ნეგატიური ასპექტები .....	27
ნინო პაპაჩაშვილი. საგარეო სავაჭრო პოლიტიკის თავისებურებანი თანამედროვე საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის პირობებში .....	43
არჩილ იაკობაშვილი. საბიუჯეტო ინფლაციის ოპტიმიზაციის განმსაზღვრელი ფაქტორები (ლაფერ-კაგანის მოდელი) .....	57
მალხაზ ჩიქობავა. თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი საქმიანი ციკლის თეორიის თვალსაზრისით .....	75
გიორგი ბაჭრინაშვილი. სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკაში გატარებული რეფორმები საქართველოში და მისი შედეგები .....	91

### მიკრო-მაკროეკონომიკა

ლავით ნიქარაძე. საერთაშორისო სტრატეგიული დაგეგმვა მრავალეროვნულ კომპანიებში .....	97
Г. М. ЯБЛУЧАНСКА. Реакция фармацевтического рынка Грузии на облегчение ввоза лекарственных средств .....	111
ნონა ბელიტაშვილი. ჩილეს საპენსიო რეფორმა: არსი და მნიშვნელობა საქართველოსათვის .....	123
ასმათ ბულორაძე. საქართველოს აგროსასურსათო სექტორის განვითარების ზოგიერთი საკითხი .....	133

---

---

**მენეჯმენტი. მარკეტინგი. ტურიზმი**

**ენვერ ლაგვილავა. ელექტრონული სწავლების განვითარების ძირითადი მიმართულებები .....139**  
**რატი აბულაძე. ელექტრონული მართვის აქტუალური საკითხები ..... 155**  
**გულაღი ნაკაშიძე. კიბერუსაფრთხოება - XXI საუკუნის მწვავე გამოწვევა ..... 165**

**საბუღალტრო აღრიცხვა და ანალიზი**

**ნაღეჟა კვაბაშიძე. ფინანსური ინსტრუმენტების ასახვა ფინანსურ ანგარიშგებებში ..... 180**  
**ნანა სრემელი. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვის თავისებურებები..... 187**

**ქართველ ავტორთა საერთაშორისო აღიარება**

**რედაქციისაგან ..... 197**

---

---

## CONTENTS

### ECONOMIC THEORY AND ECONOMIC POLICY

MERAB KHMALADZE. World Demographic Aging: Prospects and Results .....	11
SHALVA GOGIASHVILI. SLAVA PETELAVA. Negative Aspects of Dominant Position in the Market .....	27
NINO PAPACHASHVILI. Peculiarities of Foreign Trade Policy under Conditions of Modern Financial-Economic Crisis .....	43
ARCHIL JAKOBASHVILI. Determining Factors for Optimizing Budgetary Inflation (Laffer - Kagan Model) .....	57
MALKHAZ CHIKOBAVA. Modern World Economic Crisis from the Standpoint of the Business Cycle Theory .....	75
GIORGI GAPRINDASHVILI. Reforms carried out in the State Procurement Policy in Georgia and their Effects .....	91

### MICRO-MACROECONOMICS

DAVIT NIZHARADZE. International Strategic Planning in Multinational Companies .....	97
G. M. YABLUCHANSKA. Reaction of Georgian Pharmaceutical Market on Liberalized Import of Medications .....	111
NONA GELITASHVILI. Pension Reform in Chile: the Essence and Importance for Georgia .....	123
ASMAT GULORDAVA. Some Issues of Agricultural Sector Development in Georgia .....	133

---

---

## MANAGEMENT. MARKETING. TOURISM

ENVER LAGVILAVA. Main Directions in e-Learning development .....	139
RATI ABULADZE. Current Issues in Electronic Governance .....	155
GULADI NAKASHIDZE. Cybersafety - Crucial Challenge of the 21th Century .....	165

## ACCOUNTING AND ANALYSIS

NADEZHDA KVATASHIDZE. Reflecting Financial Instruments in Financial Reporting .....	180
NANA SRESELI. Peculiarities of Accounting Derived Financial Instruments .....	187

INTERNATIONAL RECOGNITION OF GEORGIAN AUTHORS Editorial .....	197
--	-----



---

---

## СОДЕРЖАНИЕ

### ЭКОНОМИЧЕСКАЯ ТЕОРИЯ И ЭКОНОМИЧЕСКАЯ ПОЛИТИКА

МЕРАБ ХМАЛАДЗЕ. Демографическое устарение мира: перспективы, результаты .....	11
ШАЛВА ГОГИАШВИЛИ. СЛАВА ФЕТЕЛАВА. Негативные аспекты доминирующего положения на рынке .....	27
НИНО ПАПАЧАШВИЛИ. Особенности внешней торговой политики в условиях современного финансово - экономического кризиса .....	43
АРЧИЛ ЯКОБАШВИЛИ. Определяющие факторы оптимизации бюджетной инфляции (Модель Лаффер-Кагана) .....	57
МАЛХАЗ ЧИКОБАВА. Современный мировой экономический кризис в аспекте теории делового цикла .....	75
ГЕОРГИИ ГАФРИНДАШВИЛИ. Реформы проведенные в Грузии в политике государственных закупок и ее результаты .....	91

### МИКРО-МАКРОЭКОНОМИКА

ДАВИД НИЖАРАДЗЕ. Международное стратегическое планирование в транснациональных компаниях .....	97
Г. М. ЯБЛУЧАНСКА. Реакция фармацевтического рынка Грузии на облегчение ввоза лекарственных средств .....	111
НОНА ГЕЛИТАШВИЛИ. Пенсионная реформа Чили: сущность и значение для Грузии .....	123
АСМАТ ГУЛОРДАВА. Некоторые вопросы развития агропродовольственного сектора Грузии.....	133

---

---

## МЕНЕДЖМЕНТ. МАРКЕТИНГ. ТУРИЗМ

ЭНВЕР ЛАГВИЛАВА. Основные направления электрической учебы .....	139
РАТИ АБУЛАДЗЕ. Актуальные вопросы электрического управ- ления .....	155
ГУЛАД НАКАШИДЗЕ. Кибербезопасность - острый вызов XXI-го века .....	165

## БУХГАЛТЕРСКИЙ УЧЕТ И АНАЛИЗ

НАДЕЖДА КВАТАШИДЗЕ. Отражение финансовых инстру- ментов в финансовых отчетности .....	180
НАНА СРЕСЕЛИ. Особенности учета производных финансо- вых инструментов .....	187

МЕЖДУНАРОДНОЕ ПРИЗНАНИЕ ГРУЗИНСКИХ АВТОРОВ От редакции .....	197
---	-----

**მსოფლიოს დემოგრაფიული ღაბარება:  
პარსკაქტივები, შედეგები**

**მერაბ ხბლაპე**

**იე-ჯავახიშვილის სახ. თსუ-ის  
ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკურ  
მეცნიერებათა დოქტორი**

მოსახლეობის დაბერების ტენდენცია შეუქცევადი პროცესია. ამასთან, ისტორიის წინა ეტაპებისათვის დამახასიათებელი ახალგაზრდების მეტობა საეჭვოა, რომ ოდესმე განმეორდეს. XIX და XX საუკუნეებში დაწყებული უპრეცედენტო დემოგრაფიული ცვლილებები გაგრძელდება XXI საუკუნეშიც და სახეს უცვლის მსოფლიოს. სიცოცხლის ხანგრძლივობას დამატებული წლები და შობადობის გლობალური შემცირება იწვევს კარდინალურ ცვლილებებს კაცობრიობაში. ამ ცვლილებების ყველაზე ძირეული შედეგია ისტორიული გადატრიალება ახალგაზრდა და ხანდაზმული მოსახლეობის თანაფარდობას შორის. მოსახლეობის დაბერების ღრმა და ხანგრძლივი შედეგები გამოწვევაა მსოფლიოს საზოგადოებისთვის. იმავდროულად, მოსახლეობის დაბერების შედეგები აისახება თითოეული ადამიანის ცხოვრებაზე.

მოსახლეობის დაბერების პრობლემა ცენტრალური საკითხია გაეროს მიერ მოსახლეობის შესახებ ორგანიზებულ საერთაშორისო კონფერენციებზე უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში. მადრიდში, 2002 წლის 8-12 აპრილს, შედგა მეორე მსოფლიო ასამბლეა მოსახლეობის დაბერების პრობლემების შესახებ, რომელზეც განხილული იქნა გაეროს მიერ შედგენილი მოხსენება – „მსოფლიო მოსახლეობის დაბერება 1950-2050 წლებში.“

## მერაბ ხმალაძე

---

მოსხენებაში შეფასებულია მოსახლეობის დაბერება დღევანდელ მსოფლიოში. კერძოდ, მასში აღნიშნულია, რომ კაცობრიობა, საზოგადოება, დაქვემდებარება რესტრუქტურისაციას, რადგან სოციალური და ეკონომიკური ძალები აიძულებს მას ეძებოს ცხოვრების ახალი წესი, შრომის ახალი ხერხები და ერთმანეთზე ზრუნვის ახალი გზები. განზე არავინ არ დარჩება, აღარასოდეს აღარ იარსებებს საზოგადოება, დემოგრაფიულად ფორმირებული წარსულის საზოგადოებების მსგავსად – ახალგაზრდების დიდი საფუძვლით და მოხუცების მცირე რიცხვით.

მოსახლეობის დაბერების პროცესს დღეისათვის არა აქვს ანალოგი მსოფლიო ისტორიაში. ხანდაზმული, 60 წლის და უფროსი ადამიანების წილის ზრდის პარალელურად მცირდება 15 წლამდე ბავშვების რიცხოვნობა და წილი. დემოგრაფიული დაბერების დონე მსოფლიოში დღეისათვის აღწევს 10,3%-ს. მსოფლიოში 60 წელს გადაცილებულია მოსახლეობის ნახევარზე მეტი, 54,0% ცხოვრობს აზიაში, 22,0% – ევროპაში, 8,0% – ჩრდილოეთ ამერიკაში, 7,0% – ლათინურ ამერიკაში, 7,0% – აფრიკაში, დანარჩენი – ავსტრალიასა და ოკეანეთში.<sup>1</sup> მსოფლიოს ხანდაზმული მოსახლეობის საშუალოწლიური მატება შეადგენს 2,0%-ს, რაც მნიშვნელოვნად აღემატება მოსახლეობის საერთო მატებას. თუ 1950 წელს ხანდაზმული მოსახლეობა გაეროს ექსპერტების შეფასებით 200 მლნ-ს ფარგლებში მერყეობდა, დღეისათვის ის 700 მლნ-ს აღწევს.<sup>2</sup>

ხანდაზმული ადამიანების უმეტესობა ქალებია. დღეისათვის 100 ხანდაზმულ ქალზე მოდის 81 ხანდაზმული მამაკაცი. აღნიშნული თანაფარდობა განსხვავებულია მსოფლიოს უფრო განვითარებულ და ნაკლებად განვითარ-

---

<sup>1</sup> Демоскоп, №289-290, 2007. ელექტრონული ჟურნალი გამოდის რუსულ ენაზე თვეში ორჯერ.

<sup>2</sup> იქვე.

## **ჯანმრთელობის მართვა და ჯანმრთელობის პოლიტიკა**

რეზულტატებს შორის. კერძოდ, პირველში 100 ქალზე მოდის 71, ხოლო მეორეში – 88 ხანდაზმული მამაკაცი, რამდენადაც განვითარებულ რეგიონებში ქალების სიცოცხლის ხანგრძლივობა გაცილებით მეტია მამაკაცებისაზე, ვიდრე ნაკლებად განვითარებულ რეგიონებში.

მსოფლიოს მოსახლეობის დაბერება შეიძლება დავახასიათოთ საშუალო ასაკითაც. დღეისათვის მსოფლიოს მოსახლეობის მედიანური ასაკი 26 წელია<sup>1</sup>. ყველაზე ახალგაზრდა მოსახლეობა ჰყავს ნიგერს და უგანდას, რომელთა მედიანური ასაკი შეადგენს 15 წელს, ხოლო ყველაზე ბებერი ქვეყანაა იაპონია, ჰონკონგი, მონაკო და ბულგარეთი მოსახლეობის მედიანური ასაკით – 41 წელი.

მსოფლიოს მოსახლეობის დაბერებასთან ერთად მიმდინარეობს ხანდაზმული მოსახლეობის დაბერება. მოსახლეობის ასაკობრივი ჯგუფებიდან ყველაზე სწრაფად იზრდება 80 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობა და მათი წილი ხანდაზმულ, 60 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობაში. თანამედროვე პირობებში ამ ასაკობრივი კონტინგენტის საშუალოწლიური მატება მსოფლიოში შეადგენს 3,8%-ს და ხანდაზმული მოსახლეობის საერთო რიცხოვნობის – 12,0%-ს.

მოსახლეობის დაბერება გლობალური და საყოველთაოდ აღიარებული, შეუქცევადი მოვლენაა, რომელიც გაგრძელდება მომავალშიც და გავლენას მოახდენს ადამიანების ცხოვრების ყველა მხარეზე. ეკონომიკის სფეროში მოსახლეობის დაბერება იმოქმედებს ეკონომიკის ზრდაზე, დანაზოგებზე, ინვესტიციებსა და მოხმარებაზე, შრომის ბაზრებზე, გადასახადებით დაბეგვრაზე, სიმდიდრის, საკუთრების და მეურნეობის ერთი თაობიდან მეორისათვის გადაცემაზე. იგი პირდაპირ გავლენას იქონიებს

<sup>1</sup> ეს ნიშნავს, რომ მსოფლიოს მოსახლეობის ნახევარი 26 წელზე ახალგაზრდაა, ნახევარი კი მასზე უფროსი.

## მერაბ ხმალაძე

---

ოჯახის წევრების ურთიერთდამოკიდებულებაზე, თაობებს შორის სიკეთის სამართლიან განაწილებაზე, ცხოვრების წესსა და ოჯახურ სოლიდარობაზე, რაც საზოგადოების საფუძველია. მოსახლეობის დაბერება გავლენას ახდენს ახლაც და გავლენას მოახდენს მომავალშიც ადამიანების ჯანმრთელობაზე და ჯანმრთელობის დაცვაზე, ოჯახის შემადგენლობასა და ცხოვრების პირობებზე, ბინადრობასა და მიგრაციაზე. განვითარებული ქვეყნების პოლიტიკურ ცხოვრებაში მოსახლეობის დაბერებამ შექმნა დიდი ძალა ხანდაზმული ამომრჩევლის სახით, რომელსაც შეუძლია დიდი გავლენა იქონიოს არჩევნების შედეგებზე და შესაბამისად, ქვეყნის პოლიტიკაზე. ხანდაზმული ადამიანები ყველაზე მეტს კითხულობენ, უსმენენ ახალ ამბებს, სწავლობენ მათთვის საინტერესო პრობლემებს და ყველაზე აქტიურად მონაწილეობენ არჩევნებში ხმის მიცემისას სხვა ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით.

მოსახლეობის დაბერების შესახებ გაეროს ექსპერტ-დემოგრაფების პროგნოზების თანახმად<sup>1</sup>, თუ დღეისათვის კაცობრიობის 10,3%-მა იცოცხლა 60 წელი და მეტი, 2050 წლისათვის მათი წილი მიაღწევს 21,8%-ს, ე.ი. დედამიწის ყოველი მეხუთე ადამიანი იქნება ხანდაზმული, ხოლო მათი საერთო რიცხოვნობა მიაღწევს ორ მილიარდს. ამასთან ერთად, 15 წლამდე ბავშვების წილი, 28,0%-დან შემცირდება 19,8%-მდე. 2050 წლისათვის მოსახლეობის მედიანური ასაკი გაიზრდება 38 წლამდე<sup>2</sup>. ამავე პროგნოზით, ყველაზე ახალგაზრდა მოსახლეობა ეყოლება ნიგერიას, მედიანური ასაკით – 20 წელი, ხოლო ყველაზე დაბერებული ესპანეთს, სადაც მოსახლეობის მედიანური ასაკი მიაღწევს 55 წელს.

განვითარებულ ქვეყნებში მოსახლეობის დაბერების დონე 2005-2050 წლებში 20,0%-დან გაიზრდება 32,6%-მდე,

---

<sup>1</sup> პროგნოზები გადასინჯულია 2008 წელს.

<sup>2</sup> Демоскоп, #291-292, 2007.

## **ჯანმრთელობის მართვა და ჯანმრთელობის პოლიტიკა**

ხოლო ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში – 8,1%-დან 20,1%-მდე. რამდენადაც მოსახლეობის დაბერების ტემპები განვითარებად ქვეყნებში მაღალია, ვარაუდობენ, რომ განვითარებად ქვეყნებს ნაკლები დრო ექნებათ მოსახლეობის დაბერების შედეგებთან შესაგუებლად. მით უმეტეს, რომ განვითარებად ქვეყნებში, განვითარებული ქვეყნებისაგან განსხვავებით, მოსახლეობის დაბერება მიმდინარეობს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაბალი დონის პირობებში.

კაცობრიობის ისტორიაში პირველად 2045 წელს ხანდაზმულთა რიცხვი გადააჭარბებს ბავშვების რიცხვს. ევროპაში ეს უკვე მოხდა 1995 წელს, აზიასა ლათინურ ამერიკაში – მოხდება 2035 წელს, ჩრდილოეთ ამერიკაში – 2015 წელს, ავსტრალიასა და ოკეანეთში – 2025 წელს, მხოლოდ აფრიკაში იქნება შენარჩუნებული ბავშვთა კონტინგენტის მრავალრიცხოვნობა. პროგნოზით, 2050 წლისათვის აფრიკის ხანდაზმული მოსახლეობა (60 წლის და უფროსი) მიაღწევს 200 მლნ-ს, ხოლო 0-14 წლის ბავშვების რიცხოვნობა – 550 მლნ-ს.

მოსახლეობის დემოგრაფიულმა დაბერებამ მსოფლიო საზოგადოება რიგი ეკონომიკური, სოციალურ-ჰიგიენური, დემოგრაფიული და მორალურ-ფსიქოლოგიური პრობლემის (შედეგების) წინაშე დააყენა.

მოსახლეობის დაბერების ეკონომიკური პრობლემა და შედეგი შრომითი ასაკის მოსახლეობის დაბერებაა<sup>1</sup>. საქმე ისაა, რომ მოსახლეობის საერთო დაბერების პარალელურად, მიმდინარეობს მოსახლეობის დაბერება შრომით ასაკში. კერძოდ, შრომითი ასაკის მოსახლეობაში მცირდება

<sup>1</sup> შრომით ასაკად ვიღებთ 20-59 წლის მოსახლეობას. 20 წლამდე ასაკს არ ვითვალისწინებთ, რადგან მასზე, 2002 წლის აღწერით, მოდის დასაქმებულთა უმნიშვნელო (2,5%) რაოდენობა, ხოლო 60 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა მიეკუთვნება დემოგრაფიულად დაბერებულს.

## **მერაბ ხმალაძე**

---

ახალგაზრდა (20-39 წლის) მოსახლეობის წილი, და იზრდება უფროსი (40-59 წლის) მოსახლეობის წილი, რაც საზოგადოების მასშტაბით უარყოფით ეკონომიკურ შედეგებს იწვევს რიგი გარემოების გამო. ჯერ ერთი, ახალგაზრდებში, უფროს ასაკთან შედრებით, მაღალია შრომის მწარმოებლურობა და მისი წილის შემცირება უარყოფითად მოქმედებს შრომის მწარმოებლურობაზე მთელი საზოგადოების მასშტაბით (საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობა). ამას გარდა, ახალგაზრდობის ხვედრითი წონის შემცირებამ შეიძლება გამოიწვიოს საზოგადოების სამეცნიერო-ტექნოლოგიური, კულტურული და პოლიტიკური პროგრესის შეფერხება, რამდენადაც ყოველგვარ სიახლეს გაცილებით ადვილად ითვისებს ახალგაზრდა, ვიდრე უფროსი თაობა. მართალია, უფროს თაობას, ახალგაზრდობის საპირისპიროდ, გააჩნია სიბრძნე, გამოცდილება, მოთმინება, განსჯა, მაგრამ ახალგაზრდობის დაკარგვის სრული კომპენსაცია ამ თვისებებით, საეჭვოა.

ახალგაზრდობა განსკუთრებით უკეთ ითვისებს მეცნიერულ იდეებს. ამიტომ, სამეცნიერო კადრებში მათი ხვედრითი წონის შემცირებამ შეიძლება გამოიწვიოს კონსერვატიზმის ელემენტის გაძლიერება სამეცნიერო წრეებში – შეიზღუდება ნიჭიერი სპეციალისტების და მეცნიერთა კადრების შესარჩევი ბაზა, რაც გაართულებს თაობათა ცვლას ამ მიმართულებით. გარდა ამისა, საზოგადოებაში მიმდინარე სოციალურ ცვლილებებს, ცვლილებებს ყოფაცხოვრებასა თუ პოლიტიკაში, ასევე, ყველაზე იოლად ითვისებს ახალგაზრდობა და მათი რიცხოვნობის შემცირება აუცილებლად გამოიწვევს კონსერვატიზმის გავრცელებას მთელ საზოგადოებაში<sup>11</sup>.

საქართველოს მოსახლეობის დაბერების მაჩვენებლები შრომით ასაკში მოტანილია ცხრილი 1-ში.

<sup>1</sup> А. Я. Кваша. Проблемы демографического оптимума. М., МГУ, 1974, с. 22-23.



**საქართველოს მოსახლეობის და მისი შრომითი კონტინგენტის დაბერების მაჩვენებლები 1897-2010 წლებში**

საქართველოს მოსახლეობის და მისი შრომითი კონტინგენტის დაბერების მაჩვენებლები 1897-2010 წლებში  
(%%)<sup>1</sup>

ცხრილი 1

	1897	1926	1939	1959	1970	1979	1989	2002	2010
60 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა მთელ მოსახლეობაში	7,1	8,7	8,8	10,9	12,1	16,9	14,4	18,7	17,9
40-59 წლის მოსახლეობა									
20-59 წლის მოსახლეობაში	32,0	32,7	32,7	35,1	42,3	47,6	42,1	44,7	47,6

ცხრილიდან ჩანს, რომ 110 წლის განმავლობაში საქართველოში მოსახლეობის დაბერების დონე 7,1%-დან 17,9%-მდე გაიზარდა. ამავე პერიოდში უფრო სწრაფი ტემპებით მიმდინარეობდა მოსახლეობის შრომითი კონტინგენტის (20-59 წელი) დაბერება, რომელმაც განხილულ პერიოდში მოიმატა 32,0-დან 47,6%-მდე, რაც 1,4-ჯერ აღემატება მთელი მოსახლეობის დემოგრაფიულ დაბერების მატეების მაჩვენებელს.

მოსახლეობის დაბერების დონის ზრდის კვალობაზე იზრდება ხანდაზმული მოსახლეობის რიცხვი, რომელიც მოდის შრომითი ასაკის მოსახლეობაზე. აღნიშნული მოვლენა ცნობილია დემოგრაფიული დატვირთვის სახელწოდებით.

შრომითი ასაკის მოსახლეობის დემოგრაფიული დატვირთვის მაჩვენებელი (დონე) გამოითვლება 0-14 წლის ბავშვების მიხედვითაც.

თანამედროვე მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის ევოლუციამ გამოიწვია შრომითი კონტინგენტების (ასევე დასაქმებული

<sup>1</sup> Демоскоп, #291-292, 2010.

## მერაბ ხმალაძე

მოსახლეობის) ახალგაზრდა მოსახლეობით დატვირთვის შემცირება და ხანდაზმული მოსახლეობით დატვირთვის ზრდა. ანალოგიურ კანონზომიერებას აქვს ადგილი საქართველოში (იხ.ცხრილი 2).

დემოგრაფიული დატვირთვის მაჩვენებლები  
საქართველოში 1897-2010 წლებში  
(შრომითი ასაკის 100 ადამიანზე)<sup>1</sup>

ცხრილი 2

	1897	1926	1939	1959	1970	1979	1989	2002	2010
დატვირთვა ბავშვებით	93,5	90,4	81,8	57,0	62,5	50,3	46,7	40,0	31,6
დატვირთვა ხანდაზმულებით	16,5	20,4	19,5	21,2	24,7	32,7	27,1	35,8	31,8
დატვირთვა ორივეთი	110,0	10,8	101,3	78,2	87,2	83,0	73,8	75,8	63,4

როგორც ვხედავთ, საქართველოში 1897-2010 წლებში შობადობის შემცირების და 1990-იანი წლების შემდეგ, ახალგაზრდების ინტენსიური გარე მიგრაციის შედეგად ბავშვებით დატვირთვა თითქმის 3-ჯერ შემცირდა, ხოლო მოსახლეობის დაბერებამ ხანდაზმულებით დატვირთვა 1,9-ჯერ გაზარდა. საინტერესოა ის ფაქტი, რომ 1897-1939 წლებში ყოველი 100 შრომითი ასაკის ადამიანზე 100-ზე მეტი ბავშვი და ხანდაზმული მოდიოდა. ცხადია, ასეთი დატვირთვის პირობებში დაბალი იყო ცხოვრების დონე.

აუცილებლად ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ამ შემთხვევაში მსჯელობაა პრობლემებისადმი დემოგრაფიულ და არა ეკონომიკურ მიდგომაზე. დემოგრაფიული მიდგომა ნიშნავს პრობლემის განხილვას ასაკობრივი კონტინგენტების თანაფარდობის, ხოლო ეკონომიკური მიდგომა – დასაქმებულთა და დაუსაქმებელთა თანაფარდობის პრიზმით. ცხადია, რომ 15 წლის და უფროსი ასაკის კონტინგენტის ყველა

<sup>1</sup> Демоскоп, #291-292, 2007.

ასაკობრივ ჯგუფში, მეტ-ნაკლები ზომით, წარმოდგენილია დასაქმებულებიც და დაუსაქმებლებიც, მაგრამ, როგორც წესი, საზოგადოების აქცენტი კეთდება ხანდაზმულ პენსიონერებზე, ე.ი. მათზე, ვინც პენსიას იღებს ასაკის გამო. მოსახლეობის დაბერებასთან ერთად, ცხადია, იზრდება საპენსიო ასაკის მოსახლეობა და შესაბამისად – რიცხოვნობაც. მაგალითად, საქართველოში ასაკის გამო პენსიას იღებდა: 1970 წელს – 420,0 ათასი ადამიანი, 1979 წელს – 523,0,<sup>1</sup> 2002 წელს – 631,5 ათასი<sup>2</sup> შესაბამისად, წლების მიხედვით, ყოველ 100 შრომითი ასაკის ადამიანზე, 1970 წელს მოდიოდა 18,3 პენსიონერი, 1979 წელს – 20,3, ხოლო 2002 წელს – 27,7, ე.ი. 32 წლის მანძილზე, 1970-2002 წლებში საქართველოს შრომითი ასაკის მოსახლეობის „ასაკიანი“ პენსიონერებით დატვირთვის მაჩვენებელი გაიზარდა 51,4%-ით. საინტერესოა ასეთი შედარება: 2002 წლის მოსახლეობის აღწერით, 60 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა საქართველოს მთელი მოსახლეობის 18,7%-ს შეადგენდა, 60 წლის და უფროსი ასაკის პენსიონერები კი – 12,8%, ამავე, 2002 წელს, 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა შეადგენდა 12,8%-ს, ხოლო 65 წლის და უფროსი ასაკის პენსიონერები – 11,4%-ს. ამრიგად, საქართველოს მოსახლეობა, უკვე 2002 წლიდან,<sup>3</sup> როგორც როსეტის სკალის, ასევე გაეროს სტანდარტების მიხედვით, მიეკუთვნება დაბერებულ მოსახლეობას როგორც 60-65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის, ისევე იმავე ასაკის პენსიონერების ხვედრითი წონის მიხედვითაც.

ხანდაზმული მოსახლეობის და პენსიონერების რიცხოვნობის ზრდა რიგი ეკონომისტებისა და დემოგრაფის

<sup>1</sup> Народое хозяйство Грузинской ССР в 1982 году. Тб., 1983, с. 180.

<sup>2</sup> საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგები. ტომი III, ნაწილი 1, თბ., 2004, გვ. 8 (1970, 1979 და 2002 წლებისათვის აღებულია 60 და უფროსი ასაკის პენსიონერთა რიცხვი).

<sup>3</sup> მონაცემები და გაანგარიშებები 2002 წლის შემდეგ არ მოგვყავს იმის გამო, რომ აღნიშნული კატეგორიის მოსახლეობა აღწერების და მიმდინარე სტატისტიკის მიხედვით, ერთმანეთს არ ემთხვევა. ვინაიდან აღწერის მასალები, სხვებთან შედარებით, ითვლება უფრო სანდო წყაროდ, დავეყრდნობით მხოლოდ მოსახლეობის აღწერის მასალებს.

## **მერაბ ხმალაძე**

მიერ გამოცხადებულია დასაქმებული მოსახლეობის ექსპლუატაციის ნაირსახეობად, რამდენადაც იზრდება ხანდაზმული და პენსიონერი მოსახლეობის შენახვის ხარჯები, რაც მხრებზე „აწეება“ საზოგადოებას. ამასთან, მათ მხედველობის გარეშე რჩებათ ის გარემოება, რომ საშუალოდ ადამიანი შრომის პროცესში ქმნის იმდენ ღირებულებას, რომ სრულად ანაზღაურებს სიცოცხლის მანძილზე თავისი შენახვის ხარჯებს და კიდევ რჩება ნამეტო, რომელსაც ის უტოვებს საზოგადოებას. აღნიშნული ფაქტი ცნობილია დემოგრაფიულ რენტაბელობად.

მოსახლეობის დაბერებას აქვს სოციალურ-ჰიგიენური შედეგები. ის ეხება ხანდაზმული ადამიანების მომსახურე დაწესებულებების ქსელის გაფართოებას, დასვენების ორგანიზაციას, საპენსიო უზრუნველყოფას, ჯანმრთელობის დაცვის ქსელის საქმიანობის მოდერნიზაციას, ხანდაზმული ადამიანების დარჩენილი შრომითი პოტენციალის გამოყენებას საზოგადოების სასარგებლოდ და სხვა.

მოსახლეობის დაბერებას აქვს დემოგრაფიული შედეგებიც, რაც გარდაცვლილთა საერთო რიცხვის და მოკვდაობის მაჩვენებლების ზრდით გამოიხატება. აღნიშნული განსაკუთრებით ეხება მოკვდაობას სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადების შედეგად, რომელიც ხანდაზმული ადამიანების გარდაცვალების ძირითადი მიზეზია. მაგალითად, უკანასკნელ წლებში საქართველოში გარდაცვლილთა 80% იყო 60 წლის და უფროსი ასაკის, რომელთაგან 76,0% გარდაიცვალა სისხლის მიმოქცევის სისტიემის დაავადების შედეგად.

რა თქმა უნდა, არ შეიძლება ითქვას, რომ გარდაცვლილთა რიცხოვნობის ზრდა სისხლის მიმოქცევის სისტიემის დაავადებების შედეგად გამოწვეულია მხოლოდ მოსახლეობის დაბერებით, მაგრამ, ცხადია, ამ მიზეზით მოკვდაობის ზრდაში ის მნიშვნელოვან როლს ასრულებს. კერძოდ, საქართველოში, 1960 წელს გარდაცვლილთა საერთო რიცხვიდან სისხლის მიმოქცევის სისტიემის ავადმყოფობით გარდაიცვალა – 44,8, 1965 წელს – 46,6, 1970 წელს – 57,7, 1975 წელს – 58,5, 1980 წელს – 62,8, 1985 წელს – 64,8, 1990

წელს –64,7, 2000 წელს – 70,5, 2010 წელს – 69,0%<sup>1</sup> როგორც ვხედავთ, სისხლის მიმოქცევის სისტემის ავადმყოფობების შედეგად გადაცვლილთა წილი 1960-2010 წლებში 44,8%-დან გაიზარდა 69,0%-მდე, აბსოლუტურ სიდიდეებში – 12,2 ათასი შემთხვევიდან – 29,0 ათასამდე, ე.ი. 2,3-ჯერ<sup>2</sup> ასეთი ტენდენციები XX საუკუნის მეორე ნახევრისა და XXI საუკუნის დასაწყისში დამახასიათებელია მსოფლიოს ყველა განვითარებული ქვეყნისათვის.

მოსახლეობის დაბერება როგორც ისტორიულად, ასევე დღესაც, სხვადასხვა კულტურაში მეტ-ნაკლები სიმძაფრით წარმოშობს მორალურ-ფსიქოლოგიური ხასიათის პრობლემებს. საქმე ისაა, თუ როგორ ეპყრობა ხანდაზმულ ადამიანებს საზოგადოება. აღნიშნული მოპყრობა ისტორიულად განისაზღვრებოდა საზოგადოების ეკონომიკური განვითარების დონით. ეკონომიკური განვითარების დაბალი დონის მქონე ხალხებში ხანდაზმული, არამწარმოებლური მოსახლეობა იქცეოდა „ზედმეტ ტვირთად“, საზოგადოებაში წარმოიშობოდა „გერონტოფობია“ – შიში მოხუცებისადმი. ხშირ შემთხვევაში, მათ ფიზიკურად ანადგურებდნენ. ასეთი ფაქტი მრავალ ხალხშია ცნობილი. იმ საზოგადოებაში, სადაც ეკონომიკის განვითარება მოსახლეობის ყველა ფენის მატერიალური უზრუნველყოფის შესაძლებლობას იძლეოდა, როგორც მაგალითად, ანტიკურ ათენში, სპარტაში, რომსა და სხვა ცივილიზაციებში, მოხუცები მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ ფუნქციებს ასრულებდნენ, რაც ისტორიაში „გერონტოკრატის“ სახელით არის ცნობილი. მსოფლიოს ისტორიაში გერონტოკრატია არსებობს დღემდე, რა თქმა უნდა, სახეშეცვლილად, მათ შორის საქართველოში, უფროსი ასაკის ადამიანებისადმი პატივისცემის სახით.

<sup>1</sup> gaangariSebulia: Здравоохранение и социальное обеспечение в Грузинской ССР. Статистический сборник. Тб., 1974, с. 165-169; მ. ხმალაძე, საქართველოს მოსახლეობის აღწარმოების კანონზომიერებები და ეკონომიკური შედეგები. სადოქტორო დისერტაცია, თბ., 1995, გვ. 313; სტატდეპარტამენტის მასალები.

<sup>2</sup> ამიტომ, რომ საქართველოს სადაზღვევო კომპანიების პოლისები არ ითვალისწინებს სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებების სამკურნალო პრეპარატების ღირებულების ანაზღაურებას.

## **მერაბ ხმალაძე**

---

ეკონომიკური და ზნეობრივი განვითარების კვალობაზე, საზოგადოება სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობდა მოხუცი ადამიანების საკითხს. ცნობილია, რომ მოხუცების წინაშე სახელმწიფოს პასუხისმგებლობის პირველი კანონი გამოიცა ინგლისში 1601 წელს.

არ შეიძლება არ დავეთანხმოთ იმ აზრს, რომ საზოგადოების ცივილიზაციის დონე გაიზომება მოხუცებისადმი დამოკიდებულებით. მოხუცების, უფროსი თაობის კონკრეტულად – მშობლების მიმართ დამოკიდებულება მუდამნდება ოჯახში. ამ დამოკიდებულებას ათასწლოვანი ისტორია აქვს.

ჩინეთში, 2500 წლის წინ, აღმოცენდა კონფუციის რელიგიურ-ფილოსოფიური მოძღვრება – კონფუციანობა. კონფუცი იყო სახელმწიფო ჩინოვნიკი, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში იმყოფებოდა სხვადასხვა თანამდებობაზე. ბოლოს მიატოვა ყველაფერი ეს და შეუდგა ქადაგებას. ის მოგზაურობდა ჩინეთის სხვადასხვა სამთავროში და მათ მმართველებს ასწავლიდა ქვეშევრდომთა მართვის ხელოვნებას. კონფუცი სიცოცხლეშივე იქნა აღიარებული ბრძენ კაცად. მას ჰყავდა 72 მოწაფე, რომელთაგან 12 მუდმივად თან ახლდა, იცოცხლა 72 წელი.

ის, რომ კონფუციანობა, დღესაც არსებობს როგორც მსოფლიოს ერთ-ერთი მძლავრი რელიგიური მოძღვრება, ცნობილია. მაგრამ, შეიძლება ყველასათვის ცნობილი არ არის კონფუციის დამოკიდებულება ადამიანის ასაკთან. კონფუცი ამბობდა: 15 წლის ასაკში ჩემი გონება სწავლას მივანდე, 30 წლისამ დამოუკიდებლობა მოვიპოვე, 40 წლის ასაკში ეჭვებისაგან გავთავისუფლდი, 50 წლისამ შევიცანი ზეცის ნება, 60 წლის ასაკში ვისწავლე სიმართლისა და სიცრუის გარჩევა, 70 წლის ასაკში მივენდე საკუთარ გულის სურვილებს.

საზოგადოებაში გამეფებულ განსაკუთრებულ პრინციპად კონფუციის მიაჩნდა სიაო – შვილის მოწიწება, სიყვარული მშობლებისადმი, განსაკუთრებით კი მამისადმი. კონფუციის მოძღვრების თანახმად, დედამიწაზე არსებობს 3000 ცოდვა, რომელთაგან ყველაზე მძიმე, დანაშაულის ტოლფასი

ცოდვას შვილების უპატივისმცემლობა მშობლების მიმართ.

აღნიშნული შეხედულება აისახა იუდაიზმისა და მოგვიანებით, ქრისტიანობის ფუნდამენტურ პრინციპებში. ქრისტიანობის ათი მცნებიდან მესამე მცნება დადადებს: „პატივე-ც მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა კეთილი გეყოს და დღეგრძელ იყვნე ქვეყანასა ზედა.“

საყურადღებოა მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის და დემოგრაფიული დაბერების მიმართ ცნობილი ქართველი დემოგრაფის, პროფესორ ანზორ თოთაძის მოსაზრება. „სხვადასხვა ასაკის მოსახლეობა სხვადასხვა როლს ასრულებს საზოგადოებაში. ასაკობრივი როლი, ანუ როგორც ხშირად აღნიშნავენ, მოლოდინთა ერთობლიობა, დაკავშირებულია ასაკობრივ სტატუსთან. ასაკობრივ ცვლილებასთან ერთად საზოგადოებაში ადამიანის მდგომარეობაც იცვლება. გარკვეულ ასაკში იგი აგროვებს ცოდნას – სწავლობს სკოლაში, უმაღლეს სასწავლებელში, ეუფლება სხვადასხვა ხელობას, შემდეგ უშუალოდ მონაწილეობს მატერიალური თუ სულიერი ფასეულობების შექმნაში – იკავებს დამოუკიდებელი, მისი ასაკობრივი სტატუსისა და შექმნილი ცოდნის შესაბამის ადგილს. იზრდება მისი სოციალური როლი“.... „ოჯახში უფროსი ხანდაზმული თაობა უდიდეს როლს ასრულებს მომავალი თაობის აღზრდაში, მათი პიროვნების ჩამოყალიბებაში, ცხოვრებისეული გამოცდილების, ეროვნული ტრადიციების, წეს-ჩვეულებების გადაცემასა და გამდიდრებაში. ხანდაზმული ადამიანები ხელს უწყობენ ოჯახში წესრიგის დამყარებას, ოჯახის წევრებს შორის პატივისცემის გრძნობის ამღებებას და რაც მთავარია, ერისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებების თაობიდან თაობაზე გადაცემას, ეროვნული თვითმყოფადობის უწყვეტობის შენარჩუნებას. ყოველივე ეს, პირველ რიგში, ეხება მცირერიცხოვან ერებს, რომლებიც სწორედ მდიდარი ოჯახური ეროვნული ტრადიციების დაცვითა და შენახვით გადაურჩნენ ისტორიის ქარტეხილებს. ჩვენი ქვეყნის მომავალიც ამგვარად გაგებულ ტრადიციული ოჯახის შენარჩუნებაში გვესახება. ამიტომ, ოჯახის



## მერაბ ხმალაძე

ფორმირების პროცესში ყოველ უცხო მინარევს, თუკი იგი ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებიდან არ იღებს სათავეს, უნდა ვერიდოთ<sup>1</sup>.

ცალსახაა, რომ მსოფლიოში მიმდინარე მოსახლეობის დაბერება როგორც შეუქცევადი პროცესი, წარმოშობს პრობლემებს და საზოგადოებისაგან მოითხოვს ადაპტაციას ახალი დემოგრაფიული გარემოსადმი. ამისათვის კი, პირველ რიგში, საჭიროა სახელმწიფოებმა, უფრო სწორად მთავრობებმა, შეიცნონ პრობლემის არსი და საჭიროების შემთხვევაში, გაატარონ შესაბამისი ღონისძიებები.

რა მდგომარეობაა დღეისათვის მსოფლიოში? გაეროს ექსპერტების მიერ 2007 წელს შესწავლილი იქნა მთავრობების დამოკიდებულება აღნიშნული პრობლემის მიმართ. თავისი დამოკიდებულება მოცემულ გამოკითხვაში დააფიქსირა 171 ქვეყნის მთავრობამ. მათ შორის 75 ქვეყნის (55,0%) მთავრობამ სერიოზული შეშფოთება გამოთქვა მოსახლეობის დაბერების შედეგების მიმართ. განვითარებულ ქვეყნებში დაბერების პრობლემამ დაიკავა მეორე ადგილი შიდსის ეპიდემიის შემდეგ. აღნიშნულ პრობლემას ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებენ განვითარებად და ყველაზე ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში, თუმცა, ლათინური ამერიკის და კარიბის ზღვის ქვეყნების 70,0%-მა, 23-მა 33-დან, გამოთქვა დიდი შეშფოთება მოსახლეობის დაბერების გამო.

ასაკობრივი სტრუქტურის ევოლუცია იწვევს არა მხოლოდ ბავშვებისა და ხანდაზმულების, არამედ შრომისუნარიანი (15-59წწ.) მოსახლეობის რიცხოვნობის ცვლილებასაც. დღევანდელი ბავშვები თავის დროზე შევლენ შრომისუნარიან ასაკში, ხოლო ეს უკანასკნელნი თანდათან გადავლენ ხანდაზმულებში (60 წლის მიღწევის შემდეგ). ამიტომ, მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა პირველხარისხოვანი ეკონომიკური მნიშვნელობისაა.

გაეროს ექსპერტების ზემოთ აღნიშნული გამოკვლევის თანახმად, გამოკითხული მთავრობების 2/3-მა გამოთქვა

<sup>1</sup> ა. თოთაძე, მოსახლეობის დაბერების სოციალურ-ეკონომიკური და სამედიცინო-დემოგრაფიული პრობლემები. ჟურნალი „დემოგრაფია“, 1999, №1, გვ. 36, 38.



დიდი შემფოთება შრომისუნარიანი ასაკის (15-59 წელი) მოსახლეობის რიცხოვნობის და მისდამი შრომის შიგა ბაზრის მიერ წაყენებული მოთხოვნების შეუსაბამობის შესახებ. ამასთან, აღნიშნული პრობლემის მიმართ გამოითქვა ორი დიამეტრულად საწინააღმდეგო მიდგომა: თუ განვითარებული ქვეყნები შეწუხებულია სამუშაო ძალაზე მოთხოვნასთან შედარებით შრომისუნარიანი მოსახლეობის რიცხოვნობის სიმცირით, განვითარებად ქვეყნებს პირიქით, აწუხებთ სამუშაო ძალის სიტარბე არსებული სამუშაო ადგილების რაოდენობასთან შედარებით.

ყველაზე დიდი შემფოთება, შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობის და შრომის ბაზრის შეუსაბამობის შესახებ, გამოხატა ჩრდილოეთ ამერიკის ყველა ქვეყანამ, ოკეანეთის ქვეყნების – 80,0%-მა. ყველაზე ნაკლები შემფოთება კი – ლათინური ამერიკის და კარიბის ზღვის ქვეყნებმა (41,0%) და ევროპის ქვეყნებმა (59,0%). ასევე, უნდა შევნიშნოთ, რომ ევროპის ქვეყნები როგორც განვითარებული ქვეყნები, შემფოთებას გამოხატავენ შრომის შიგა ბაზრის და არა ზოგადად შრომის ბაზრის მიმართ, რამდენადაც ევროპის ქვეყნების უმეტესობაში შრომითი რესურსების დეფიციტის შევსება ხდება ყოფილი საბჭოთა კავშირიდან, აზიიდან და აფრიკიდან სამუშაო ძალის მიზიდვით.

მოსახლეობის დაბერებასთან დაკავშირებით მრავალმა ქვეყანამ შეცვალა საპენსიო კანონმდებლობა, გაზარდა პენსიაზე გასვლის ასაკი, მათ შორის საქართველომაც (თუმცა, არასწორად). 2002-2006 წლებში 164 ქვეყნიდან 41-ში კანონით გაიზარდა პენსიაზე გასვლის ასაკი. ამის შედეგად, განვითარებული ქვეყნების 60,0%-ში მამაკაცები და 40,0%-ში ქალები, სრულ პენსიას იღებენ 65 წლის და უფროს ასაკში.

საქართველოს მთავრობის კანონმდებლობით, პენსიაზე გასვლის ასაკი მამაკაცებისათვის 60-დან გაიზარდა 65 წლამდე, ხოლო ქალებისათვის – 55-დან 60 წლამდე. როდესაც წინა აბზაცში ვწერთ, რომ საქართველომ არასწორად გაზარდა საპენსიო ასაკი, მხედველობაში გვაქვს მხოლოდ ერთი გარემოება: დღეისათვის, მამაკაცების სიცოცხლის საშუალო

## **მერაბ ხმალაძე**

---

ხანგრძლივობა საქართველოში 70 წელია, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ პენსიაზე ყოფნა მოუწევთ საშუალოდ 5 წლის განმავლობაში, მაშინ როდესაც განვითარებულ ქვეყნებში პენსიაზე ყოფნის პერიოდი მამაკაცებში საშუალოდ 10-15 წელს, ხოლო ქალებში – უფრო მეტს, ზოგიერთ ქვეყანაში – (იაპონია და სხვა) 20 წელს და მეტს აღწევს.

კაცობრიობას, თავისი არსებობის მანძილზე მოუხდა მრავალი პრობლემის გადალახვა ან, უკიდურეს შემთხვევაში, მასთან შეგუება და თანაცხოვრება. იმედია, საზოგადოება ახლო მომავალში, ასე თუ ისე, დაძლევს დემოგრაფიული დაბერების მიზეზებსა და შედეგებს და გამოიყენებს მას საზოგადოების სასიკეთოდ.

### **World Demographic Aging: Prospects and Results**

#### **M. Khmaladze**

The share of population who are over 60 years old is increasing in the whole world and especially in developed countries. This phenomenon is known as demographic aging. Nowadays coefficient of demographic ageing is about 10.3% and it will be around 21.8% in 2050. This process will cause a number of negative consequences: aging of the working-age population; increase in mortality rate; increase in the share of elderly people in employed population; possible strain on the relation between older and younger generations. Historically the society has developed skills to solve the problems or adapt to them. It's apparent that the society will find a solution of this problem as well.

**ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის  
ნებატიური ასაქტება**

**მალვა გომიანვილი**  
**ივანე ჯავახიშვილის თსუ-ის**  
**ასოცირებული პროფესორი,**  
**სლავა შებელავა**  
**გრიგოლ რობაქიძის სახელობის**  
**უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი**

ეკონომიკური თვალსაზრისით, დომინირებულ მდგომარეობად ითვლება, თუ ეკონომიკური აგენტი ფლობს განსახილველი ბაზრის დიდ წილს და შეუძლია იმოქმედოს ამ ბაზარზე ძირითადად კონკურენტებისაგან დამოუკიდებლად. ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების საწინააღმდეგო ღონისძიებები შეტანილია მრავალი ქვეყნის საკონკურენტო კანონმდებლობაში. დომინირებული მდგომარეობის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარების ეფექტიანობის ანალიზი საჭიროებს: 1. განსახილველი ბაზრის განსაზღვრას; 2. ეკონომიკურ აგენტის დომინირებული მდგომარეობის დადგენას; 3. დომინანტი ეკონომიკური აგენტის მიერ მისი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების გამოვლენას (კონკრეტული ქმედებების შეფასებას).

როგორც ცნობილია, დომინირებული მდგომარეობა არ არსებობს ვაკუუმში. მსხვილი ეკონომიკური აგენტის არსებობა ბაზარზე არ ნიშნავს, რომ მას აუცილებლად დომინირებული მდგომარეობა უკავია. იმის განსაზღვრა, დომინირებს თუ არა მეწარმე სუბიექტი ბაზარზე, შესაძლებელია მისი რეაქციით კონკურენტების მხრიდან ზემოქმედებაზე. ბაზრის წილი წარმოადგენს მნიშვნელოვან, მაგრამ არა ერთადერთ და საკმარის მაჩვენებელს ეკონომიკური აგენტის დომინი-

## **შალვა ბოგიაშვილი, სლავა ფეხელავა**

რების დასადგენად. აუცილებელია გავითვალისწინოთ განსახილველ ბაზარზე შეღწევის ბარიერები და მეტოქეების შესაძლო რეაქცია.

ჩვეულებრივ, ბაზარზე დომინირების პრობლემა მიიჩნევა სტატიკურ მოვლენად, თუმცა, დომინირების შეფასებისათვის უადრესად მნიშვნელოვანია ასევე მისი დინამიკა. ბაზრებზე, რომლებიც სწრაფ ცვლილებებს ექვემდებარება, შესაძლებელია, დიდი საბაზრო წილის მქონე ეკონომიკურ აგენტს არ ეკავოს დომინირებული მდგომარეობა, თუ ის მხოლოდ დროებით ფლობს დიდ საბაზრო წილს (ბაზარზე შეიძლება მოკლე დროში შემოვიდნენ ახალი კონკურენტები) ან თვითონ ბაზარი იყოს დროებითი (შემდგომი მოდერნიზების გამო, საქონელმა შეიძლება დაკარგოს სამომხმარებლო მოთხოვნა, რადგან მომხმარებელი გადაინაცვლებს საქონლის ახალ, გაუმჯობესებულ სახეობაზე). ამგვარად, დომინირებული მდგომარეობის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია განვიხილოთ არა მარტო ბაზრის არსებული მდგომარეობა, არამედ მისი დროში ევოლუციაც.

მას შემდეგ, რაც დადგინდება, რომ მეწარმე სუბიექტს დომინირებული მდგომარეობა უკავია განსახილველ ბაზარზე, შესაძლოა წარმოიშვას სირთულეები იმის შეფასებაში, თუ რა გავლენას ახდენს ეკონომიკური აგენტის კონკრეტული მოქმედებები კონკურენციაზე. კანონსაწინააღმდეგო მოქმედებებმა შეიძლება გავლენა იქონიოს კონკურენციაზე საქონლის წარმოებისა და მიწოდების სხვადასხვა დონეზე. დომინირებული მეწარმე სუბიექტის ზოგიერთი მოქმედება შეიძლება კონკურენციის საწინააღმდეგო ან ხელშემწყობი იყოს, გარემოებებისა და მიხედვით. რიგ შემთხვევაში, ის შეიძლება მიმართული იყოს ამა თუ იმ მხარის საწინააღმდეგოდ, მაგრამ, იმავდროულად შეიძლება ჰქონდეთ კონკურენციის ხელშემწყობი ხასიათი.

ცხადია, ეკონომიკურ აგენტს თავისი დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება შეუძლია მხოლოდ მაშინ, თუ მას ასეთი პოზიცია უკავია სასაქონლო ბაზარზე.

ამდენად, მეწარმე სუბიექტის მოქმედების შეფასებისას პირველი რიგის ამოცანაა განსახილველი ბაზრის განსაზღვრა პროდუქტების ურთიერთშენაცვლებადობის გათვალისწინებით. სხვადასხვა საქონელი, რომლებიც სამომხმარებლო მახასიათებლებით ერთმანეთთან ახლოსაა, როგორც წესი, ერთსა და იმავე ბაზარზეა წარმოდგენილი, ხოლო პროდუქტები, რომლებიც არ ჰგავს ერთმანეთს - სხვადასხვა ბაზარზე.

კონკურენციული სამომხმარებლო ბაზრის განსაზღვრასთან შედარებით, უფრო ძნელია იმ ბაზრის განსაზღვრა, რომელზეც მხოლოდ ერთი ეკონომიკური აგენტი დომინირებს. მართლაც, თუ სამომხმარებლო ბაზრის განმარტებას მკაცრად მივუდგებით, ლოგიკურად შეუძლებელი გახდება სასაქონლო ბაზრის მონოპოლისტის დადგენა, თუკი მან განხილვამდე პერიოდში უკვე მიიღო მაქსიმალური სარგებელი.

ზოგადად, განსახილველი ბაზარი განისაზღვრება როგორც საქონლის უმცირესი ერთობლიობა და გეოგრაფიული რეგიონი, რაც შემდეგ კრიტერიუმებს პასუხობს:

საქონელი ან საქონლის ჯგუფი და გეოგრაფიული რეგიონი, სადაც რომელიმე ეკონომიკურ აგენტს, რომელიც შემოსავლის გაზრდისაკენ ისწრაფვის და წარმოადგენს ამ საქონლის ერთადერთ გამყიდველს მოცემულ რეგიონში, შეუძლია დროში სტაბილურად მნიშვნელოვნად გაზარდოს საქონლის ფასი.

განვიხილოთ რეალური მონოპოლისტის მაგალითი. რეალურ მონოპოლისტს, რომელიც ზრდის მოგებას, შეიძლება უკვე გაზრდილი ჰქონდეს საქონლის ფასები მოცემულ ბაზარზე იმ დონემდე, რომელიც მაქსიმალურ მოგებას უზრუნველყოფს. აქედან გამომდინარე, ჰიპოთეტური მონოპოლისტი, რომელიც ზრდის მოგებას, არ დაადებს საქონელს ბაზარზე უკვე არსებულზე უფრო მაღალ ფასს. ამგვარად, რეალური მონოპოლისტის მიერ გასაყიდი საქონლის ერთობლიობა, ლოგიკურად, არ შეიძლება დაექვემდებაროს ბაზრის ზემოთ

მოცემულ განსაზღვრებას.

ამგვარი ლოგიკური შეუსაბამობის თავიდან ასაცილებლად, საჭიროა ერთმანეთს შევადაროთ პროდუქტების ფიზიკური თვისებები, განსხვავებები საბოლოო გამოყენებაში, ასევე ცვლილებები მათი სამომხმარებლო დანიშნულებით გაყიდვების ისტორიულ პრაქტიკაში. ამ მონაცემებით შეიძლება დავადგინოთ ასეთ პროდუქტების ურთიერთშენაცვლების ალბათობა. ამასთან, გადამწვევტი მნიშვნელობა არ უნდა მიენიჭოს სხვადასხვა პროდუქტის ფიზიკურ მსგავსებას ერთმანეთთან.

ზემოთ აღნიშნული ლოგიკური შეუსაბამობის თავიდან აცილების კიდევ ერთ საშუალებად გვესახება იმის გარკვევა, გაზრდის თუ არა ფასებს შესაძლო დომინანტი ეკონომიკური აგენტი იმ შემთხვევაში, თუ მისი რომელიმე კონკურენტი ბაზრიდან გავა. თუ დომინანტი ეკონომიკური აგენტი ამ დროს ფასებს გაზრდის, ეს ნიშნავს, რომ ისინი კონკურენტები არიან და მათი საქონელი ერთსა და იმავე სასაქონლო ბაზარს მიეკუთვნება. თუ შესაძლო კონკურენტის ბაზრიდან გასვლისას, დომინანტი ეკონომიკური აგენტი ფასებს არ გაზრდის, მაშინ ისინი კონკურენტები არ არიან და მათი საქონელი სხვადასხვა ბაზარს მიეკუთვნება.

იმის განსაზღვრა, უკავია თუ არა კომპანიას დომინირებული მდგომარეობა, იწყება საბაზრო წილების დადგენით, რასაც ფლობენ ამ ბაზრებზე მოქმედი ეკონომიკური აგენტები. ცხადია, თუ მეწარმე სუბიექტი ბაზრის მცირე წილს ფლობს, იგი არ შეიძლება დომინირებული მდგომარეობის მქონედ ჩაითვალოს.

თუ ეკონომიკური აგენტი დიდი საბაზრო წილის მფლობელია, იმის დასადგენად, უკავია თუ არა მას დომინირებული მდგომარეობა, სხვა ფაქტორებიც უნდა შევაფასოთ, როგორცაა, მაგალითად, ბაზარზე შესვლის ბარიერები, კონკურენტების ექსპანსია და სხვა ფირმების საბაზრო წილი. მათ შორის, ძალზე მნიშვნელოვანია ბაზარზე შესვლის ბარიერი, რადგან იგი განსაზღვრავს კონკურენციის ხარისხს

პოტენციური კონკურენტების შესვლისას ბაზარზე. თუ ბარიერი დაბალია და ეკონომიკური აგენტები (რომლებსაც კონკურენციას უწევენ ახალი კონკურენტები და შესაბამისად იქმნება კონკურენციული გარემო) ანტიკონკურენციულად ზრდიან ფასებს, მაშინ იმ სუბიექტებსაც კი, რომლებიც დიდ საბაზრო წილს ფლობენ, არ ექნებათ „ძალაუფლება“ და ამდენად, ვერ იქნებიან დომინირებულ მდგომარეობაში. ზუსტად ასევე, თუ დღევანდელი კონკურენტები შეძლებენ სწრაფად და მნიშვნელოვნად გაზარდონ თავიანთი გაყიდვების მოცულობა და ამ დროს დომინირებული მდგომარეობის მქონედ მიჩნეული ეკონომიკური აგენტი ანტიკონკურენციულად მოქმედებს, მაშინ ის არ იქნება დომინანტი ბაზარზე. მეორე მხრივ, თუ ბაზარზე შესვლის ბარიერი მაღალია, მაშინ მეწარმე სუბიექტი დაცულია სხვა ეკონომიკური აგენტების მხრიდან კონკურენციისაგან. თუ კონკურენტები ვერ შეძლებენ სწრაფად და მნიშვნელოვნად გააფართოონ წარმოება და გაყიდვები იმ ეკონომიკური აგენტის ანტიკონკურენციული ქმედებების საპასუხოდ, რომელიც დომინანტად მიიჩნევა ბაზარზე, მაშინ არსებობს საფუძველი, რომ ეს უკანასკნელი ჩაითვალოს დომინირებული მდგომარეობის მქონედ ამ ბაზარზე<sup>1</sup>.

თუ სხვა ეკონომიკურ აგენტებს აქვთ შედარებით მცირე საბაზრო წილები, შეიძლება წარმოიქმნას დაბრკოლება მისი გაფართოების დროს, რომ კონკურენცია გაუწიონ დიდი საბაზრო ძალის მქონე სუბიექტებს.

მაგალითად, შეიძლება მათი საქონელი გამოიყენებოდეს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში ან შესაძლებელია მათ არ ჰქონდეთ დისტრიბუციისათვის საჭირო არხები. ასეთ შემთხვევაში, სხვა კონკურენტმა კომპანიებმა შეიძლება ვერ შეძლონ წარმოებისა და გაყიდვების სწრაფი გაფართოება შესაძლო დომინანტ სუბიექტთან კონკურენციაში. ასეთ

<sup>1</sup>ფეტელავა ს., გოგიაშვილი შ., ეკონომიკური კონკურენცია, „ლოი“, თბ., 2012, გვ. 58.

შემთხვევაშიც, ეკონომიკური აგენტი შეიძლება დომინირებულად ჩაითვალოს საბაზრო ეკონომიკის პირობებში, სადაც ფასები თავისუფალია და ასევე სხვა ცვლილებები სწრაფად ხორციელდება. ამასთან, არ შეიძლება ეკონომიკური აგენტის დომინირებული მდგომარეობის შესახებ დასკვნა გაკეთდეს მხოლოდ იმის საფუძველზე, რომ ასეთ აგენტს შეუძლია გაზარდოს ფასები. დომინირების შესაფასებლად, საჭიროა გამოყენებულ იქნეს ბაზარზე ძალაუფლების ხანგრძლივად ფლობის ნიშნები, ასევე, ახალი სუბიექტების ბაზარზე შესვლის ან არსებული კონკურენტების ექსპანსიის ბარიერები.

საბაზრო წილის განსაზღვრის რამდენიმე საშუალება არსებობს, მაგალითად, გაყიდვების ნატურალური/ღირებულებითი მოცულობა ან წარმოების მოცულობა. პრაქტიკაში, საბაზრო წილის განსაზღვრისათვის ხშირად გამოიყენება ხელმისაწვდომი მონაცემები.

იმის გარკვევას, თუ საბაზრო წილის გაზომვის რომელი საშუალება უნდა იქნეს არჩეული, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ ქვეყნებისათვის, სადაც დომინირებულ მდგომარეობას განსაზღვრავს კანონმდებლობა ბაზრის წილების დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად; ანუ - იმ შემთხვევაში, როდესაც საკონკურენტო კანონმდებლობა ითვალისწინებს დომინანტობის განსაზღვრის კრიტერიუმს (ეკონომიკური აგენტი ფლობს დადგენილ ნორმაზე უფრო მაღალ საბაზრო წილს). მნიშვნელოვანია სწორად განისაზღვროს იმ ეკონომიკური აგენტების საბაზრო წილი, რომლებიც მოცემულ მომენტში არ ეწევიან სამეწარმეო საქმიანობას კონკრეტულ სასაქონლო ბაზარზე. ასევე, იმ სუბიექტთა წილის გარკვევაც, რომლებიც არასრული სიმძლავრით მოქმედებენ. მაგალითად, ეკონომიკური აგენტი, რომელიც მოცემულ მომენტში და შესაბამის ბაზარზე მთლიანი გაყიდვების 50%-ს აწარმოებს (ამასთან, თუ არსებობენ უფრო დიდი, მაგრამ დაუტვირთავი სიმძლავრეების მქონე კონკურენტი აგენტები, რომლებსაც შეუძლიათ სწრაფად ამოქმედონ ეს სიმძლავრეები), ეკონომიკური თვალსაზრისით არ იქნება მი-



ნეულის დომინანტად (ასეთ ეკონომიკურ აგენტს არ შეუძლია იმოქმედოს ანტიკონკურენციულად, ვინაიდან მის მეტოქეებს აქვთ უნარი სწრაფად მოახდინონ რეაგირება და წაართვან მას გაყიდვების მნიშვნელოვანი ნაწილი). მრავალი ქვეყნის საკონსტრუქციო კანონმდებლობის თანახმად, თუ საბაზრო წილის სიდიდის გასაზომად გაყიდვების მოცულობა გამოიყენება, მაშინ განსახილველი ეკონომიკური აგენტი შეიძლება მიჩნეულ იქნეს დომინირებული მდგომარეობის მქონედ, ხოლო თუ საბაზრო წილი იზომება წარმოების მოცულობით, მაშინ, განსახილველი ეკონომიკური აგენტი შეიძლება არ იქნეს მიჩნეული დომინირებული მდგომარეობის მქონედ. ამგვარად, ქვეყნების საკონსტრუქციო კანონები გავლენას ახდენს საბაზრო წილის გაზომვის მეთოდების შერჩევაზე.

თუ კონკრეტულ ბაზარზე წარმოდგენილი საქონელი ერთგვაროვანია, მაშინ საბაზრო წილის გაზომვის ერთ-ერთი საშუალება შეიძლება იყოს საქონლის ერთეულის გაყიდვები, ხოლო, თუ ბაზარზე წარმოდგენილი საქონელი არაერთგვაროვანია, უმჯობესია საბაზრო წილის გაზომვა გაყიდვების ღირებულებით.

მართალია, წარმოების მოცულობა შეიძლება საბაზრო წილების საზომს წარმოადგენდეს, მაგრამ, ამან შეიძლება მნიშვნელოვანი ცდომილება გამოიწვიოს, თუ წარმოების მოცულობებში დიდი განსხვავებებია. მაგალითად, ერთ ეკონომიკურ აგენტს გააჩნია ორი საწარმო. ვთქვათ, ერთ საწარმოში გამოშვებული პროდუქციის მხოლოდ 60% პასუხობს მკაცრ ტექნიკურ მოთხოვნებს, მეორეში კი – 100%. ასეთ შემთხვევაში, პირველი საწარმოს მიერ გამოშვებული მთლიანი პროდუქცია არ შეიძლება განხილულ იქნეს შესაძლო მიმწოდებლად ხარისხისადმი მაღალი მოთხოვნების მქონე მყიდველებისათვის. ამიტომ, ეკონომიკური აგენტის წარმოების მოცულობის გაზომვისას ზემოაღნიშნული მყიდველებისათვის მიწოდებების მიხედვით, პირველი საწარმოს წარმოების მოცულობა არ უნდა იქნეს გათვალისწინებული 60%-ზე მეტი სიდიდით.

არსებობს გაზომვის პრობლემა, როდესაც ეკონომიკური აგენტების ერთი ჯგუფია მხოლოდ ვერტიკალურად ინტეგრირებული, ხოლო მეორე კი არა. ასეთ შემთხვევაში, პირველი ჯგუფის ეკონომიკურ აგენტებს ექნებათ შესაძლებლობა სრულად გაყიდონ შესაბამის ბაზარზე თავიანთი პროდუქცია, მეორე ჯგუფის სუბიექტებს კი მხოლოდ პროდუქციის ნაწილის გაყიდვა შეეძლება, დანარჩენი ნაწილი კი გამოყენებული იქნება შიგა მოხმარებისათვის. სხვა ეკონომიკურ აგენტებს შეეძლება მთელი თავიანი პროდუქცია მიმართონ შიგა მოხმარებისათვის, ანუ გამოიყენონ იგი სხვა საწარმოო პროცესებში. იმ ეკონომიკური აგენტების მიმართ, რომლებიც წარმოებული პროდუქციის მხოლოდ ნაწილს ჰყიდიან შესაბამის სასაქონლო ბაზარზე, მათ საბაზრო წილში უნდა იქნეს ჩათვლილი წარმოების ის მთელი მოცულობა, რომელიც არაა განკუთვნილი შიგა მოხმარებისათვის, რადგან ნაკლებად სავარაუდოა, რომ ასეთ სუბიექტებს დამატებითი ხარჯების გაწევა მოუწიოთ ბაზარზე პროდუქციის დამატებითი ნაწილის გაყიდვის შემთხვევაში.

იმ ეკონომიკურ აგენტებს, რომლებიც მთელ პროდუქციას არ ჰყიდიან შესაბამის სასაქონლო ბაზარზე, წარმოების მთლიანი მოცულობა არ უნდა ჩაეთვალოთ საბაზრო წილში. აქ ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, აუცილებელია თუ არა მსხვილი ინვესტიციები პროდუქციის გასაღების ან გაყიდვისათვის (მაღალკვალიფიციური ტექნიკური პერსონალის მომზადება ან გასაღების ბაზრების ქსელის შექმნა) და შედეგად, პროდუქციის გაყიდვა მოგების დიდად უფრო დაბალ სიდიდეს ხომ არ უზრუნველყოფს, ვიდრე პროდუქციის შიგა მოხმარების შემთხვევაში. თუ მოცემულ ბაზარზე არსებობს პროდუქციის გაყიდვის ბარიერები ან, თუ მოსალოდნელია ეკონომიკური აგენტის შემოსავლების შემცირება პროდუქციის შიგა მოხმარებიდან ბაზარზე გადართვის გამო, მაშინ, ვერტიკალურად ინტეგრირებული ფირმების წარმოების მოცულობა ან შიგა გადანაწილებების ღირებულება არ უნდა იქნეს გათვალისწინებული საბაზრო წილის განსაზ-

ღვრისას. ყველა სხვა შემთხვევაში, ვერტიკალურად ინტეგრირებული ეკონომიკური აგენტების აუთოქმედებელი საწარმოო მოცულობები შეიძლება „ჩათვლილი იქნეს“ საბაზრო წილში.

ამასთან, ბაზრებს, სადაც გაყიდვები დროში არასტაბილურია, ისეთი პრობლემები ახასიათებს, რომლებიც ტიპურია ძალზე მცირე რაოდენობით გაყიდვისას, მაგალითად, მანქანების უნიკალური ტიპები, როგორცაა - თვითმფრინავები, ელმავლები, ელექტროსადგურების დიდი ორთქლის ტურბინები. ასეთ შემთხვევაში, საბაზრო წილის ცვლილებები საქონლის ტექნოლოგიური დაუყოფადობისა და იშვიათი გაყიდვების შედეგია. ამ დროს შესაძლებელია გაზომვის სტატისტიკური მეთოდის გამოყენება.

კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც შესაძლოა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყოს გარდამავალი პერიოდის ეკონომიკისათვის, არის გაყიდვების არასტაბილურობა ბაზრის არაციკლური ცვლილებების გამო. მაგალითად, თუ ახალი ტექნოლოგია დანერგილია ცოტა ხნის წინ, და ეკონომიკური აგენტი, რომელიც ასეთ ტექნოლოგიას იყენებს, სწრაფად ზრდის გაყიდვებს, მაშინ გასარკვევია, რომელი საბაზრო წილები უნდა იქნეს გათვალისწინებული: ახლანდელი, წარსული პერიოდისა თუ პერსპექტიული. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუ მყიდველები მოქმედებენ უფრო დაბალ დონეებზე, ხოლო ყიდიან მხოლოდ ვერტიკალურად ინტეგრირებული მიმწოდებლები, მაშინ, რომელი საბაზრო წილები უნდა გაიზომოს: ახლანდელი თუ გასული პერიოდის? ასეთ შემთხვევაში, ბაზრის ახლანდელი წილები შეიძლება არ გამოდგეს სათანადო მახასიათებლად და ალბათ, უფრო სასარგებლო იქნება, თუ გამოვიყენებთ გაყიდვების სამომავლო წილების „ყველაზე ოპტიმისტურ“ შეფასებებს, რადგან საინტერესოა, კონკურენცია ან დომინირება მომავალში.

საბაზრო წილის გაზომვის მეთოდის განსაზღვრის შემდეგ, უნდა შეფასდეს შესაძლო დომინანტი ეკონომიკური აგენტის საბაზრო წილი, რათა დავრწმუნდეთ, რომ იგი საკ-

## **შალვა გოგიაშვილი, სლავა შებელავა**

---

მარისად მაღალია დომინირებისათვის.

ეკონომიკურ თეორიას არ შეუძლია შემოგეთავაზოს სასაქონლო ბაზრის წილის განსაზღვრის მარტივი წესები ეკონომიკური აგენტის დომინირებისათვის. თუ შესაბამის ბაზარზე მოქმედებს რამდენიმე ეკონომიკური აგენტი და თითოეულ მათგანს გააჩნია მცირე წილი, მაშინ ნაკლებად სავარაუდოა, რომ რომელიმეს ჰქონდეს დომინირებული მდგომარეობა ამ ბაზარზე, იმის მიუხედავადაც კი, თუ მასში შესასვლელად მაღალი ბარიერებია დაწესებული. მეორე მხრივ, თუ მოცემულ სასაქონლო ბაზარზე მომწოდებელი მხოლოდ ერთი ეკონომიკური აგენტია და იგი დაცულია შესვლის მაღალი ბარიერებით, მაშინ ცხადია, რომ ის ამ ბაზრის დომინანტია. აქვე ხაზი უნდა გაესვას, რომ ეკონომიკური თეორია არ განსაზღვრავს სასაქონლო ბაზრის იმ წილს, რომლის ფლობის შემთხვევაშიც ეკონომიკური აგენტი ერთმნიშვნელოვნად ჩაითვლება დომინირებული მდგომარეობის მქონედ.

ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობით, დომინირებისათვის აუცილებელი საბაზრო წილის განსაზღვრისათვის გათვალისწინებულია მარტივი პრინციპის გამოყენება. მაგალითად, ევროკავშირის კომისიის მიერ ადრეულ პერიოდში მიზნეული იყო, რომ ეკონომიკურ აგენტს დომინირებული მდგომარეობა უკავია, თუ იგი ფლობს შესაბამისი სასაქონლო ბაზრის არანაკლებ 40-45%-ს<sup>1</sup>.

ევროკავშირის რეკომენდაციით, დღეისათვის შესაბამის სასაქონლო ბაზარზე ეკონომიკურ აგენტი მიზნეულია დომინირებულად, თუ მისი წილი ამ ბაზარზე შეადგენს არანაკლებ 1/3-ს. ამასთან, ორ ეკონომიკურ აგენტს უჭირავს დომინირებული მდგომარეობა, თუ მათი ერთობლივი წილი შესაბამის ბაზარზე შეადგენს არანაკლებ 50%-ს, ხოლო სამი და მეტი ეკონომიკური აგენტი ითვლება დომინირებულად, თუ მათი ერთობლივი წილი კონკრეტულ სასაქონლო ბა-

---

<sup>1</sup>Richard Whish, *Competition Law*, 2nd ed, Butterworths: London, 1989, p. 294.

## ===== **ჯიურისტიკური თეორია და ჯიურისტიკური პრაქტიკა**

ზარზე შეადგენს არანაკლებ 2/3-ს. ხაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ აშშ-ში მოქმედი საკანონმდებლო აქტები, რაც ყველაზე ახლოსაა დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების დოკუმენტებთან, კრძალავს „მონოპოლიზაციას“ და „მონოპოლიზაციის მცდელობას“. ამ კანონის ერთ-ერთი დებულება ასეთია: „სასამართლოები თვლიან, რომ 80-90% და უფრო მაღალი საბაზრო წილი საკმარისია საიმისოდ, რომ მოპასუხე მიჩნეულ იქნეს მონოპოლისტად. სასამართლოები ასევე თვლიან, რომ 50%-ზე ნაკლები საბაზრო წილი არასაკმარისია. სასამართლოების უმეტესობა ინარჩუნებს პოზიციას, რომ თუ ფირმის საბაზრო წილი 70%-ზე ნაკლებია, იგი არ უნდა იქნეს მიჩნეული მონოპოლიური ძალაუფლების მქონედ“<sup>1</sup>. აღნიშნულიდან გამომდინარე, ეკონომიკური აგენტის საბაზრო წილის დადგენა დომინირების ანალიზის მხოლოდ დასაწყისია. კონკურენტების შესაძლო რეაქცია და ახალი მომწოდებლების გაჩენა ბაზარზე, ამ წილით გათვალისწინებული არ არის. თუმცა, საბაზრო წილმა შეიძლება ერთგვარი „საცერის“ როლი შეასრულოს მცირე წილების მქონე იმ ეკონომიკური აგენტების განთესვაში, რომლებსაც ამკარად არ შეუძლიათ დომინირებას მიაღწიონ, და ასევე დიდი წილების მქონე იმ სუბიექტების მიმართ, რომლებიც დომინირების საკითხის შემდგომი განხილვის საგანია.

ბაზარზე შესვლის ბარიერების ზომა, ანუ შესვლისთვის საჭირო ხარჯების სიდიდე, წარმოადგენს მეორე ფაქტორს იმის დასადგენად, არის თუ არა ეკონომიკური აგენტი დომინირებადი. თუ ბაზარზე შესვლის ბარიერები არ არსებობს (ან დაბალია), მაშინ დიდი საბაზრო წილის მფლობელ აგენტსაც არ ექნება ძალაუფლება ბაზარზე. თუ სხვა სუბიექტებს შეუძლიათ უფრო სწრაფად, მასშტაბურად და მცირე დანაკარგებით შევიდნენ ბაზარზე, მაშინ ბაზარზე

---

<sup>1</sup> Herbert Hovenkamp, Antitrust, Black Letter Series, West Publishing Co., St. Paul, MN 1986, p. 106.

## **შალვა გოგიაშვილი, სლავა შებელავა**

მოქმედი ეკონომიკური აგენტები ვერ შეძლებენ იმოქმედონ ანტიკონკურენციულად, რაც მათ დომინირებას გამოიწვევს. ვთქვათ, ბაზარზე შესვლის ბარიერების არ არსებობის პირობებში დიდი საბაზრო ძალის მქონე ეკონომიკური აგენტი ზრდის ფასებს, მაშინ, ეკონომიკური აგენტები, რომლებიც არ არიან ამ ბაზრის მონაწილეები, როგორც კი დაინახავენ მაღალი შემოსავლების მიღების შესაძლებლობას (ბაზარზე შესვლის ხარჯების სიმცირე), დაიწყებენ ბაზრის ათვისებას დაბალი ფასებით და შეეცდებიან გადაიბირონ განსახილველი ეკონომიკური აგენტის კლიენტები. თავის მხრივ, ახალ მომწოდებელთა მხრიდან კონკურენციის საფრთხის გამო, დიდი საბაზრო წილის მქონე კომპანია ვერ შეძლებს ხისტად გაატაროს ანტიკონკურენციული პოლიტიკა, რის გამოც იგი არ მიიხნევა დომინირებულად.

საკითხი იმის შესახებ, თუ დანახარჯთა რომელი ტიპს უნდა მიექცეს ყურადღება ბაზარზე შესვლის ხარჯების შეფასებისას, დებატების საგანია. ზოგიერთი სპეციალისტის აზრით, აქ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის ხარჯები, რაც უნდა გასწიონ ბაზარზე შემსვლელმა და არა მოქმედმა ეკონომიკურმა აგენტებმა. მაგალითად, თუ ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტის კუთვნილი რაიმე სასარგებლო წიაღისეულის მადარო გაიხსნა იმ დროს, როდესაც ნებართვის მისაღებად საჭირო იყო 100 ათასი ლარი, ხოლო დღეისათვის ის ღირს 150 ათასი ლარი, მაშინ, ბაზარზე შესვლის ხარჯად უნდა ჩაითვალოს მხოლოდ ამ ფასების სხვაობა (50000 ლარი). სხვა სპეციალისტთა აზრით კი, ბაზარზე შესვლის დანახარჯებში განხილული უნდა იყოს ყველა გაწეული ხარჯი (ხარჯები, რომელიც უნდა გასწიონ ბაზარზე შემსვლელმა ფირმებმა, მაგრამ რომელთა გაწევაც ამჟამად არ ევალებათ ბაზარზე მოქმედ ფირმებს). ამ შემთხვევაში, ბაზარზე შესვლის ბარიერს წარმოადგენს 150 ათასი ლარი მთლიანად. ცხადია, ეს არის ბაზარზე შესვლის მეორე ტიპის ბარიერი, რაც ზეგავლენას ახდენს ამ ბაზარზე მოქმედი სუბიექტების ანტიკონკურენციული ქმედებების საპასუხოდ

## **ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა**

ახალი ეკონომიკური აგენტების ბაზარზე შესვლის ალბათობაზე.

დასასრულ, ბაზარზე შედწევის ბარიერების შესაფასებლად, საჭიროა პასუხი გაეცეს შემდეგ კითხვებს:

1. არსებობენ თუ არა პოტენციური მიმწოდებლები ან ეკონომიკური აგენტები, რომლებსაც შეუძლიათ სწრაფად და უმტკივნეულოდ გადართონ წარმოება საქონლის მიწოდებებზე მოცემულ ბაზარზე.

2. არსებობს თუ არა სტატისტიკური მონაცემები ბაზარზე შესვლის საკითხის შესახებ (მონაცემთა არარსებობა ბაზარზე წარმატებით შესვლასთან დაკავშირებით არ არის საკმარისი საფუძველი იმისათვის, რომ იგი შესვლის ბარიერად ჩაითვალოს. შესაძლებელია, რომ ბაზარზე არსებობდეს დიდი კონკურენცია და ახალ ეკონომიკურ აგენტებს არ ჰქონდეთ საფუძველი, რომ მოინდომონ ასეთ ბაზარზე შესვლა);

3. აბსოლუტური ან ღირებულებითი სარგებლის შეფასება, ანუ აქვთ თუ არა განსახილველ ეკონომიკურ აგენტებს უპირატესობა ახალი მიმწოდებლების მიმართ, ანუ აკონტროლებენ თუ არა ისინი შეზღუდულ რესურსებს, პატენტებს, საავტორო უფლებებს;

4. სტრატეგიული სარგებლის შეფასება ან რამდენად დიდია დანაკარგები, ანუ შესაძლებელია თუ არა აღჭურვილობის იჯარა, ხელმეორედ გაყიდვა ან პროფილის შეცვლა სხვა მიზნებისათვის და რამდენად მაღალია მყიდველების „გადართვის ხარჯები“, ანუ რა დაუჯდება მყიდველს მიმწოდებლის შეცვლა მოწყობილობაში ცვლილებების შეტანის აუცილებლობის გათვალისწინებით.

საბაზრო წილისა და ბაზარზე შესვლის ბარიერების გარდა, ეკონომიკური აგენტის დომინირების შეფასებისას განხილული უნდა იქნეს აგრეთვე არსებული კონკურენტების შესაძლო რეაქციები. თუ კონკურენტებს შეუძლიათ სწრაფად, მგრძობიარედ და დიდი დანახარჯების გარეშე რეაგირება მსხვილი ფირმის ანტიკონკურენციულ ქცევაზე.



## **შალვა გოგიაშვილი, სლავა ფიჭელავა**

მაშინ ეს უკანასკნელი ვეღარ შეძლებს დომინირებულ მდგომარეობის შენარჩუნებას. არსებულ კონკურენტებს შეუძლიათ ამგვარადვე უპასუხონ, თუკი ისინი სიმძლავრეების დიდ რეზერვებს ფლობენ და შეუძლიათ სწრაფად გააფართონ ეს სიმძლავრეები, ან თუ ასეთი სიმძლავრეები ერთ რომელიმე ბაზარზე მუშაობს, შეიძლება სწრაფად იქნეს გადართული მიწოდებებზე სხვა ბაზარზე.

შემდეგი ფაქტორი, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს კონკურენტების შესაძლო ექსპანსიაზე, არის საქონლის ბუნება. ბაზარზე შესვლის ზემოაღწერილმა ორმა დაბრკოლებამ – მყიდველების გადართვის ხარჯებმა და რეკუტაციის მნიშვნელობამ – შესაძლოა შეზღუდოს ახლანდელი კონკურენტების ექსპანსია და ბარიერის როლი შეასრულოს ახალი კონკურენტების ბაზარზე შესვლის მხრივ.

გარდა ამისა, დომინირებულ მდგომარეობაზე შეიძლება მიუთითებდეს სხვა ფაქტორებიც, კერძოდ: მკაცრად ვერტიკალური ინტეგრაცია ან კარგად განვითარებული სადისტრიბუციო სისტემა, მოწინავე ტექნოლოგია, კარგად რეკომენდებული საფირმო სახელწოდება, საქონლის ფართო დიაპაზონი, მზა ბაზარი, ტექნოლოგიური და ფინანსური რესურსები და საბაზრო ქცევა<sup>1</sup>. „ქცევის“ გამოკლებით, თითოეულ ზემოაღნიშნულ ფაქტორს შეუძლია აამაღლოს ბაზარზე შესვლის ბარიერი, როგორც ეს ზემოთაა აღწერილი. მაგალითად, თუ ბაზარზე წარმატების მისაღწევად საჭიროა კარგად განვითარებული სადისტრიბუციო სისტემა, მაშინ იმის შესაფასებლად, შეძლებენ თუ არა ახალი კონკურენტები ბაზარზე შესვლას, ბაზარზე მოქმედი რომელიმე ეკონომიკური აგენტის ანტიკონკურენციული ქცევის პასუხად, საჭიროა გავითვალისწინოთ ამ სისტემის განვითარებაზე დახარჯული დრო და სახსრები. თუმცა, კარგად განვითარე-

---

<sup>1</sup>Richard Whish, *Competition Law*, 2nd ed, Butterworths: London, 1989, pp. 294-300; Ivo Van Bael and Jean-Francois Bellis, *Law of the EEC*, 2nd ed., CCH Editions Limited, 1987, pp. 71-74.



ბული სადისტრიბუციო სისტემა არ შეიძლება ჩაითვალოს დომინირებული მდგომარეობის შეფასების კრიტერიუმად. ასევეა სხვა ფაქტორების შემთხვევაშიც. „ქცევა“ იშვიათად უთითებს დომინირებაზე, მაგრამ, თუ გარკვეული ქცევა რაციონალურია მხოლოდ ეკონომიკური აგენტის დომინირებისას, ასეთი ქცევა დომინირებაზე მიუთითებს.

ეკონომიკური აგენტის დომინირებული მდგომარეობა ბაზარზე, დგინდება მისი რეაქციით კონკურენტების მხრიდან ზეწოლაზე. ასეთი ზეწოლა შეიძლება მოახდინონ როგორც ახლანდელმა, ასევე პოტენციურმა კონკურენტებმა. თუ გამოკვლევებით გამოვლინდა, რომ არც ახლანდელ და არც პოტენციურ კონკურენტებს არ შეუძლიათ აქტიური რეაგირება ეკონომიკური აგენტის არაკონკურენციულ ქცევაზე, მაშინ მას დომინირებული მდგომარეობა უკავია შესაბამის ბაზარზე.

დომინირებული მდგომარეობის შენარჩუნება, თავისთავად, არ არის ანტიკონკურენციული ქმედება, მაგრამ კონკურენციის პროცესში არასწორი ჩარევა, მათ შორის, ახალი კონკურენტების ბაზარზე შესვლის თავიდან აცილება და/ან დაბრკოლებების შექმნა, დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად ითვლება. მაგალითად, თუ დომინირებული მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტი უარს ამბობს ნედლეულის ან ნახევარფაბრიკატის მიწოდებაზე პოტენციური კონკურენტისათვის და ამით ხელს უშლის მის ბაზარზე შესვლას, ეს არის დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება და პირიქით, ფასების მომატება კონკურენციულ დონეზე უფრო მეტად, შესაძლოა არ წარმოადგენდეს დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას.

აღსანიშნავია, რომ ეკონომიკური აგენტების ქმედებებს შესაძლოა სხვადასხვაგვარი შედეგები მოჰყვეს განსხვავებულ გარემოებებში, ე.ი. ქმედება, რომელიც ერთ შემთხვევაში კონკურენციულია, მეორე შემთხვევაში შეიძლება ანტიკონკურენციული აღმოჩნდეს. ამასთან, არაა გამორიცხული,

რომ ცალკეულ შემთხვევაში დომინირებული მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის ქმედებამ გავლენა არ მოახდინოს კონკურენციაზე, ანუ არ არსებობს მარტივი წესი, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია ყველა გარემოებაში და ცალსახად განსაზღვრავს ამა თუ იმ ქმედების ანტი-კონკურენციულობას.

### **Negative Aspects of Dominant Position in the Market**

**Sh. Gogiashvili,  
S. Fetelava**

The dominant position on market is identified through assessment and evaluation of the competitive environment of an economic agent. If such agent experiences no substantial pressure and can generally act independently from competitors, then this agent is an economic agent having dominant position. One of the major characteristics of dominant position is market share - if an economic agent holds a minor share on the relevant goods market, it can not be considered to be a dominant one. Another characteristic is the barriers to market entry – if the barrier are low, then none of economic agents can reach the dominant position.

In addition, if an entrepreneur holds a large market share and is protected by high entry barriers from the competitors, then we should assess whether competitors are able to expand their production in response to the anti-competitive activities of such company, alter their suppliers and consumers, etc. It should be also noted that the dominant position of an economic agent on the market does not mean that its activities are anti-competitive. It is important to assess whether such economic agent misuses its dominant position.

**საგარეო სავაჭრო პოლიტიკის თავისებურებანი  
თანამედროვე საფინანსო ეკონომიკურ  
კრიზისის პირობებში**

**ნინო პაპაჩაშვილი**

**ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ-ის  
ასოციირებული პროფესორი,  
ეკონომიკის დოქტორი**

თანამედროვე საფინანსო ეკონომიკური კრიზისის პირობებში მსოფლიოს ქვეყანათა უმრავლესობამ ინტენსიურად დაიწყო საგარეო სავაჭრო შეზღუდვების პირდაპირი და ფარული მეთოდების გამოყენება. პრობლემა იმდენად მასშტაბური გახდა, რომ თავისუფალი ვაჭრობის შესახებ დაწყებული რამდენიმეათეულწლიანი მოლაპარაკებები ჩიხში მოაქცია და მიღწეული შედეგები ეჭვქვეშ დააყენა.

ქვეყანათა ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების ამადლებასთან ერთად იზრდებოდა თავისუფალი ვაჭრობის იდეის პოპულარობა. მტკიცებები შეუზღუდავი სავაჭრო ურთიერთობების უპირატესობების შესახებ თეორიულად მეტად გონივრულად გამოიყურება, რაც ასახულია საერთაშორისო ვაჭრობის კლასიკურ თეორიებში. მისი მომხრენი შესაბამისად ფრიტრედერობისკენ გადახრილი საგარეო სავაჭრო პოლიტიკის გატარებას გვთავაზობენ. იგი ფართოდაა დეკლარირებული ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის დებულებასა და განვითარებული ქვეყნების საგარეო სავაჭრო პოლიტიკის კონცეფციებში. ჯერ GATT-ის (General Agreement on Tariffs and Trade - გენერალური შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ), ხოლო მოგვიანებით WTO-ის (World Trade Organization – ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია) ფარგლებში წარმოებული მოლაპარაკებების ბაზაზე

შემცირდა სატარიფო ბარიერები, როგორც საერთაშორისო ვაჭრობის შეზღუდვის ძირითადი ფორმა. კონცეფტუალური აღიარების მიუხედავად, მსოფლიო რეალობა გეინვენებს, რომ აბსოლუტურად თავისუფალი ვაჭრობა დღეისათვის უფრო გამონაკლისია, ვიდრე წესი. განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებს დიდი წინააღმდეგობები ხვდებათ გარე ბაზრებზე გასვლისას. თვით განვითარებულ ქვეყნებს შორის ვაჭრობაში ფართოდ გამოიყენება „არადეკლარირებული“ შეზღუდვები. ფაქტობრივად, მსოფლიო მასშტაბით ფართოდ გეხვდება ფარული საგარეო სავაჭრო პროტექციონისტული პოლიტიკის მაგალითები. პრაქტიკულად დღემდე ასევე პოპულარულია იდეა პროტექციონიზმის შესახებ, რომლის სისტემატიზებული კონცეფცია პირველად მერკანტილისტურმა სკოლამ (XV-XVIII სს.) წარმოადგინა.

პროტექციონისტული ღონისძიებების გატარება განსაკუთრებით გააქტიურდა თანამედროვე ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის პირობებში და ბევრი ფარული დამცავი ზომა გამოაშკარავდა. 2008 წლის ნოემბრიდან დღემდე 2430 სახელმწიფო შეზღუდვა იქნა შემოღებული, რომელთაგან 1340 საფრთხეს უქმნის საზღვარგარეთულ კომერციულ ინტერესებს. პროტექციონისტული ზომებიდან 60% დიდი ოცეულის ქვეყნებზე მოდიოდა 2009 წელს. ეს მაჩვენებელი 75%-მდე გაიზარდა 2011 წლისთვის.<sup>1</sup> ასეთი მიდგომა ეროვნული ეკონომიკის გადარჩენის საშუალებად მიიჩნია უამრავმა ქვეყანამ, რაც თითქმის დაურეველირებელ სიტუაციას ქმნის მსოფლიო სავაჭრო ურთიერთობებში და დიდ აღშფოთებას იწვევს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მმართველ წრეებში. ფაქტობრივად, მსოფლიო სავაჭრო ურთიერთობები ნეოპროტექციონიზმის კონტექსტით ვითარდება. ბოლო ორი წლის განმავლობაში ამ მოვლენის დარეგულირებას არა-

<sup>1</sup> [http://www.globaltradealert.org/11th\\_GTA\\_report](http://www.globaltradealert.org/11th_GTA_report); Analyses of Contemporary Protectionism, p. 21-22.

ერთი გლობალური მასშტაბის შეხვედრა მიეძღვნა. სტატია სწორედ აღნიშნული მოვლენის ანალიზს ეძღვნება, რომლის საფუძველზე გაკეთებული დასკვნები, ჩვენი აზრით, სასრულებლო იქნება საქართველოს ოპტიმალური საგარეო სავაჭრო პოლიტიკის ფორმირებისა და გარე ბაზრებზე გასვლის ევექტიანობის ამადლებისთვის. ამავე დროს, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია თვით ფაქტის აღნიშვნა-დაფიქსირება ქართულ სამეცნიერო პუბლიკაციაში, რასაც, ჯერ კიდევ არ დათმობია სათანადო ყურადღება. თვით პროტექციონიზმის ზრდასთან დაკავშირებული არაერთი გლობალური დონის შეხვედრის მიზანს სწორედ ინფორმირებულობის ამადლება, პროცესის მონიტორინგი და მისი შეჩერების შესაძლებლობების გამოვლენა შეადგენდა.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში საერთაშორისო ვაჭრობის წლიური ზრდა მერყეობდა 0-15%-ის ფარგლებში, თუ არ გავითვალისწინებთ სამ დიდ ჩავარდნას, რომელსაც აშკარად აღემატება მიმდინარე გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის პერიოდის ჩავარდნა. საერთაშორისო ვაჭრობის მკვეთრი ვარდნა დაფიქსირდა 2008 წლის მესამე-მეოთხე კვარტალში – წინა წლის დონესთან შედარებით 15%-ით შემცირდა ვაჭრობის მოცულობა. როგორც ექსპერტები აფასებენ, ეს იყო მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში მსოფლიო ვაჭრობის ყველაზე მკვეთრი, მოულოდნელი და სინქრონული კოლაფსი.<sup>1</sup> გლობალური ვაჭრობის დაცემა სანავთობო შოკით გამოწვეულ რეცესიას უკავშირდებოდა 1974-75 წლებში (დასაწყისში ვაჭრობის მოცულობა შემცირდა 11%-ით წინა წელთან შედარებით), ინფლაციას – 1982-83 წლებში და ტექნიკურ პრობლემებს – 2001-2002 წლებში (როგორც ერთი, ასევე მეორე შემთხვევის დასაწყისში ვაჭრობის მოცულობა შემცირდა 5%-ით წინა წელთან შედარებით). მართალია, ამჟამად მას არ მიუღწევია ისეთი

<sup>1</sup><http://www.voxeu.org/article/global-trade-aftermath-global-crisis>; Global trade in the aftermath of the global crisis, Jeffrey A. Frieden, 27 Nov 2009;

სიღრმისათვის, როგორსაც დიდი დეპრესიის პერიოდში, მაგრამ აღმოჩნდა მეტად მკვეთრი და სინქრონული. „დიდი სავაჭრო კოლაფსი“, რომელიც გაგრძელდა 2008 წლის მესამე კვარტლიდან 2009 წლის მეორე კვარტლამდე. შემდგომ პერიოდში შეინიშნება მცირეოდენი გამოცოცხლება. გარკვეული შეფასებებით, საერთაშორისო ვაჭრობის ასეთი მკვეთრი ვარდნის უმთავრესი მიზეზი მოთხოვნის შოკური შემცირება იყო.<sup>1</sup>

კრიზისის ფონზე ბევრი ქვეყანა განიცდის ექსპორტისა და იმპორტის მოცულობების ძლიერ დაცემას, სწრაფი ტემპებით იზრდება უმუშევრობა. პროტექციონისტული პოლიტიკის გამოყენება აქტიურად დაიწყო ვაჭრობისა და ინვესტიციების სფეროში. მიუხედავად არაერთი მცდელობისა, რომელიც დაფიქსირდა „დიდი ოცეულის“ სამიტებზე, ემონისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში გამართულ შეხვედრებსა და მიმართვებში, პროტექციონიზმის ტენდენცია მაინც ძლიერდება. გართულდა სავაჭრო ურთიერთობების დარეგულირება ემონის ფარგლებში აღიარებული წესრიგის ჩარჩოებში. მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილება საერთაშორისო ვაჭრობაში ბარიერების შემოღების უარყოფის შესახებ მიღებულ იქნა 2008 წლის ნოემბრის დიდი ოცეულის შეხვედრაზე, მსოფლიო მოიცვა საყოველთაო პროტექციონისტული ღონისძიებების ტალღამ, როგორც რეაქციამ მსოფლიო ფინანსურ-ეკონომიკურ კრიზისზე. დღეისათვის პროტექციონიზმი ვლინდება სხვადასხვა ფორმით. მიუხედავად იმისა, რომ ყოველი მათგანი არ არის ზიანის მომტანი კომერციული ინტერესებისთვის, პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით, გაველენას ახდენს საერთაშორისო ვაჭრობაზე. 2008 წლის 1 ნოემბრიდან დისკრიმინაციული ზომების ყველაზე მეტად გამოყენებული ფორმე-

<sup>1</sup>R. Baldwin, The great trade collapse: What caused and what does it mean? The Great Trade Collapse: Causes, Consequences and Prospects, 2009, A VoxEU.org Publicatio

## **=====    **ჯანსაღი თეორია და ჯანსაღი პოლიტიკა****

ბია: მიგრაციასთან დაკავშირებული ზომები (2%); იმპორტის აკრძალვა (2%); საქსპორტო გადასახადები და შეზღუდვები (3%); სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ღონისძიებები (4%); არასატარიფო ბარიერები (4%); საჯარო პროკურმენტი (4%); ექსპორტის სუბსიდირება (4%); სატარიფო შეზღუდვები (14%); ვაჭრობის დაცვის სხვადასხვა ღონისძიება (20%); თავდებობა ან სახელმწიფო დახმარება (32%); სხვა (11%).<sup>1</sup>განსაკუთრებით ფართოდ წამოიწიეს ანტიდემპინგური კვლევები, რასაც მოჰყვა ანტიდემპინგური ბაჟების შემოღება-დაწესება; ასევე, ვაჭრობის ეროვნული ინტერესებით წარმართვის მიზნით მიმართავენ საკუთარი ვალუტის გაუფასურებას და სხვა ფინანსურ ღონისძიებებს.

2009 წელს, ლონდონის „დიდი ოცეულის“ სამიტზე, მიიღეს გადაწყვეტილება თავი შეეკავებინათ პროტექციონისტული ღონისძიებების გატარებისაგან საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობაში და ასევე, საინვესტიციო პოლიტიკაში,<sup>2</sup> მაგრამ ფორუმის მონაწილეებმა განაცხადეს იმ აუცილებლობის შესახებ, რომ დროულად ეცნობებინათ ვმო-სთვის შესაძლებელი ანტიკრიზისული ღონისძიებების შესახებ, რომელსაც იღებენ სხვადასხვა ქვეყნის მთავრობები. ფაქტობრივად, ეს შეიძლება მივიჩნიოთ გარკვეულ (მო) თხოვნად ვმო-ის მხრიდან დათმობებზე წასასვლელად.

ყოველივე ეს იძლევა იმ ვარაუდის საფუძველს, რომ გლობალური კრიზისის შედეგად გამძაფრებული ნეო-პროტექციონიზმი შეიძლება გრძელვადიან პერიოდში აისახოს პოსტკრიზისულ ქცევაზე. მიუხედავად იმისა, რომ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით 2012 წლის პირველ კვარტალში საერთაშორისო ვაჭრობა 5%-

<sup>1</sup> <http://www.globaltradealert.org/site-statistics>

<sup>2</sup> <http://www.voxeu.org/article/global-trade-aftermath-global-crisis>; S.J. Evenett, Crisis-era protectionism one year after the Washington G20 meeting, The Great Trade Collapse: Causes, Consequences and Prospects, 2009, A VoxEU.org Publication

ით გაიზარდა<sup>1</sup> წინა წელთან შედარებით და პროგნოზით მოსალოდნელია შემდგომი ძლიერი ზრდა, შემაშფოთებელია პროტექციონისტული ღონისძიებების ფართოდ გამოყენების კამპანია. 2012 წლის დასაწყისში ისევ გამოიყენებოდა დისკრიმინაციული ზომები, როგორც წინა წლებში. ყოველ კვარტალში მთავრობები ახორციელებენ დაახლოებით 125 ახალ პროტექციონისტულ ღონისძიებას და უმნიშვნელოდ ამცირებენ უკვე არსებულს. ასეთ ვითარებაში საეჭვოა საერთაშორისო სავაჭრო წესრიგი ძალიან სწრაფად დაუბრუნდეს წინაკრიზისულ მდგომარეობას.

საშუალოდ ყველაზე მეტი ფორმის დისკრიმინაციული ზომა გამოიყენა რუსეთმა (37), არგენტინამ (20), გერმანიამ (16), ჩინეთმა, იდონეზიამ, გაერთიანებულმა სამეფომ (თითოეულმა 11-11), ბრაზილიამ (10), იტალიამ და ესპანეთმა (თითოეულმა 9-9). უცხოელი პარტნიორების მიერ გამოყენებული სხვადასხვა ღონისძიებით, ყველაზე დაზარალებული ქვეყნებია: ჩინეთი (141 ზომა 58 პარტნიორის მხრიდან), აშშ (112 ზომა 49 პარტნიორის მხრიდან), გერმანია (110 ზომა 32 პარტნიორის მხრიდან), საფრანგეთი (101 ზომა 32 პარტნიორის მხრიდან), ბელგია (96 ზომა 30 პარტნიორის მხრიდან), იაპონია (94 ზომა 47 პარტნიორის მხრიდან), ნიდერლანდები (94 ზომა 31 პარტნიორის მხრიდან), გაერთიანებული სამეფო (112 ზომა 49 პარტნიორის მხრიდან), იტალია (89 ზომა 27 პარტნიორის მხრიდან), შვედეთი (85 ზომა 23 პარტნიორის მხრიდან).<sup>2</sup>

მსოფლიო ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი, ბუნებრივია, შეეხო პოსტსოციალისტურ ქვეყნებს. ექსპორტის ყველაზე დიდი დანაკარგები განიცადა: ყაზახეთმა, ბელორუსმა, ტაჯიკეთმა, რუსეთმა და სომხეთმა. ამჟამად, ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის პერიოდში, იმ ქვეყნების საექსპორტო პრობლემები, რომლებიც ჯერ კიდევ არ მიერთებიან ვმო-ს, განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობა. ისინი პირველ რიგში აღმოჩნდნენ

<sup>1</sup> [http://www.wto.org/english/news\\_e/news12\\_e/stts\\_13jun12\\_e.htm](http://www.wto.org/english/news_e/news12_e/stts_13jun12_e.htm)

<sup>2</sup> GTA database, [www.globaltradealert.org](http://www.globaltradealert.org)



## **საქონლიანი თეორია და საქონლიანი პოლიტიკა**

დაზარალებულთა შორის, განიცადეს დისკრიმინაცია და პროტექციონისტული ღონისძიებების გავლენა, სხვა ქვეყნების, მათ შორის ვმო-ის წევრი ქვეყნების მხრიდან (ვმო-ში 2012 წლის 10 ივლისის მდგომარეობით 155 ქვეყანა)<sup>1</sup>. აღსანიშნავია, რომ ექსპორტის დაცემა ქვეყნებში, რომლებიც არ არიან ვმო-ის წევრები, ასევე სხვაობა იმპორტისა და ექსპორტის დაცემის მაჩვენებლებს შორის ამ ქვეყნებში უფრო მეტად არსებითია, ვიდრე ვმო-ის წევრ ქვეყნებში (აეკცა-ს – აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიის და ცენტრალური აზიის ქვეყნების ფარგლებში). ეს მოვლენა შეიძლება აიხსნას სხვადასხვა მიზეზით, რაც უკავშირდება ამ ქვეყნების სპეციფიკას. მაგალითად, მსოფლიო ფასების დაცემა ნავთობზე, ეროვნული ვალუტების არასტაბილურობა, გაზის კრიზისი. შესაძლებელია ასევე ვივარაუდოთ, რომ ვმო-ის წევრობა არის სტაბილურობის თავისებური ფაქტორი, რომელიც პოზიტიურ როლს თამაშობს. განსაკუთრებით ეს ეხება ექსპორტის პრობლემებს და მასთან დაკავშირებით პროტექციონისტული ღონისძიებების გატარებას. მაგალითად, მსოფლიო კრიზისის აქტიური ფაზის მსვლელობაში პროტექციონისტული ღონისძიებების რაოდენობა, რომელიც რუსეთის მიმართ გამოიყენებოდა, გაიზარდა ხუთჯერ. ევროკავშირმა ცოტა ხნის წინ შემოიღო ანტიდემპინგური ბაჟები შედუღებულ მილებსა და რკინის ან არალეგირებული ფოლადის მილებზე ბელორუსიდან, რუსეთიდან და უკრაინიდან. ევროკავშირმა ასევე ინიცირება გაუკეთა ანტიდემპინგურ კვლევებს შედუღებულ მილებთან და ღრუ პროფილებთან დაკავშირებით უკრაინიდან და ბელორუსიდან. მოლდოვა დაზარალდა 2009 წლის თებერვალში ევროკავშირის მიერ შემოღებული დროებითი ანტიდემპინგური ბაჟებით ლითონის ნაგლინის გარკვეული სახეობებზე. პროტექციონიზმის პოლიტიკა შეინიშნება აგრეთვე თვით აეკცა-ის ქვეყნებს შორისაც. მაგალითად, რუსეთმა შემოიღო შეზღუდვები ბელორუსის საქონლის

<sup>1</sup> [http://www.wto.org/english/thewto\\_e/whatis\\_e/tif\\_e/org6\\_e.htm](http://www.wto.org/english/thewto_e/whatis_e/tif_e/org6_e.htm)

მიმართ, ყახახეთმა – რუსეთის მიმართ. თავის მხრივ, რუსეთმა შემოიღო ანტიდემპინგური ბაჟები უჟანგავი ფოლადის მიღების შეტანაზე ჩინეთიდან და ბრაზილიიდან, გაზარდა ტარიფები ფოლადისა და რკინის პროდუქტებზე, ფესაცმელზე, ბრინჯსა და ნახმარ ავტომობილებზე, აკრძალა ღორის ხორცის იმპორტი აშშ-დან, მექსიკიდან და დიდი ბრიტანეთიდან. უკრაინამ გაატარა ანტიდემპინგური ღონისძიებები საყოფაცხოვრებო მაცივრებსა და საყინულე მოწყობილობებზე ჩინეთიდან და თურქეთიდან; ასევე, გაზარდა 13%-ით საიმპორტო ბაჟები ფართო ასორტიმენტის საქონელზე საკუთარი საგადასახდელი ბალანსის დეფიციტის დასაფინანსებლად (როგორც ღონისძიება ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის დარეგულირებისთვის). ყახახეთმა, იმის გამო რომ ცდილობდა დაეცვა ადგილობრივი ბაზარი უფრო იაფი საიმპორტო პროდუქციისაგან, ეროვნული ვალუტის გააუფასურა 25%-ით. რუსეთის ექსპორტის მოცულობაზე გავლენა მოახდინა ნავთობის ფასებმა, გაზთან დაკავშირებულმა სკანდალმა უკრაინასთან, ასევე, საერთაშორისო ბაზრებზე შემოღებულმა სავაჭრო ბარიერებმა რუსეთის საექსპორტო საქონლისათვის. ამასთან, რუსეთმა და უკრაინამ თითქმის 50%-ით შეამცირეს საქონლის იმპორტი, რაც ასევე მეტყველებს ამ ქვეყნების მიერ შემოღებულ დამცავ ღონისძიებებზე. ერთადერთი ქვეყანა, რომლის ექსპორტიც გაიზარდა წინა წელთან შედარებით 60%-ზე მეტი ოდენობით, არის აზერბაიჯანი. სავარაუდოდ ეს უკავშირდება ამ ქვეყნის ექსპორტის სტრუქტურას, სადაც ბუნებრივი რესურსების წილი 82%-ს შეადგენს.<sup>1</sup> მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნული ღონისძიებები არ არის შეზღუდვების სრული სია, მაინც აშკარად მიუთითებს, რომ თანამედროვე სავაჭრო სავაჭრო პოლიტიკის ფორმირებაში ჭარბობს პროტექციონიზმის ელემენტები.

<sup>1</sup> Д. Герасименко, Прозрачность – ответ на глобальный протекционизм (июнь-июль 2009, выпуск 4) [http://www.cisstat.com/rus/mac13\\_qrt.htm](http://www.cisstat.com/rus/mac13_qrt.htm)

## **საქართველოს სავაჭრო ბრუნვა და საქართველოს პოლიტიკა**

საქართველოს სავაჭრო ბრუნვამ 2012 წლის მაისში 4059 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელს 19%-ით აღემატება, თუმცა უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა სავაჭრო ბრუნვის 53% შეადგინა. კრიზისის დაწყების შემდგომ პერიოდში საქართველოს სავაჭრო ვაჭრობის ძირითად მაჩვენებლებზე დაკვირვებით შეიძლება დავასკვნათ, რომ გლობალური მოვლენები აისახა საქართველოზეც. 2009 წელს წინა წელთან შედარებით სავაჭრო ბრუნვა 22%-ით, ექსპორტი 9%-ით, ხოლო იმპორტი 25%-ით შემცირდა. უარყოფითი სავაჭრო ბალანსი 31%-ით ნაკლები დაფიქსირდა, ვიდრე 2008 წლის შესაბამის პერიოდში, რაც სავაჭრო ბრუნვის შემცირებით აიხსნება. როგორც ჩანს, 2009 წელს გაგრძელდა საქართველოს სავაჭრო ვაჭრობის მოცულობის კლება, რაც დაიწყო „გლობალური სავაჭრო კოლაფსის“ პერიოდში და გაამძაფრა საქართველო-რუსეთის აგვისტოს ომმა. 2009 წელს ექსპორტი წინა წელთან შედარებით 1 350 მლნ აშშ დოლარიდან შემცირდა 924 მლნ აშშ დოლარამდე, იმპორტი კი 5 360 მლნ აშშ დოლარიდან 3 525 მლნ აშშ დოლარამდე. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით 2010 წელს საქართველოს სავაჭრო ბრუნვის ზრდა დაფიქსირდა და ექსპორტის ღირებულება თითქმის გაუტოლდა კრიზისის წინა (2007 წლის) მაჩვენებელს. სავაჭრო ბრუნვის ზრდა, მ.შ. როგორც ექსპორტის, ისე იმპორტის, გაგრძელდა 2011 წელს, თუმცა ასევე გაიზარდა სავაჭრო ვაჭრობის უარყოფითი სადღოც.<sup>1</sup>

GTA-ის საინფორმაციო ბაზაზე დაყრდნობით ჩატარებულმა გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ უმსხვილესი პარტნიორების მიერ გატარებული სხვადასხვა პროტექციონისტული ღონისძიებებიდან საქართველოზე გავლენა შეიძლება იქონიოს რუსეთის მიერ შემოღებულმა შეზღუდვებმა სამუშაო ძალის მიგრაციასა და სხვადასხვა სახეობის პროდუქციასთან, მ.შ.

<sup>1</sup> [http://www.geostat.ge/print.php?p\\_id=136&lang=geo](http://www.geostat.ge/print.php?p_id=136&lang=geo)

სოფლის მეურნეობის პროდუქციასთან დაკავშირებით. საქართველოს მხრიდან არაერთი საშიშროება არ აღინიშნება სავაჭრო პარტნიორებისათვის ამ თვალსაზრისით და მიეკუთვნება თავისუფალი სავაჭრო რეჟიმების მქონე ქვეყანათა პირველ ხუთეულს. სამწუხაროდ GTA საინფორმაციო პორტალი ვერ ჩაითვლება ბოლომდე სრულყოფილად ამ კუთხით ჩასატარებელი კვლევებისთვის, მაგრამ იგი თანდათან იხვეწება და ალბათ მცირე ქვეყნების შესახებაც განთავსდება სრულყოფილი ინფორმაცია. თუმცა, იგი მეტად სასარგებლოა გარე ბაზრებზე გასვლის სტრატეგიების შემუშავებისას<sup>1</sup>.

GTA საინფორმაციო პორტალია, რომელიც შეიქმნა პროტექციონისტული საგარეო სავაჭრო პოლიტიკის გააქტიურებისა და სავაჭრო ურთიერთობებში წარმოქმნილი პრობლემების დაფიქსირებისა და ანალიზისთვის. მდგომარეობას ართულებს ის, რომ მთავრობებს არ სურთ აღიარონ პროტექციონისტული ღონისძიებების გამოყენება. ასეთ ვითარებაში მნიშვნელოვანია საერთაშორისო აკადემიურმა წრეების მხრიდან მონიტორინგის ფუნქციის შესრულება. ზემოაღნიშნული დამოუკიდებელი საინფორმაციო პორტალი ([www.globaltradealert.org](http://www.globaltradealert.org)) პოლიტიკურად დამოუკიდებელმა სტრუქტურამ – ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ლონდონის ცენტრმა (CEPR) შექმნა მსოფლიო ვაჭრობისა და განვითარების პროფესორის ევენეტის ხელმძღვანელობით. დამოუკიდებელ მეცნიერთა და ექსპერტთა ჯგუფი აწარმოებს სხვადასხვა პროტექციონისტული ღონისძიებების მონიტორინგს – სავაჭრო ბარიერებიდან დაწყებული სამუშაო ვიზების გაცემის შეზღუდვებით დამთავრებული, სწავლობენ ასევე პროტექციონისტული მიზნით გატარებულ ფინანსურ ღონისძიებებს. მონიტორინგის ბაზების შევსება ხორციელდება ვმო-ისა და მსოფლიო ბანკის მონაცემებით. გარდა ამისა, GTA ავლენს სავაჭრო პარტნიორებს,

<sup>1</sup> [http://www.globaltradealert.org/measure?tid=80&tid\\_1=444&tid\\_3=2207](http://www.globaltradealert.org/measure?tid=80&tid_1=444&tid_3=2207)

## **ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა**

რომლებზეც სახელმწიფოს მიერ შემოღებულმა დამცავმა ან დისკრიმინაციულმა ღონისძიებებმა შეიძლება პოტენციურად მოახდინოს ნეგატიური ზემოქმედება.

GTA-ის დანიშნულებაა სახელმწიფო მოხელეების, ექსპორტიორების, იმპორტიორების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თანამშრომელთა მომსახურება. საიტი სასარგებლო იქნება სხვადასხვა სახეობის კვლევების განსახორციელებლად საერთაშორისო ვაჭრობისა და პროტექციონიზმის საკითხებზე. საძიებო სისტემა საშუალებას იძლევა გააკეთდეს მოთხოვნები საქონლის კოდის, სახელმწიფოს მიხედვით, რომელიც ატარებს ღონისძიებას, ასევე ქვეყნების მიხედვით, რომლებიც პოტენციურად დაზარალებულნი არიან დამცავი ან დისკრიმინაციული ღონისძიებებისაგან. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მესამე ქვეყნებს შეუძლიათ შეიტანონ განაცხადი საიტზე პროტექციონისტულ ღონისძიებებთან დაკავშირებით, სახელმწიფოს კი შეუძლია კომენტარი გაუკეთოს ნებისმიერ ღონისძიებას, რომელიც გამოქვეყნებულია საიტზე. ყველა მონაცემი, რომელიც აქ ქვეყნდება, გულდასმით მოწმდება ექსპერტთა ჯგუფის მიერ, ვიდრე ის ხელმისაწვდომი იქნება საჯარო განხილვისათვის.

პრობლემის მასშტაბურობაზე მიუთითებს ის, რომ დღეისათვის პროტექციონიზმის მონიტორინგით დაკავებულია არა მარტო საერთაშორისო ორგანიზაციები (როგორცაა, მაგალითად, მსოფლიო ბანკი და ვმო), არამედ კერძო კომპანიებიც. ვმო ატარებს პროტექციონისტული ღონისძიებების ყოველკვარტალურ მონიტორინგს ვაჭრობისა და ინვესტიციების სფეროში. რიგი კერძო სტრუქტურა, როგორცაა „დოიჩე ბანკ“, ანალიტიკურ კვლევებს აკეთებს ამ თემატიკაზე. იმის გათვალისწინებით, რომ პროტექციონიზმის საკითხი არის პოლიტიკურად უკიდურესად მგრძობიარე პრობლემა, ქვეყნების მთვარობებისათვის ძნელია ერთიან აზრამდე მისვლა როგორც მოცემული მონიტორინგის

პარამეტრების საკითხზე, ასევე იმაზე, რა ღონისძიებები უნდა ჩართონ მასში.

პროტექციონიზმსა და სახელმწიფო ინტერესების გონივრულ დაცვას შორის ზღვარი ძალიან ბუნდოვანია. ეს შეიძლება იქცეს დიდ პრობლემად მსოფლიო ეკონომიკური განვითარების დინამიკისათვის. ზემოაღნიშნულის მსგავსი ინიციატივები – აკადემიური, არაკომერციული და პოლიტიკურად დამოუკიდებელი ინსტიტუტების მხრიდან სასარგებლო იქნება მსოფლიო სავაჭრო სისტემის სტაბილურობის შესანარჩუნებლად. შესაძლებელია, მათ უბიძგონ სახელმწიფოებს პროტექციონისტული ღონისძიებები გამოიყენონ როგორც უკიდურესი ზომა და არა როგორც პირველი ღონისძიება ალტერნატიული ვარიანტებიდან. სწორედ ამგვარი ქცევის თაობაზე აღნიშნავდა ვმო-ის გენერალური დირექტორი პასკალ ლამი, მსოფლიო სავაჭრო სისტემის მდგომარეობის შესახებ რეგულარული ანგარიშების წარდგენისას. მისივე შეფასებით, პროტექციონიზმის ბუნება შეიცვალა რეცესიის პერიოდში. ბევრი უმსხვილესი მოვაჭრე ქვეყანა ახორციელებს ექსპორტის ხელშეწყობის სქემებს, უბრუნდება სუბსიდიებს, იაფი კრედიტების სისტემას, საგადასახადო შეღავათებს და ექსპორტიორთა გათავისუფლებას გადასახადებისაგან. თანამედროვე პროტექციონიზმი ამით ძალიან განსხვავდება 1930-იანი წლების პროტექციონიზმისაგან, როცა რიგ ქვეყნებში ტარიფების ზრდამ შეაფერხა მსოფლიო ვაჭრობა. აგრესიული ექსპორტის ხელშეწყობის სქემები, ერთობლივი მოთხოვნის აღდგენასთან ერთად, როგორც ჩანს, მეტია, ვიდრე დისკრიმინაციული ღონისძიებების ზრდის ჩანაცვლება.<sup>1</sup> მართალია, შეინიშნება გარკვეული „ჩამოცოცება“ პროტექციონისტული ღონისძიებებიდან ისეთი ქვეყნების მხრიდან, როგორცაა ავსტრალია, ჩინეთი, ეკვადორი, ეგვიპტე, ინდოეთი, ინდონეზია, მექსიკა, პარაგვაი, ფილიპინები, რუსეთი, საუდის არაბეთი,

<sup>1</sup> [www.ictsd.org-http://trade.ecoaccord.org](http://www.ictsd.org-http://trade.ecoaccord.org) (5- 2009)

უკრაინა და ვიეტნამი (2009 წლის განმავლობაში), მაგრამ პრობლემა რჩება. ამჟამად განსაკუთრებული ყურადღება გადატანილია ანტიდემპინგური კვლევების ინიცირებასა და შესაბამისი ზომების გატარებაზე.<sup>1</sup>

საქართველომ, რომლის ექსპორტი არადივერსიფიცირებული, საგარეო ვაჭრობის საღლო კი მუდმივად (XX საუკუნის 90-იანი წლებიდან) უარყოფითია, განუხრელად აირჩია საგარეო სავაჭრო პოლიტიკის ფრიტრედერული ორიენტაცია. მიგვაჩნია, რომ უმუშევრობის მაღალი დონისა და საექსპორტო პრიორიტეტების გაურკვევლობის პირობებში, საჭიროა გარკვეული სახეობის პროტექციონისტული ღონისძიებების გატარება. ეს არ გულისხმობს (ტრადიციული გაგებით) იმპორტის პირდაპირ შეზღუდვას ან საექსპორტო დარგების აუცილებლად პირდაპირ სტიმულირებას. შესაძლებელია ჩვენს ქვეყანაშიც დაიწყოს ანტიდემპინგური კვლევები და გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები, განხორციელდეს საწყისი სტადიის ბიზნესის სტიმულირება, შეიქმნას პირობები იაფი კრედიტების სისტემის შექმნისა და განვითარებისთვის, უპირატესობა მიენიჭოს იმ უცხოურ ინვესტიციებს, რომლებიც საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პროდუქციის წარმოების საშუალებებს შემოიტანს ქვეყნისათვის პრიორიტეტულ დარგებში, გატარდეს ღონისძიებები ინფორმირებულობის ასამაღლებლად, გარე ბაზრებზე გასვლის ეფექტიანობის გასაზრდელად. სხვა მარავალ ფაქტორთან ერთად, უმნიშვნელოვანესია გავეცნოთ თანამედროვე პროტექციონისტულ ღონისძიებებს, რასაც მიმართავენ თვით განვითარებული ქვეყნებიც კი საკუთარი ეკონომიკის დასაცავად. ხაზგასასმელია, რომ ჩვენი მეწარმეები ჯერ კიდევ მწირი ინფორმირებულობის პრობლემის წინაშე დგანან. ამ თვალსაზრისით სასარგებლო იქნება, ერთი მხრივ, ჩავეროთ ზემოაღნიშნული საინფორმაციო სისტემის კვლევებში (ეს ინიციატივა უეიძლება აკადემიურმა წრეებმაც იკისრონ) და

<sup>1</sup> [http://www/wto.org/english/news\\_e/news09\\_e/tpr\\_13ju/09\\_e.htm](http://www/wto.org/english/news_e/news09_e/tpr_13ju/09_e.htm)



მეორე მხრივ, გამოვიყენოთ უკვე არსებული საერთაშორისო საინფორმაციო ბაზები (ამ თვალსაზრისით მიზანშეწონილია სახელმწიფოს ხელშეწყობა) – უახლესი საინფორმაციო სისტემები, რაც უახლეს ანალიტიკურ ინფორმაციას გვთავაზობს ამა თუ იმ ქვეყნის მიერ გატარებული ეკონომიკური პოლიტიკისა და მოსალოდნელი ეფექტის შესახებ.

### **Peculiarities of Foreign Trade Policy under Conditions of Modern Financial-Economic Crisis**

**N. Papachashvili**

The article is devoted to the peculiarities of formation of foreign trade policy under conditions of modern financial - economic crisis. It is mentioned, that advantages of free trade are confirmed by classical theories of international trade and supporters of these theories offer to carry out an appropriate policy. Free trade policy is widely declared in the WTO regulations and the concepts of the developed countries foreign trade policies. But reality of the world economy shows that absolutely free trade is an exception, rather than a rule today. Georgia, with its non-diversified export and the negative foreign trade balance (after 90s of the XX century), consistently chose the free trade orientation. The author believes that some kinds of protectionist measures need to be implemented. This does not mean the direct restriction (in its traditional sense) of import or direct simulation of export. For increasing the efficiency of entry the foreign markets it is very important to carry out modern protectionist measures, also used by developed countries to protect their own economy. Georgian businessmen feel information deficit up to present. In this regard using the latest international information systems, which provide the newest analytical information about countries' economic policies and its effects, will be very useful.



**საბიუჯეტო ინფლაციის ოპტიმიზაციის  
განმსაზღვრელი ფაქტორები  
(ლაფერ-კაგანის მოდელი)**

**არჩილ იაკობაშვილი**

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

საბიუჯეტო ინფლაცია სამომხმარებლო ფასების ინდექსის ცვლილებაა (მთლიანი ინფლაცია) იმ კომპონენტის მიხედვით, რომელიც დაკავშირებულია, სარგებლის განაკვეთის საბაზრო დონის შემცირების შემთხვევაში, სახელმწიფოს ბიუჯეტში ხარჯვითი ნაწილის გაზრდასთან. ე.ი. საბიუჯეტო ინფლაცია, უკვე დაგეგმილ ფისკალურ პერიოდში, დეფიციტის გაზრდით გამოწვეული მონეტარული დესტაბილიზაციის ინდიკატორია. “ფისკუსს უხარია,”<sup>1</sup> როცა სტატისტიკის სამსახური ყოველი თვის ბოლოს სამომხმარებლო ფასების ინდექსის ზრდას აფიქსირებს – ინფლაცია ნიშნავს ირიბი დაბეგვრის ხარჯზე (დღგ, აქციზი) საბიუჯეტო შემოსავლების გაზრდას; დევალვაცია ნიშნავს მეტ მოგების გადასახადს ექსპორტიორი ფირმებისგან. ბოლოს და ბოლოს, სარგებლის განაკვეთების დაბალი დონე ნიშნავს ხელსაყრელი პირობების შენარჩუნებას სახელმწიფო ვალების რესტრუქტურისაციისათვის ან საერთოდ ახალი სესხების ასაღებად.

კაპიტალის ბაზარზე საკრედიტო რესურსების გაიაფება, პოლიტიკური ციკლიდან გამომდინარე (განსაკუთრებით წინასაარჩევნო პერიოდში), მთავრობებს უბიძგებს ახალი სახაზინო ვალდებულებების (შემდგომ-

<sup>1</sup> Phelan, C. “Monetary Stabilization Blues : Explaining the Fiscal Theory of the Price Level” (American Economic Review, 1999).

ში - ბონდების) ემისიისკენ, და, თვით განვითარებულ ეკონომიკებში ხშირია შემთხვევა, როცა მთავრობები, “იაფი კრედიტის” ცდუნებით, უკან არ იხევენ დეფიციტის გაზრდისგან.

ფისკალური პაკეტის ამგვარი ცვლილებები მნიშვნელოვნად განაპირობებს მაკრომოთხოვნის ზეპროპორციულად ხელოვნურ ზრდას მაკრომიწოდებასთან მიმართებით, რაც მოკლევადიან ეკონომიკურ დროში რეალური სექტორისათვის დადებითი და მასტიმულირებელი ეფექტების მიუხედავად, საშუალოვადიან ეკონომიკურ დროში - ერთობლივი მოთხოვნის სიჭარბით გამოწვეულ მოსალოდნელზე მეტ ინფლაციურ პროცესებში, ხოლო გრძელვადიან ეკონომიკურ დროში - მონეტარულ დესტაბილიზაციაში აისახება.

შესაბამისად, აღნიშნულის საპირისპიროდ, პოლიტიკის გამტარებლებისათვის მნიშვნელოვან გამოწვევაა მონეტარული წონასწორობის უზრუნველყოფა, რაც, საბიუჯეტო ინფლაციის რეალობის გათვალისწინებით, გულისხმობს მის მართვას, ე.ი. საბიუჯეტო ინფლაციის ოპტიმალური დონის განსაზღვრას, მაკროეკონომიკური პოლიტიკის შესაბამისი ინსტრუმენტების შერჩევა-გამოყენებას და ამგვარად, მონეტარული დესტაბილიზაციის თავიდან აცილების მიზნით, საბიუჯეტო ინფლაციის მოქცევას კონტროლირებად ჩარჩოებში.

მიუხედავად იმისა, რომ მონეტარული პოლიტიკა და ფისკალური პოლიტიკა ინსტიტუციონალურ დონეზე მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის განცალკევებული მიმართულებებია, მონეტარული სტაბილიზაციის უზრუნველყოფა შეუძლებელია მხოლოდ მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტებით. მიზანთა კონფლიქტი, რომელიც წარმოიშობა სტაბილიზაციის პოლიტიკის ამ ორ მიმართულებას შორის, არსებითად გამოწვეულია ფისკალური პოლიტიკის ტოლერანტული დამოკიდებულებით ინფლაციური პროცესებისა და ეროვნული ვალუტის დევალვა-


**ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა**

ციის მიმართ, ასე, რომ მონეტარული მოტივებით საბიუჯეტო დისციპლინის დაცვა მნიშვნელოვანი გამოწვევაა პოლიტიკის გამტარებლებისთვის. აღნიშნული მოსაზრება აქტუალურია არა მხოლოდ განვითარებად, არამედ განვითარებულ ეკონომიკაში, რომელიც პირველისგან განსხვავებით, მეტ-ნაკლებად ეფექტიანი საგადასახადო სისტემით, ფუნქციონირებადი კაპიტალის ბაზრით და საერთაშორისო საკრედიტო რესურსებზე შეუზღუდავი წვდომის შესაძლებლობით გამოირჩევა.

**საბიუჯეტო ინფლაცია საქართველოში 2005-2011  
(რეგრესიული ანალიზი)**

**SUMMARY OUTPUT**

Regression Statistics	
Multiple R	0.864146708
R Square	0.746749533
Adjusted R Square	0.6201243
Standard Error	2.238249528
Observations	7



ANOVA	df	SS	MS	F	Significance F
Regression	2	59.08892791	29.54416396	5.897320101	0.064135799
Residual	4	20.0390438	5.009760951		
Total	6	79.12737171			

Regression	Coefficients	Standard Error	t Stat	P-value	Lower 95%	Upper 95%	Lower 95.0%	Upper 95.0%
Intercept (Δ P)	5.844850378	1.415499326	4.129179202	0.014503588	1.914794202	9.774906553	1.914794202	9.774906553
Variable 1 (Δ G)	0.257281199	0.158084574	1.627490863	0.17896245	-0.181631942	0.69619434	-0.181631942	0.69619434
Variable 2 (Δ R)	1.266287019	0.440044631	2.877639154	0.045120437	0.044527258	2.488046781	0.044527258	2.488046781

**PROBABILITY OUTPUT**

Percentile	Y
7.142857143	2.311
21.42857143	3.129
35.71428571	5.534
50	6.289
64.28571429	8.815
78.57142857	11.211
92.85714286	11.301

**ROW DATA INPUT**

	Δ P = Π (%)	Δ G (%)	Δ R (%)
2011	2.311	1.84	-1
2010	11.211	1.09	3
2009	3.129	0	-3.75
2008	5.534	10.62	-2
2007	11.301	14.15	0
2006	8.815	11.945	0
2005	6.289	8.647	0

**წყარო:** “მონეტარული სტატისტიკა,” (საქართველოს ეროვნული ბანკი).

უკანასკნელ ათწლეულში, ეკონომიკის ზრდის დადებითი მაჩვენებლების ფონზე, საბიუჯეტო ინფლაცია მნიშვნელოვანი გამოწვევაა საქართველოშიც. ერთი მხრივ, საგადასახადო სისტემის ეფექტიანობის გაზრდამ,

ხოლო მეორე მხრივ – მოთხოვნის ზრდამ სახელმწიფოს მხრიდან ინფრასტრუქტურული პროექტების სწრაფი ტემპებით განხორციელებაზე, ჩვეულებრივ მოვლენად აქცია ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში ცვლილებების შეტანა უკვე მოქმედ ფისკალურ პერიოდში; ასე, რომ 2009 წლის გამოკლებით, ყოველ წელიწადს რამდენიმეჯერ შეიცვალა დაგეგმილი ბიუჯეტი. ყოველივე ამას ადასტურებს რეგრესიული ანალიზის შედეგებიც, რამაც 2005-2011 წწ. პერიოდისთვის ყოველწლიური მონაცემების საფუძველზე, დადებითი კორელაცია გამოავლინა მთლიანი ინფლაციის მაჩვენებლის ზრდასა და საბიუჯეტო ხარჯების ზრდას შორის.

დადებითი კორელაციის განსაკუთრებით მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა 2007 ( $\rho = 0,47$ ) და 2011 ( $\rho = 0,24$ ) წლებში, ხოლო 2010 წელს ( $\rho = 0,13$ ) საბიუჯეტო ინფლაციის ეფექტის ნაწილობრივი განეიტრალება მთლიან ინფლაციაზე ეროვნული ბანკის მხრიდან მხოლოდ რეფინანსირების ოფიციალური განაკვეთის გაზრდით ( $\Delta R_{RF} = + 2,00\%$ ) იქნა მიღწეული. მიმდინარე 2012 წელს უკვე განხორციელებული ცვლილების შედეგად, ხარჯვითი ნაწილის გეგმა 1,7% გაიზარდა.

ემპირიული მონაცემები საფუძველზე, საბიუჯეტო ინფლაციასთან დაკავშირებული თეორიული საკითხების სისტემატიზაციით, შესაძლებელია სულ ცოტა – ორიოდ პრობლემის წარმოჩენა:

1. საბიუჯეტო ინფლაცია ეკონომიკის მხოლოდ რეალური სექტორის ფენომენია (ე.ი. ეკონომიკური ზრდის პირობებში საგადასახადო შემოსავლების გაზრდის საფუძველზე უკვე მოქმედ ბიუჯეტში დაგეგმილი ხარჯვითი ნაწილის ცვლილებები), თუ შეიძლება მისი როგორც მონეტარული მოვლენის განხილვა, მაგალითად, სარ-

გებლის განაკვეთის შემცირების ან ეროვნული ვალუტის დევალვაციის გამო;

2. საბიუჯეტო ინფლაციის პირობებში რა მიზანს (ნეიტრალიზაცია თუ ოპტიმიზაცია) უნდა ისახავდეს მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის პოლიტიკა და ამ მიზნების მიღწევისას რა გამოწვევის წინაშე დგანან პოლიტიკის გამტარებლები ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების შერჩევისას ინტერესთა კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად.

საბიუჯეტო ინფლაციის ოპტიმიზაციის ერთგვარ თეორიულ შესაძლებლობას წარმოადგენს ამერიკელი ეკონომისტების, ფილიპ კაგანისა და არტურ ლაფერის კვლევის შედეგების ურთიერთდაკავშირება, რამაც 1960-80-იან წლებში მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი “მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის”, როგორც ინტერდისციპლინარული მიმართულების, განვითარებასა და დამკვიდრებას “მაკროეკონომიკის თეორიასა” და “ეკონომიკურ პოლიტიკას” შორის.

ნეოკლასიკური სკოლის წარმომადგენლის – ფილიპ კაგანის სამეცნიერო სტატია “ლიკვიდობის ეფექტური ცვლილების დეტერმინანტები და შედეგები” (“Determinants and Effects of Changes in the Money Stocks”, Journal of Political Economy, 1965) ეძღვნება მონეტარული პოლიტიკის რაოდენობრივი ასპექტების განსაზღვრას და მის ინსტიტუციონალურ უზრუნველყოფას. კაგანის აზრით, რეფინანსირების განაკვეთს ( $R_{RF}$ ), როგორც მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტს, მხოლოდ ციკლური ეფექტი გააჩნია, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში ნაკლებად ეფექტურია ანტიინფლაციური პროცესების მართვაში. აღნიშნულის საპირისპიროდ, კონტროლირებადი მონეტარული ინექციების პირობებში მონეტარული სიდიდეების სტაბილური ცვლილება პოლიტიკის გამტარებელთათვის მიუღწევად მიზანს არ უნდა წარმოადგენდეს.

ნეოკეინზიანური სკოლის წარმომადგენელი არტურ ლაფერი (“The Ellipse: An Explication of the Laffer Curve in a Two-Factor Model – the Financial Analyst’s Guide to Fiscal Policy,” *Journal of Political Economy*, 1986) საგადასახადო ტვირთის გაზრდას წარმოაჩენს როგორც ეკონომიკური სუბიექტების თვითშემოქმედების შედეგს და “მონეტარული ნეიტრალიტეტის” დაშვების საფუძველზე განიხილავს პირდაპირი გადასახადების გამარტივებისა და ოპტიმიზაციის შესაძლებლობებს.

“ოპტიმალური გადასახადების ჰიპოთეზისა” და “ლიკვიდობის ეფექტური მართვის პრინციპების” ურთიერთდაკავშირება დღესაც მნიშვნელოვან მეცნიერულ გამოწვევად განიხილება მაკროეკონომიკურ ლიტერატურაში. ამ მხრივ აღსანიშნავია ვუდფორდის (1994, 1995, 2001, 2002), სიმსის (1994), ბუიტერის (1999, 2001), კოპრენისა (1998) და პელანის (1999) მიერ წამყვან საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული მაკროეკონომიკური და ეკონომიკურ-პოლიტიკური კვლევები, როგორც მეცნიერული რეკომენდაციები ე.წ. “ციკლურ გადახურებაზე.” განსაკუთრებით, 1991-2001 წლებში საინფორმაციო-ტექნოლოგიური რევოლუციით გამოწვეული დადებითი კონიუნქტურული ციკლის პირობებში.

ფორმალური ანალიზის წინ უნდა აღვნიშნოთ, თუ რამდენად არატრადიციულია ფასების დინამიკის განსაზღვრა ფისკალურ თეორიაში. “ინფლაცია, ეკონომიკური დროების მიხედვით, მხოლოდ მონეტარული ფენომენია, თუ მისი მიზეზები ეკონომიკის რეალურ სექტორთანაა დაკავშირებული?” – ეს კითხვა, თავისი წინააღმდეგობრივი ხასიათის გამო, იმდენად პროვოკაციულია, რომ ფაქტობრივად, შეუძლებელს ხდის ნეოკლასიკურ და ნეოკეინზიანურ სკოლებს შორის “პარადიგმების კონფლიქტის მშვიდობიანად გადაჭრას.” იმავედროულად, სწორედ ამ კითხვაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხის

არარსებობით საზრდოობს მაკროეკონომიკაც, ხოლო პოლიტიკის გამტარებლებს უტოვებს შანსს მეტი მოქნილობისათვის<sup>1</sup>.

თეორიული კონფლიქტის არსებობა ცხადყოფს, რომ მაკროეკონომიკურ პოლიტიკაში დამაკმაყოფილებელი (და არა იდეალური) შედეგის მისაღწევად აუცილებელია ფისკალური და მონეტარული კოორდინაცია იმ დონემდე, რომ, უპირველესად ბიუჯეტის ზრდამ, დაგეგმილთან შედარებით, უფრო მაღალი საგადასახადო შემოსავლების მიუხედავად, არ გამოიწვიოს მონეტარულ ექსპანსიაზე კონტროლის დაკარგვა.

მეთოდოლოგიური კუთხით ნაკლებად სადავოა ის საკითხი, რომ მონეტარული პოლიტიკის გამტარებლებისთვის ფუნდამენტური პრობლემა განსახაზვარი სიდიდეების სიმრავლე, ე.ი. შემთხვევა, როცა განტოლებათა სისტემაში ცვლადების რაოდენობა აღემატება განტოლებების რაოდენობას (Multiple Solution Indeterminacies). ამ პრობლემის გადასაჭრელად კაგანი თავის მოდელში იყენებს ე.წ. MSV - მეთოდს (Minimum-State-Variable), რომელიც, თავის მხრივ, ეფუძნება „ადაპტაციური მოლოდინის“ ჰიპოთეზას. „რაციონალური მოლოდინის“ ჰიპოთეზისაგან განსხვავებით, „ადაპტაციური მოლოდინით“ სარგებლობისას, სრულყოფილი შედეგის მიღება დამოკიდებულია თავად მოლოდინების სტაბილურობაზე, და არა იმდენად პოლიტიკის გამტარებელთა სწავლისუნარიანობის ხარისხსა და პროფესიულ გამოცდილებაზე (ე.ი. ვის მოლოდინზეც არის დამოკიდებული გადაწყვეტილებების მიღება):

---

<sup>1</sup> Woodford, M. – “Fiscal Requirements for Price Stability” (Journal of Money, Credit, Banking, 2002).

$$(1.1) \quad P_t = P_{t-1} + \sum_{t=1}^n P_{t+1}^x, \text{ სადაც}$$

$$(1.2) \quad E_t(\pi_{t+n}) = \sum_{t=1}^n P_{t+1}^x = P_t - P_{t-1} \quad - \quad \text{გამოსახავს}$$

მთლიანი ინფლაციის მოლოდინს ;

(1.3)  $(\phi_0 = P_{t+1}^x)$  - გამოსახავს ფასების დონის მოლოდინს  $(t)$  პერიოდში  $(t+1)$  პერიოდისათვის ;

$$(1.4) \quad \pi_{t+n} = \pi_{t+n}^g + \pi_{t+n}^s + \pi_{t+n}^i ; \text{ სადაც}$$

$\pi_{t+n}$  - მთლიანი ინფლაცია ;

$\pi_{t+n}^s$  - მიწოდების ინფლაცია (*Supply – Side – Inflation*) ;

$\pi_{t+n}^g$  - საბიუჯეტო ინფლაცია ;

$\pi_{t+n}^i$  - იმპორტირებადი ინფლაცია .

კაპანის მოდელის ამოსავალი პუნქტი მაინც ინდივიდუალური ლიკვიდობის ფუნქციაა – ზუსტად იმ სტანდარტული ფორმით, როგორც ის გამოსახულია „მონეტარული ეკონომიკის“ სახელმძღვანელოებში. ამასთან, გამარტივების მიზნით, დავეშვათ, რომ ლიკვიდობის ფუნქცია არის წრფივი და მასში გაერთიანებული სიდიდეები - საბაზისო ფული ( $M_t$ ), ფასების დონე ( $P_t$ ), ნომინალური ეროვნული შემოსავალი ( $Y_t$ ) და ნომინალური სარგებლის განაკვეთი ( $R_t$ ) - ლოგარითმული ( $m_t = \ln M_t$  ;  $p_t = \ln P_t$  ;  $y_t = \ln Y_t$  ;  $R_t = \ln(1 + R_t)$ )

ფორმით არის წარმოდგენილი:

$$(2.1) \quad m_t - p_t = \gamma y_t + \alpha R_t + v_t, \text{ სადაც } \gamma \text{ რეგრესიის}$$

$$\text{კოეფიციენტებია: } \gamma = \frac{\Delta(m_t - p_t)}{\Delta y_t} > 0; \quad \alpha = \frac{\Delta(m_t - p_t)}{\Delta R_t} < 0.$$



ნათელია, რომ აქ მსჯელობაა მონეტარული წონასწორობის ისეთ მოდელზე, რომელიც ერთპერიოდულობის მიუხედავად, მხოლოდ ერთი, თითქოს უმნიშვნელო განსხვავებით, მოიცავს ე.წ. შემთხვევით სიდიდესაც ( $v_t$ ) - გამოსახულს წრფივი განტოლების არასისტემური შესაკრების სახით. შემთხვევითი სიდიდე ( $v_t$ ) განკუთვნილია ლიკვიდობის იმ პოტენციური ნაწილისათვის, რომლის მიმართ მოთხოვნა ეკონომიკური სუბიექტის მხრიდან შესაძლებელია წარმოიშვას მხოლოდ ეგზოგენური ფაქტორების გავლენით (მაგალითად, ნავთობის საერთაშორისო ფასის მკვეთრი მერყეობა, ომის მოლოდინით ან სტიქიური უბედურებით გამოწვეული მოთხოვნის ზრდა ნაღდ ფულზე, კომერციულ ბანკებში მოთხოვნამდე ანაბრების ათვისება ეკონომიკური სუბიექტების მხრიდან).

კაგანის მოდელში დაშვების სახით გაზიარებულია კეინზიანური მიდგომა, რომლის მიხედვითაც საშუალოვადიან ეკონომიკურ დროში ინფლაცია მხოლოდ მონეტარული ფენომენია, რაც ერთპერიოდიანი მოდელისათვის ნიშნავს როგორც ეროვნული შემოსავლის ( $y_t = y$ ), ასევე, საბაზისო ფულისა ( $m_t = m$ ) და სარგებლის განაკვეთის რეალური განზომილების მუდმივობას. აღნიშნული დაშვების საფუძველზე შესაძლებელი ხდება (2.1)-ის გარდაქმნა შემდეგი ფორმით:

$$(2.2) \quad m_t - p_t = \gamma + \alpha \underbrace{\left( \overbrace{p_{t+1}^x - p_t}^{\phi} \right)}_{E_t(\pi_{t+n})} + v_t$$

ნულოვანი მოლოდინის, აგრეთვე ეგზოგენური ფაქტორების გამორიცხვის შემთხვევაში მივიღებთ ე.წ. “მონეტარული ნეიტრალიტეტის” მდგომარეობას, როცა საბაზისო ფულსა და ფასების დონეს შორის ურთიერთ-

კავშირი მხოლოდ ლიკვიდობის რეალური განზომილების ეროვნული შემოსავლისადმი ელასტიურობით განისაზღვრება:

$$(2.3) \quad \gamma = m - p_t.$$

თუმცა, როგორც თავად ფილიპ კაგანი და მოდელის ავტორი, ნეოკლასიკური სკოლის წარმომადგენელი ამტკიცებს, კეინზიანური კონცეფცია “მონეტარული ნეიტრალიტეტის შესახებ” ასახავს მხოლოდ იდეალურ მდგომარეობას და ნაკლებად ითვალისწინებს ქონებრივი მოტივის გავლენას ლიკვიდობასა და ფასების დინამიკაზე. შესაბამისად, ამ კონცეფციით, მონეტარული წონასწორობის ანალიზი მხოლოდ 1930-1960 წწ. ეიძლება ყოფილიყო გამართლებული, როცა, ნაკლები ინტერნაციონალიზაციის გამო, კაპიტალის ბაზრის ტრანსაქციებით გამოწვეულ მოთხოვნას ფულად აქტივებზე (ე.ი. ლიკვიდობის პრეფერენციას) უმნიშვნელოდ შეეძლო მოეხდინა გავლენა არა თუ მთლიანი ეკონომიკის საბაზისო ფულზე, არამედ ცალკეული ინდივიდის სავალუტო პორტფელზე.

ფილიპ კაგანის აზრით, ნეოკეინზიანური მოდელის “ფუნდამენტური დეფიციტია” ის, რომ ეგზოგენური ფაქტორები სწორედ რეალობაა და ინტერნაციონალიზაციის პირობებში, ეროვნული ეკონომიკის ფარგლებს გარეთ მოსალოდნელმა ცვლილებებმა მნიშვნელოვანი ზემოქმედების ქვეშ შეიძლება მოაქციოს ეროვნული ეკონომიკის მონეტარული სექტორი. აღნიშნული ეგზოგენური ფაქტორები ( $v_t$ ), რომელთა შესახებ ინფორმაცია ელვის სისწრაფით გაგრცვლებადია, განაპირობებს მოლოდინის შექმნას როგორც ეკონომიკურ სუბიექტებში, ასევე სტაბილიზაციის პოლიტიკის გამტარებლებში. აქედან გამომდინარე, ე.წ. ნულოვანი მოლოდინის დაშვება შეუძლებელია.

შესაბამისად, (2.2) გამოსახულებაში, (1.1)-ისა და (1.2)-ის გათვალისწინებით, მივიღებთ მონეტარული წონასწორობის ისეთ განტოლებას, რომელიც MSV-მეთოდის გამოყენებით სრულად აკმაყოფილებს ადაპტაციური მოლოდინის ჰიპოთეზას<sup>1</sup>:

(2.4)

$$\begin{cases} m - p_t = \gamma + \frac{v_t}{(1 - \alpha)} \\ \phi_1 v_t = p_t - \phi_0 \end{cases} \Rightarrow \Rightarrow$$

(2.5)

$$\left[ m = \phi_0 + \gamma + v_t \left( \frac{1 + \phi_1 \gamma}{\gamma} \right) \right] = \underbrace{\phi_0}_{\substack{\phi_0 \\ {}_t P_{t+1}^x}} + \underbrace{\gamma}_{\substack{\gamma \\ \Delta y_t / \Delta m_t}} + v_t$$

$$\Leftrightarrow m = m \left( \begin{matrix} \phi_0 \\ \gamma \\ v_t \end{matrix} \right)$$

ე.ი, კაგანის მიხედვით (2.5), ლიკვიდობის დეტერმინანტებია ინფლაციის არასისტემური რისკის ფაქტორი ( $v_t$ ), ფასების დონის მოლოდინი ( $\phi_0$ ) და ეროვნული შემოსავლისადმი ფულზე მოთხოვნის ელასტიურობა ( $\gamma$ ). შესაბამისად, სარგებლის განაკვეთთან ( $R_t$ ) ერთად აღნიშნული სიდიდეები განსაზღვრავს მონეტარული წონასწორობის პირობებს.

<sup>1</sup> Bernanke, B. – “Inflation Forecasts and Monetary Policy” (Journal of Money, Credit, Banking, 1997).

სარგებლის განაკვეთი  $(R_t)$  ასრულებს ერთგვარი სიდიდე-ხიდის როლს ლიკვიდობის ფუნქციასა (კაგანის განტოლება) და ბიუჯეტის წონასწორობას (ლაფერის განტოლება) შორის, რადგან, როგორც დასაწიყისშივე აღვნიშნეთ, სწორედ სარგებლის განაკვეთის ცვლილება-ზეა დამოკიდებული ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილება:

$$(3.1) \quad B_{t+1} = f\left(\bar{R}_t\right) ; \quad \frac{\Delta B_{t+1}}{\Delta R_t} < 0 \quad (R_t \uparrow \Rightarrow B_{t+1} \downarrow),$$

სადაც  $(B-Bonds)$  აღნიშნავს მთავრობის ახალ სესხებს. შესაბამისად,  $(t+n)$  ნებისმიერი პერიოდისთვის, სადაც  $n \in [1; +\infty]$ , სტაბილიზაციის პოლიტიკის გამტარებლების გამოწვევას წარმოადგენს ფულის მასის ცვლილებისა და საბიუჯეტო ხარჯების ცვლილების მიმალურ დონემდე შემცირება:

$$(3.2)$$

$$Target \ Function : \quad E_t(\pi_{t+n}) = \lim_{n=1} \left\{ \frac{\Delta M_{t+n} + \Delta B_{t+n}}{(1 + R_t)^n} \right\}$$

მიზნობრივი ფუნქციის ფორმულირების შემდგომი ამოცანა ლაფერის განტოლებაში ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის  $(G_t)$  ცვლილების წარმოჩენაა. ამ მიზნით საკმარისია, ერთგვარი დაშვების სახით, შემოვიფარგლოთ მხოლოდ ორპერიოდიანი  $(n=1)$  მოდელის განხილვით, რომლის პირობებში მომდევნო პერიოდისათვის საბიუჯეტო ინფლაციის მოლოდინი, მიმდინარე პერიოდში არსებული საბაზრო განაკვეთის მიხედვით, ახალი

სამთავრობო ბონდების გამოშვების მოცულობაზეა და-  
მოკიდებული:

$$(4.1) \quad Z_t = (G_t - T_t) = \frac{B_{t+1}}{(1 + R_t)} - B_t .$$

ამგვარად, ე.წ. ლაფერის განტოლების (4.1) მიხედვით, ბიუჯეტის წონასწორობა მიღწევადია იმ შემთხვევაში, თუ მთავრობა ხარჯვითი ნაწილის გაზრდით გამოწვეულ უარყოფითი სალდოს ( $G_t > T_t$ ) დააფინანსებს სარგებლის განაკვეთის საბაზრო დონის ( $R_t$ ) მიხედვით, ახალი სასესხო ვალდებულებების ( $B_{t+1}$ ) ბაზარზე განთავსების გზით. შესაბამისად, მიზნობრივ ფუნქციაში (3.2) ლაფერის განტოლების (4.1) გათვალისწინებით მივიღებთ, რომ საბიუჯეტო ინფლაციის ( $E_t(\pi_{t+n}^g)$ ) მოლოდინი დამოკიდებული იქნება სარგებლის განაკვეთისა ( $R_t$ ) და ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ( $G_t$ ) ცვლილებებზე:

$$(4.2) \quad E_t(\pi_{t+n}^g) = \frac{\Delta M_{t+1}}{P_t} + Z_t + \frac{\Delta B_{t+1}}{(1 + R_t)}$$

წონასწორობის პირობებში ( $Z_t = 0$ ), ლაფერის თეორემის მიხედვით, გადასახადების (ე.ი. ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის) ოპტიმალური დონე ( $T_t$ ) დადებითადაა დამოკიდებული მიმდინარე პერიოდში სამომხმარებლო ფასების ( $P_t$ ) ზრდაზე, მაშინ როცა ხარჯვითი ნაწილის ( $G_t$ ) ზრდა დამოკიდებულია სარგებლის განაკვეთის ( $R_t$ ) შემცირებაზე. მეორე მხრივ კი, (4.2)-თანახმად, მომდევნო პერიოდისათვის საბი-

უჯგუშო ინფლაციის მოლოდინი  $(E_t(\pi_{t+n}^g))$ , რომელიც (1.1) და (1.2) თანახმად, შეიცავს მიმდინარე პერიოდის ინფლაციის ფაქტობრივ მანვენებელს  $(\pi_t)$ , დადებით კავშირშია ბიუჯეტის ხარჯვითი  $(G_t)$  ნაწილის ცვლილებასთან:

$$(5.1) \quad \begin{cases} T_t \begin{pmatrix} + \\ P_t \end{pmatrix} = G_t \begin{pmatrix} - \\ R_t \end{pmatrix} \\ E_t(\pi_{t+n}^g) = f \left( \Delta M_{t+1}^+ ; G_t^+ ; \underbrace{\Delta P_t^+}_{\pi_t} \right) \end{cases}$$

განტოლებათა ეს სისტემა გამოსახავს მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ფარგლებში პოლიტიკური მიზნებისა  $[E_t(\pi_{t+n}) ; \Delta G_t(\dots)]$  და პოლიტიკური ინსტრუმენტების  $[\Delta T_t(\dots) ; \Delta M_{t+1} ; \Delta R_t]$  ერთობლიობას. რამდენადაც მათი რაოდენობა განსხვავდება ერთმანეთისგან, ე.ი. ეკონომიკური პოლიტიკის “ოქროს წესი” პირდაპირ ვერ სრულდება, სისტემა ამოხსნადია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ინსტრუმენტებს შორის ერთ-ერთის განსაზღვრა წინასწარ მოხდება.

ყველაზე ლოგიკურია ასეთი დაშვება გაკეთდეს ფულის მასის ცვლილებასთან  $(\Delta M_{t+n} = 0)$  დაკავშირებით. კონსერვატიული ცენტრალური ბანკის კომპეტენციით, რომლის უმთავრესი პრიორიტეტია მკვეთრად ანტიინფლაციური მონეტარული პოლიტიკა, ინსტიტუციონალური დამოუკიდებლობის პირობებში აღნიშნული მიზანი სავსებით მიღწევადია ღია ბაზრის ოპერაციების საშუალებით. შესაბამისად, მხოლოდ მსგავსი დაშვების საფუძველზე გამარტივების გზით, შესაძლებელი ხდება

საბიუჯეტო ინფლაციის ოპტიმიზაციის  $[\Delta E_t(\pi_{t+n}^g) = 0]$

პირობების ( $\mu < 0$ ;  $\sigma > 0$ ;  $\alpha < 0$  - რეგრესიის კოეფიციენტები) განსაზღვრა:

$$(5.2)$$

$$E_t(\pi_{t+n}^g) = f\left(\bar{T}_t^+; \bar{G}_t^+; \bar{R}_t^-\right) = \mu \cdot \Delta T_t + \sigma \cdot \Delta G_t + \alpha \cdot \Delta R_t .$$

კითხვაზე – “რამდენად მისაღებია ფისკალური პოლიტიკისთვის ლიკვიდობის ფუნქციის აუცილებელი წინაპირობის ( $\Delta M_{t+n} = 0$ ) შესრულება მრავალპერიოდო-ლიან მოდელში - ფისკალისტებისგან მოსალოდნელია შემდეგი პასუხი: “მართალია, ( $n = 1$ ) დაშვების საფუძველზე მიღებული ოპტიმიზაციის შედეგი (5.2) ვერ დააკმაყოფილებს მონეტარული მოთხოვნის სტაბილურობის პირობას (2.5), მაგრამ მრავალპერიოდოლიან მოდელში შესაძლებელია ფასების ( $\Delta P_{t+n}$ ) ალტერნატიული დინამიკის განსაზღვრა, რომელიც დამოკიდებული იქნებოდა ახალი სასესხო ვალდებულებების მოცულობაზე ( $\Delta B_{t+n-1}$ ). სწორედ ინფლაციის დანარჩენი (ე.ი. არასაბიუჯეტო) კომპონენტებით (მიწოდების ინფლაცია; იმპორტირებული ინფლაცია) გამოწვეული ფასების დინამიკის ზრდადი ტემპი იქნებოდა ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლების გაზრდის წყარო  $T_t\left(\overset{+}{P}_t\right)$ , რის გამოც, ცენტრალური ბანკის მხრიდან მკაცრად კონსერვატიული ( $\Delta M_{t+n} = 0$ ) მონეტარული პოლიტიკის პირობებშიც კი, საბიუჯეტო დეფიციტის შენარჩუნება დაგეგმილ დონეზე

მიუღწევად მიზანს არ წარმოადგენს ( იდეალური შემთხვევა:  $\Delta P_{t+n} = \Delta B_{t+n-1}$  ).

(4.1) საფუძველზე მნიშვნელოვანია სწორედ ისეთი შემთხვევის განხილვა, როცა მთავრობა ახერხებს დეფიციტის დონის შენარჩუნებას ( ე.ი:  $\Delta Z_{t+n} = 0; n = +\infty$  ) მრავალპერიოდის მოდელში. “მრავალპერიოდისობაში” იგულისხმება უკვე გრძელვადიანი ეკონომიკური დრო, რომლის პირობებშიც ინფლაციის მრუდისთვის წრფივი ( (1.1)-დან გამომდინარე:  $\Delta P_{t+n} = 0; n = +\infty$  ) გამოსახულების შენარჩუნება დამოკიდებულია არა მხოლოდ მიზნობრივი ფუნქციის (3.2) დაკმაყოფილებაზე, არამედ იმაზე, მოქმედი ფისკალური პაკეტი რამდენად იძლევა ფულის ბაზარზე წონასწორობის შენარჩუნების შესაძლებლობას, ე.ი. კმაყოფილდება თუ არა (2.5) განტოლება. საქმე ისაა, რომ დეფიციტის დონის შენარჩუნება მხოლოდ ირიბად არის დამოკიდებული პერიოდებს შორის საბიუჯეტო შემოსავლებისა და საბიუჯეტო ხარჯების ( $\Delta T_{t+n} \neq \Delta G_{t+n}; \Delta B_{t+n-1} - ?$ ) ცვლილებაზე<sup>1</sup>.

იმ შემთხვევაში, როცა საბიუჯეტო ინფლაციის მოლოდინის ცვლილება უარყოფითია  $[\Delta E_t(\pi_{t+n}^s) < 0]$ , პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება საბიუჯეტო ხარჯების გაზრდის ( $\Delta G_{t+n} > 0$ ) შესახებ დამოკიდებული ხდება მხოლოდ სარგებლის განაკვეთების სტრუქტურაზე ( $R_{t+n}$ ). დროის მიხედვით, რაც უფრო უარყო-

<sup>1</sup> Mishkin, F. “Fiscal Policy and Price-Level Determinancy in a Cash-in-Advance Economy” (Journal of Monetary Economics, 2007).



ფითია განაკვეთების მრუდი ( $R_{t+n-2} > R_{t+n-1} > R_{t+n}$ ), მით უფრო შეეცდება მთავრობა, გრძელვადიანი სახაზინო ვალდებულებების გამოშვებით ( $\Delta B_{t+n-2} < \Delta B_{t+n-1} < \Delta B_{t+n}$ ) დააფინანსოს საბიუჯეტო ხარჯების ზრდა. ყოველივე ეს მხოლოდ დროებით გამოსავალია საბიუჯეტო ინფლაციის გაზრდის თავიდან ასაცილებლად, ე.ი. საბიუჯეტო ხარჯების გაზრდა ავტომატურად არ გამოიწვევს მთლიანი ინფლაციის გაზრდას. თუმცა, ამ დროს, საკმარისია, ცენტრალურმა ბანკმა კიდევ უფრო გაამკაცროს მონეტარული პოლიტიკა, ე.ი. რეფინანსირების ოფიციალური განაკვეთის, თუნდაც უმნიშვნელო მატებამ ( $\Delta R_{RF} = +0,25\%$ ) იმ ზომით გააძვიროს მოკლე- და საშუალოვადიანი საკრედიტო რესურსები ფირმებისა და მომხმარებლებისათვის, რომ გრძელვადიან ეკონომიკურ დროში ეკონომიკის რეალური სექტორიდან წარმოიქმნას მონეტარული დესტაბილიზაციის საფრთხე, ე.ი. საბიუჯეტო ინფლაციის ( $\Delta\pi_{t+n}^s = 0$ ) ნაცვლად, მთლიანი ინფლაციის ( $\Delta\pi_{t+n} > 0$ ) ხელშემწყობ კომპონენტად უკვე მიწოდების ინფლაცია მოგვევლინოს.

**Determining Factors for Optimizing  
Budgetary Inflation  
(Laffer - Kagan Model)**

**A. Jacobashvili**

This article discusses the current issues of the budgetary inflation in macroeconomic policy analysis, which hinges on the possibility of multiple solutions in the Rational Expectations (RE) models. Through the connection of the relevant models a la Cagan and

Laffer, the fiscal theory of the price levels is based on the stability of the expectations, but also on the adaptive learnability of policy makers as of their Solutions, which might suggest, that only one of them (either rational expectations of economic subjects, or the adaptive learnability of policy makers) is a viable equilibrium candidate.

Facing the reality of budgetary inflation, macroeconomic policy might not aim at the neutralization, but at the optimization of the level of the budgetary inflation, as a component of the whole inflation. More generally, such constellation of the political targets suggest that learnability, not indeterminacy, should be viewed as the relevant issue for policy-oriented theoretical analysis of macroeconomic stabilization policy. More contentiously, it might be argued that RE solution multiplicity should be viewed basically as a mathematical curiosity, stemming from an insufficiently specific definition of rational expectations, rather than as a substantive problem for actual policy makers.

**თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი  
საქმიანი ციკლის თეორიის თვალსაზრისით**

**მალხაზ ჩიქობავა**

**ივ. ჯავახიშვილის თსუ-ის ასოცირებული პროფესორი,  
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი**

გლობალიზაციის პირობებში კრიზისული მოვლენების მიზეზები განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკისათვის, არსებითად, საგარეო ხასიათისაა. ის გამოიხატება ნედლეულზე მოთხოვნის ვარდნასა და კაპიტალის გადინებაში, რაც იწვევს თანამდევ სტანდარტულ ჯაჭვურ რეაქციას – აქტივების გადაფასებას, დაკრედიტების მკვეთრად შემცირებას და მოთხოვნის შემდგომ ვარდნას. ამასთან, შიგა მიზეზების კვლევა, რაც განაპირობებს ეკონომიკის ციკლურ რყევებს, ასევე დიდ ინტერესს იწვევს.

ნებისმიერი კრიზისის წარმოშობის, შემდგომი გაღრმავებისა და ეკონომიკური ციკლის დასრულების ძირითადი მიზეზი საკრედიტო ოპერაციების შეზღუდვაა, რაც ეკონომიკური აქტივობისა და მოთხოვნის გარდაუვალ ვარდნას იწვევს. თავის მხრივ, ეს ფონი შემდგომ ეტაპზე განაპირობებს კრედიტებზე დაბალ მოთხოვნას. ეს კარგად ჩანს როგორც 2008 წლის კრიზისის დაწყების მიზეზების, ასევე აშშ-ის ეკონომიკის განვითარების მომდევნო ეტაპის მაგალითებზე, რომელიც აქტიური ფულადი ინექციების მიუხედავად, თითქმის 10-პროცენტთან უმუშევრობას განიცდის. აქ საქმე არა იმდენად ინექციების მოცულობაშია, რამდენიც იმ ფულად მასაზე, რომელიც მიმართულ იქნა დაკრედიტებაზე.

კრედიტების შემცირება საბანკო სისტემის ბუნებრივი რეაქციაა რეცესიის ნიშნებისა და დაკრედიტების რისკების ზრდის მიმართ. ეს შეიძლება მეორად გამოვლინებად

ჩავთვალოდ. რაში გამოიხატება საქმიანი აქტივობის ვარდნის პირველადი მიზეზები და შესაძლებელია თუ არა მისი პროგნოზირება? რატომ ხდება, რომ კრიზისები ზოგჯერ დამანგრეველ ზემოქმედებას ახდენს ეკონომიკაზე, ზოგჯერ კი შედარებით უმტკივნეულოდ ჩაივლის? რა მოვლენები უსწრებს კრიზისებს და როგორია ამ კრიზისების დინამიკა?

ამ კითხვებზე საპასუხოდ აუცილებელია რამდენიმე ჰიპოთეზის მოშველიება. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა „ფინანსური სიმყიფის“ ჰიპოთეზა, რომელიც ეკუთვნის კეინზიანური სკოლის წარმომადგენელს ჰაიმან მინსკის<sup>1</sup>. ის მას კრედიტების ხელმისაწვდომობისა და მისი მომსახურების შესაძლებლობების ფუნქციის სახით წარმოგვიდგენს. მინსკის ჰიპოთეზის თანახმად, კრიზისი წარმოიშობა ბაზრის სუბიექტების მიერ საკუთარი ვალის მომსახურებასთან დაკავშირებული პრობლემების თანდათანობით გამწვავების შედეგად: ეკონომიკური აღმავლობის საწყის სტადიაზე ფირმებს შეუძლიათ დააფინანსონ საკუთარი პროექტები საკუთარი საშუალებების ან კრედიტების ხარჯზე, ამასთან, მათი შემოსავალი აღემატება სესხებზე გადასახდელ პროცენტებსა და სესხის ძირითად თანხას, შემდგომ ვალი გროვდება და კრედიტის მომსახურება რთულდება, ამასთან, შემოსავალი, მართალია, ფარავს პროცენტებს, მაგრამ სესხის ძირითადი თანხის ასანახად ურეულად არასაკმარისია; საბოლოოდ, როცა სისტემა აღწევს ფინანსური სიმყიფის მწვერვალს, რომლის დროსაც იწყება ე.წ. პონცი-დაფინანსება (ეს უკავშირდება იტალიური წარმოშობის ამერიკელ ფინანსისტს, ჩარლზ პონცის, რომელმაც მეანაბრეებისადმი ძალიან მაღალი პროცენტების გადახდის დაპირებით შექმნა ფინანსური

<sup>1</sup>Столбов М.И. Гипотеза финансовой неустойчивости Хаймана Мински и экономический кризис в России / М.И. Столбов // Мировая экономика и международные отношения. 2010, № 3, с. 56-64.

პირამიდა). ეს სტადია ხასიათდება იმით, რომ კომპანიათა უმრავლესობა ვერ ფარავს არათუ სესხის მთლიან თანხას, არამედ ამ სესხზე არსებულ პროცენტებსაც. არცთუ იშვიათად, კრიზისის წინა პერიოდში ფირმები იძულებულნი ხდებიან მოახდინონ თავიანთი სესხების რეფინანსირება ახალი კრედიტების მეშვეობით.

აქვე უპრიანია გავისენოთ ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც ეჭვქვეშ დგება სასესხო პროცენტის არსებობის მართლზომიერება, რომლის თანახმადაც, რეალურ სექტორს აპრიორულად არ შეუძლია ვალი სრულად აუნაზღაუროს საბანკო სექტორს. საქმე აქ არა მარტო პროცენტის არსებობას, არამედ მის სიდიდესაც ეხება. რეალურმა სექტორმა შეიძლება აიტანოს კრედიტი წლიური 5-7%-იანი განაკვეთით, მაგრამ 20-25%-იანი კრედიტის ატანა თითქმის გამორიცხულია. ფინანსური სისტემა ასეთი მაღალი პროცენტებით ნებისმიერი ინოვაციისა და მოდერნიზაციის უმთავრესი მტერია. მაგრამ, სესხზე პროცენტები თანამედროვე საბანკო სისტემის არსებობის საფუძველია. ის განაპირობებს ფულის მიმოქცევის ელასტიკურობას ფულადი მულტიპლიკატორის ეფექტით, რომელიც გულისხმობს ერთი ბანკის მიერ გაცემული კრედიტის გადაქცევას სხვა ბანკის რესურსად და ა.შ.

კორპორაციული და სახელმწიფო ვალის „შექმნა“ ფულის მიწოდების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მექანიზმია. ფულადი მულტიპლიკატორის მოქმედება კიდევ უფრო სწრაფად მოქმედებს უკუმიმართულებით, როდესაც რომელიღაც ბანკი ჩართულია ამ სისტემაში, ხოლო სხვა ბანკები უკვე არ „აწარმოებენ“ კრედიტებს. ფინანსური ბაზრები ისეა მოწყობილი, რომ ამ შემთხვევაში შეუძლებელი ხდება ფულის სესხად მიღება ძალიან მაღალი საპროცენტო განაკვეთითაც კი.

დავუბრუნდეთ ეკონომიკური ციკლის დინამიკის მიზეზებისა და შედეგების ანალიზს. ჰაიმან მინსკისეული

ეკონომიკური ციკლის ზემოთაღწერილი სქემა შეგვიძლია კიდევ უფრო გავშალოთ ინვესტიციების ეფექტიანობისა და ფულის მიწოდების დინამიკის გათვალისწინებით. ციკლის საწყის სტადიაზე, როდესაც ადგილი აქვს მოთხოვნის „დროებით გადავადებას“, ეკონომიკაში წარმოიქმნება დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილებების კერები, ამასთან, მასში არსებობს ჭარბი თავისუფალი რესურსები, მათ შორის, სამუშაო ძალა. მეწარმეები მიმართავენ საკუთარ რესურსებს ახალ ბიზნეს-პროექტებში. ამ შემთხვევაში რისკის ხარისხი დაბალია, ხოლო წარმატების ალბათობა ძალიან მაღალი. მაგრამ, ინვესტიციების (და მის საფუძველზე კაპიტალის) ზრდის კვალობაზე, სამეწარმეო მარჯის გაჯერების გამო, მრავალ საინვესტიციო პროექტზე შემოსავლიანობა ეცემა, ზოგიერთი კი საერთოდ წამგებიანი ხდება. ჰიპოთეზა ინვესტიციების შემოსავლიანობის შემცირებაზე მისი მოცულობის ზრდის კვალობაზე, შემოთავაზებულ იქნა ჯ. მ. კეინზის მიერ კაპიტალის ზღვრული ეფექტიანობის თეორიაში. ასეთი კანონზომიერება საერთო ეკონომიკური კანონის – წარმოების ფაქტორთა ზღვრული მწარმოებლურობის კლებადობის შედეგია.

მართლაც, 2000-იანი წლების შუა პერიოდში, როცა აღმოჩნდა, რომ საოფისე, უძრავ ქონებას მოჰქონდა საკმაოდ მაღალი შემოსავალი, ინვესტორებმა კაპიტალდაბანდების მძლავრი ნაკადი მიმართეს სამშენებლო ბიზნესში. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ვერ (ან არ) ხედავდა დაბანდების სხვა სფეროებს. მაგრამ, მიწოდებისა და კონკურენციის ზრდის გამო, მასზე შემოსავლიანობა შემცირდა. შესაბამისად, ინვესტიციების ეფექტიანობის ვარდნამ დროთა განმავლობაში შეამცირა ფირმების მიერ კრედიტების დაფარვის უნარი, რაც რეცესიის ობიექტური მიზეზი გახდა. თავდაპირველად კომპანიებისა და ბანკების მოგება გაიზარდა, მაგრამ შემდეგ კორპორაციული და საბანკო სექტორების რენტაბელობა

სწრაფად შემცირდა.

როგორც ცნობილია, საკრედიტო შეზღუდვების პერიოდში, რომელიც უსწრებს ფინანსურ კრახს, ყველაზე მეტად საინვესტიციო საქონლის წარმოება ზარალდება. ამ ფაქტზე განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს ავსტრიული ეკონომიკური სკოლის წარმომადგენლებმა - ლუდვიგ ფონ მიზესმა და ფრიდრიხ ფონ ჰაიეკმა, ასევე ერნანდო დე სოტომ. გარკვეულწილად ეს გამოწვეულია იმით, რომ რაც უფრო ხანგრძლივია საინვესტიციო პროექტი, მით უფრო მეტია ალბათობა იმისა, რომ ის აღმოჩნდეს კრიზისის ზონაში, რაც გულისხმობს მოცემულ პროექტებზე გაცემული სესხების დაუბრუნებლობას.

უფრო მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ამ საქონლის დიდი ნაწილის ყიდვა შეუძლებელია ხელფასით და მუშაკთა მიერ შექმნილი დანახოვებით. როგორც წესი, მათი წარმოება მიმდინარეობს საკრედიტო რესურსების მოზიდვით. ამიტომ, ასეთი ტიპის საქონლის მიწოდება და მასზე მოთხოვნა ემყარება, უპირველეს ყოვლისა, დაკრედიტების ხელმისაწვდომობას, რაც განაპირობებს მის კარდინალურ სიმყიფეს რეცესიის ფაზაში. საკრედიტო ბუმი „ფინანსური პირამიდების“ მშენებლობის პროვოცირებას ახდენს, რომელიც განწირულია გარდაუვალი რღვევისათვის.

მიუხედავად „ფინანსური სიმყიფის“ თეორიის მიმზიდველობისა და სიმარტივისა, სინამდვილეში სიტუაცია ბევრად რთულია. მაგალითად, ძნელია გავიგოთ, თუ რომელია არსებული პროცესების თავდაპირველი მიზეზი და რომელი - შედეგი. რეცესიაში აღმოჩენას კუმულაციური ხასიათი აქვს, რომელშიც მორიგი მიზეზი ერთდროულად შედეგიცაა. დაკრედიტების ნებისმიერი შემცირება იწვევს ინვესტიციების, შემდეგ შემოსავლების შემცირებას, რაც დეფოლტების მეორად ინდუცირებას ახდენს. ამას კი დაკრედიტების, ინვესტიციებისა და მოთხოვნის კიდევ უფრო მასშტაბური შემცირება მოჰყვება

და ა.შ. ყოველივე ეს კრახით სრულდება, რაც გამოწვეულია აქტივების გაუფასურებით, ფულადი ინექციების შემცირებით და მომდევნო საგალო კრიზისით გარდაუვალი დეფლაციის ფონზე. ვიდრე მიმდინარეობს დაკრედიტება იმ ტემპებით, რომელიც საკმარისია მოთხოვნის შესანარჩუნებლად, რეცესიის რეალური ნიშნები პრაქტიკულად არ შეიმჩნევა. საკრედიტო „ბუმი“ არა მარტო განაპირობებს, არამედ ახდენს „გადახურების“ შენიღბვას. არსებული რენტაბელობის მაჩვენებელი დამაკმაყოფილებელია, მაგრამ მომავალი პროექტების რენტაბელობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად საკმარისია მიმდინარე და მომავალი დაკრედიტების ტემპები. ამიტომ, როგორც კი დაკრედიტება არასაკმარისი ხდება, კომპანია-ინვესტორების რენტაბელობა და მისი კრედიტუნარიანობა სწრაფად ეცემა. ამ თემას ქვემოთ დაუგებრუნდებით. ამჯერად განვიხილოთ ეკონომიკური ზრდის თვითშეზღუდვის სხვა მიზეზები.

ეკონომიკური ზრდის პროცესში მეწარმეები ქმნიან ახალ ღირებულებებს და გეგმავენ მოგების მიღებას. მაგრამ, როგორც კი რთულდება შექმნილი პროდუქციის გაყიდვა, იწყება გარდაუვალი ეკონომიკური ვარდნა, რადგანაც შეუძლებელი ხდება კრედიტების დაბრუნება. მაშასადამე, ეკონომიკური ზრდის მხარდასაჭერად ფულადი მასა ადეკვატურად და უწყვეტად უნდა იზრდებოდეს, ხოლო ფულის მიმოქცევის სინქარე დაახლოებით მუდმივი უნდა იყოს. პირველი პირობა ცნობილია, როგორც „მონეტარისტული წესი“, რომელიც შემოთავაზებულ იქნა მ. ფრიდმენის მიერ. ციკლის მიმდინარეობის პროცესში დაგეგმილი ინვესტიციებისა და პროდუქციის მოცულობა, რომელიც აუცილებელია ამ პროექტების სარეალიზაციოდ, მუდმივად იზრდება, შესაბამისად, იზრდება რესურსების გამოყენება და სამუშაო ძალის დასაქმება, ხოლო რადგანაც რესურსები და განსაკუთრებით სამუშაო ძალა მკაცრად შეზღუდულია,



აღრე თუ გვიან წარმოიქმნება დისბალანსი, ადგილი ექნება დანახარჯების ზრდას, რომელიც ხელს შეუშლის გეგმის განხორციელებას, ინვესტიციების გამოსყიდვას და კრედიტების დაბრუნებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სისტემის პროპორციული გაფართოება იმ შემთხვევაში, თუ მისი ერთ-ერთი კომპონენტი ამოწურულია, შეუძლებელია წმინდა პრაქტიკული თვალსაზრისით.

საკრედიტო „ბუმის“ სტადიაზე მუდმივად იზრდება მოთხოვნა სამუშაო ძალაზე, რაც იწვევს დასაქმების ზრდას. დასაქმებულთა ხელფასები მოთხოვნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, რაც წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის საშუალებას იძლევა. მაშასადამე, სამუშაო ძალის შეზღუდულობა „სრული დასაქმების“ მიღწევის შემთხვევაში ზღუდავს მოთხოვნის შემდგომ გაფართოებას. ამ მომენტს თითქმის ერთდროულად მიაქცევს ყურადღება კეინზიანური სკოლის წარმომადგენლებმა ჯონ ჰიკსმა ნაშრომში „სავაჭრო-სამრეწველო ციკლები“ და ედვინ ჰანსენმა - „ეკონომიკური ციკლები და ეროვნული შემოსავალი“.

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ კარლ მარქსმა მიაქცია ყურადღება მთელი წარმოებული პროდუქციის სრულად გაყიდვის შეუძლებლობას. მისი აზრით, ჭარბწარმოების მიზეზი კაპიტალისტების მიერ ზედმეტი ღირებულების მითვისება და მუშაკთა დაბალი ხელფასია. მიუხედავად იმისა, რომ მარქსის რეცეპტები საკამათოა, ეკონომიკური ციკლის თეორიაში ის ერთ-ერთი პიონერია.

ერთობლივი მოთხოვნის უკმარისობის პრობლემის დროებით გადაჭრა შესაძლებელია „ვალების“ ინდუცირებით, მაგრამ ვალის მოცულობა შეუძლებელია უსასრულოდ გაიზარდოს. რესურსების შეზღუდულობა ბანკებს აიძულებს კრედიტების შეკვეცას, დგება „ჭარბწარმოების“ კრიზისი, რომელიც არ დასრულდება მანამ, ვიდრე შექმნილი მარაგების ძირითადი მასა არ გაიყიდება, ხოლო ვალის დიდი ნაწილი

არ დაიფარება, რაც არასაკმარისი მოთხოვნის პირობებში ახდენს დეფლაციის პროვოცირებას, წარმოების შემცირებასა და უმუშევრობის ზრდას.

პოსტკრიზისულ პერიოდში თანდათანობით გროვდება მოთხოვნის დეფიციტი, კაპიტალი ცვდება ფიზიკურად და მორალურად, გროვდება ჭარბი ლიკვიდურობა, ვალები თანდათანობით „გაიწოვება“, რაც ციკლის აღმავალ ტალღაზე მიანიშნებს. რა თქმა უნდა, მოთხოვნა შეიძლება დროებით გაიზარდოს ხელფასების ან სახელმწიფო შესყიდვების ზრდის ხარჯზე, მაგრამ სრული დასაქმების მიღწევის ფუნდამენტური ფაქტორების ამოწურვის შემთხვევაში, მოთხოვნის ზრდა დაკრედიტების, ხელფასების ან სახელმწიფო ვალის ზრდის ხარჯზე შეუძლებელია უსასრულოდ გაგრძელდეს.

ჯ. მ. კეინის აზრით, ფულის ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი ისაა, რომ მისი წარმოება შეუძლებელია ნებისმიერი მასშტაბით. იგივე შეიძლება ითქვას სამუშაო ძალაზე, რომელიც, მართალია, იზრდება შობადობის ხარჯზე, მაგრამ არა ყველა ქვეყანაში და არა ადეკვატური ტემპებით.

საბაზრო ეკონომიკა უნარიანია გაფართოვდეს მანამ, ვიდრე მასში არსებობს თავისუფალი რესურსები. როგორც კი ის ამოიწურება, იწყება ვარდნა. სწორედ ვარდნის დროს იქმნება პირობები, როცა ადგილი აქვს რესურსების გამოთავისუფლებას, დანაზოგებისა და გადავადებული მოთხოვნის რეალიზებას და ა.შ.. მაგრამ, რამდენად შესაძლებელია სრული დასაქმების მიღწევა? სრული დასაქმება საბაზრო ეკონომიკის პირობებში მიუღწევადია არა მარტო სოციალური და ინდივიდუალური ხასიათის, არამედ რეგიონული, სამუშაო ძალაზე მოთხოვნა-მიწოდებას შორის დისპროპორციების გამო. ბუმთან ახლოს მდგომ ციკლის სტადიაზე დასაქმების ზრდის ტემპი არასაკმარისი ხდება და საერთო ეკონომიკური ზრდაც ფერხდება.

აღსანიშნავია, რომ წმინდა სტატისტიკური თვალსაზრისით ინვესტიციების საერთო მოცულობის

## **ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა**

გარკვეული ნაწილი მცდარ გადაწყვეტილებებს ეფუძნება, რაც განპირობებულია მომავალი მოთხოვნის არასწორი შეფასებით, კრედიტული იდეების მცდარობით, საინვესტიციო პროექტების არასათანადო შეფასებით და ა.შ. მსგავსი შეცდომები, რომელიც იწვევს პრობლემური ვალების დაგროვებას, ილექება საბანკო სისტემაში და ფიზიკური ენთროპიის მსგავსად იზრდება. ლუდვიგ ფონ მიზესის სიტყვებით რომ ვთქვათ, ადგილი აქვს არასწორ საინვესტიციო გადაწყვეტილებებს.

ცხადია, მომგებიანი ინვესტიციები ქმნის პირობებს დადებითი ფულადი ნაკადების გენერაციისათვის, ზრდის მათ ღირებულებას, რაც თავის თავში მოიცავს ახალი ფულის შექმნის მექანიზმს. დაუსაბუთებელი, წამგებიანი ინვესტიციები ამცირებს აქტივების ღირებულებას, რაც ფაქტობრივად კვეცავს ფულად მასას. ანალოგიური პროცესი მიმდინარეობს საბანკო სისტემაში ინვესტიციების კრედიტებით დაფინანსების დროს: წარმატებული ინვესტიციების დროს აქტივები აჭარბებს პასივებს, ბანკი ღებულობს მოგებას. დაუსაბუთებელი ინვესტიციები იწვევს კრედიტების დაუბრუნებლობას, აქტივების ღირებულების შემცირებას და ბანკების ბალანსში „ხვრელების“ წარმოქმნას, რაც, თავის მხრივ, კვეცავს ფულად მასას. წარმატებული ბანკებისათვის ეს „ხვრელები“ იფარება წარმატებული პროექტებიდან, მაგრამ ეკონომიკური ციკლის მხოლოდ აღმავალ სტადიაზე. პრობლემა ისაა, რომ ეს პროცესი ბანკების მიერ ინიღბება და საკმაოდ გაუმჭვირვალეა.

ავსტრიული ეკონომიკური სკოლის ერთ-ერთი დამსახურება ისაა, რომ მართებულად აჩვენა საბანკო დაკრედიტების გაფართოებისა და ეკონომიკური ციკლის ურთიერთკავშირი. ამ სკოლის მიხედვით, კრიზისებში დამნაშავეა საკრედიტო ბუმი, რომლის დროსაც ადგილი აქვს საკრედიტო განაკვეთების შემცირებას, ხოლო საინვესტიციო

## **გალსაგ ჩიქობავა**

---

პროექტები დროში იწელება. ეს ემპირიულ ფაქტებთან შესაბამისობაშია. ამიტომ, შეიძლება დავეთანხმოთ მათ მტკიცებას იმის თაობაზე, რომ საკრედიტო ბუმის წარმოშობა მცდარი ინვესტიციების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზეზი და წინაპირობაა. ავსტრიული სკოლის თანახმად, ამ შემთხვევაში ინვესტიციები აჭარბებს დანაზოგებს და ეროვნული დანაზოგების არსებული სტრუქტურა და მოცულობა არ შეესაბამება ახალ ჭარბ ინვესტიციებს. არსებობს სხვა მიზეზიც. კერძოდ, აუცილებელი ინფორმაციის არარსებობა იწვევს სტიქიურ საინვესტიციო აქტივობას, რომლის დროსაც ძალიან მაღალია დაუსაბუთებელი ინვესტიციების ალბათობა.

საბანკო სექტორი ეკონომიკის გულისხმარება სისტემის როლს ასრულებს, სადაც ბანკები გულია, ხოლო საანგარიშსწორებო სისტემა – სისხლძარღვი. ჭარბი პულსი (რომელიც იზომება, როგორც დაკრედიტების მატების ტემპი) არღვევს სისტემას, მაგრამ მისი სისუსტე ან სულაც, მისი არარსებობა ისევე, როგორც ცოცხალ ორგანიზმში, აქაც დამღუპველია.

კრიზისის მეორე ძირითადი მიზეზი კრედიტების შეკვეცაა, რომელსაც ადგილი აქვს ეკონომიკაში პირველადი ნეგატიური ფონის გაძლიერების შედეგად. ციკლების თეორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია ის, თუ რა წარმოადგენს ნეგატიური მოვლენის დაწყების პირველად მიზეზს. შეიძლება ასე ვივარაუდოთ: კომპანიების ფინანსური მდგომარეობის გაუარესება, საბანკო სისტემაში რესურსების დეფიციტი და ნორმატიული შეზღუდვები, კრედიტების ზრდის ტემპის შემცირება, ვადაგადაცილებული დავალიანებების პირველადი ზრდა და რისკების გადაფასება, ფინანსურ ბაზრებზე შიგა და გარე შოკები ან მათი კომბინაცია.

როგორც კრიზისის წინა პერიოდების ანალიზი გვიჩვენებს, კრიზისების მწვავე სტადიას უსწრებს გარკვეული

## **ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა**

მოდუნება, ეკონომიკაში ფულადი მასის ზრდის ტემპების შენელება. მაგალითად, ასეთ მოვლენას ჰქონდა ადგილი აშშ-ში 1929 და 2008 წლების პირველ ნახევარში. ეს ფაქტი მონეტარისტების მხრიდან დაჟინებული ყურადღების ობიექტია. ასეთი მდგომარეობა კარგად შეესაბამება ჰაიმან მინსკისეულ „ფინანსური სიმყიფის“ სტადიას. შესაძლებელია, რომ ეს გამოწვეული იყოს „საკრედიტო შეკვეცის“ პირველი ნიშნებით. ამ მომენტში საკმარისია უმნიშვნელო ბიძგიც კი, რომელიც ქმნის მინიმალურ ფულად დეფიციტს, რომელსაც შეუძლია მასშტაბური კრიზისის პროვოცირება ჯერ საფონდო ბაზარზე, შემდგომ საფინანსო და საბანკო სისტემაში, რაც იწვევს ერთობლივი მოთხოვნის მნიშვნელოვან შემცირებას და ეკონომიკის კოლაფსს.

ყველაზე რთული პროცესი, რომელიც იწვევს კრიზისების გაჭიანურებას, ესაა წამგებიანი ინვესტიციების ლიკვიდაცია, კომპანიებისა და ბანკების გათავისუფლება პრობლემური ვალებისაგან. ასეთი სურათი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს კრიზისული მოვლენების მატერიალურ საფუძველს. წამგებიანი ინვესტიციების მაჩვენებელი მაკროდონეზე დაუბრუნებელი ვალების წილია მთლიან შიგა პროდუქტში, ბანკების აქტივებში, წამგებიანი და გაკოტრებული ფირმების წილი ფირმების საერთო რაოდენობაში.

ვალთან დაკავშირებით ძველ აღთქმაში მრავლადაა წარმოდგენილი პერიოდულად პატიების რეკომენდაციები, ასევე სასესხო პროცენტის აკრძალვები: „ყოველი მეშვიდე წლის თავზე გამოაცხადე პატიება; აი, პატიების რაობა: აპატიოს ყოველმა მევალემ, ვისაც რამე უსესხებია თავისი მოყვასისთვის, და ნურაფერს მოთხოვს თავის მოყვასს ან მოძმეს, რადგან პატიება იქნება გამოცხადებული უფლის სახელზე; უცხოელს მოსთხოვე, მაგრამ აპატიე შენს მოძმეს, თუ შენი ვალი ექნა“ (მეორე რჯული, 15, 1-3).<sup>1</sup> „არ მისცე სარგებელში შენს მოძმეს არც ვერცხლი, არც საჭმელი <sup>1</sup>ბიბლია, საქართველოს საპატრიარქო, თბ., 1989, გვ. 177.

და არც რაიმე ნივთი, რაც სარგებელში შეიძლება გაიცეს; უცხოელს მიეცი სარგებელში, შენს მოძმეს კი ნუ მისცემ სარგებელში, რომ გიკუთხოვს უფალმა, შენმა ღმერთმა, მთელი შენი ნაამაგარი იმ ქვეყანაში, რომლის დასამკვიდრებლადაც მიდიხარ“ (მეორე რჯული, 23, 19-20).<sup>1</sup>

პრაქტიკაში ნებისმიერი ეკონომიკური კრიზისი სრულდება საკუთრების ტოტალური გადანაწილებით ფინანსური სექტორისა და უმსხვილესი კომპანიების სასარგებლოდ. ეს ძალიან საინტერესო მომენტია და მასზე უნდა გამახვილდეს განსაკუთრებული ყურადღება. ამასთან, ეკონომიკური ციკლის დინამიკა პრაქტიკულად სრულად განისაზღვრება საბანკო საკრედიტო ციკლის დინამიკით და რეალური სექტორის ვალის დაგროვებით საბანკო სექტორის მიმართ. ეს პროცესი მკაცრად ციკლური ხასიათისაა და ეკონომიკაში ზრდისა და ვარდნის ძირითადი მიზეზია.

წარმოების საბაზრო წესისათვის დამახასიათებელია წინააღმდეგობა წარმოებასა და მოხმარებას შორის. არსებობს, სულ მცირე, სამი ფაქტორი, რომელიც ზღუდავს მოთხოვნისა და მიწოდების გაფართოებას და განაპირობებს კიდევ თანამედროვე ეკონომიკური სისტემის არამდგრადობას: ინვესტიციებზე შემოსავლიანობის შემცირება, სრული დასაქმების მიღწევა და საბანკო სისტემის მხრიდან დაკრედიტების შეზღუდულობა. მოკლედ, ციკლის თეორია შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ: საკრედიტო „ბუმი“, „ფინანსური სიმყიფე“, ჭარბწარმოება და სავალო კრიზისი.

რაც შეეხება ალტერნატიულ გეგმიან ეკონომიკას, სადაც დაკრედიტებაზე გადაწყვეტილება მიიღებოდა სახელმწიფოს მიერ, დეკრესია და ფინანსური კრიზისი, როგორც ასეთი, არ არსებობდა.

მეორე ალტერნატიულ მაგალითს წარმოადგენს ბოლო 35 წლის განმავლობაში მუდმივი საგარეო ექსპანსიის ფონზე უწყვეტად განვითარებადი ჩინეთის ეკონომიკა,

<sup>1</sup> იქვე, გვ. 184.

## **ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა**

რომელსაც „ეკონომიკური თავისუფლების“ პარალელურად გააჩნია სახელმწიფო რეგულირების აშკარად გამოხატული სპეციფიკა, სადაც ძირითადი საქმიანობა ფინანსური სისტემისა და ბუნებრივი მონოპოლიების რეგულირებაა. ფინანსური სისტემის გულს სახელმწიფო ბანკები წარმოადგენს, რომლებიც ახორციელებენ დირექტიულ დაკრედიტებას. არსებობს შეზღუდვები კაპიტალის მოძრაობაზე, კონვერტირებადობაზე, აქცენტი კეთდება სუვენერულ ფინანსურ პოლიტიკაზე, ეროვნული ვალუტის დომინირებაზე, სახელმწიფო საკუთრების დომინირებაზე ბუნებრივი მონოპოლიის სექტორში, რომელიც ქვეყანაში საკმაოდ დაბალი ტარიფების არსებობას უზრუნველყოფს. ერთი სიტყვით, სახეზეა აშკარა ანტილიბერალური მოდელი, რომელიც ეკონომიკას აბსოლუტურად მდგრად სისტემად აქცევს. ყოველივე ეს ეყრდნობა იაფი სამუშაო ძალის უზარმაზარ მარაგს, რომელსაც მუდმივად გააჩნია დასაქმებისა და უწყვეტი საგარეო ექსპანსიის მნიშვნელოვანი მარაგები, რაც მას ჯერჯერობით საშუალებას აძლევს გაყიდოს ყველაფერი, რაც იწარმოება. ამ ექსპანსიის მეორე მხარეა განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში ტრადიციული დარგების სტაგნაცია, რომლებიც კარგავენ სამუშაო ადგილებს ჩინეთის ეკონომიკის ზრდის ფონზე.

მიუხედავად რისკისა და „გადახურების“ ზოგიერთი ნიშნისა, ჩინეთის ეკონომიკას უწინდებურად შეუძლია თავი დააღწიოს რეცესიას, რადგანაც მისი ფინანსური ბაზრები დაცულია, სახელმწიფო მზადაა ნებისმიერ მომენტში მოახდინოს საბანკო სისტემის რეკაპიტალიზაცია და მიაწოდოს იმდენი ლიკვიდურობა, რამდენიც საჭირო იქნება. რაც შეეხება სამუშაო ძალას, მისი მარაგი ჯერჯერობით ამოუწურავია.

გლობალური ეკონომიკური კრიზისის ერთ-ერთი მიზეზი მსოფლიო ეკონომიკაში არსებული დისპროპორციაა, რომელიც ხანგრძლივი დროის მანძილზე შენდბული იყო



## **მალსაზ ჩიქობავა**

ვალის ზრდით, უპირველეს ყოვლისა, აშშ-სა და იაპონიაში. გარდა ამისა, ბოლო 40 წლის მანძილზე ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში ყველაზე სწრაფად მზარდი სფერო ფინანსური სექტორი იყო, რომელმაც კოლოსალურ მასშტაბებს მიაღწია. მაგალითად, აშშ-ში ეკონომიკის ფინანსური კაპიტალიზაცია 2008 წლისათვის დაახლოებით 48 ტრლნ დოლარს შეადგენდა, რაც სამჯერ აღემატებოდა ამ ქვეყნის მთლიან შიგა პროდუქტს. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი მსოფლიო ეკონომიკასა და ცალკეული ქვეყნების ეკონომიკაში წარმოქმნილი სტრუქტურული დისპროპორციანია, რაც გულისხმობს ფინანსური სექტორის მოწვევტას „ფიზიკური ეკონომიკისაგან“<sup>1</sup>.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება შემდეგი დასკვნის გაკეთება: ა) ეკონომიკის მდგრად განვითარებას უნდა ჰქონდეს ზრდის ოპტიმალური ტემპები. უფრო მაღალი ტემპები სისტემას „გადახურებისკენ“ უბიძგებს; ბ) ზრდის ოპტიმალური ტემპები მიღწეულ უნდა იქნეს საპროცენტო განაკვეთების ადეკვატური რეგულირებით, მოქნილი ანტიციკლური ფისკალური პოლიტიკით; გ) უნდა მოხდეს ვალების რესტრუქტურისაცია, ვალების შესაძლო მთლიანი ან თუნდაც ნაწილობრივი ჩამოწერა, ასევე მათი გაუფასურება და ლიკვიდურობის შეთავაზება; დ) საინვესტიციო პროექტების დაფინანსების ფართო არჩევანის შეთავაზება; საინვესტიციო პროექტების მნიშვნელობიდან გამომდინარე მათი დაფინანსების უზრუნველყოფა პროცენტების გადახდის ვალდებულების გარეშე.

როგორ უნდა დაიძლიოს ჭარბწარმოების კრიზისი? ცნობილია, რომ დიდი დეპრესიის საწყის ეტაპზე აშშ-ში ადგილი ჰქონდა წარმოებული პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილის ტოტალურ განადგურებას მილიონობით

---

ელგუჯა მექვაბიშვილი. სახელმწიფოს მარეგულირებელი როლი გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის პირობებში. *ეურნ., „ეკონომიკა და ბიზნესი“*, 2010 წ., №2, გვ. 21-22.



შემოსავლების გარეშე დარჩენილი ადამიანების არსებობის ფონზე. დეპრესიიდან გამოსვლა არა იმდენად რუხველტის „ახალმა ინდუსტრიულმა კურსმა“ განაპირობა, რამდენიც მანამდე არნახულმა სამხედრო ხარჯებმა. ანალოგიურმა პოლიტიკამ დასავლეთ ევროპის ქვეყნებშიც მოახდინა ერთობლივი მოთხოვნის ომის შემდგომი ზრდა. აღსანიშნავია, რომ მაშინ სახელმწიფო ხარჯების ზრდის კვალობაზე გაიზარდა გადასახადებიც. საზოგადოების ყველაზე მდიდარმა ფენებმა გამოავლინეს მაღალი სოციალური თვითშეგნება, გაიღეს რა უზარმაზარი ხარჯები თავისუფალი ბაზრის სისტემის სტაბილიზაციისათვის სოციალისტური ალტერნატივისა და სოციალური დაძაბულობის თავიდან არიდების მიზნით. მაგრამ, ბოლო 30 წლის განმავლობაში მონეტარიზმისა და ლიბერალიზმის ზეობის დროს, გადასახადები აშშ-ში შემცირდა, ხოლო მისი ზრდა პრაქტიკულად შეუძლებელია, რაც, თავისთავად, სავალო პრობლემას კიდევ უფრო ამწვავებს. სოციალისტური სისტემის მშვიდობიანმა დემონტაჟმა ნეგატიური გავლენა იქონია თვით საბაზრო სისტემაზე. საბაზრო ეკონომიკის არამდგრადობა აქტუალურს ხდის მისი დაბალანსების აუცილებლობას, ეს კი წარმოუდგენელია ინფრასტრუქტურულ პროექტებში, მეცნიერებაში, განათლებაში, ჯანდაცვასა და სხვა სფეროში სახელმწიფოს აქტიური მონაწილეობის გარეშე. კერძო სექტორის ჭარბი რესურსების თავისდროულ და კომპეტენტურ ამოღებას ძალუძს ჭარბი ინვესტიციების ნიველირება კრიზისულ პერიოდში და პირიქით, სახელმწიფო ხარჯების ზრდით ერთობლივი მოთხოვნის სტიმულირებას - კერძო საინვესტიციო ხარჯების დეფიციტის კომპენსირება.

პოლიტიკოსებს, რომლებსაც ეკონომიკის იდეალური მოდელი წარმოუდგენიათ ნულოვანი სახელმწიფო სექტორით, არ ესმით, რომ მსგავსი სისტემა უკიდურესად არასტაბილურია. დღეისათვის სადავო არ უნდა იყოს ის, რომ ბაზარი თავისთავად პანაცეა არაა და მას არ ძალუძს სრულად მოახდინოს ეკონომიკური საქმიანობის

კორდინაცია, განსაკუთრებით კრიზისულ სიტუაციებში, ამიტომაც საჭიროა გონივრული სახელმწიფო რეგულირება და დაგეგმვა.

## **Modern World Economic Crisis from the Standpoint of the Business Cycle Theory**

**M. Chikobava**

The work analyses the modern problems of the world economic crises from the standpoint of the business cycle theories.

The main cause of the present global crisis is a disproportion of the world economy, which has been hidden behind the growth of national debt in for a long time first of all in the USA and Japan. This disproportion is caused by a huge gap between potential possibilities of production in the USA, Japan and on the one hand and on the other hand, the adequate markets for their production. This is caused by historical desire of western countries to benefit from the backwardness of the Third World countries and maintain their hegemony over them. This will be like a boomerang to them. Probably, economic conditions would be better in these countries if Africa, Russia, Latin America and India had more developed economy. J. Stiglitz called this “weakness in global demand”.

Those politicians who see ideal model of economy with zero public sector, don't understand that such system can be especially unstable. Nowadays there should be no doubt that market itself isn't panacea and can't completely coordinate economic activities, especially in a crisis situation. Therefore, competent and reasonable state regulation and planning is necessary.

**სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკის  
რეფორმა და მისი შედეგები საქართველოში**

**გიორგი ბაგინიაშვილი**  
**ივ. ჯავახიშვილის სახელობის**  
**თსუ – ის დოქტორანტი**

სახელმწიფო შესყიდვებს მიეკუთვნება ნებისმიერი დონის ხელისუფლების ორგანოების და სახელმწიფო ორგანიზაცია – დაწესებულებების დანახარჯების ერთობლიობა, რომელიც გაიწევა საზოგადოებრივ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად შეძენილი საქონლისა და მომსახურების ანაზღაურებისთვის<sup>1</sup>. სახელმწიფო შესყიდვების მნიშვნელობა იზრდება გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, რადგან საბაზრო გარემოში, სახელმწიფო შემოსავლების მობილიზაციასთან ერთად, აქტუალური ხდება ხარჯების გაწვევის რაციონალიზაცია. სახსრების ეფექტიანი მართვის საკუთარ მოდელებს სახელმწიფოები ქმნიან სახელმწიფო შესყიდვების სისტემაზე დაყრდნობით. სახელმწიფო შესყიდვები შეადგენს მთლიანი შიგა პროდუქტის მნიშვნელოვან ნაწილს და ემსახურება სახელმწიფო სახსრების რაციონალურ ხარჯვასა და გამჭვირადე - კონკურენტული გარემოს შექმნას როგორც სახელმწიფო, ასევე ბიზნესსექტორისათვის. მან უნდა უზრუნველყოს შემსყიდველი ორგანიზაციისა და საზოგადოების ინტერესების მაქსიმალური დაცვა საჯაროობის, რაციონალურობის, თანასწორობის, პასუხისმგებლობის და ეფექტიანობის ამდლების გზით. ადგილობრივ ბაზარზე სახელმწიფო უწყებების მიერ საქონლისა და მომსახურების შესყიდვის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ მთავრობამ შეძლოს საჯარო მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა და მასზე დაკისრებული სხვა ამოცანების შესრულება. შესყიდვების სისტემა საკმაოდ დიდ გავლენას ახდენს სახელმწიფო სახსრების ეფექტიან გამოყენებაზე. ასევე, იგი გვინგებებს საზოგადოების ნდობას, დამოკიდებულებას როგორც ხელისუფლების, ასევე მწარმოებლების მიმართ.

<sup>1</sup> სახელმწიფო შესყიდვები, რედაქტორ-შემდგენელი თ. ხომერიკი, ინოვაცია, თბ., 2006, გვ. 216.

საერთაშორისო პრაქტიკაში განსხვავებული სახელმწიფო შესყიდვების სისტემებია, რაც ძირითადად ცენტრალიზაციის სხვადასხვა დონესა და ადმინისტრირების ხარისხით გამოიხატება. თუმცა, მათ აქვთ საერთო ნიშნებიც ზოგადი პრინციპებისა და გამოყენებული მეთოდების თვალსაზრისით. სახელმწიფო შესყიდვების ეფექტიანი სისტემის ფორმირებისა და ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანია სამთავრობო კონტრაქტების შესახებ ინფორმაციის საჯაროობის და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; ასევე, სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მიმწოდებლებისათვის სამართლიანი და სრულყოფილი კონკურენციის არსებობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კვლევის მიზნად დავისახეთ შეგვესწავლა საქართველოში სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკის განვითარების ეტაპები, ამ სფეროში განხორციელებული რეფორმები და მიღებული შედეგები, რაც სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკის სფეროს შეფასების საფუძველს მოგვცემს.

საქართველოში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების სისტემის რეფორმა დაიწყო 1998 წელს, როდესაც პირველად იქნა მიღებულ კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ. რეფორმა ორიენტირებული იყო რადიკალური ცვლილებების ეკონომიკური უზრუნველყოფისკენ და იგი დღემდე ცვლილებებისა და დახვეწის პროცესშია. კანონის მიზანს წარმოადგენდა სახელმწიფოს მონიტორინგის არეალში მოექცია საჯარო სექტორში განხორციელებული შესყიდვები და ხელი შეეწყო ჯანსაღი, კონკურენტუნარიანი და გამჭვირვალე სისტემის ჩამოყალიბებისათვის. მისი დანერგვა საწყის ეტაპზე შეუძლებელი გახდა, რასაც საერთაშორისო ნორმებთან ჰარმონიზაციის მიზნით 2001 წლისთვის საკანონმდებლო ცვლილებები მოჰყვა. კანონმდებლობის მრავალგვარი ინტერპრეტაცია, მარეგულრელებელი კანონმდებლობით განსაზღვრული ნორმების იგნორირება არაეფექტიან ხდიდა რეფორმების მოქმედებას აღნიშნულ სფეროში. ამ პერიოდში სახელმწიფო შესყიდვები მხოლოდ ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით განხორციელებულ შესყიდვებს მოიცავდა, ხოლო სხვა მნიშვნელოვანი ხარჯები მოძრაობდა კანონის მიღმა. შესაბამისად, კანონმა ვერ შეძლო საზოგადოებრივი ნდობის მოპოვება.

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის სრულყოფის მიზნით დიდი ფინანსური და ტექნიკური დახმარება იქნა

გაწეული საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მხრიდან სახელმწიფო შესყიდვების სისტემურ რეფორმირების მიზნით.

სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკის ინსტიტუციური და ინსტრუმენტარული სრულყოფის მიზნით ძირეული რეფორმის ეტაპი 2005 წელს დაიწყო. კანონმდებლობის დიდმა ნაწილმა ცვლილებები განიცადა და დაიწყო რეფორმების სისტემური დანერგვა, თუმცა, ამ მცდელობითაც ვერ მოხერხდა სახელმწიფო შესყიდვების პრინციპების სამართლიანი და გამჭვირვალე გარემოს შექმნა.

სახელმწიფო შესყიდვების რეფორმის მესამე ეტაპი 2010 წლის 1 იანვრიდან დაიწყო. აღნიშნული რეფორმის შედეგები აღიარებულ იქნა საერთაშორისო საზოგადოებრიობის მხრიდან, ამიტომ სწორედ აღნიშნული ეტაპი წარმოადგენს ჩვენი კვლევისა და ანალიზის სფეროს.

სახელმწიფო შესყიდვების სისტემის რეფორმისას განისაზღვრა პრიორიტეტები და მოთხოვნები, რომელიც უნდა დაეკმაყოფილებინა საკანონმდებლო ცვლილებებს კერძო და სახელმწიფო სექტორისათვის. რეფორმის ძირითად მიზანს წარმოადგენდა სამოქალაქო საზოგადოებაში სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკის მიმართ ნდობის ამაღლება. ამ მიზნის მისაღწევად გამოიყო რამდენიმე ძირეული საკითხი:

- შესყიდვების პროცედურების მაქსიმალური გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;
- სახელმწიფო ფინანსების რაციონალური ხარჯვის ხელშეწყობა;
- პრეტენდენტების შეფასებისას ობიექტური გადაწყვეტილებების უზრუნველყოფა;
- შესყიდვის პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების ხარისხის გაუმჯობესება;
- დავეების განხილვის ეფექტიანი და გამჭვირვალე მექანიზმის შექმნა;
- სახელმწიფო შესყიდვების სფეროს მიმართ საზოგადოებრივი ცნობიერების/ნდობის ამაღლება;
- შესყიდვების სფეროში ევროკავშირის და სხვა მოწინავე ქვეყნების კანონმდებლობასთან ეტაპობრივი ჰარმონიზაცია;

• სააგენტოს რესტრუქტურისაცია/მოდერნიზაცია (ღ-სისტემის, ელექტრონული დოკუმენტ-ბრუნვის სისტემის დან-

ერგვა, არქივის დიგიტალიზაცია).

ცვლილებების შედეგად პროცედურები და ბიუროკრატიული საფეხურები მინიმუმადე შემცირდა, რაც რეფორმის ერთ – ერთი ყველაზე წარმატებული მიღწევაა. ასევე, 4-ჯერ შემცირდა სატენდერო მოსაკრებლის გადასახადი – 200 ლარიდან 50 ლარამდე, რამაც რეფორმის გატარების პერიოდიდან სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე მხარეებს სახსრების დიდი ეკონომია მისცა. მთლიანობაში, გამოცხადებული და ჩატარებული ტენდერების რაოდენობამ 48 243 ერთეული, ხოლო თანხობრივად ეკონომიამ 7 236 450 ლარი შეადგინა<sup>1</sup>.

შეიქმნა ელექტრონული პორტალი და შემოღებული იქნა ელექტრონული ტენდერის ინსტრუმენტი, რომლის მთავარი ფუნქციაა შესყიდვების პროცესის ორგანიზებულად და გამჭვირვალედ განხორციელების ხელშეწყობა. აღნიშნულ პორტალზე დარეგისტრირებულია როგორც შემსყიდველი, ასევე მიმწოდებელი ორგანიზაციები და შექმნილია მათი ერთიანი სისტემური ბაზა. ერთიანი ელექტრონული ბაზის არსებობა ამარტივებს შესყიდვების პროცესის მონაწილეთა შორის ინფორმაციის ურთიერთგაცვლას და ფორმალურ მხარეებს.

შემსყიდველი ორგანიზაციები პორტალზე აქვეყნებენ თავიანთ წინადადებებს, რაც ინფორმაციულად ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. კანონით, შესასყიდი საქონლისა თუ მომსახურების თანხობრივი მოცულობიდან გამომდინარე, განსაზღვრულია ტენდერის ტიპები, რაც შემდგომ აისახება სატენდერო დოკუმენტაციის ატვირთვის ვადაზე, ვაჭრობის გამოცხადებაზე, გამარჯვებულის გამოვლენასა და ხელშეკრულების გაფორმებაზე.

აღნიშნული რეფორმის შედეგად შემსყიდველ ორგანიზაციებს მიეცათ შესყიდვების მუხლით გათვალისწინებული საბიუჯეტო ხარჯების გამჭვირვალედ და რაციონალურად ხარჯვის შესაძლებლობა. შესაძლებელია სატენდერო წინადადებაში მითითებული სავარაუდო ფასების შემცირება, რაც შემსყიდველი ორგანიზაციებისთვის ძალიან მიმზიდველი შედეგია. აუქციონის წესით მონაწილე მიმწოდებელ ორგანიზაციებს უწყვეტ ფასის დაკლება ტენდერში გამარჯვებულის სტატუსის მოპოვებისა და საქონლისა თუ მომსახურების ფაქტობრივი ფასის განსაზღვრის მიზნით. სავარაუდო და ფაქტობრივ

---

<sup>1</sup> [www.sps.ge](http://www.sps.ge)

ფასებს შორის განსხვავებით მიღებულმა ეკონომიამ, 2010 წლიდან 2012 წლის მაისის ჩათვლით, 300 მლნ ლარამდე შეადგინა, რაც იმას ნიშნავს, რომ რეფორმის შედეგად საჯარო სექტორში საკმაოდ დიდი თანხის ეკონომია გაკეთდა და შემსყიდველ ორგანიზაციებს გამოთავისუფლებული სახსრების სხვა მიზნით გამოყენების საშუალება მიეცათ.

აღნიშნულმა სისტემამ მიმწოდებელ ორგანიზაციებს საშუალება მისცა გამჭვირვალე კონკურენციულ გარემოში მიიღონ მონაწილეობა სახელმწიფო შესყიდვებში და წარმოადგინონ თავიანთი საქონელი ან მომსახურება თავიანთთვის სასურველი პირობებით. ასევე, შეუძლიათ წინასწარ განსაზღვრონ და დაეგეგმონ თავიანთი ბიზნესინტერესები, თუ რა მხრივ განავითარონ და გააძლიერონ საქმიანობის არეალი. ანალიზის საფუძველს მათ აძლევს ის მიმდინარე და ჩატერებული ტენდერების სტატისტიკა, რომელიც მოცემული და ხელისაწვდომია საინფორმაციო ელექტრონულ პორტალზე.

რეფორმის მნიშვნელოვანი შედეგია შესყიდვების პროცესის გამჭვირვალეობის უზრუნველყოფა. შესყიდვებისას წარმოქმნილი დავების, უთანხმოებებისა და უზუსტობების დარეგულირების მიზნით, სააგენტოში იქმნება საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც პარიტეტული პრინციპის საფუძველზე შედიან სააგენტოსა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები. დავების განმხილველი საბჭოს შემადგენლობა და საქმიანობის წესის განსაზღვრა მოხდა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით.

დავების წარმოშობისას შემსყიდველ ორგანიზაციას ან სააგენტოს გამოაქვს დასაბუთებული წერილობითი გადაწყვეტილება და აცნობებს მას მომჩივანს, საჩივრის მიღებიდან არა უგვიანეს 10 სამუშაო დღისა. სააგენტოს გადაწყვეტილების ცნობებად ჩათვლება გადაწყვეტილების გამოქვეყნება სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე.

სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის მნიშვნელოვანია არაკეთილსინდისიერი მიმწოდებელი ორგანიზაციების გამოვლენა სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში და მათ მიმართ სანქციების გატარება. ამ მიზნით, კანონით განისაზღვრა შავი სიის წარმოების აუცილებლობა, რომელშიც ხვდება ის ორგანიზაციები, რომლებიც კანონდარღვევით ცდილობენ შესყიდვებში მონაწილეობას. შავ სიაში მოხვედრილ ორგანიზაციებს 1 წლის მანძილზე ეკრძალებათ ეკონომიკური საქმიანობა



## **ბიორგი ბაჟრინდაშვილი**

და ეს ინფორმაცია ხელისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის.

2012 წლის 1 მაისიდან, ასევე, დაიწყო კეთილსინდისიერი მიმწოდებლების თეთრი სიის წარმოება რაც ბიზნესსექტორისათვის კეთილსინდისიერი ქმედების მოტივაციის გამოაწვევევი გადაწყვეტილებაა. დღემდე თეთრ სიაში მოხვდა 2 ორგანიზაცია, ხოლო შავ სიაში – 284 მიმწოდებელი სუბიექტი<sup>1</sup>.

აუცილებელია შევეხოთ კონსოლიდირებულ ტენდერს, რომელიც მთავრობის გადაწყვეტილების საფუძველზე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ ჩაატარა ნავთობპროდუქტებთან მიმართებით. განისაზღვრა სამი გამარჯვებული კომპანია რომელთანაც ხელშეკრულების გაფორმების საშუალება მიეცათ შემსყიდველ ორგანიზაციებს ელექტრონული ტენდერის განხორციელების გარეშე. ამ გადაწყვეტილებამ დიდი შეღავათი მისცა შემსყიდველ ორგანიზაციებს, რადგან ამ მხრივ გამოცხადებული ელექტრონული ტენდერების უმრავლესობა იშლებოდა საფონდო ბირჟაზე ნავთობპროდუქტების ფასის სწრაფი ცვალებადობის მიზეზით.

ამრიგად, სახელმწიფო შესყიდვების სფეროში გატარებული რეფორმების შეფასების შედეგად შეგვიძლია დასკვნათ, რომ აღნიშნული სფეროს სწორად რეგულირების და შესაბამისი პოლიტიკის გატარების გზით შესაძლებელია ქვეყანაში მოხდეს საბიუჯეტო ხარჯების რაციონალურად და გამჭვირვალედ განკარგვა. ასევე, ბიზნესსექტორს ეძლევა ბაზარზე კონკურენციის პირობებში დამკვიდრებისა და წინასწარი ანალიზის გაკეთების საშუალება.

### **State procurement policy, reforms and results in Georgia**

#### **G. Gaprindashvili**

The importance of state procurements is increasing in transition economies, including Georgia, as in terms of market environment along with the mobilization of state, the issue of rationalizing expenditures becomes crucial. Based on the evaluation of the reforms implemented in Georgia regarding the state procurement, we can conclude that it's possible to manage budget expenses in a rational and transparent way through proper regulation and appropriate policy. In addition, for the business sector it becomes possible to make preliminary analysis in a competitive environment.

<sup>1</sup> [www.sps.ge](http://www.sps.ge)



**საერთაშორისო სტრატეგიული  
დაგეგმვა მრავალეროვნულ  
კომპანიებში**

**დავით ნიჭარაძე,  
ივანე ჯავახიშვილის სახ. თსუ-ის დოქტორანტი**

სტრატეგიული მენეჯმენტი არის ორგანიზაციის ძირითადი მისიისა და გრძელვადიანი მიზნების განსაზღვრის, შემდგომ ამ მიზნების მიღწევისათვის აუცილებელი სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის პროცესი. თავდაპირველად მრავალეროვნული კომპანიების (მკ) უმეტესობაში სტრატეგიის რეალიზაციაზე პასუხისმგებლობა უმაღლესი რგოლის მენეჯერებს ეკისრებოდათ. საშუალო რგოლის მენეჯერების როლი კი სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში შედარებით უმნიშვნელო იყო. თუმცა, თანამედროვე კომპანიებმა გააცნობიერეს, რომ აღნიშნულ პროცესში ჩართული უნდა იყოს ყველა რგოლის მენეჯერი.<sup>1</sup> ცნობილი ავტომობილების მწარმოებელი კომპანია „Volvo“-ს ვიცე პრეზდენტმა შიგა სტრატეგიული კომუნიკაციების დარგში ჩარლი ნორდბლამმა<sup>2</sup> აღმოაჩინა, რომ სანამ გუნდის წევრებს გააცნობდნენ ახალ სტრატეგიულ გეგმას, ყველაზე კომპეტენტური, ენთუზიაზმით აღსავსე და ეფექტური მენეჯერები იყვნენ ისინი, ვინც ჩართული იყო დაგეგმარების მთლიან პროცესში. „Volvo“-ს მსგავსად იქცევა მისი კონკურენტი „BMW“, რომელიც სტრატეგიული და ოპერაციული გადაწყვეტილებების მიღების დროს ახდენს ყველა დონის მენეჯერების ინტეგრაციას.<sup>3</sup>

**სტრატეგიული დაგეგმვის უპირატესობები.**

მკ-ების უმეტესობა დარწმუნებულია, რომ სტრატე-

<sup>1</sup>Hotget R.M., Luthans F., International Management: Culture, Strategy and Behavior, 2012, p. 271.

<sup>2</sup> <http://www.volvologists.com>

<sup>3</sup> Charlie Nordblom, “Involving Middle Managers in Strategy at Volvo Group,” Strategic Communication Management 10, no. 2 (February–March 2006), p. 26–29.

გიული დაგეგმვა საქმიანობის წარმატების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია და ცდილობს მის გამოყენებას როგორც სათავო ოფისში, ასევე ფილიალებშიც. სტატისტიკის თანხამდ, მკ-ების 70% იყენებს სტრატეგიულ დაგეგმვას, რათა განსაზღვროს ფირმის საქმიანობა შემდგომი 5-10 წლის განმავლობაში.<sup>1</sup> იმაზე თუ რამდენად სასარგებლოა და ეხმარება სტრატეგიული დაგეგმვა საერთაშორისო კომპანიებს გლობალურ ბაზარზე წარმატების მიღწევაში, დღესდღეობით ცალსახა პასუხი არ არსებობს. თუმცა ფაქტია, რომ მკ-ების უმრავლესობას სტრატეგიული გეგმა ეხმარება საკუთარი ბიზნესსაქმიანობის კოორდინაციაში. ასეთი საქმიანობა კი უმეტეს შემთხვევაში მოიცავს თითქმის მთელ მსოფლიოს. სტრატეგიული გეგმა მკ-ებს ასევე საშუალებას აძლევს გაითვალისწინოს და დაძლიოს ისეთი პრობლემები, რომელიც დაკავშირებულია პოლიტიკურ რისკებთან, კონკურენციასთან, ვალუტების კურსის არასტაბილურობასთან და ა.შ.

**სტრატეგიის ფორმირებასა და იმპლემენტაციასთან დაკავშირებული მიდგომები.**

საერთაშორისო მენეჯმენტში არსებობს სტრატეგიული დაგეგმვისადმი ოთხი ზოგადი მიდგომა:

1. ეკონომიკურ იმპერატივზე დაფუძნებული მიდგომა;
2. პოლიტიკურ იმპერატივზე დაფუძნებული მიდგომა;
3. ხარისხის იმპერატივზე დაფუძნებული მიდგომა;
4. დანერგვისა და ადმინისტრაციულ კოორდინაციაზე დაფუძნებული მიდგომა.

**ეკონომიკურ იმპერატივზე დაფუძნებული მიდგომა.**

მკ-ები, რომლებიც კონცენტრირდებიან ეკონომიკურ იმპერატივზე იყენებენ ისეთ საერთაშორისო სტრატეგიას, რომელიც ემყარება ლიდერობას დანახარჯების მიხედვით, დიფერენციაციასა და სეგმენტირებას. ამ შემთხვევაში საშუალო რგოლის მენეჯერები ასრულებენ მნიშვნელოვან როლს კომპანიის მოგების ზრდის სტიმულირებაში. ასე, რომ მსგავსი ძალისხმევის გაძლიერება წარმოადგენს აუცილებელ

<sup>1</sup> Barry Hopewell, "Strategic Management: A Multi-perspective Approach," Long Range Planning 36, no. 4 (July 2003), p. 317.

ინსტრუმენტს, რომელიც უნდა იცოდეს თანამედროვე მენეჯერმა.<sup>1</sup> მკეების უმრავლესობა, რომელიც ეკონომიკურ იმპერატივს ეფუძნება, ყიდის ისეთ პროდუქციას, რომლის ღირებულება მრეწველობაში შექმნილია ზემოთ მიმართული ღირებულებათა ჯაჭვის მიხედვით. ღირებულებათა ჯაჭვი კი ეს არის პროცესი, რომელიც გრძელდება კომპანიის მიერ ნედლეულის შექმნიდან მზა პროდუქციის მომხმარებელზე გადაცემამდე. მერეწველობის ასეთ დარგებს მიეკუთვნება საავტომობილო, ქიმიური, ენერგეტიკული სისტემები, ფოლადი და ა.შ. ეკონომიკურ იმპერატივზე დაფუძნებულ მიდგომას მიმართავენ ისეთი ცნობილი მკეები, როგორცაა: „IBM“, „Apple“ და „Compaq“-ი.<sup>2</sup>

**პოლიტიკურ იმპერატივზე დაფუძნებული მიდგომა.**

ამ შემთხვევაში მკეები სტრატეგიული გეგმის ფორმულირებასა და დანერგვას ახდენენ ისეთი სტრატეგიის გამოყენებით, რომელიც განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყნისათვის და იგი ძირითადად მიმართულია ადგილობრივი ბაზრების ნიშების დასაცავად. მკეების მიერ ამ დროს გაყიდული საქონელი წარმოებულია ღირებულებათა ჯაჭვს ქვემოთ მიმართული საქმიანობის შედეგად. ასეთი საქმიანობის მაგალითებია სადაზღვევო და ფინანსური საქმიანობა, სამომხმარებლო პროდუქციის წარმოება და ა.შ. აღნიშნული საქონლის ან მომსახურების წარმატებას განაპირობებს სწორი მარკეტინგული პოლიტიკა, როგორც წესი, მსგავსი ინდუსტრიები იყენებენ კონკრეტულ ქვეყანაზე ფოკუსირებულ ან მულტი-ადგილობრივ სტრატეგიას.

ქვეყანაზე ფოკუსირებული სტრატეგიის საკმაოდ კარგი მაგალითია ინდური გამაგრებელი სასმელი „Thums Up“. მისი წარმოება დაიწყო 1977 წელს კომპანიამ „Parle“. 1993

<sup>1</sup>Johanna Mair, “Exploring the Determinants of Unit Performance: The Role of Middle Managers in Stimulating Profit Growth,” *Group & Organization Management* 30, no. 3 (June 2005), p. 263–288.

<sup>2</sup>Hotget R.M., Luthans F., *International Management: Culture, Strategy and Behavior*, 2012, p. 273.

წელს იგი 60 მლნ დოლარად შეიძინა „Coca-Cola“-მ.<sup>1</sup> თუმცა, აღნიშნული კომპანიის აქციები მალევე გაყიდა და დატოვა ინდოეთის ბაზარი. მომდევნო ათწლეულის განმავლობაში „Thums Up“, რომელსაც გააჩნია კოკა-კოლას მგავსი გემო, გახდა ყველაზე პოპულარული და გაყიდვადი გამაგრილებელი სასმელი საკუთარ ქვეყანაში. შემდეგ „Coca-Cola“ კვლავ დაბრუნდა ინდურ ბაზარზე, ისევ შეიძინა ხსენებული ბრენდი და გადაწყვიტა მისი უკანა პლანზე გადატანა და სანაცვლოდ საკუთარი მარკების წინ წაწევა, თუმცა, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში წარმატებულმა სასმელმა ამჯერად მომხამრებალთა ინტერესი ვერ გამოიწვია, რადგან „Thums Up“ მყარად ინარჩუნებდა პოპულარობას და გაყიდვების მაღალ მაჩვენებლს. გარდა ამისა, მან შეამჩნია, რომ მისი კონკურენტი „PePsi“ ამ ვითარებით ძალიან კარგად სარგებლობდა. საბოლოოდ, „Coca-Cola“-მ ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე, შეცვალა საკუთარი სტრატეგია და კონცენტრირება მოახდინა კვლავ „Thums Up“-ზე, რომელიც დღესდღეობით ინდოეთში ყველაზე სწრაფად მზარდი და გაყიდვადი ბრენდია. როგორც დაკვირვებებმა აჩვენა, დღესდღეობით „Coca-Cola“ აღნიშნული მარკის წარმოებაზე უფრო მეტს ხარჯავს, ვიდრე საკუთარ პროდუქტებზე.<sup>2</sup>

### **ხარისხის იმპერატივზე დაფუძნებული მიდგომა.**

ამ შემთხვევაში ხარისხის იმპერატივი წარმოდგენილია ორი ძირითადი მიმართულებით:

1. დამოკიდებულების შეცვლა და მოლოდინის გაზრდა მომსახურების ხარისხისადმი;

2. ისეთი პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა მენეჯმენტში, რომელიც მოწოდებული იქნება გადააქციოს ხარისხის გაუმჯობესება უწყვეტ პროცესად. ეს უკანასკნელი კი გულისხმობს ე.წ. ხარისხის მართვის ტოტალური სისტემის დანერგვას.

<sup>1</sup> <http://www.coca-colaindia.com/products/thumsup.html>

<sup>2</sup> [http://www.brandchannel.com/features\\_profile.asp?pr\\_id=211](http://www.brandchannel.com/features_profile.asp?pr_id=211)

ხარისხის ტოტალური მენეჯმენტი მოიცავს საქმიანობის მთელ სპექტრს, დაწყებული სტრატეგიის ფორმულირებიდან, მისი განხორციელებით დამთავრებული. ხარისხის ტოტალური მენეჯმენტი შეიძლება განისაზღვროს შემდეგნაირად:

1. ტოტალური ხარისხი მიიღწევა მომხმარებელთა მოლოდინის გამართლებით ან გადაჭარბებით;

2. ხარისხის სტრატეგია ფორმულირდება უმაღლესი დონის მენეჯერების მიერ და შემდგომ იგი მიეწოდება ორგანიზაციის ყველა რგოლსა და სტრუქტურას;

3. ხარისხის უზრუნველყოფის ტექნიკაში გამოიყენება ყველა მეთოდი, დაწყებული ტრადიციული ინსპექტირებიდან და ხარისხის კონტროლის სტატისტიკიდან, ადამიანური რესურსების მენეჯმენტის თანამედროვე მეთოდებით დამთავრებული.

ცნობილი მკვებების უმრავლესობისათვის ხარისხის კონტროლი სტრატეგიის შემადგენელი ნაწილია, ვინაიდან იგი ბაზრის წილისა და მოგების მაჩვენებლის გაზრდის არსებითი ფაქტორია<sup>1</sup>.

საკუთარი სტანდარტების შემუშავებისას მსხვილი კორპორაციები ეყრდნობიან ხარისხის ისეთ სტანდარტებს, რაც შემუშავებულია სტანდარტიზაციის მსოფლიო ორგანიზაცია ISO-ს მიერ. ISO არის უმსხვილესი ორგანიზაცია, რომელიც აწესებს საერთაშორისო სტანდარტებს. იგი წარმოდგენილია 163 ქვეყანაში და სათავე ოფისი განთავსებულია ქალაქ ვენევაში, რომელიც კოორდინაციას უწევს აღნიშნულ წარმომადგენლობებს.

ISO 9000 - ხარისხის მენეჯმენტის სერიის სტანდარტების კომპლექსი მოიცავს ხარისხის მართვის მთელი სისტემის სტანდარტიზაციას და გამოიყენებას ევროკავშირსა და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შემაჯავლი ქვეყნების მიერ.<sup>2</sup>

<sup>1</sup> Hotget R.M., Luthans F., International Management: Culture, Strategy and Behavior, 2012, p. 275-276.

<sup>2</sup> <http://www.iso.org/iso/about.htm>

ხარისხის იმპერატივის მაგალითად განვიხილოთ ვიდეოთამაშების ელექტრომოწოდებლობათა ინდუსტრიაში ფუნქციონირებადი მკ „Nintendo“, რომელიც ყოველთვის იმყოფებოდა მისი კონკურენტი ცნობილი კომპანია 'Sony'-ის საერთაშორისო ბაზარზე წარმატების ჩრდილქვეშ. ეს უკანასკნელი აწარმოებს ვიდეოთამაშების საკმაოდ ცნობილ ბრენდს – „PlayStation“-ს. მოგვიანებით, „Nintendo“ მის კიდევ ერთ კონკურენტ ფირმა „Wii“-ზე დაკვირვების შედეგად, რასაც, თავის მხრივ, საერთაშორისო მენეჯმენტში ბენჩმარკინგი ეწოდება, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მოცემულ შემთხვევაში ეფექტური იქნებოდა პროდუქციის ხარისხის იმპერატივზე დაფუძნებული სტრატეგიის განხორციელება. შედეგად „Nintendo“-მ საკუთარ წარმოებაში დანერგა ხარისხის საერთაშორისო სტანდარტები, რითაც უზრუნველყო საკუთარი ელექტრომოწოდებლების მაღალი ხარისხი, ამან კი მკვეთრად შეასუსტა „Sony“-ის ლიდერის პოზიცია გლობალურ ბაზარზე. ყოველივე ამას ასევე ხელი შეუწყო „Sony“-ის მიერ გამოშვებულმა ვიდეოთამაშების ახალი მოდელის „PlayStation 3“-ის წარუმატებლობამ.

**ადმინისტრაციულ კოორდინაციაზე დაფუძნებული მიდგომა.**

ადმინისტრაციულ კოორდინაციაზე აგებული სტრატეგია გამოიყენება მაშინ, როდესაც მკ-ები გადაწყვეტილებას იღებენ ცალკეული სიტუაციიდან გამომდინარე და არა წინასწარ განასაზღვრული ეკონომიკური ან პოლიტიკური სტრატეგიის გათვალისწინებით.<sup>1</sup>

გლობალური სტრატეგიის განხორციელებისას საქმიანობის კოორდინაცია კონკურენტული უპირატესობის მოპოვების საკმაოდ კარგი შესაძლებლობაა. კოორდინაციის უპირატესობაა ცოდნისა და გამოცდილების დაგროვება, რომელიც სხვადასხვა ადგილიდან მოიპოვება. კოორდინაციას შეუძლია ფირმის პროდუქციის დიფერენციაციის გაძლიერება. მობილური და მრავალეროვნული კლიენტების მომსახუ-

<sup>1</sup> Hotget R.M., Luthans F., International Management: Culture, Strategy and Behavior, 2012, p. 277.

რების უნარი საკმაოდ მნიშვნელოვანი არგუმენტია განყოფილებათა საქმიანობის კარგი კოორდინაციის სასარგებლოდ.

სხვადასხვა განყოფილების შეთანხმებულ საქმიანობას ხელს უშლის ორგანიზაციული ხასიათის სირთულეები, ფირმისა და ფილიალების ინტერესების შეთანხმების სიძნელეები, კულტურული და ენობრივი ბარიერები.<sup>1</sup>

მაგალითად, ცნობილმა ამერიკულმა კომპანიამ – „Walmart“, რომელიც ფლობს ფასდაკლების მაღალიათა ქსელს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, ოპერირება დაიწყო ლათინური ამერიკის რეგიონში, რისთვისაც გამოიყენა იგივე სტრატეგია, რაც უკვე წარმატებით ჰქონდა განხორციელებული ჩრდილოეთ ამერიკის ბაზარზე, თუმცა, იგი მაღე მიხვდა, რომ აქ მომხმარებელთა გემოვნება რადიკალურად განსხვავდებოდა წინა რეგიონისაგან. ამის შემდეგ მას მოუწია საკუთარი სტრატეგიის კოორდინაცია და ადაპტაცია ახალი რეგიონის ეკონომიკურ და კულტურულ მახასიათებლებთან. შედეგად 2003 წელს საერთაშორისო ოპერაციების მოცულობა ამ რეგიონში 25-30%-ით გაიზარდა. „Walmart“-ი დღესდღეობით წარმოდგენილია მსოფლიოს 27 ქვეყანაში და 2012 წლის მონაცემებით, მისი გაყიდვების მოცულობამ 444 მლრდ დოლარს გადააჭარბა.<sup>2</sup>

### **გლობალური და რეგიონული სტრატეგიები.**

საერთაშორისო სტრატეგიული მენეჯმენტის ასპექტით, ბუნებრივად ისმის კითხვა იმის შესახებ, მკ-ებმა გლობალური სტრატეგია უნდა განახორციელონ თუ რეგიონული. საერთაშორისო მენეჯმენტში ამ მოვლენას ეწოდება „კონფლიქტი გლობალიზაციასა და ეროვნულ გამოძახილს შორის“. გლობალიზაცია, ანუ გლობალური ინტეგრაცია არის ჰომოგენური ტიპის და ხარისხის პროდუქციის ან მომსახურების წარმოება და გასაღება მსოფლიოს მასშტაბით. სწორედ ჰომოგენურ პროდუქციაზე მომხმარებელთა მზარდი მთხოვნა განაპირობებს საერთაშორისო სამომხმარებლო ბაზრის გაფართოებას. ამ შემთხვევაში კონკურენტული უპი-

<sup>1</sup>Пивоваров С, Тарасевич Л. Международный менеджмент, 2008, с. 266.

<sup>2</sup> <http://www.walmartstores.com/AboutUs/7606.aspx>



რატესობანი ივსება უპირატესობებით, რომელიც ჩნდება სხვა ქვეყნებში. ეს ითვალისწინებს საქმიანობის მნიშვნელოვან მასშტაბს, რამაც უნდა შეამციროს დანახარჯები სამეცნიერო-კვლევით და საკონსტრუქტორო სამუშაოებზე და ამავედროულად გამოყენებულ იქნეს მეცნიერების უკანასკნელი მიღწევები. ძირითადი ამოცანაა მიზანთა ჯაჭვის განსაზღვრა და საქმიანობის განხორციელება მსოფლიო მასშტაბით.

ეროვნულ გამოძახილზე რეაგირება (მრავალეროვნული სტრატეგია) კი წარმოადგენს სეგმენტირებულ, რეგიონულ ბაზრებზე მომხმარებელთა განსხვავებული გემოვნების ამოცნობასა და სხვადასხვა ეროვნული სტანდარტების, დამოუკიდებელი მთავრობების და სააგენტოების მიერ შემუშავებული მოთხოვნების დაცვას. ასეთი სტრატეგიის მიზანია სტრატეგიული მიდგომების მისადაგება ყოველი ქვეყნის პირობებთან, სადაც კი საქმიანობს ფირმა. ეს ნიშნავს მიზნობრივ ქვეყნებში იურიდიულად დამოუკიდებელი კომპანიების შექმნას, ისეთი კერძო სტრატეგიების შემუშავებას, რომლებიც შეესაბამება მოცემული ქვეყნის პირობებს, მინიმალური კოორდინაციით, ანდა მნკ-ს შიგნით კოორდინაციის საერთოდ არ არსებობით. მოცემულ სტრატეგიას ახასიათებს ასევე ადგილობრივ მომწოდებლებზე ორიენტირება და ეროვნული მოთხოვნის, კულტურისა და ქვეყნის ჩვეულებების სპეციფიკისადმი სრული ადაპტირება.<sup>1</sup>

არსებობს დარგები, სადაც არის როგორც მრავალეროვნული, ასევე გლობალური კონკურენციის სეგმენტები. მაგალითად, გემების ძრავების საპოხი ზეთების წარმოება გამოირჩევა გლობალური კონკურენციით, რადგან გემებს ერთნაირი მომსახურება სჭირდებათ დედამიწის ნებისმიერ პორტში. ავტომობილის ძრავის ზეთების სეგმენტი კი მრავალეროვნული კონკურენციით ხასიათდება, რადგან დიდი მნიშვნელობა აქვს კლიმატურ პირობებს, ეროვნულ სტანდარტებს, ტრანსპორტირების მაღალ ხარჯებს და მასშტაბის ეკონომიის შეზღუდულ შესაძლებლობებს. გემის ძრავების საპოხი ზეთების სეგმენტში არსებობის შენარჩუნება შეძლეს მხოლოდ მსოფლიო ლიდერებმა: “Exxon”, “British

<sup>1</sup> Hotget R.M., Luthans F., International Management: Culture, Strategy and Behavior, 2012, p. 277-278.




Petroleum”, “Shell”, საავტომობილო ზეთებს კი წარმატებით უშვებს ეროვნულ ბაზარზე ფუნქციონირებადი ფირმები, როგორცაა-“Pennzoil”-აშშ-ში, “Castrol”-დიდ ბრიტანეთში და სხვა.

მრავლეროვნული კონკურენცია მოითხოვს მრავალეროვნულ კორპორაციულ სტრატეგიას, გლობალური კი – გლობალურ სტრატეგიას.<sup>1</sup>

**გლობალიზაციასა და ეროვნულ სპეციფიკურ მოთხოვნებზე რეაგირების მატრიცა.**

გლობალიზაციასა და ეროვნულ სპეციფიკურ მოთხოვნებზე რეაგირება კონცეპტუალურად შეიძლება წარმოვადგინოთ ორგანზომილებიანი მატრიცის სახით (იხ. დიაგრამა 1).<sup>2</sup>



დიაგრამა 1. გლობალიზაციასა და ეროვნულ სპეციფიკურ მოთხოვნებზე რეაგირების მატრიცა

დიაგრამაზე ვერტიკალური ღერძი აღნიშნავს ეკონომიკური ინტეგრაციის დონეს, ანუ გლობალიზაციას. მოცემულ ღერძზე რაც უფრო ზევით ავდივართ, მით უფრო დიდია ეკონომიკური ინტეგრაციის ხარისხი. გლობალიზაცია, უმ-

<sup>1</sup>Пивоваров С, Тарасевич Л. Международный менеджмент, 2008, с. 267.  
<sup>2</sup> Christopher A. Bartlett and Sumantra Ghoshal, Managing Across Borders: The Transnational Solution, 2nd ed. Boston: Harvard Business School Press, 1998, p. 309.

ეტეს შემთხვევაში, წარმოშობს მასშტაბის ეკონომიას და მკ სარგებელს იღებს გამოშვებულ პროდუქციაზე კლებადი დანახარჯების დონისგან.

ჰორიზონტალური დერძი ზომავს მკ-სადმი წაყენებულ ეროვნულ სპეციფიკურ მოთხოვნებზე რეაგირების დონეს. იგი მკ-ს მიუთითებს, რომ მათ უნდა გაითვალისწინონ ადგილობრივი ბაზრის გემოვნება, ეკონომიკური და სამართლებრივი რეგულაციები, რის შედეგადაც შეიძლება მივიღოთ ბაზრის გეოგრაფიული დანაწილება.

პირველი და მეოთხე კვადრატები წარმოადგენს უმარტივეს მდგომარეობას. პირველ კვადრატში, ინტეგრაციის საჭიროება არის მაღალი, ხოლო დიფერენციაციის (ეროვნული გამოძახილი) - დაბალი. ასეთი სახის ბიზნესგარემოში ყველაზე ხშირად ხდება კომპანიების შერწყმა და შექმნა. ამის საწინააღმდეგო მდგომარეობაა გამოსახული მეოთხე კვადრატზე - მულტილოკალური მდგომარეობის მახვევებელი. ამ შემთხვევაში მკ იგნორირებას უკეთებს მასშტაბის ეკონომიას და ცდილობს საკუთარი პროდუქციის ბაზარზე ადაპტაციას, რათა დააკმაყოფილოს მოთხოვნის მაღალი დონე.

მეორე და მესამე კვადრატი უფრო რთულ გარემოს გამოხატავს. მეორე კვადრატი განსაზღვრავს ისეთ შემთხვევას, რომელშიც მოთხოვნები ინტეგრაციისა და დიფერენციაციის მიმართ დაბალია, მასშტაბის ეკონომიის საჭიროება და დიფერენციაციის მიმართ მგრძობელობა უმნიშვნელოა. მეორე კვადრატის გარემოს შესაბამისი ტიპური სტრატეგიები ხასიათდება პროდუქციისა და მომსახურების მზარდი საერთაშორისო სტანდარტიზებით. მსგავსი სიტუაცია ხაზს უსვავს ხარისხის კონტროლსა და მენეჯმენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ცენტრალიზაციას.<sup>1</sup>

მესამე კვადრატში მოთხოვნები ინტეგრაციისა და დიფერენციაციისადმი მაღალია, რის გამოც შემთხვევაში მკ-ების მიერ მარკეტინგული საქმიანობის განხორციელების პროცესში წარმოიშობა წარმოების ინტეგრაციის აუცილ-

---


<sup>1</sup>Гриффин Р. Пастей М. Международный бизнес, 2006, с. 556-558.

ბლობა რეგიონული დიფერენციაციის მოთხოვნებთან. მკ-ს, რომელიც ცდილობს მიაღწიოს აღნიშნულ მიზნებს, ეწოდება ტრანსნაციონალური სტრატეგიის მქონე კომპანია.

**სტრატეგიის შემუშავების ძირითადი ეტაპები.**

სტრატეგიული დაგეგმვის საჭიროებები, სარგებელი, მიდგომები და თავისებურებები ათვლის წერტილებია სტრატეგიის ჩამოყალიბების პროცესში. მკ-ებში სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი შეიძლება დაიყოს სამ ძირითად ეტაპად (იხ. დიაგრამა 2 )<sup>1</sup>:

1. გარე გარემოს ანალიზი, რათა დადგინდეს შესაძლებლობები და საფრთხეები;
2. კომპანიის შიდა რესურსების ანალიზი, რათა დადგინდეს სუსტი და ძლიერი მხარეები;
3. გარემოსა და შიგა რესურსების ანალიზის საფუძველზე შესაბამისი მიზნების ჩამოყალიბება.




დიაგრამა 2. მკ-ებში სტრატეგიის შემუშავების ეტაპები კომპანიის გარემოს ანალიზი. ამის მიზანია მენეჯმენტს მიაწოდოს ზუსტი პროგნოზი იმ ცვლილებებისა და ტენდენციების შესახებ, რაც მიმდინარეობს იმ გეოგრაფიულ რეგიონებში, სადაც კომპანია აწარმოებს ბიზნესს ან გეგ-

<sup>1</sup>Hotget R.M., Luthans F., International Management: Culture, Strategy and Behavior, 2012, p. 278-280.

## ღავეთ ნიჰარაჰე

მავს საქმიანობის დაწყებას. ეს ცვლილებები დაკავშირებულია ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, ტექნოლოგიურ, სახელმწიფო მარეგულერებელ და საბაზრო ფაქტორებთან (იხ. დიაგრამა 3).<sup>1</sup>



დიაგრამა 3. ორგანიზაციაზე მოქმედი გარე ფაქტორები

შიგა რესურსების ანალიზი. სტრატეგიის ჩამოყალიბებისას ზოგიერთი მკ გარემოს ანალიზის შემდეგ, ატარებს შიგა რესურსების ანალიზს. ზოგიერთი კი-ორივე ანალიზს ერთდროულად ატარებს. შიგა რესურსების ანალიზი ესმარება კომანიას შეაფასოს არსებული მენეჯერული, ტექნიკური, მატერიალური და ფინანსური სიძლიერე, რათა გამოავლინოს ძლიერი და სუსტი მხარეები. მენეჯმენტში აღნიშნულ პროცესს SWOT (Strengths, Weaknesses, Opportunities, Threats) ანალიზს უწოდებენ, რომელიც ხაზს უსვავს იმას, რომ კომპანიამ სწორად უნდა შეაფასოს საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები.<sup>2</sup>

<sup>1</sup>Kendra S. Albright, “Environmental Scanning: Radar for Success,” Information Management Journal 38, no. 3 (May/June 2004), p. 42.

<sup>2</sup> არტურ ა. ტომსონი უმც., ა. ჯ. სტრიკლენდი. სტრატეგიული მენეჯმენტ: კონცეფციები და ბიზნესსიტუაციები, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010, გვ. 175.

მიზნების ჩამოყალიბება. პრაქტიკაში, მიზნების დასახვა ხშირად უსწრებს გარე და შიგა გარემოს ანალიზს. თუმცა, სტრატეგიული დაგეგმარებისათვის სპეციფიკური მიზნები სწორედ გარემოსა და შიგა რესურსების ანალიზის შედეგად გამოიკვეთება. მკ ისახავს სხვადასხვა მიზანს, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ დღესდღეობით მკ მიზნებში მომგებიანობასა და მარკეტინგულ საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები მუდამ დომინირებს.

სტრატეგიის განხორციელება. სტრატეგიული გეგმის ჩამოყალიბების შემდეგ იწყება განხორციელების ანუ დანერგვის ეტაპი. სტრატეგიის განხორციელება საქონლის ან მომსახურების მიწოდებაა დასახული გეგმის თანახმად. საკმაოდ ხშირად, ასეთი გეგმა დაფუძნებულია მართვის პროცესების საერთო ფილოსოფიასა და პრინციპებზე. საერთაშორისო მენეჯმენტი მხედველობაში იღებს მკ-ის სტრატეგიის განხორციელების სამ ზოგად მიმართულებას:

1. მკ-მ უნდა გადაწყვიტოს თუ სად განახორციელებს საქმიანობას;

2. უნდა დაისახოს კონკრეტულ ბაზარზე შესვლის სტრატეგია;

3. მენეჯმენტმა უნდა განახორციელოს ფუნქციური სტრატეგიები ისეთ უმნიშვნელოვანეს სფეროებში, როგორცაა: მარკეტინგი, წარმოება და ფინანსები.<sup>1</sup>

ამრიგად, თანამედროვე ეტაპზე ბიზნესის სტრატეგიის მნიშვნელობა მკვეთრად გაიზარდა. მკ-მ კონკურენციისა და მუდმივად ცვალებადი გარემოს პირობებში, მკ-მ წარმატების მისაღწევად უნდა შეიმუშაოს სწორი სტრატეგია, რომელიც დაფუძნებული იქნება არა მარტო მისი შიგა პოტენციალის მაქსიმალურ გამოყენებაზე, არამედ კონკურენტული უპირატესობის მოპოვებაზე.

მენეჯერების არჩევანი კონკრეტულ სტრატეგიაზე, ეს არის ამა თუ იმ კომპანიის შემდგომი განვითარების შესა-

<sup>1</sup> Hotget R.M., Luthans F., International Management: Culture, Strategy and Behavior, 2012, p. 284.

ძლო გზები.

სტრატეგიის გარეშე კომპანიას არ ააქვს მოფიქრებული მოქმედების გეგმა და შესაბამისად არ გააჩნია გზამკვლევი საერთაშორისო ბიზნესში, ანუ არ არსებობს სასურველი შედეგების მიღწევის ერთიანი პროგრამა.

### **International Strategic Planning in Multinational Companies**

**D. Nizharadze**

The article discusses strategic planning process in multinational companies, its stages, importance and influence on achieving success in international market. It also covers modern approaches to strategic planning, which is based on political, economical and quality imperatives and administrative coordination. The article provides specific examples of the strategies and approaches the successful multinational companies like Volvo, BMW, IBM, Apple, Compaq, Nintendo, Thums Up, Coca-Cola, Walmart and others use to increase competitiveness in the global market.

The article pays special attention to the stages of strategy development in multinational companies, selecting global and regional strategies and their comparative analysis. This issue is illustrated with the matrix of responding to globalization and national specific demands in accordance with matrix.

***Реакция фармацевтического  
рынка Грузии на облегчение ввоза  
лекарственных средств***

**Г. М. Яблучанска,  
Докторант Тбилисского государственного  
университета им. И. Джавахишвили**

Фармацевтический рынок занимает одно из главных мест в социальной политике государства и все страны в той или иной мере пытаются регулировать его с целью сделать медикаменты максимально доступными для населения. Каждая страна выбирает наиболее приемлемую для себя стратегию, ставя акценты на контроле входных цен, фиксировании наценок, создании списка реферальных цен и др.

Грузия не стала исключением, выбрав для этого, однако, достаточно беспрецедентный способ. Правительство страны 22 октября 2009 года издало указ №188, вносящий принципиальные изменения в функционирование фармацевтического рынка. Особенностью стало не жесткое регулирование цен и наценок, а, напротив, максимальная либерализация регистрации лекарственных средств и разрешение параллельного импорта из списка утвержденных стран. Указом определен список стран, из которых разрешается ввоз лекарственных средств (ЛС) в режиме допуска, в составе: США, Австралия, Австрия, Новая Зеландия, Бельгия, Болгария, Германия, Дания, Великобритания, Эстония, Испания, Ирландия, Италия, Япония, Исландия, Канада, Кипр, Корея, Люксембург, Латвия, Литва, Мальта, Норвегия, Нидерланды, Португалия, Польша, Румыния, Франция, Словения, Словакия, Греция, Венгрия, Финляндия, Швеция, Швейцария, Чехия.

До этого рынок работал, в основном, по прямым эксклюзивным контрактам между отдельно взятыми дистрибьюторами и производителями, за исключением некоторых компаний-производителей, которые были в партнерстве одновременно с несколькими дистрибьюторами. Такая ситуация приводила к формированию высоких розничных цен на медикаменты и практически исключала внутреннюю конкуренцию<sup>1</sup> Разрешенное одновременное присутствие на рынке упаковок из разных стран на один препарат создает условия для разрушения эксклюзивности контрактов, появления в Грузии новых компаний-импортеров, инициирует поисковых поставщиков с новых рынков, предлагающих наименьшую цену.




График 1. Динамика импорта ЛС в Грузию с 2008 по 2011 год в долларах и национальной валюте

Указ, ожидается, должен сломать состоявшуюся на годы независимости, фактически, монополию на рынке и включить нормальные конкурентные механизмы, спровоцировав, в конечном итоге, падение розничных цен.

Pharmaceutical market trends in 2010. CIS Pharma Intelligence. [cispharma.blogspot.com](http://cispharma.blogspot.com); Фармацевтический рынок Грузии Business Грузия. <http://bizzone.info/markets/1250970250.php>



Как отреагировал рынок на данное разрешение правительства и как изменилась структура импорта лекарственных средств, стало предметом изучения в данной статье.

Оценка изменений соотношения объемов импорта ЛС из перечисленных стран-импортеров проанализирована за период с 2008 по 2011 год включительно.

Ее источником послужили официальные данные, предоставленные министерством Финансов Грузии по нашему запросу.

Как видно на графике 1, общие объемы импорта ЛС в денежном выражении прогрессивно росли на протяжении всего указанного периода. Небольшая отрицательная динамика в 2009 году в долларовом эквиваленте связана с курсовой разницей, при том, что положительная тенденция в национальной валюте сохранялась.

Чтобы проанализировать, насколько привлекательным оказалось новое законодательство для импортеров и как это повлияло на распределение импорта между разными странами, включенными в список стран, была рассчитана суммарная доля всех стран-импортеров к общему импорту лекарственных средств.




График 2 .Доля импорта из стран с облегченным доступом от общего объема импорта ЛС, \$

Как видно из графика 2, никакого значительного изменения в суммарной доле не наблюдалось. Такой результат логичен, так как данное законодательство касалось медикаментов, зарегистрированных в данных странах. Поэтому, чтобы посмотреть, было ли какое-то перераспределение импорта между странами, каждая страна изучалась отдельно. Был рассчитан темп прироста по объему импорта в долларах (аутлайеры исключены). Анализировался темп прироста 2009/2008, 2010/2009, 2011/2010 и 2011/2008. Последнее соотношение особенно интересно, так как выступает индикатором изменения за период времени до принятия указа и спустя три года.




График 3. Темп прироста импорта медикаментов из стран, включенных в список с облегченным импортом, \$

В 2009 году, по отношению к 2008 году, положительный прирост в доле импорта наблюдался только из США, Финляндии, Румынии и очень незначительный из Словакии, В 2009 году, по отношению к 2008 году, положительный прирост в доле импорта наблюдался только из США, Финляндии, Румынии и очень незначительный из Словакии, Латвии и Кореи. В 2010, по отношению к 2009 году, был прирост импорта из Японии, Литвы, Греции, Италии, Великобритании, Кореи и незначительный из Австрии, Бол-

гари, Франции и Кипра. В 2011, по отношению к 2010, положительный прирост был из Литвы, Греции, Великобритании, Латвии и незначительный из Кореи, Словакии, Германии, Венгрии, Польши, Испании и Швейцарии. В 2011, по отношению к 2008 году, положительный прирост импорта наблюдался из таких стран как Южная Корея, Латвия, Словакия, Великобритания, Италия, Греция, Румыния, Финляндия и Литва. Важно учитывать, что немалый процент ЛС стран-производителей, входящих в список стран из которых позволена регистрация медикаментов в режиме допуска, поставлялся в Грузию из России, Украины, Казахстана и др. стран СНГ, в связи с соответствующим привязкой Грузии к различным территориальным офисам внутри компаний-производителей, поэтому данный график отражает только страны-поставщики и не отражает страны-производители. Также, не возможно говорить о странах-производителях, так как продукты, произведенные в странах не входящих в список, но зарегистрированные в странах из списка попадают под общее правило более свободного доступа в Грузию.

В связи с тем, что общий объем ввоза в страну ЛС не позволяет оценить динамики развития параллельного импорта, нужно было проанализировать изменения на уровне отдельно взятых ЛС. Для этого была проведена дополнительная обработка данных, предоставленных Министерства Финансов. Так как Министерство Финансов, по всей видимости, не интересовало количество поступаемых в страну лекарственных средств по торговым названиям, база данных содержала не однородную информацию, затрудняя полную ее обработку с вычленением всех медикаментов. Из предоставленной базы были случайным образом отобраны и проанализированы 100 медикаментов, европейских и американских производителей, импорт которых прослеживался из разных стран в 2011 году. Выбранное количество является статистически значимым и позволяет отследить тенденции, происходящие на фармацевтическом рынке

после введения закона об облегченном доступе ЛС в Грузию. Важно отметить, что изучить импорт ЛС по формам выпуска и дозировкам не представлялось возможным, так как в большинстве случаев данная информация отсутствовала в исходной базе, поэтому анализ осуществлялся только по общему названию.

Каждая из выбранных позиций ЛС в 2011 году поставлялась в Грузию из нескольких стран. Их количество колебалось в диапазоне от 3 до 12. Распределение количества стран-поставщиков для разных ЛС представлено на графике 4.





График 4. Распределение количества стран-импортеров

Примечательно, что две позиции поставлялись в Грузию из 12 стран, среди которых были 4 (Россия, Украина, Армения и Азербайджан), не входящие в перечень стран с облегченной регистрацией. Такой факт говорит о вероятности присутствия на этих рынках упаковок, аналогичных зарегистрированным в Грузии, либо же осуществлялся реэкспорт из других стран. Большая часть ЛС, попавшая в выборку, имела от 4 до 6 стран поставщиков.

Частота встречаемости стран-импортеров представлена на графике 5. Всего 100 продуктов, попавшие в выборку, поставлялись в Грузию из 31 страны. Чаще всего импортерами выступали Латвия, Великобритания, Азербайджан и Болгария.



გრაფიკი 5. ჩასტოტა ვსტრეჩაეომოსტი სტრან-იმპორტეროვ

ნა ოფიციალურ საიტე მინისტრესტვა ჯრავოოხრანენია, ტრუდა ი სოციალურ ობესუენჩენია გრუჯიაი პრედასტავლენა ინფორმაცია ობ იმპორტე ლს ნა ტერიტორია გრუჯიაი ნაჩინაა ს 2008 გოდა<sup>1</sup>. დანური ისტოჩნიკი სოდერჟიტ ინფორმაცია ო კომპანია-იმპორტერა, ნო ნე უკაზივაეტ სტრან, იზ კოტორუხ იმპორტ ბილ ოსუენესტვენ. მი პოპიტალისი ნალოჟიტ ინფორმაცია ო პროდუქტა იზ დუიხ ისტოჩნიკოვ. ნამ ბილ ინტერესო პროანალიზიროვარ რაზლიჩია ვ კოლიჩესტვე კომპანია-იმპორტეროვ დო ვვედენია ჯაკონა ობ ობლეგენენ იმპორტე ლს იზ რია სტრან ი სპუთია ნესკოლკო ლეტ პოსლე ნაჩალა დეიუსტვია დანნო გოკონოდატელესტვა. დრე ეტო მი ოტობრალი 20 ლს იზ ნაშე გოსპისკა მედიკამენტოვ, კოტორე ხარაქტერიზოვალისი ნაიბოლში კოლიჩესტვო სტრან-პოსტავიკოვ ვ 2011 გოდი ი სრავნილი კოლიჩესტვო კომპანია-იმპორტეროვ ვ 2008 ი 2011 გოდი.

<sup>1</sup> ოფიციალური საიტი მინისტრესტვა ჯრავოოხრანენია, ტრუდა ი სოციალური პოლიტიკა გრუჯიაი. <http://www.moh.itdc.ge/>




График 6. Изменения количества импортеров с 2011 году по отношению к 2008 году

Как видно из графика 6, в 2011 году вольтарен и бетасерк имеют максимальное количество стран-импортеров (по 12). Кларитин и ламисил поставлялся в Грузию из 11 источников элоком – из 9. Нормодипин, дипросалик, имодиум, ренитек, дюфастон, эриус, аугментин, креон, смекта, конкор и аспирин из 8 стран, энап, хартил, низорал и габагамма из 7. При этом важно отметить, что до вступления в силу нового закона, некоторые медикаменты имели одного поставщика, как в случае кларитина, нормодипина, дипросалика, эриуса, аугментина, смекты, аспирина (производство компании Байер), хартила и габагаммы. Это указывает на наличие прямых эксклюзивных контрактов между производителями и дистрибьюторами. В некоторых случаях медикаменты поставлялись несколькими (от двух и более, максимально – препарат конкор) импортерами. После введения законодательства наблюдался всплеск количества компаний - импортеров. Максимальный рост был от-

мечен на аугментин и аспирин – на 1000%, с одного до десяти компаний. С одного до девяти увеличилось у смекты и эриуса. На некоторые позиции изменения были не такие разительные. Например, препарат хартил приобрел трех поставщиков вместо одного, а элоком – четырех. По продуктам дюфастон и конкор наблюдалась обратная ситуация. Количество их импортеров уменьшилось. Это могло быть связано с прекращением активности некоторых компаний на рынке Грузии.

Интересным является тот факт, что по некоторым позициям количество стран и компаний-импортеров различалось. Например, у таких продуктов, как бетасерк, кларитин, ламисил, элоком, нормодипин, дипросалик, дюфастон, креон, хартил и габагамма количество компаний импортеров меньше чем стран. По всей видимости, некоторые из компаний ввозили один продукт из нескольких рынков. На другие же позиции, такие как вольтарен, имодиум, ренитек, эриус, аугментин, смекта, конкор, аспирин и низорал, количество стран-импортеров превышало количество компаний импортеров, что говорит о том, что одновременно несколько компаний завозили продукт с одного рынка. Только энап составлял исключение, когда количество стран и компаний совпадало. Предположительно, каждая компания завозит продукт с отличного от других рынка.

Интересно было проанализировать, есть ли отличия между рецептурными (Rx) и безрецептурными (OTC) препаратами. Для этого обсуждаемые сто позиций были сверены с данными о регистрации на официальном сайте Министерства здравоохранения. Наши выбранные позиции разбились в следующем соотношении: 66 – рецептурных, 31 – безрецептурных препарата. Оставшиеся 3 (вольтарен, кетонал и диклак) имели некоторые формы выпуска зарегистрированные как безрецептурные (гелевые формы), и некоторые как рецептурные (таблетки, капсулы, свечи, инъекционные формы). Так как информация об импорте отдельно взятых форм не была доступна, то эти три продукта учитывались как смешанные.

Анализ частоты встречаемости стран-импортеров отдельно по Rx и OTC продуктам представлен на графике 7.




График 7. Частота встречаемости стран-импортеров отдельно по рецептурным и безрецептурным препаратам

Из анализ частоты встречаемости стран-импортеров отдельно по рецептурным и безрецептурным препаратам следует, что по рецептурным препаратам лидируют Латвия, Великобритания, Азербайджан и Болгария, те же, что и для всей выборки медикаментов. Для безрецептурных – Латвия, Азербайджан, Великобритания и Болгария – изменилась только последовательность стран. Те же лидеры сохранялись для продуктов со смешанной регистрацией. Следовательно, цены у оптовых компаний в данных странах ниже на все медикаменты, что и определяет их присутствие во всех анализируемых группах.

Дополнительно были изучены количества стран-поставщиков в каждой группе ЛС. Как видно из графика 8, распределение ко-



личества стран-поставщиков во всех группах ЛС происходило похоже. Так, рецептурные препараты поставлялись одновременно в диапазоне от 3 до 12 стран-поставщиков. Основной объем приходился на 4-6 страны. Безрецептурные – в диапазоне от 3 до 11, с основным объемом из четырех и шести стран по-позиционно. Продуктов со смешанным типом регистрации было всего 3, тем не менее, и они тоже попали в такое же распределение: 5, 6 и 12 стран.




График 8. Распределение количества стран-импортеров по рецептурным и безрецептурным препаратам

Проведенный анализ на примере 100 наименований медикаментов показал, что рынок позитивно откликнулся на облегчение ввоза как рецептурных, так и безрецептурных ЛС с утвержденного перечня рынков. Поставленные цели, в виде увеличения количества импортеров и источников для ЛС, реализовались. Как этот процесс повлиял на формирование розничных цен и насколько произошло их снижение является темой для дополнительного исследования и должно обсуждаться в отдельной статье.

---

---

**საქართველოს ფარმაცევტული ბაზრის რეაქცია  
სამკურნალო საშუალებების ლიბერალიზებულ  
იმპორტზე**

**გ. იაბლუჩანსკა**

საქართველოს მთავრობის 2009 წლის ოქტომბრის დადგენილებამ წამლის რეგისტრაციის შესახებ, გამოიწვია ფარმაცევტულ ბაზარზე მოქმედი კომპანიების მიერ სხვადასხვა ქვეყნიდან ახალი მომწოდებლების ძებნა. ბაზარზე ახლადშექმნილი გარემოების გავლენის გამოსაკვლევად შესწავლილი იქნა, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ მოწოდებული, იმპორტის მონაცემთა ბაზა. 2011 წელს 2012 წელთან შედარებით, მთლიანი იმპორტი გაიზარდა ლიტვიდან, დიდი ბრიტანეთიდან, რუმინეთიდან, საბერძნეთიდან და სხვა ქვეყნებიდან.

გაანალიზდა სულ 100 მედიკამენტი, გამოიყო საცალო გაყიდვები და რეცეპტურული წამლები. ანალიზმა გვიჩვენა, რომ 2011 წელს საქართველოში ერთი და იგივე წამლის იმპორტი მოდიოდა რამდენიმე ქვეყანაზე. ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები იყო ლიტვა, ლატვია, დიდი ბრიტანეთი, ბულგარეთი და აზერბაიჯანი.

ბაზრის რეაქცია ახალ დადგენილებაზე იყო პოზიტიური, იმპორტიორი ქვეყნების რიცხვი და ქვეყანაში შემოტანილი წამლების რაოდენობა გაიზარდა.

**ჩილუს საპენსიო რეფორმა:  
არსი და მნიშვნელობა  
საქართველოსათვის**

**ნონა გელიტაშვილი  
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი**

საპენსიო სისტემა საქართველოში, ისევე, როგორც ბევრ სხვა ქვეყანაში, სადაც ჯერ კიდევ მოქმედებს „pay as you go“<sup>1</sup> სისტემა, რომლის დროსაც სოციალური გადახდები დამოკიდებულია სახელმწიფოს შემოსავლებზე, გაკოტრების პირასაა. ადრე თუ გვიან, ამ სისტემების რეფორმირება აუცილებელია. ამასთან, რაც უფრო დიდი ხნით გადაიდება ეს რეფორმა, მით უფრო რთული იქნება გადასვლა თვითდაფინანსებად საპენსიო სისტემაზე.

სამეცნიერო ლიტერატურაში საპენსიო რეფორმების ორ ტიპოლოგიას გამოყოფენ. ერთი მხრივ, ეს არის „ლათინოამერიკული“ განვითარების გზა, შთაგონებული 1980-იან წლებში ჩილეში განხორციელებული რადიკალური საპენსიო რეფორმით. ამ ქვეყნის მაგალითს მიბაძეს ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნებმაც, კერძოდ: პერუმ (1993წ.), კოლუმბიამ (1994), არგენტინამ (1994), ურუგვაიმ (1996), ბოლივიამ (1997), მექსიკამ (1997) და სალვადორმა (1998). რეფორმის არსია დაგროვებითი საპენსიო სისტემის დანერგვა და მისი მომსახურებისთვის საჭირო კერძო საპენსიო ფონდების ქსელის შექმნა.

მეორე მხრივ, არსებობს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ქვეყნების გამოცდილება, რომელთაც არსებულ სახელმწიფოებრივ გამანაწილებელ სისტემაზე „დააშენეს“ ახალი დაგროვებითი ფონდები. აღნიშნულ ორ ტიპოლოგიას მკვლევართა ნაწილი მესამე ტიპსაც უმატებს, ესაა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების პრაქტიკა, რომელთაც რეფორმები 1990-იან წლებში

<sup>1</sup> Pay-as-you-go ტიპის საპენსიო მოდელი – ითვალისწინებს დაბეგვრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსული თანხებით პენსიების დაფინანსებას.

დაიწყეს. ის წარმოადგენს „ჰიბრიდული“ სისტემის ნიმუშს და განვითარებული ქვეყნების სისტემების მსგავსია.<sup>1</sup>

ჩილეს მოდელი საპენსიო რეფორმის ერთგვარ ეტალონად მიიჩნევა. იგი უკვე 30 წელზე მეტია გამოიყენება, მართალია, ყველა ქვეყანაში გარკვეული მოდიფიკაციებით, მაგრამ – თითქმის ერთნაირი წარმატებით. ჩილეს საპენსიო მოდელის ძირითადი პრინციპია ის, რომ გარკვეული მომენტიდან საერთოდ უქმდება ძველი, სახელმწიფოს მიერ გარანტირებული, გამანაწილებელი სისტემა და მის ადგილს იკავებს რამდენიმე კერძო ფონდის მიერ ორგანიზებული დაგროვებითი სისტემა. თუმცა, მართებულია დავსვათ კითხვა – არის თუ არა ჩილეს საპენსიო რეფორმის გრძელვადიანი ეფექტი ისეთი შთამბეჭდავი, როგორც ამას მკვლევართა ერთი ნაწილი აფასებს. ნებისმიერი თეორიული მოდელის მსგავსად, ჩილეს ახალ საპენსიო მოდელსაც ჰყავდა თავისი მომხრეები და კრიტიკოსები. ამიტომ, საინტერესოა ამ ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებების განხილვა და ჩილეს საპენსიო რეფორმის განხორციელების პროცესისა და შედეგების შეფასება.

ლათინური ამერიკის ქვეყნები ხშირად აწყდებოდნენ ბიუჯეტის დეფიციტის პრობლემას, ასევე სირთულეებს გადასახადების აკრებაში, რაც დიდი ჩრდილოვანი სექტორის არსებობით იყო განპირობებული, რაც თავისთავად ართულებდა პენსიების გაცემას. დროდადრო ამ ქვეყნების მთავრობები ეკონომიკური პრობლემების მოსაგვარებლად ფულის საბეჭდ მანქანას მიმართავდნენ, რაც ინფლაციის ტემპებს შესამჩნევად ზრდიდა. ამის შედეგად, საპენსიო დანაზოგები უფასურდებოდა, ხოლო დაქირავებული მუშაკები მთავრობას აღარ ანდობდნენ საკუთარი სახსრების განკარგვას და „ჩრდილში“ დარჩენას ამჯობინებდნენ. ასეთ შემთხვევაში საპენსიო რეფორმის მთავარი ამოცანა იყო მყარი კავშირის შექმნა სისტემაში მონაწილეობასა და გადახდებს შორის, იმავდროულად, ამ პროცესის გამჭვირვალობა უნდა ყოფილიყო უზრუნველყოფილი. ვარაუდობდნენ, რომ პირველი გამანაწილებელი დონე უნდა შემცირებულიყო დაგროვებითი დონის გაზრდის ხარჯზე.

<sup>1</sup> Katharina Müller. Pension Reform Paths in Comparison: The Case of Central-Eastern Europe, *Czech Sociological Review* p. 7, 1999. 51–66.

ასეთი იყო 1981 წლის ჩილეს საპენსიო რეფორმის ძირითადი მიმართულება. სწორედ ამ მიმართულებით წავიდნენ შემდგომში არგენტინა, პერუ, კოლუმბია, მექსიკა, ურუგვაი და ბოლივია. აღსანიშნავია, რომ ყოფილი პოსტსაბჭოთა და პოსტსოციალისტური ბანაკის ქვეყნებიდან, ჩილეს მაგალითს გარკვეულწილად მიბაძეს უნგრეთმა, პოლონეთმა და ყაზახეთმა.<sup>1</sup> ლათინოამერიკული მოდელის ერთ-ერთი უმთავრესი დამახასიათებელი ნიშანია დაქირავებული მუშაკის პასუხისმგებლობა მის მიერ საპენსიო ფონდის არჩევის თაობაზე. ჩრდილოვან სექტორთან ბრძოლით დაღლილმა მთავრობამ უბრალოდ გადაწყვიტა, შეექმნა სიტუაცია, როცა მოქალაქეებს მინიმალური საპენსიო გარანტიების შექმნასა და კერძო საპენსიო ფონდებში დაგროვებას შორის არჩევანის საშუალება მიეცემოდათ.

რეფორმებმა ლათინურ ამერიკაში ხელი შეუწყო კონსენსუსის ჩამოყალიბებას იმ საკითხში, რომ საპენსიო სისტემა უნდა მოძრაობდეს „პრივატიზების“ მიმართულებით და კერძო და სახელმწიფო საპენსიო ფონდების ფაქტობრივ კომბინირებაზე მიდიოდეს. ითვლებოდა, რომ ასეთი კომბინაცია ხელს შეუწყობდა მთელი რიგი პრობლემის გადაწყვეტას არა მარტო საპენსიო, არამედ საინვესტიციო სფეროშიც. გარდა ამისა, მოხდებოდა ეროვნული ბაზრების კაპიტალის განვითარების ხელშეწყობა. ამ თვალსაზრისით, მსოფლიო ბანკის 1994 წლის ანგარიში – „საპენსიო კრიზისის თავიდან აცილება“ (World Bank, 1994), გადაიქცა საეტაპო გამოცემად, სადაც პრაქტიკულად ყველა ქვეყანას მიეცა რეკომენდაცია, შემოეღოთ სამსაფეხურიანი სისტემა, რომელშიც იგულისხმება ტრადიციული გამანაწილებელი, სავალდებულო დაგროვებითი და ნებაყოფლობითი დანახოვების დონეები.

ჩილეს შემთხვევა – ეს არის შედარებით რადიკალური და გარკვეულწილად იძულებითი რეფორმის მაგალითი, რომელიც დაეფუძნა pay-as-you-go ტიპის საპენსიო მოდელიდან personal

<sup>1</sup> M. A. Orenstein. “How Politics and Institutions Affect Pension Reform in Three Postcommunist Countries”, Policy Research Working Paper No. 2310, World Bank, Washington D.C. 2000.

retirement account ტიპის მოდელზე<sup>1</sup> მკვეთრ გადანაცვლებას. ჩილეს რეფორმების განხილვის დროს აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ განსაკუთრებული დემოგრაფიული და ეკონომიკური კონტექსტები. აქ რეფორმების დაწყების პერიოდისთვის (1970-იანი წლების ბოლო) დასაქმებულთა რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატებოდა პენსიონერთა რაოდენობას. გარდა ამისა, საპენსიო უზრუნველყოფაზე გაწეული ხარჯები და სოციალური მიზნები არცთუ ისე მაღალი იყო. საპენსიო ანარიცხებიც საკმაოდ დაბალი იყო, კერძოდ, ხელფასის 10%. ეს გაკეთდა რაც შეიძლება მეტი ადამიანის მოსაზიდად, მათ შორის, დაბლანაზღაურებადი კატეგორიებიდანაც. თუმცა, როგორც რეფორმატორები ვარაუდობდნენ, ისე არ წარიმართა პროცესი და ყველა დასაქმებულ პირს არ გამოუთქვამს ახალ სისტემაში მონაწილეობისთვის მზადყოფნა. მიუხედავად ამისა, ოფიციალურად დარეგისტრირებული მუშაკებისთვის ეს აუცილებლობას წარმოადგენდა, ხოლო საპენსიო ფონდების საქმიანობას სახელმწიფო აკონტროლებდა.<sup>2</sup>

ახალი საპენსიო კანონის (Decree Law 3500)<sup>3</sup> ძალაში შესვლის შემდეგ, მოხდა ეტაპობრივი გადასვლა ძველი 1 სვეტიანი მოდელიდან ახალ 3 სვეტიან საპენსიო მოდელზე (იხ. ცხრილი). იმისათვის, რომ მომხდარიყო სიბერის მიხედვით დაზღვევისა და რედისტრიბუციის ფუნქციის რეალიზება, თავდაპირველად განხორციელდა სრული გათავისუფლება პირველი მოდელის მახასიათებლებისგან.

20 წლის მანძილზე ჩილეს საპენსიო სისტემა განუწყვეტლივ იცვლებოდა, რამაც გამოიწვია ის, რომ 2000-იანი წლების დასაწყისში, დომინირებული მდგომარეობა დაიკავა სამმა საპენსიო ფონდმა, რომლებშიც კონცენტრირებული იყო კლიენტების 68% და მთელი საპენსიო სისტემის რესურსების 54%. მომუშავეებს აქვთ ფონდის არჩევის უფლება, ამასთან, ერთი ფონდიდან მეორეში გადასვლა უპრობლემოდაა შესაძლებელი, რაც ერთი კალენდარული წლის განმავლობაში 4-ჯერ შეიძლება მოხდეს.

<sup>1</sup> personal retirement account ტიპის საპენსიო მოდელი – უზრუნველყოფს საკუთარი პენსიის უზრუნველყოფას პირადი ანგარიშების ფორმირების გზით.

<sup>2</sup>C. Mesa-Lago. Reassessing Pension Reform in Chile and Other Countries in Latin America, *International Social Security Review*, 54, 4. 2001. 67–92.

<sup>3</sup> [http://www.svs.cl/sitio/english/asegurado/rentas\\_3500.php](http://www.svs.cl/sitio/english/asegurado/rentas_3500.php)

ჩილეს მთავრობამ დაადგინა შემოსავლების მინიმალური ოდენობა, რომლის მიღებაც შეუძლიათ ფონდებს მათში განხორციელებული საინვესტიციო სახსრებიდან. ანგარიშები მოგებისა და ზარალის შესახებ ყოველთვიურად განიხილება, ხოლო საჯარო ანგარიშების წარმოდგენა წელიწადში სამჯერ ხდება. ასე რომ, შემოსავლების მინიმუმის შეუსრულებლობა კომპანიისთვის შეიძლება გახდეს ფონდის მმართველობიდან ჩამოცილების მიზეზი. გარდა ამისა, დაწესებულია შემოსავლების ზედა ზღვარიც, რაც დაკავშირებულია სარისკო აქტივებში დაბანდებების შეზღუდვასთან.

მოკლე და საშუალოვადიან პერიოდებში ჩილეს საპენსიო რეფორმამ ხელი შეუწყო შიდა ინვესტიციების ზრდას, განსაკუთრებით – ბინათმშენებლობასა და ინფრასტრუქტურის განვითარებაში (გზები და კომუნიკაციები), ასევე სამთომომპოვებელი მრეწველობის აღორძინებაში. გარდა ამისა, გაიზარდა გრძელვადიანი ინვესტიციების წილიც. 2000-იანი წლების დასაწყისში თითოეული ფონდის საშუალო-სტატისტიკური პორტფელი შეადგენდა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების 40%-ს და კორპორაციული ფასიანი ქაღალდების 40%-ს. დანარჩენი წილი მოდიოდა სადეპოზიტო შენატანებზე, საპენსიო ფონდების საშუალო შემოსავლიანობა კი წლიურ 12,5%-ს შეადგენდა.<sup>1</sup>

საერთოდ, ითვლება, რომ ჩილეში განხორციელებულმა საპენსიო რეფორმამ სამი უმთავრესი დადებითი ეფექტი მოიტანა: საინვესტიციო სტიმულები, პირადი თავისუფლების გაფართოება და ეკონომიკური ზრდის სტიმულირება. 2001 წლის მონაცემებით, ჩილეს მშრომელთა 95%-ს ჰქონდა პირადი საპენსიო დანაზოგები სხვადასხვა საპენსიო ფონდში, რომელთა მთლიანი აქტივები გაიზარდა 34 ბილიონ (ათას მლრდ) დოლარამდე, რაც ჩილეს მშპ-ს 42%-ს შეადგენდა.<sup>2</sup> 2005 წლისთვის ეს მაჩვენებელი 64,9%-მდე გაიზარდა და საპენსიო ფონდები ჩილეს საფინანსო ბაზრის მნიშვნელოვანი მოთამაშეები გახდა.

<sup>1</sup> Economic Commission for Latin America and Caribbean (ECLAC). 2001. *Preliminary overview of the economies of Latin America and the Caribbean 2001*. Santiago: December.

<sup>2</sup> E.I. Mihaita. Lessons from the Latin American pension reforms: Developments in central and eastern Europe. The Chilean Case. 2001. 9-10.

## ნონა გელიტაშვილი

### ჩილეს ძველი და ახალი საპენსიო სისტემები<sup>1</sup>

<p>ძველი სისტემა (1924-1981წწ.) ერთი სვეტი</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• pay-as-you-go ტიპის გამანაწილებელი სისტემა, რომელსაც მართავს სახელმწიფო ჰეტეროგენული შემოსავლებისა და ხარჯების მეშვეობით.</li> </ul>
<p>ახალი სისტემა (1981 წლიდან) სამი სვეტი პირველი სვეტი (დაზღვევა და რედიტრიბუცია სიბერის მიხედვით)</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• საპენსიო დახმარებები გაჭირვებული ხანდაზმულებისთვის, რომლებიც არ მონაწილეობდნენ პროგრამაში (საჭიროებაზე შემოწმების შემდეგ);</li> <li>• მინიმალური საპენსიო გარანტიები პროგრამაში მონაწილე გაჭირვებულ ხანდაზმულებისთვის (საჭიროებაზე შემოწმების შემდეგ).</li> </ul>
<p>მეორე სვეტი (დაზოგვა და სიბერის დაზღვევა)</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• გარკვეული შენატანები;</li> <li>• ინდივიდუალური საპენსიო ანგარიშები;</li> </ul>
<p>მესამე სვეტი (ნებაყოფლობითი დანაზოგები სიბერის უზრუნველსაყოფად)</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• სამრეწველო ფირმებისა და სადაზღვევო კომპანიების საკუთარი ფონდები;</li> <li>• მკაცრი სახელმწიფო რეგულირება და კონტროლი;</li> <li>• სახელმწიფოს გარანტიები საპენსიო ფონდებისა და აქტივების თვალსაზრისით.</li> <li>• საგადასახადო სტიმულები მათთვის, ვინც დამატებით დანაზოგებს აკეთებს სიბერის უზრუნველსაყოფად.</li> </ul>

<sup>1</sup>K. S. Hebbel. Chile's Pension Revolution coming of age. Central Bank of Chile. 1999, p. 4-5.



სწორედ ამ მოვლენებმა განაპირობა კრიტიკოსების გააქტიურება. მიუხედავად იმისა, რომ ახალი საპენსიო სისტემა ფუნქციონირებდა 1981 წლიდან და 25 წლის მანძილზე მან მოახერხა არასახელმწიფო ფონდებში მშპ-ს 65%-ის აკუმულირება, შეუსრულებელი დარჩა რეფორმატორების მთავარი დანაპირები. ნაცვლად ბოლო 10 წლის მანძილზე გამომუშავებული თანხის 70%-ისა, რომელიც ამ რეფორმის თანახმად უნდა მიეღოთ მოქალაქეებს, მათ მხოლოდ ხელფასის 39%-ის მიღება შეძლეს, ქალებისთვის კი ამ მაჩვენებელმა მხოლოდ 14% შეადგინა. აღმოჩნდა, რომ საშუალო დაგროვებითი პენსია არაფრით განსხვავდებოდა იმ პენსიისგან, რომელსაც მთავრობა რეფორმამდე უხდიდა 65 წელს მიღწეულ პენსიონერებს. ასევე გაირკვა, რომ მთელი თავისი საქმიანი ცხოვრების მანძილზე ადამიანი ვერ შეძლებდა იმდენი თანხის დაგროვებას, რაც მას ეყოფოდა თავისი მინიმალური პენსიის უზრუნველსაყოფად.

კრიტიკოსთა აზრით, არასწორი გამოდგა წარმოდგენა იმის შესახებაც, რომ პირად საპენსიო ანგარიშებზე საკუთრების უფლება იქნებოდა სერიოზული სტიმული, რათა აღნიშნული საპენსიო სისტემით მოეცვათ მთელი მოსახლეობა. 2006 წლისთვის ცხადი გახდა, რომ დასაქმებული მოსახლეობის მხოლოდ 60% იყო ჩართული აღნიშნულ სისტემაში. ფიქრობენ, რომ 2020 წლამდე შესაძლოა ეს მაჩვენებელი 50%-მდეც შემცირდეს. ექსპერტთა შეფასებებით, ჩილეს საპენსიო სისტემის საერთო დეფიციტმა 5,7% შეადგინა.<sup>11</sup> აღნიშნული პრობლემების გამო, 2008 წელს ჩილემ დაიწყო რეფორმების განხორციელების ახალი ეტაპი. ახალი რეფორმის თანახმად, დაგროვებითი სისტემის პარალელურად, ფუნქციონირებას იწყებს ძველი, სოლიდარული საპენსიო სისტემაც, რომელიც საბაზო ასაკობრივ პენსიასა და ინვალიდობის მიხედვით საპენსიო უზრუნველყოფას გულისხმობს. რაც შეეხება ინდივიდუალური დანაზოგების სისტემას, ტარდება მისი სრულყოფის ღონისძიებები. ასევე ინერგება არასახელმწიფო ფონდებსა და სადაზღვევო კომპანიებს შორის აუქციონის სისტემა, ახალი

<sup>11</sup> R. Madrid. The Politics and Economics of Pension Privatization in Latin America, *Latin American Research Review*, 37, 2. 2002, p. 159–182.

კლიენტების მომსახურების მიზნით. გარდა ამისა, ბაზარზე ჩნდება კიდევ ერთი მოთამაშე – საგარეო იურიდიული პირების სახით.

ახლა კი შეგვიძლია დავსვათ კითხვა იმის თაობაზე, კარგია თუ არა ჩილეს მაგალითი საქართველოსთვის? – თუ გავითვალისწინებთ მის ყველა პოზიტიურ და ნეგატიურ შედეგს, პასუხი, ალბათ, დადებითი იქნება.

საქართველომ უდავოდ უნდა გაიზიაროს ის გამოცდილება, რომელიც ამ სფეროში სხვადასხვა ქვეყნის პრაქტიკით დაგროვდა. ადამიანებს უნდა მიეცეთ უფლება, თავიანთი საპენსიო დანაზოგები განათავსონ ინდივიდუალურ პირად ანგარიშებზე, რომელთაც განკარგავენ ერთმანეთთან კონკურენციაში მყოფი კერძო ფირმები. ეს ფირმები მოახდენენ საპენსიო დანაზოგების ინვესტირებას საფინანსო ბაზრებზე, თავისი კლიენტების მთელი შრომითი საქმიანობის მანძილზე. გარდა ამისა, მოქალაქეებს უნდა დაუტოვოთ არჩევანის უფლება, რათა მათ, სურვილის შემთხვევაში, შეეძლოთ შენატანების წარმოება როგორც სახელწიფო საპენსიო სისტემაში, ასევე კერძო საპენსიო ფონდებში. იმავედროულად, საპენსიო რეფორმა უნდა მოვარგოთ ქვეყნის სპეციფიკას.

იმისათვის, რომ საპენსიო სისტემის პრივატიზებიდან მაქსიმალური სარგებელი მივიღოთ, ცხადია, აუცილებელია სხვა სოციალური რეფორმების გატარებაც, და უმეტეს შემთხვევაში, სრულიად ახალი სისტემების ფორმირებაც კი. საპენსიო რეფორმას, სოციალური სისტემის ჩამოყალიბების თვალსაზრისით, კატალიზატორის როლის შესრულება შეუძლია.

ახალი სისტემის თანახმად, მომავალი პენსიის ოდენობას განსაზღვრავს იმ თანხის რაოდენობა, რომელსაც ადამიანი აგროვებს თავისი შრომითი საქმიანობის მანძილზე. სახელმწიფოს არც დასაქმებულები და არც დამსაქმებლები არ გადაუხდიან გადასახადს, რომელსაც იგი სოციალური უზრუნველყოფისთვის გამოიყენებდა. აქედან გამომდინარე, მომუშავეც არ მიიღებს მომავალში სახელმწიფო პენსიას. ამის ნაცვლად, მთელი თავისი შრომითი ბიოგრაფიის განმავ-

ლობაში, დამქირავებელი ყოველთვიურად ავტომატურად გადარიცხავს დაქირავებულის ხელფასიდან 10%-ს მის საკუთარ, პირად საპენსიო შემნახველ ანგარიშზე. აღნიშნული საპროცენტო განაკვეთი შეეხება შემოსავლის მხოლოდ გარკვეულ ნაწილს. თუ ეკონომიკურ ზრდასთან ერთად, დასაქმებულის შემოსავალიც გაიზრდება, მაშინ ამგვარი „იძულებითი დაზოგვის“ როლი საპენსიო სისტემაში შემცირდება.

დასაქმებულს, რა თქმა უნდა, შეუძლია ნებაყოფლობითი შენატანების გაკეთებაც და დამატებით კიდევ 10%-ის გადარიცხვა ყოველთვიური ხელფასიდან, რაც ასევე არ დაიბეგრება საშემოსავლო გადასახადით. საერთო ანგარიშით, თუ მას უფრო ადრე სურს პენსიაზე გასვლა, ან უბრალოდ მაღალი ოდენობის პენსიის მიღება უნდა, უფრო მეტს დაზოგავს და საკუთარ ანგარიშზეც თავისი ხელფასის 10%-ზე მეტს შეიტანს.

მომუშავეებს უნდა შეეძლოთ ერთი საპენსიო ფონდიდან მეორეში საკუთარი ანგარიშების გადატანა. ამის გამო კომპანიები მუდმივად კონკურენციაში იქნებიან, რის გამოც უფრო მეტი შემოსავლის მიღებას შეეცდებიან ინვესტიციებიდან, კლიენტებს კი მომსახურების უფრო მაღალ ხარისხსა და დაბალ საკომისიოს შესთავაზებენ.

ამგვარი დაგროვებითი სისტემა საშუალებას იძლევა, უფრო იოლად გადაიტარას მშრომელი მოსახლეობის რაოდენობასთან დაკავშირებული გამანაწილებელი სისტემის პრობლემა: მოსახლეობის დაბერებასთან ერთად, მცირდება იმ მომუშავეთა რიცხვი, რომელთაც უწევთ ერთი პენსიონერის უზრუნველყოფა. დაგროვებითი სისტემის პირობებში, დასაქმებულ მოსახლეობას არ უწევს პენსიონერთა შენახვა. პირიქით, გამანაწილებელი სისტემისგან გასხვავებით, ქრება თაობათა შორის კონფლიქტის წარმოქმნის ყოველგვარი საფუძველი, და ასევე – მთელი სისტემის გაკოტრების შესაძლებლობაც. ახალ სისტემაში არ იარსებებს სახელმწიფოს მიერ შეუსრულებელ საპენსიო ვალდებულებათა პრობლემა, რასაც ბევრი ქვეყანა აწყდება.

ახალ სისტემაზე გადასვლის პროცესი მარტივი არ იქნება. გარდამავალ ეტაპზე შეიძლება გამოვიყენოთ სამი წესი:

1. სახელმწიფომ უნდა მისცეს გარანტია მათ, ვინც უკვე იღებს პენსიას, რომ მათ პენსიებს რეფორმა არ შეეხება;

2. ყოველი მომუშავე, რომელმაც უკვე გააკეთა შენატანები ძველ გამანაწილებელ სისტემაში, მიიღებს არჩევანის უფლებას, დარჩეს ამ სისტემაში ან გადავიდეს ახალ დავროვებით სისტემაზე;

3. ყველა იმ ადამიანისათვის, რომელიც მიმდინარე პერიოდში შეუერთდება დასაქმებულებს, სავალდებულო იქნება რომელიმე მათგანში ჩართვა – ახალ სისტემაში ან ძველ, სახელმწიფოებრივ გამანაწილებელ სისტემაში.

### **Pension Reform in Chile: the Essence and Importance for Georgia**

**N. Gelitashvili**

In 1981, Chile passed the Decree Law 3500, partially replacing the state-run pay-as-you-go (PAYG), unfunded social security system with individually capitalized accounts in pension funds managed by private administrators. The seminal reforms have made a large contribution to Chile's economic performance since then and inspired many other countries to follow the case. Similar reforms have been initiated or are being actively considered in Argentina, Colombia, Mexico, Peru, Bolivia and Uruguay as well as in Hungary, Poland, and Kazakhstan.

The pension system in Georgia, like in many other countries, where still there are old distribution systems, in which social payments depend on state income, is about to go bankrupt. It's essential to reform this system earlier or later. What's more, the later the reform is carried out, the more difficult it will be to have self-financing pension system.

Pension reform in Chile – is it a good example for Georgia? Taking into consideration all its negative and positive results, the answer probably will be – yes. The article analyses the essence of the Chile reform and its importance for Georgia.

**საქართველოს აგროსასურსათო  
სექტორის განვითარების ზოგიერთი  
საკითხი**

**ასმათ გულორღავა**  
**ივ. ჯავახიშვილის თსუ-ის დოქტორანტი**

საზოგადოების განვითარების კვლობაზე ეროვნულ ეკონომიკაში აგრარული სექტორის წილი შეფარდებით მცირდება. თუ XIX საუკუნის ბოლოს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში (გამონაკლისია დიდი ბრიტანეთი) სოფლის მეურნეობა ეკონომიკის ძირითადი დარგი იყო დასაქმებულთა რაოდენობით, ასევე მშპ-ში ხვედრითი წონის მიხედვით, დღეს, განვითარებულ ქვეყნებში მისი წილი მშპ-ში საშუალოდ 3-5%-ია, ხოლო დარგში დასაქმებულია მოსახლეობის მხოლოდ 10%<sup>1</sup>. ამის საფუძველი აგრარულ სფეროში შრომის მწარმოებლურობის მკვეთრი ზრდაა, რამაც განაპირობა ის, რომ ერთი ამერიკელი ფერმერი 100 ადამიანს კვებავს<sup>2</sup>. აშშ-ში სოფლის მეურნეობის, კვების პროდუქტების წარმოების, გადაამუშავების, ტრანსპორტირებისა და გადაზიდვების სფეროში დასაქმებულია მოსახლეობის 7,3%, ანუ 22 მლნ კაცი, მათგან 4,6 მლნ უშუალოდ მიწათმოქმედებას მისდევს; აშშ-ის მთლიანი ფართობი 917 მლნ ჰაა, აქედან 47% სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოიყენება<sup>3</sup>. ქვეყანა მსოფლიოში სასურსათო პროდუქტების უმსხვილესი მწარმოებელია. საშუალოდ ყოველ ერთ საათში ექსპორტირდება 6 მლნ დოლარის ღირებულების სოფლის მეურნეობის პროდუქცია.

საქართველოში, 2000-2009 წლებში, მშპ-ში სოფლის მეურნეობის წილი კლებადი ტენდენციით ხასიათდება (იხ. გრაფიკი 1). ამ სექტორში დასაქმებულია მოსახლეობის ნახევარზე მეტი. მოსახლეობის ძირითადი ნაწილი, ასევე, დასაქმებული იყო სამშენებლო სექტორში, თუმცა, ამ

<sup>1</sup> ხარაიშვილი ე. კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის პრობლემები საქართველოს აგროსასურსათო სექტორში, თბ., 2011, გვ. 43.


<sup>2</sup> www.faostat.org

<sup>3</sup> იხ. ე. ხარაიშვილის დასახ. ნაშრ. გვ. 43.

## ასმათი გულორღავა

უკანასკნელზე გლობალურმა კრიზისმა და საფინანსო ბაზრების რყევებმა მკვეთრად უარყოფითად იმოქმედა და შესაბამისად, დასაქმების არაუფექტიანი სტრუქტურა ჩამოყალიბდა. ამავ პერიოდში აგრარულ სექტორში რეალური წარმოება დაახლოებით 5%-ით შემცირდა.

საქართველოს მშპ-ში სოფლის მეურნეობის წილის დინამიკა<sup>1</sup>  
გრაფიკი 1



მნიშვნელოვანი კორექცია ვლინდება სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის დინამიკასა და წარმოების განვითარების ხელშემშლელ ფაქტორებს შორის (იხ. ცხრილი 1).

სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის დინამიკა ხელშემშლელი ფაქტორების გათვალისწინებით (უცვლელ ფასებით)  
ცხრილი 1

	1999	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009
მთლიანი პროდუქციის კლება (-), მატება (+)	-3%	-15%	+6%	-4%	+11%	-10%	-1%	-17%	-8%	-10%	-9%
ხელისშემშლელი ფაქტორები		გვალვა				გვალვა	ფრინველის გრიბი	გვალვა, ფრინველის გრიბი	ლორის ჭირი	ომი	

<sup>1</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები.

<sup>2</sup> [www.geostat.ge](http://www.geostat.ge) (სსფ-ის მიერ ჩატარებული გათვლები).

როგორც მონაცემებიდან ჩანს, სოფლის მეურნეობის პროდუქციის შემცირება განსაკუთრებით მაღალია იმ პერიოდში, როცა წარმოების განვითარების ხელშემშლელი ფაქტორებია დაფიქსირებული, კერძოდ, 2000, 2004, 2006, 2008 წლებში. შესაბამისად, აგროსასურსათო სექტორის ზრდისთვის საჭიროა მასზე სახელმწიფოებრივი ზემოქმედება გარანტირებული ფასების, სტიმულირების პროგრამის, დაზღვევისა და სხვა ბერკეტების მეშვეობით.

საქართველოს აგროსასურსათო სექტორში არსებულ პრობლემებს შორის, ბოლო პერიოდში, ერთ-ერთი მთავარია არასასურველი დარგობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბება (იხ. ცხრილი 2).

საქართველოს სოფლის მეურნეობის თავისებურებიდან გამომდინარე, აუცილებელია მეცხოველეობასთან შედარებით (რაც თავისთავად ჩამორჩენილობით ხასიათდება) მემცენარეობის მნიშვნელოვანი ჩამორჩენის დაძლევა, რის გარეშეც თავად მეცხოველეობის განვითარებაც არსებითად ფერხდება.

საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის დინამიკა 2006-2009 წლებში (%%)<sup>1</sup>

ცხრილი 2

	2006	2007	2008	2009
სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია	100	100	100	100
მემცენარეობა	43	47	41	44
მეცხოველეობა	55	51	56	53
სასოფლო-სამეურნეო მომსახურება	2	2	3	3

ადგილობრივი წარმოების კვების პროდუქტებით მოსახლეობის დაკმაყოფილება ნებისმიერი ქვეყნისათვის პრიორიტეტული ამოცანაა. აღნიშნულის განხორციელება ობიექტურად მოითხოვს სოფლის მეურნეობის ისეთი დარგობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბებას, რომელშიც

<sup>1</sup> საქართველოს სოფლის მეურნეობა 2009 წელს, გვ. 18.

წამყვანი ადგილი დაეთმოა სასურსათო ბაღანის ფორმირებისათვის საჭირო პროდუქტების წარმოებას. პირველ რიგში, აგროსასურსათო სექტორის ზრდისთვის, აუცილებელია სოფლის მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურაში დაახლოებით თანაბარი რაოდენობით იყოს წარმოდგენილი მეცხენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქცია.

აგროსასურსათო სექტორში დარგობრივი სტრუქტურის რეალური სურათის მისაღებად აუცილებელია ფასების ცვლილების, საგარეო ვაჭრობისა და უცხოური ვალუტის რეჟიმის გათვალისწინება. ამ ფაქტორების გავლენა მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში ძალზე დიდია, მით უმეტეს, დღეს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ მოთხოვნა აგროსასურსათო პროდუქტებზე ზრდადია, სასურსათო პრობლემას კიდევ უფრო ამწვავებს მასზე ფასების უკონტროლო ზრდა. მაშინ, როდესაც ევროკავშირის მთელი კანონმდებლობა მიმართულია ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებაზე, საქართველოში საპირისპირო მოვლენებებს აქვს ადგილი - სურსათის უხარისხობას კიდევ უფრო ამძიმებს მასზე ფასების მკვეთრი ზრდა. ეს განსაკუთრებით ეხება მეცხოველეობის პროდუქციას, რის ფასიც ბოლო პერიოდში კატასტროფულად გაიზარდა<sup>1</sup>. ამას ემატება ისიც, რომ საქართველოში აგროსასურსათო სექტორი ძირითადად არასაექსპორტო დანიშნულებით ვითარდება და ბაზარზე ფაქტობრივად არ ხორციელდება ფასების პირდაპირი ინტერვენცია. ფასების სწორი პოლიტიკის შემუშავება და აღრიცხვის სისტემის მოწესრიგება ხელს შეუწყობს მოქნილი ფინანსური სისტემის შექმნას და რეალური დარგობრივი სტრუქტურის დადგენას. ამასთან, დარგობრივი სტრუქტურის სრულყოფა საინვესტიციო უზრუნველყოფის გათვალისწინებით უნდა მოხდეს.

საქართველოში, დღეს, მოსახლეობის უმსხვილესი დამსაქმებელი დარგი დაბალშემოსავლიანი სოფლის მეურნეობაა, მაგრამ წარმოებისა და დასაქმების არსებულ პირობებში, რა თქმა უნდა, გაართულებულია აგროსასურსათო

<sup>1</sup> რევაზ გოგოხია, გიორგი დოლონაძე. სოფლის მეურნეობის მხარდამჭერი პოლიტიკა მსოფლიოში და ქართული რეალობა, უურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2011, №6, გვ. 29.



სექტორის მდგრადი განვითარება. ამასთან, ამ სექტორის ზრდის შემაფერხებელი ფაქტორია მოსახლეობის სიღარიბის მაღალი დონეც, რაც არა მარტო საზოგადოების ქონებრივ დიფერენციაციას აღრმავებს, არამედ აბრკოლებს წარმოების მდგრად განვითარებას აგროსასურსათო სექტორში და საფრთხეს უქმნის ადამიანის თავისუფლების რეალიზაციასაც<sup>1</sup>.

აგროსასურსათო სექტორის ზრდა - განვითარებისთვის აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერა. უწინარესად მთავრობის თანადგომითა და ხელშეწყობით, სოფლად მაქსიმალურად უნდა განვითარდეს კოოპერაციული კავშირები, როგორც საწარმოო, ასევე სოფლის მეურნეობის ტექნიკის და სხვა მატერიალურ - ტექნიკური საშუალებების, ასევე კრედიტის და სხვა სფეროში. ამასთან, აუცილებელია, მიწის წვრილ მესაკუთრეთა ნებაყოფლობითი კოოპერაციული გაერთიანებების ჩამოყალიბების კვალობაზე, მათი ინტეგრაცია გადამამუშავებელ საწარმოებთან<sup>2</sup>. აღნიშნულთან ერთად, მხოლოდ სახელმწიფოს ხელეწიფება სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და სოფლის მეურნეობისათვის საჭირო მატერიალურ - ტექნიკური საშუალებების ფასების ოპტიმალური თანფარდობის, ანუ პარიტეტის დამკვიდრება, რაც ერთ-ერთი უმწვავესი პრობლემაა. მისი დროული და თანმიმდევრული გადაწყვეტა დიდ შვებას მოუტანს, როგორც მთლიანად სოფლის მეურნეობას, ასევე ფერმერებს, გლეხებს და სოფლის მეურნეობით დაკავებულ ყველა პიროვნებას. მწვავე პრობლემაა, ასევე, საქართველოში დიდი ტრადიციების მქონე, მაგრამ დღეისათვის საგვებით მივიწყებული, მიწის ნაყოფიერების აღდგენისა და ამადლების სამუშაოთა გააქტიურება, რაშიც გადამწყვეტი სიტყვა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უნდა თქვას. მთავრობამ ძირშივე უნდა აღკვეთოს ყოველგვარი მონოპოლიზმის გამოვლინება სასოფლო - სამეურნეო წარმოების, პროდუქციის შესყიდვა - გასაღების, ფერმერულ მეურნეობებთან სახელშეკრულებო ურთიერთობის თუ სხვა სფეროში.

<sup>1</sup> გაეროს განვითარების პროგრამა (2008). პუმანური განვითარების ანგარიში 2007-2008, გვ. 39.

<sup>2</sup> პ. კოდუაშვილი. კოოპერაცია - ქართული სოფლის მეურნეობის აღორძინების გზა, ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2011, გვ. №3, გვ.42.

დასასრულ, ძალზე საყურადღებო და პრაქტიკულად რაც შეიძლება სწრაფად განსახორციელებელია საქართველოს პატრიარქის, უწმიდესისა და ინეტარესის ილია II-ის შემდეგი რჩევა: „ვეფიქრობთ სახელმწიფოსთვისაც და ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვისაც სასარგებლო იქნება სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ზრუნვა. მე ადრეც მითქვამს და კვლავაც გავიმეორებ, ყოვლად აუცილებელია ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოება, ადგილობრივი ჯიშების შენარჩუნება და, რა თქმა უნდა, ხალხისათვის მიწისადმი ინტერესის დაბრუნება. კარგი იქნება, თუ ამ პროცესს მთავრობა მხარს დაუჭერს და მრავალწლიანი შეღავათიანი კრედიტებით გაამაგრებს, რაც დასავლეთის ქვეყნებში (მიუხედავად განვითარების დონისა) დღესაც ხორციელდება“<sup>1</sup>.

### **Some Issues of Agricultural Sector Development in Georgia**

#### **A. Gulordava**

The article discusses the trends and indicators of agriculture sector development in Georgia in 2000-2009. On the basis of comparative analysis, the situation in the same field of the developed countries is evaluated.

Correlative connection is identified between the dynamics of agricultural products and the factors impeding the production development. The conclusion is made regarding the growth of agricultural sector and appropriate recommendation are provided using guaranteed prices, incentive programs, insurance and other levers.

The article studies the structure of agriculture sector and reveals the problem of significant decrease in plant-growing.

The state support measures, such as development of cooperative ties, providing cheap loans, etc are considered to be essential for the growth of agriculture sector.

---

<sup>1</sup> სააღდგომო ეპისტოლე, თბ., 2011, გვ. 9-10.

**ელექტრონული სწავლების  
განვითარების  
პირითაღი მიმართულება**

**ენვერ ლაგვილავა**  
**ასოცირებული პროფესორი,**  
**ივანე ჯავახიშვილის სახ. თსუ-ის ეკონომიკასა და**  
**ბიზნესში ინფორმაციული**  
**ტექნოლოგიების კათედრის ხელმძღვანელი**

თანამედროვე ეტაპზე საინფორმაციო-კომუნიკაციური და მულტიმედია ტექნოლოგიების განვითარებამ მკვეთრად დააჩქარა მსოფლიო ინტეგრაციული პროცესები, სწრაფი ტემპებით მიმდინარეობს სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ინფორმატიზაცია, ელექტრონული მმართველობის სისტემების დანერგვა. ყოველივე ეს განსაკუთრებულ მოთხოვნებს უყენებს ქვეყნის განათლების სისტემას. გაჩნდა ცოდნის ათვისების დაჩქარების, პედაგოგიკის აქტუალიზების, სწავლის მოტივირების ზრდის, მოსწავლეებში კომპეტენციების საკმარისი დონის ფორმირების აუცილებლობა. აღნიშნული მოთხოვნების განხორციელება შესაძლებელია განათლების სფეროში ინოვაციების, უპირველეს ყოვლისა, უახლესი ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვით<sup>1</sup>.

განათლების სფეროში საინფორმაციო-კომუნიკაციური და მულტიმედია ტექნოლოგიების ფართოდ დანერგვა რადიკალურად ცვლის სწავლების არსებულ სისტემას. სასწავლო პროცესის ორგანიზაციის ინოვაციურობა გადადის უფრო მაღალ საფეხურზე იმ თვალსაზრისით, რომ სწრაფად იზრდება სწავლების ანალიზური, პრაქტიკული და ექსპერიმენტული პრინციპები, რაც საშუალებას იძლევა სწავლების მთელი პროცესი ორიენტირებული გახდეს ყოველ ცალკეულ მოსწავლეზე, სტუდენტზე. შესაბამისად, იქმნება და სწრაფად ვრცელდება სწავლების ახალი მეთოდები, რაც

<sup>1</sup>Браун А. Бимроуз Дж. Инновационные образовательные технологии// высшее образование. 2007, №4.

ეყრდნობა ტრადიციული განათლების საუკეთესო მიღწევებს და კარგად ინტეგრირდება მასთან.

ტრადიციული სწავლებიდან კომპიუტერულ-ქსელურ ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ სწავლებაზე გადასვლის პროცესი რამდენიმე ათწლეულის წინ დაიწყო და დღესაც ინტენსიურად ვითარდება. კომპიუტერულ მატარებლებზე მონაცემთა და ცოდნის დიდი არქივების (ბაზების) შექმნის დროიდან ვითარდებოდა აზრი სწავლის პროცესში მათი გამოყენების შესახებ. პრაქტიკულად ეს შესაძლებელი გახდა ინტერნეტის ქსელის განვითარებით, რომელმაც შესაძლებელი გახადა ინფორმაციის სწრაფი გადაცემა, ქსელის აბონენტთა თავისუფალი on-line კავშირი, ინტერნეტსაიტებზე ინფორმაციის განთავსება და მასზე თავისუფალი წვდომა.

კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით სწავლების განვითარების ეტაპები, პირობითად, შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი სქემით: სასწავლო კურსები კომპაქტდისკებზე – დისტანციური სწავლება – ელექტრონული სწავლება. ყოველი მომდევნო ეტაპი მოიცავს წინას.

სასწავლო კურსები კომპაქტდისკებზე გამოჩნდა ყველაზე ადრე, შემდეგი უპირატესობებით: ნოვატორული იდეა; თემატური ინფორმაციის თავმოყრა კომპაქტურ მატარებელზე; გარკვეული ინტერაქტიული შესაძლებლობების არსებობა; გამოყენების მოხერხებულობა, მისაწვდომობა. ნაკლოვანებებს შეიძლება მივაკუთვნოთ: კურსის შეზღუდულობა; მოდიფიკაციის შეუძლებლობა; დიდი დროითი დანახარჯები შექმნაზე.

დისტანციური სწავლების უპირატესობებია: სწავლების გრაფიკის მოქნილობა; სწავლის წარმართვა ინდივიდუალური გეგმით, საკუთარი შესაძლებლობებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით; ცოდნის შეფასების ობიექტური და მასწავლებლისგან დამოუკიდებელი მეთოდის არსებობა; სწავლების პროცესში მასწავლებელთან აქტიური დიალოგის შესაძლებლობა. დისტანციური სწავლების ძირითადი ნაკლოვანებაა სწავლების ტრადიციულ მეთოდებთან ინტეგრაციის სირთულე.

სწავლების დისტანციურმა ფორმამ, მისი აშკარა ღირსების გამო, საგანმანათლებლო სივრცეში სწრაფად მოიპოვა უდიდესი პოპულარობა. სასწავლო დაწესებულებებისა და ინდივიდუალური სწავლების პარალელურად, თანდათანობით იგი გავრცელდა მსხვილ ფირმებსა და კორპორაციებში საკუთარი კადრების მოკლე დროში მოსამზადებლად და გადასამზადებლად, შედარებით იაფად, ხარისხიანად და რაც მთავარია, პროფესიული საქმიანობისგან მოუწყვეტლივ.

ინტერნეტის ქსელის განვითარებასთან ერთად დისტანციური სწავლების შემდგომმა სრულყოფამ, განსაკუთრებით on-line სწავლების და მულტიმედიის უახლოეს მიღწევებზე ორიენტაციამ, წარმოშვა კომპიუტერულ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სწავლების ახალი, უფრო მაღალი საფეხური – ელექტრონული სწავლება (e-learning). განათლებაში ინფორმაციული ტექნოლოგიების იუნესკოს ინსტიტუტი მას განმარტავს როგორც მულტიმედიის ახალი ტექნოლოგიებისა და ინტერნეტის გამოყენებას სწავლების ხარისხის ასამაღლებლად რესურსებზე და სერვისებზე წვდომის გაუმჯობესების, ცოდნის დაშორებული გაცვლის და მასწავლებლისა და მოსწავლის ერთობლივი მუშაობის საშუალებით.

ელექტრონული სწავლება ვითარდება და პერსპექტივაში ჩამოყალიბდება როგორც შინაარსით კომპლექსური და უნივერსალური სწავლების ფორმა, რომლის მნიშვნელობა განისაზღვრება სწავლების ინდივიდუალობის გაძლიერებით, კომფორტულობის ამაღლებით და ა.შ.<sup>1</sup>

უკანასკნელ წლებში ელექტრონული სწავლება მოქცეულია სხვადასხვა პროფესიის მეცნიერთა ყურადღების ცენტრში. შეიძლება ითქვას, რომ სამეცნიერო ნაშრომების უდიდესი ნაწილი ეძღვნება მის ტექნოლოგიურ ასპექტებს. შედარებით ნაკლები ყურადღება ეთმობა ელექტრონული სწავლების პედაგოგიურ, მეთოდოლოგიურ ასპექტებს. საკმაოდ ხშირად, რადიკალურად განსხვავდება მეცნიერთა და

<sup>1</sup> Дайджест «e-Learning глазами профессионалов». №18. от 05. 2010г. <http://www.stel.ru>

სპეციალისტთა შეხედულებები ელექტრონული სწავლების სხვადასხვა ასპექტის ჩამოყალიბებასა და შეფასებაში. ჯერ კიდევ არ არის აზრთა ერთიანობა ელექტრონული სწავლების პრინციპების, დადებითი და უარყოფითი მხარეების, გამოყენების სფეროსა და განვითარების პერსპექტივებზე. არსებული ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე შევეცადეთ ჩამოგვეყალიბებინა ელექტრონული სწავლების ძირითადი ასპექტები, ტენდენციები, პრობლემები და განვითარების მიმართულებები.

ძირითადი პრინციპები, რაც საფუძველად უდევს ელექტრონულ სწავლებას, შეიძლება შემდეგი სახით ჩამოვაყალიბოთ:

– ინტერაქტიულობა. უახლესი საინფორმაციო და კომუნიკაციური ტექნოლოგიების ბაზაზე სწავლების ახალი მეთოდები ინტერაქტიულობის პრინციპის განვითარების ახალი ფორმებია. უპირველეს ყოვლისა, მულტიმედია, როგორც სასწავლო მასალის აღქმისა და მაქსიმალურად ათვისების უზრუნველყოფის შესაძლებლობას.

– ადაპტურობა. იგი გულისხმობს სასწავლო მასალის ორგანიზაციის არაწრფივ ფორმას, რომელშიც მისი შემადგენელი კომპონენტები წარმოდგენილია არა როგორც გარკვეული თანმიმდევრობა, არამედ როგორც გადასვლები-სა და მიმთითებლების (ჰიპერკავშირების) მქონე ქსელური ერთობლიობა. ასეთი სტრუქტურა საშუალებას იძლევა ადეკვატურად იქნეს წარმოდგენილი ცოდნის მიღებასთან დაკავშირებული საკითხების შესაბამისი ინფორმაციული მასალები, ნებისმიერი ასპექტის, სიღრმისა და დონის გათვალისწინებით. ამით, ცოდნის გადაცემის პროცესი მაქსიმალურად უახლოვდება ბუნებრივ ურთიერთობებს და უზრუნველყოფილია სწავლების ტრადიციის მოხერხებულობა და ადაპტურობა. თანამედროვე საინფორმაციო-კომუნიკაციური სისტემები არა მხოლოდ უზრუნველყოფს სასწავლო მასალის სასწავლო პროცესის კონკრეტულ პირობებთან ადაპტაციის ახალ შესაძლებლობებს, არამედ ქმნის აგრეთვე მასწავლებლის მიერ სასწავლო კურსის შექმნის გაიოლების ახალ პირობებს.

- სწავლების მოდულური სისტემა და ვარიაციული ბა. ყოველი სასწავლო კურსი ქმნის გარკვეული საგნობრივი სივრცის ერთიან წარმოდგენას. ეს საშუალებას იძლევა დამოუკიდებელი კურსებისგან – მოდულებისგან ფორმირებულ იქნეს ახალი სასწავლო პროგრამა, რომელიც პასუხობს როგორც ინდივიდუალურ, ასევე ჯგუფურ მოთხოვნებს;
- სწავლის პროცესის მოქნილობა – სწავლის შესაძლებლობა ნებისმიერ დროს;
- სწავლისა და სასწავლო მასალების მისაწვდომობა – სწავლის შესაძლებლობა ნებისმიერ ადგილას.
- ელექტრონული სწავლების უპირატესობა ტრადიციულ სწავლებასთან შედარებით, განისაზღვრება მისი ფუნქციონირების ძირითადი პრინციპებით, რითაც შესაძლებელია უზრუნველყოფილ იქნეს:
  - სწავლება მოხერხებულ დროს, მოხერხებულ ადგილზე და ოპტიმალური ტემპით;
  - სწავლის ინდივიდუალური პროგრამის ფორმირება;
  - საგანმანათლებლო პროცესში პედაგოგიური მეცნიერებისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების უახლესი მიღწევების გამოყენება;
  - სწავლება პროფესიული საქმიანობის პარალელურად, ე.ი. პროფესიული საქმიანობისგან მოუწყვეტილად;
  - მოსწავლის საგანმანათლებლო დონის სისტემატური ამაღლება;
  - ინფორმაციის მრავალფეროვანი წყაროების გამოყენება (ელექტრონული ბიბლიოთეკები, მონაცემთა ბაზები, ცოდნის ბანკები და ა.შ.);
  - სასწავლო მასალის შინაარსის სწრაფი განახლება;
  - მასწავლებლის მიერ სასწავლო მასალის ელექტრონული ფორმით შენახვისა და ნებისმიერ მომენტში მისი გამოყენების შესაძლებლობა;
  - სწავლის მოტივაციის ამაღლება (დამოუკიდებელი სწავლის სტიმულირება, კრიტიკულად აზროვნების შესაძლებლობა, თვითდისციპლინა და პასუხისმგებლობა, მიზნის მისაღწევად მიზანდასახულობა);



- სპეციალისტის მომზადებაზე დანახარჯების შემცირება საწავლო ფართის, ტექნიკური და სატრანსპორტო საშუალებების ეფექტიანად გამოყენებით, სასწავლო ინფორმაციისა და მულტიმედიის უნიფიცირებული და კონცენტრირებული წარმოდგენით.

დაუსწრებლად სწავლებასთან შედარებით ელექტრონულ სწავლებას გააჩნია მნიშვნელოვანი უპირატესობანი. ელექტრონული სწავლებისას შესაძლებელია:

- მასწავლებელთან (ტუტორთან) მუდმივი კონტაქტი, წამოჭრილი საკითხებისა და პრობლემების ერთობლივი ოპერატიული განხილვა (როგორც წესი, ტელეკომუნიკაციების საშუალებათა გამოყენებით);

- დისკუსიების ორგანიზება;

- პროექტებზე ერთობლივი მუშაობა, ასევე ჯგუფური მუშაობის სხვა სახეობების განხორციელება;

- მოსწავლისთვის სასწავლო და მეთოდური მასალების ელექტრონული ფორმით მიწოდება, რაც საშუალებას იძლევა არსებითად შეიცვალოს ტრადიციული სესიები, მათი რიცხვი (რაოდენობა) და ხანგრძლივობა;

- სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესში ინტერნეტის მომსახურებათა ფართოდ გამოყენება;

- კომპიუტერული ტექნიკის გამოყენება სასწავლო რესურსების შენახვის, მოძებნისა და მიწოდების უზრუნველსაყოფად;

- მოსწავლის დამოუკიდებელი კონტროლი.

სასწავლო მასალების ინფორმაციული მასივების მოდელირებისა და განაწილებულ მონაცემთა ბაზების დაშორებული ინსტრუმენტული საშუალებების ინდივიდუალური დაპროექტებით შესაძლებელია:

- კოლექტიური სასწავლო პროცესების განხორციელება;

- სწავლის პროცესის ინდივიდუალიზება, მისი „მორგება“ თითოეულ მოსწავლეზე;

- მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთზემოქმედება სწავლის პროცესში, მოხერხებული მსწავლელ-მაკონტროლებელი, ინტერაქტიულ-საცნობარო პროგრამული



საშუალებების გამოყენებით;

– საბიბლიოთეკო ელექტრონული კატალოგების შექმნა;

– საერთო დანიშნულების ან ინდივიდუალური დისტანციურ-ლაბორატორიული პრაქტიკუმების შექმნა და გამოყენება.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სასწავლო პროცესში ვიზუალიზებისა და მედიატექნოლოგიების ფართოდ გამოყენების შესაძლებლობა: ვირტუალური რეალობის ტექნოლოგიები, ვიზუალიზების 3D და 4D ტექნოლოგიები, მონიტორის ეკრანზე ვირტუალური ობიექტების მატერიალიზაციის ტექნოლოგიები საკონტროლო, საკურსო და სადიპლომო მოცემულობებისთვის, სამეცნიერო ნაშრომებისთვის; რეალური პროცესების ტრენაჟორებისა და მოდელირების სისტემების შექმნა, რომელიც სასწავლო პროცესებს შეახამებს სამეცნიერო კვლევებთან, ასევე შესაძლებელია სხვა ინოვაციური ინტერაქტიული პროცესების მოფიქრება და განხორციელება.

ელექტრონულ სწავლებაში გამოყენებული კომპიუტერული ტელეკომუნიკაციები პედაგოგების მიერ აღიქმება და გამოიყენება როგორც გარე სამყაროს აღქმის ერთ-ერთი აქტიური ინსტრუმენტი, რომელიც ხელს უწყობს სწავლების დიდაქტიკის მეთოდის გააქტიურებასა და სტიმულირებას. ასეთ მეთოდებზე, ინსტრუმენტებზე შეიძლება ჩაითვალოს სასწავლო-საგანმანათლებლო ამოცანების გადაწყვეტა ისეთი ქსელურ-ჯგუფური ტექნოლოგიების გამოყენებით, როგორცაა: ელექტრონული ფოსტა, ტელეკონფერენციები, ინფორმაციის შერჩევით განაწილების სისტემები, შეტყობინებითი ინტერაქტიული გაცვლის სისტემები, ფორუმი, ელექტრონული განცხადებების დაფა, აუდიო და ვიდეოკონფერენციები, კორპორაციული ინტრანეტ-სისტემები და სხვა.

ელექტრონული სწავლებისთვის დამახასიათებელია მოსწავლეთა მიერ ერთმანეთთან და მასწავლებელთან ურთიერთობისთვის სხვადასხვა ქსელური საშუალების გამოყენება. ურთიერთობის ერთ-ერთი ასეთი საშუალება,

რომელიც შეიძლება დაინერგოს ტრადიციულ სწავლებაშიც, არის მასწავლებლის ინტერნეტსაიტი, რომლის ძირითადი ფუნქციებია: ინფორმაციის გავრცელება (მაგალითად, პრეზენტაციები, საკონტროლო და სარეფერატო თემები სამუშაოთა მოცემულობები და ა.შ.); მოსწავლეებისგან ინფორმაციის მოპოვება (პასუხები, შესრულებული საკონტროლო სამუშაოები და ა.შ.) ელექტრონული ფოსტით; მოსწავლეთა ჩართვა კვლევის პროცესში (მაგალითად, განცხადებების ონლაინდაფა, დისკუსია მოცემული თემებზე); ფორუმის შექმნა, რომელზეც განიხილება სწავლების პროცესში დასმული კითხვები (საკითხები). „მუდმივად კავშირზე“ ყოფნის შესაძლებლობის შედეგად, მაქსიმალურად შემცირდება სააუდიტორიო საკონსულტაციო საათების მოცულობა, გამარტივდება მასალის დამოუკიდებლად ათვისების პროცესის კონტროლი, შეიქმნება მოსწავლეებთან ნაკლებად ფორმალური ურთიერთობები, რაც ხელს შეუწყობს სწავლების უფრო კომფორტული პირობების ფორმირებას.

თანამედროვე ეტაპზე ხდება სწავლების ელექტრონული და ტრადიციული მეთოდების ელემენტების დაახლოება-ინტეგრაცია. ტრადიციულ სწავლებაში, საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით, სულ უფრო ხშირად გამოიყენება ელექტრონული სწავლების ძირითადი პრინციპები, მაგალითად, ინტერაქტიულობა და დისტანციურობა. ასეთი ინტერაქტიური საშუალებებიდან შეიძლება აღინიშნოს მრავალფუნქციური ინტერაქტიული დაფები, რომელიც იქმნება ინფრაწითელი ტექნოლოგიების საფუძველზე და მუშაობს PowerPoint პრეზენტაციებთან, მედიაფაილებთან, და საშუალებას იძლევა „ჩაიწეროს“ გამოსახულება ეკრანიდან; დოკუმენტკამერა, რომელიც უზრუნველყოფს მცირე დეტალებისა და ფერების პალიტრის ასახვის უმაღლეს ხარისხს. იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც მულტიმედიური კომუტატორი მრავალფუნქციურ სასწავლო კომპლექსში, რომელიც მოიცავს ვიდეოკამერას, DVD-ფლეერს, ნოუთბუქს, კომპიუტერს, პროექტორს, ინტერაქტიულ დაფას და სხვა შემადგენელ ელემენტებს;

ინტერაქტიული და მონიტორთან თავსებადი პლანშეტები, რომლებიც საშუალებას იძლევა სპეციალური კალმის საშუალებით შესრულდეს ნახატები, ნახაზები, გადაწეროს წარწერები (ჩანიშვნა) ეკრანზე ან ინტერაქტიულ დაფაზე გამოსახულებების, დოკუმენტების ან მედიაფაილების; გამოკითხვის ინტერაქტიული სისტემები რომლებიც უზრუნველყოფენ შრომითი და დროითი დანახარჯების მნიშვნელოვან შემცირებას, ტესტირების შედეგების მყისიერ მიღებას თვალსაჩინო ანგარიშების, ცხრილების, გრაფიკების და ა.შ. სახით<sup>1</sup>.

სასწავლო პროცესში გამოყენებული ტექნიკური და ტექნოლოგიური საშუალებების მრავალფეროვნების მიუხედავად, სწავლების ხარისხი უწინარეს ყოვლისა, დამოკიდებულია სასწავლო მასალის სრულყოფილებაზე (ხარისხზე), მისი წარმოდგენის ფორმებსა და სასწავლო პროცესის ორგანიზაციაზე.

ინფორმაციის დიდი მოცულობა, სხვადასხვა ინფორმაციულ ნაკადებსა და წყაროებს შორის მაღალი კონკურენცია წარმოშობს ახალ მოთხოვნებს სასწავლო მასალის წარმოდგენისა და მიწოდების ხერხების მიმართ. ცოდნისადმი ინტერესი ფართოვდება მისი მაქსიმალურად მოხერხებული და ცხადი სახით მიწოდების ხარჯზე. სწავლების პროცესი მაქსიმალურად ეფექტიანი ხდება მაშინ, როდესაც მომხმარებელი ურთიერთმოქმედებს ისეთ გარემოსთან, სადაც ხდება სასწავლო და სათამაშო პროცესების დაახლოება. ამას ხელს უწყობს სამგანზომილებიანი ინტერაქტიული სისტემების შექმნა, რომელიც გამოიყენება ელექტრონული სწავლებისას სხვადასხვა სახეობის ამოცანის გადასაწყვეტად – სასწავლო მასალის ვიზუალიზებასა და პრეზენტაციიდან, პერსპექტიული გეგმების შემუშავებასა და პროცესების სიმულაციამდე. ასეთი სისტემების ძირითადი უპირატესობებია: ვირტუალურ სივრცეში მუშაობისას მინიმალური რისკები; ექსპერიმენტების დაბალი ღირებულება

<sup>1</sup>Горбунов А.С. Виртуальные миры, информационные среды и амбиции e-Learning// Оразовательные технологии и общество (Education technology & Society), 2009, т. 12.№2 с.423-437.

ვირტუალურ გარემოში; დისტანციურად ერთობლივი მუშაობის შესაძლებლობა და სხვა.

საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამგანზომილებიანი ინტერაქტიული მოდელირება შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სწავლებაში პროცესების ვიზუალიზებისთვის, უპირველეს ყოვლისა, ტექნიკურ, ბიოლოგიურ, სოციალურ სისტემებში. ასევე წარმატებით შეიძლება მისი გამოყენება ჰუმანიტარულ დისციპლინებში სამგანზომილებიანი ინტერაქტიული კურსების შესაქმნელად.

თანამედროვე 3D და 4D ტექნოლოგიები მოსწავლეებს საშუალებას აძლევს თავისუფლად გადაადგილდნენ სამგანზომილებიანი მოდელის ვირტუალურ სივრცეში. მაგალითად, სახელმძღვანელოების სტატიკური გამოსახულების ნაცვლად, შეუძლიათ ისეირნონ პერსპექტივაში ასაშენებელი ქალაქის ქუჩებში, შესაქმნელი ქარხნის სამქროში და ა.შ. ასეთი ინტერაქტიული სისტემების მთავარი თავისებურებაა ის, რომ ინფორმაცია აისახება ადამიანის წარმოსახვისთვის ყველაზე ბუნებრივი 3D მოდელის სახით, რომელიც შეიძლება მოძრაობდეს, ტრიალებდეს და დათვალიერდეს ყველა მხრიდან, რაც რეალურად ყოველთვის არაა შესაძლებელი. გარდა ამისა, ინფორმაცია შეიძლება გახმოვანებული იყოს ვიდეოგიდის თანხლებით. რეალური პროცესების 3D კონტენტის დასამზადებელი ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო კურსს ხდის მაქსიმალურად თვალსაჩინოს, ხოლო საწყისი მონაცემების შეგროვების ტექნოლოგია საშუალებას იძლევა წარმატებით მოხდეს რეალობის რეკონსტრუქცია. სასწავლო მასალის ასეთი წარმოდგენა მნიშვნელოვნად ზრდის სწავლისადმი ინტერესს და აიოლებს მასალის (ინფორმაციის) ათვისებას.

ელექტრონული სწავლების განვითარებისა და გაფართოების პარალელურად იკვეთება მისი ძირითადი ტენდენციები:

– ტრადიციული და ელექტრონული სწავლების დაახლოება;

– ცვლილებები მასწავლებლებსა და მოსწავლეების

ურთიერთობებში. მოსწავლე ხდება საგანმანათლებლო პროცესის ცენტრი, ხოლო მასწავლებლის როლი სულ უფრო იზრდება სასწავლო პროცესის ხელმძღვანელობის მიმართულებით. მისი უმთავრესი ფუნქცია ხდება მოსწავლეთა კონსულტაცია (ტუტორიალი) სასწავლო კურსის ყველა ეტაპზე და მათი ცოდნის ხარისხის კონტროლი და შეფასება;

– მეცადინეობათა ჩატარების და ცოდნის კონტროლის ფორმების შეცვლა. კერძოდ, ქსელური საშუალებებით კონსულტაციები მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობისას; სწავლებისთვის ვიდეო და აუდიო ჩანაწერების გამოყენება; რეფერატების, ესეების, თხზულებების დაწერა ელექტრონული ფორმით; კომპიუტერული ტესტირება და ა.შ.;

– ისეთი ინტერაქტიული საშუალებების გამოყენება, როგორცაა მიკროტალღური ტელევიზია (WiMAX – Worldwide Interoperability for Microwave Access), აუდიოგრაფიკა, შეკუმშული ვიდეო, ტელეკონფერენციები, აუდიოკონფერენციები და ა.შ.;

– ჰიპერმედის პროგრამებზე დამყარებული საინფორმაციო და კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენება, რაც მოსწავლეს საშუალებას აძლევს თვითონ გააკონტროლოს იმ საინფორმაციო სასწავლო მასალებისა და მონაცემთა ბაზების ათვისების მდგომარეობა, რომელიც მისაწვდომია ინტერნეტისა და სხვა ქსელებისთვის;

– სწავლების ეფექტიანობის ამაღლება საგანმანათლებლო პროცესის ტექნოლოგიური უზრუნველყოფის ხარჯზე. მასწავლებელს, რომელიც ფლობს საინფორმაციო-კომპიუტერული ტექნოლოგიების უახლეს პროდუქტებს, შეუძლია დროის ერთეულში მოსწავლეებს გადასცეს გაცილებით მეტი ინფორმაცია (ცოდნა) და ოპერატიულად აკონტროლოს მათი მომზადების დონე.

ელექტრონული სწავლების განვითარების დინამიკურ პროცესში შეიმჩნევა ასინქრონული რეჟიმიდან სინქრონულ ტელეკომუნიკაციურ on-line რეჟიმზე გადასვლა<sup>1</sup>.

<sup>1</sup> Буханцева Н. В. и др. Модель e-Learning как инструмент управления елек-

ინტერაქტიული on-line დისკუსიები და კონფერენციები, on-line ლექციები და სემინარები, ტესტირებები, ვირტუალური ვიდეოდარბაზები და ლინგაფონური კაბინეტები, კომპიუტერული მოდელირების ვირტუალური პრაქტიკუმები ხდება ელექტრონული სწავლების ინფორმაციული თანხლების ძირითადი ნიშნები. პერსპექტივაში, ქვეყანაში ელექტრონული სწავლების მდგომარეობის განმსაზღვრელი იქნება ძირითადად სასწავლო პროცესის სინქრონული სატელეკომუნიკაციო თანხლების აპარატულ-პროგრამული სისტემების განვითარება.

ელექტრონული სწავლების უარყოფითი მხარეებია:

– ვირტუალური, პრაქტიკული და ლაბორატორიული სამუშაოების შესრულებისთვის მოსწავლის მიერ რიგი პრაქტიკული ჩვევის გამომუშავების სირთულე;

– სწავლების შედეგების გარკვეულწილად დამოკიდებულება მოსწავლის მიერ ინტერნეტისა და კომპიუტერთან მუშაობის ცოდნაზე;

– ეკრანიდან დიდი მოცულობისა და მრავალფეროვანი წარმოდგენის ფორმით მოცემული ინფორმაციის აღქმის სირთულე;

– მასწავლებლის მხრიდან სწავლების პროცესის კონტროლის შესუსტება;

– ხარისხიანი სასწავლო კურსების შექმნის მაღალი შრომატევადობა და თვითღირებულება;

– სასწავლო კურსების გამოყენების ეფექტიანობის შემცირება საკომუნიკაციო სისტემების და კომპიუტერების მუშაობის შეფერხებისას ან შეზღუდულობისას (ხმის, ვიდეო და გრაფიკული ინფორმაციის გადაცემისას);

– მაღალი შესაძლებლობების მქონე კომპიუტერული, პროგრამული და სატელეკომუნიკაციო საშუალებათა მაღალი ღირებულება.

გარდა ამისა, ელექტრონული სწავლების ფართოდ დანერგვამ შეიძლება გამოიწვიოს რიგი პრობლემა მოსწავლის გარკვეული უნარ-ჩვევების განვითარების თვალსაზრისით:

---

тронными ресурсами вуза// Оразовательные технологии и общество (Education Technogy & Society), 2009, т. 12. №2 с.438-444.

– ტექსტების თავისუფალი წერის, ნახატების, ნახაზების, პროექტების შექმნის უნარის დაქვეითება, რომელსაც ჩაენაცვლება კომპილაციის, მზა ფორმების გამოყენების უნარები;

– მოსწავლეთა მეხსიერების განტვირთვა ელექტრონული მეხსიერების მასობრივად გამოყენებით;

– წერითი კულტურისა და გამოთვლითი შესაძლებლობების დაქვეითება, მათი ჩანაცვლება მოკლე ტექსტური SMS-შეტყობინების ენით;

– ურთიერთობათა ვირტუალიზება, არარსებული რეალობების პროგრამებსა და ობიექტებთან ურთიერთობა;

– გააზრების პროცესების კომპრესია და მისი შეცვლა ინფორმაციული გაჯერების პროცესებით;

– ინტერნეტდამოკიდებულების წარმოშობა და ა.შ.<sup>1</sup>

ელექტრონული სწავლების ზემოაღნიშნული უპირატესობებისა და ნაკლოვანებების ანალიზი გვიჩვენებს, რომ დღევანდელ ეტაპზე, კომპიუტერული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ხარისხისა და გავრცელების დონის გათვალისწინებით, მისი იზოლირებულად, „წმინდა“ სახით გამოყენება უმრავლეს შემთხვევაში შეიძლება არაეფექტიანად ჩაითვალოს. გაცილებით მიზანშეწონილია მისი წარმოდგენა ეტაპებისა და მოდულების სახით და კომბინირება ტრადიციული სააუდიტორიო სწავლების ცალკეულ მონაკვეთებთან.

საბოლოო ანგარიშით, ტექნიკური და პროგრამული შესაძლებლობების გათვალისწინებით, უნდა შეირჩეს და ჩამოყალიბდეს სწავლების ერთიანი, ინტეგრირებული და შექლებისდაგვარად ეფექტიანი სისტემა.

ჩვენი აზრით, საჭიროა ერთი მეტად მნიშვნელოვანი პრობლემის გამოკვეთა, რომელიც ატარებს მეთოდოლოგიურ ხასიათს და წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ინდიკატორს ელექტრონული სწავლების პრაქტიკული ეფექტიანობის განსაზღვრისთვის. პრობლემის არსი შემდეგია: მასწავლებლების აზრით, მათი ცოდნა საინფორმაციო-

<sup>1</sup> Владимир Ткаченко. Электронные книги и обучение в Интернет. <http://www.lessons-tva.info>



კომპიუტერულ ტექნოლოგიებში არასაკმარისია. ისინი მუდმივად ცდილობენ აღნიშნულ სფეროში ცოდნის გაფართოებას. შეზღუდული დროისა და რესურსების პირობებში კი ზარალდება თვით სწავლების ხარისხი, ცალკეული დისციპლინის, საგნობრივი სფეროს შესწავლის სიღრმე. ეს მიუთითებს იმაზე, რომ გამოკვლევები განათლების სფეროში საინფორმაციო-კომუნიკაციური ტექნოლოგიების გამოყენების თვალსაზრისით, არ არის ორიენტირებული განათლების რეალურ პრობლემებზე. სამეცნიერო კვლევები უფრო კონცენტრირებულია აღნიშნული ტექნოლოგიების, როგორც სასწავლო დაწესებულებებში ტექნიკურ-პროგრამული ობიექტების ან კიდეც, მასწავლებლისა და მოსწავლის, როგორც ამ ტექნოლოგიების მომხმარებლებზე. პრობლემას აღრმავებს ასევე ის გარემოებარომ საინფორმაციო ტექნოლოგიების სწავლებაში ინტეგრაციის ხერხების მნიშვნელოვანი ნაწილი ემყარება მოძველებულ მეთოდს, როდესაც სწავლება ხდებოდა ადამიანის სიცოცხლეში ერთხელ – საკლასო-სააუდიტორიო მოდელით. ამჟამად, მუდმივად ცვალებად ქსელურ საზოგადოებაში, საყოველთაო უწყვეტი განათლების პირობებში, აუცილებელია სამეცნიერო კვლევების გაფართოება ელექტრონული სწავლების პედაგოგიკური, მეთოდიკური და მეთოდოლოგიური პრობლემების შესწავლის მიმართულებით;

ელექტრონული სწავლების პრობლემების გადაწყვეტის მაგისტრალურ მიმართულებებად უნდა მივიჩნიოთ:

– ტრადიციული და ელექტრონული სწავლების ტექნოლოგიების სისტემური ინტეგრაცია;

– ცალკეული ელექტრონული ტექნოლოგიების ინტეგრაცია მათი განზოგადებისა და გამარტივების მიმართულებით;

– საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება კლასიკური და ინოვაციური ელექტრონული ტექნოლოგიების მოთხოვნათა გათვალისწინებით;

– საინფორმაციო ტექნოლოგიების სწავლების გაძლიერება საგანმანათლებლო პროცესის ყველა საფეხურზე.



განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს პროფესიული და უმაღლესი სწავლების საფეხურებზე პროფესიული ინფორმატიკის სწავლებას, რაც მნიშვნელოვანწილად შეუწყობს ხელს ელექტრონული სწავლების ტექნოლოგიების, სწავლების საგნობრივი სივრცისა და სწავლების პედაგოგიკურ-მეთოდოლოგიური ასპექტების ინტეგრაციას.

საბოლოო ანგარიშით, შეიძლება დავასკვნათ, რომ ელექტრონული სწავლების განვითარება ობიექტური პროცესია, რომელიც განპირობებულია საზოგადოების, სახელმწიფოს, საგანმანათლებლო სისტემისა და პიროვნული მოთხოვნილებებით; ელექტრონული სწავლების საშუალებების გამოყენების უპირატესობებით, განსაკუთრებით, მობილურობითა და ინტერნეტის შესაძლებლობათა გამოყენებით; ელექტრონული სწავლება შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც განათლების მიღების დისტანციური, ასევე ტრადიციული (დასწრებული და დაუსწრებელი) ფორმებით სწავლებისას. ელექტრონული სწავლება ქმნის რეალურ შესაძლებლობებს სწავლება წარმართოს ინდივიდუალური რეჟიმით, მიუხედავად დროისა და ადგილისა, განათლება მიღებულ იქნეს ინდივიდუალური შესაძლებლობების, პირობებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით განათლების პრინციპების შესაბამისად. იგი უზრუნველყოფს მთელი ცხოვრების მანძილზე უწყვეტი განათლების მიღებაზე ადამიანის უფლებას.

## **Main Directions in e-Learning Development**

### **E. Lagvilava**

In contemporary stage of world development when it is in various economic and social transition, and reflects the availability of modern communications and new technologies in the changing world, the rapid development of current informational – communication and multimedia technologies sped up the world integration process, accelerated computing of social-economic activities and e-learning process. The

application of Information, Communication and multimedia Technology will crucially change the existing system of education. Technology is becoming increasingly important in both our personal and professional lives. Day by day our learners will be using technology more and more. e-Learning will become a popular form of learning targeted at individual learners, oriented at strengthening of individuality of every single learner.

As evidenced by introducing and discussing advantages and disadvantages of e-learning, it is considered as ineffective, if it is used isolated from other approaches, but if it is used in combination with other traditional classroom teaching activities, consequences are much more effective. As practice shows, it is more reasonable to introduce e-learning materials combined with appropriate traditional forms of learning, considering various technical and curriculum development perspectives for development of effective and integrated course of study.

We would recommend the following directions for problem solving in e-learning:

- Systematic Integration of traditional and e-learning techniques
- Integration of separate electronic technologies for their generalization and simplification
- Development of educational programs based on classical and innovative electronic technologies
- Strengthening of information technology in teaching at all stages of educational process

In conclusion, e-learning gives real opportunities for individual education in all schooling institutions despite time and location. Education should be based on individual opportunities considering individual abilities, demands and requirements. The use of new technologies in e-learning is becoming increasingly important, and it will become an important part in education in the coming years. The e-learners are growing up with technology, and it will become a natural and integrated part of their lives.



**რახტი აბულაკი**  
**ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,**  
**ივანე ჯავახიშვილის სახ. თსუ-ის მოწვეული**  
**პროფესორი**

სახელმწიფო მართვაში ინფორმაციული ტექნოლოგიებით ტრანსფორმირდება სახელმწიფოს, ბიზნესსა და მოქალაქეებს შორის დამოკიდებულება, თანამშრომლობა, ურთიერთობების ტენდენციები, მართვის კონცეფცია, მომსახურების მიწოდების პირობები და სახეები.

ინფორმაციულ კომუნიკაციური ტექნოლოგიების (ICT) გამოყენება სახელმწიფოს მართვაში ხორციელდება ელექტრონული მართვის (ე-მართვა) კონცეფციით, რომლითაც მიიღწევა სახელმწიფოს ეფექტიანი და ქმედუნარიანი მართვა.<sup>1</sup> მას ახასიათებენ, როგორც სახელმწიფოს მიერ წარმოდგენილი მომსახურების ავტომატიზაციის პროცესს,<sup>2</sup> რომლის იმპერატივები მიმართულია მოლოდინის, გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და საზოგადოების სხვადასხვა მონაწილეებს შორის ინტერაქტიულობისაკენ,<sup>3</sup> სადაც ელექტრონული სახელმწიფო ხელისუფლების ჩამოყალიბება

<sup>1</sup> Durrant F. The World Wide Web enhancing e-government in the Caribbean. World Library and Information Congress: 71th IFLA General Conference and Council 'Libraries - A voyage of discovery~. Oslo, Norway. August 14th - 18th 2005. [http://archive.ifla.org/IV/ifla71/papers/167-e\\_Durrant.pdf](http://archive.ifla.org/IV/ifla71/papers/167-e_Durrant.pdf)

<sup>2</sup> [http://www.admhmao.ru/adm\\_reform/publikac/publik21.htm](http://www.admhmao.ru/adm_reform/publikac/publik21.htm)

<sup>3</sup> Spremić M., Šimurina J., Jaković B., Ivanov M. `E-Government in Transition Economies~. World Academy of Science, Engineering and Technology. 2009 . <http://www.waset.org/journals/waset/v53/v53-84.pdf>

## რბი აბულაქი

---

ტრანსფორმირებული, გამჭვირვალე, ეფექტიანია და წარმოადგენს საზოგადოების დემოკრატიზაციის უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს.

ელექტრონული მმართველობა, როგორც მომსახურების წარდგენის უწყვეტი ოპტიმიზაციის პროცესი, ინტერნეტისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გამოყენებით, მოქალაქეების პოლიტიკური მონაწილეობითა და ჩართულობით,<sup>1</sup> მიმართულია სახელმწიფო მართვის ორგანოების ეფექტიანი მუშაობის შედეგების ამაღლებასა და მომსახურების/პროდუქტების განვითარებაზე,<sup>2</sup> მოიცავს ბრძანებების მოძრაობისა და კონტროლის მექანიზმს პოლიტიკის იმპლემენტაციის დონეზე.<sup>3</sup> იგი, ერთი მხრივ, იძლევა ეფექტიანობის ამაღლების შესაძლებლობას, ხოლო მეორე მხრივ, - უფრო საჯაროს ხდის სახელმწიფო ორგანოების მუშაობას. მმართველობის რეჟიმის ელექტრონული საქმიანობა პრინციპულად ცვლის ჩინოვნიკსა და მოსახლეობას შორის ურთიერთქმედების ატმოსფეროს.<sup>3</sup>

ელექტრონული მმართველობის რეალიზაციის ძირითადი ტექნოლოგიებია: ინტერნეტ-პორტალები, ვებ-საიტები, ე-ფოსტა, შეტყობინების მყისიერი გაცვლა (IM- Instant Messaging), ფორუმი, ჩეთი, ინტელექტუალური აგენტები - ბოტები (Intelligent Agents -BOTS), ნაკადური მულტიმედია (Streaming Media), სოციალური ქსელი და სოციალური პროგრამები, ვიკი (wiki), ბლოგები, მობილური კომერციის დანართები, პოდკასტინგი (podcast), Really Simple Syndication (RSS), ციფრული ტელევიზია და რადიო, სემანტიკური-web, ტელეფონი (ფიქსი-

<sup>1</sup> Ерофеев Е. Электронное правительство: как приблизить чиновника к гражданину? Журнал: „Connect!/Мир связи. <http://www.connect.ru/article.asp?id=5103>

<sup>2</sup> <http://is2.lse.ac.uk/asp/aspecis/20080090.pdf>

<sup>3</sup> <http://emag.iis.ru/arc/infosoc/emag.nsf/BPA/b423468353130801c325714-c004a0866>

რეზუი და მობილური), შეტყობინებების გაცვლის სისტემა (MMS, SMS), ფაქსი, ბიომეტრული იდენტიფიკაცია და სხვა.

ე-მართვის ფუნდამენტალური მიზანი: მართვის სწრაფი, ეფექტიანი და შემოქმედებითი ფუნქციების ფლობა; ბიზნესისა და სამთავრობო მართვის ასპექტების გამარტივება და სრულყოფა; მოქალაქეებს, სახელმწიფო ორგანიზაციებსა და შერჩეულ ორგანიზაციებს შორის ურთიერთქმედების ხელშეწყობა; ე-ფედერალიზმი, ე-დემოკრატია; გონივრული პოლიტიკის გატარებისთვის უკუკავშირის ორგანიზება; საერთაშორისო იმპლიკაცია; ინფორმაციისა და ე-მთავრობის მართვა.

ე-მართვის ბირთვის ჩამოყალიბების მთავარი ფაქტორებია: ე-მთავრობა, ე-დემოკრატია და ე-კომერცია. ე-მართვის, როგორც მევა მიმართულებების წარმოდგენის საფუძველი გახდა გლობალიზაცია და ბაზრის ლიბერალიზაცია, ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) რევოლუცია, ქსელური ინფრასტრუქტურის განვითარება, საზოგადოების ცოდნის დონის ამაღლება; ე-ბიზნესის ფუნქციონალური სფეროებისა და მოდულების განვითარება, მთავრობასა და რეციპიენტს შორის ურთიერთობების ფორმების განვითარება (იხ. ნახაზი).<sup>1</sup>


„ელექტრონული მართვის“ კონცეფციის ჩარჩოებში სახელმწიფო მმართველობის ორგანოები ქმნის ე-მართვის სისტემას, მის ინფრასტრუქტურას, ინფორმაციულ რესურსებს, ონლაინ მომსახურების სისტემასა და სისტემასთან დაშვების უზრუნველმყოფ პირობებს.

ე-მართვის სისტემისა და მისი ინფრასტრუქტურის ხელშეწყობის გეგმა მთავრობის სტრატეგია, რომელიც ახდენს ორგანიზაციის მიზნის მიღწევისათვის მართვის შესაძ-

<sup>1</sup> Song Joon H. E-Government in Developing Countries. Published by Communication and Information in Asia, UNESCO Bangkok. 2006 . <http://www2.unescobkk.org/elib/publications/083/e-government.pdf>

## რბი აბუაპე

ლებლობების მაქსიმიზაციას. ეს არის ე-მთავრობის რეალიზების ბაზისი, რომელიც მოიცავს სტრატეგიულ მიმართულებას, ამოცანებს, კომპონენტებს, სახელმძღვანელო პრინციპებსა და გზის მარშრუტებს.<sup>1</sup> ე-მართვის სისტემა ითვალისწინებს «მოქალაქე-სახელმწიფოს», «ბიზნესი-სახელმწიფოს», «სახელმწიფო-სახელმწიფოს» ურთიერთქმედების სქემას და მოქმედებს იგივე კონცეფციით, როგორც ე-ბიზნესი, თუმცა, უფრო დიდი მასშტაბით.



### ე-მართვის მეგა მიმართულებები

ე-მართვის პროგრამების მამოძრავებელია განვითარების შედეგისკენ სწრაფვა ტექნოლოგიების სწრაფად ცვალებადი ბუნებისა და დაინტერესებული მხარეების ცვალებადი მოლოდინის ადაპტირების გათვალისწინებით.

<sup>1</sup> Rabaiah A., Vandijck E. A Strategic Framework of e-Government: Generic and Best Practice. Electronic Journal of e-Government. Volume 7, Issue 3, 2009. [http://www.ejeg.com/volume-7/vol7-iss3/Rabaiah\\_and\\_Vandijck.pdf](http://www.ejeg.com/volume-7/vol7-iss3/Rabaiah_and_Vandijck.pdf)

ე-მმართველობა დაფუძნებულია 4 ძირითად პროცესზე: ე-კონსულტაცია; ე-კონტროლი; ელექტრონული ურთიერთქმედება და ქსელური საზოგადოების მართვა.<sup>1</sup>

ე-მართვა ცვლის ძალაუფლების ბუნებას, ხდის მას უფრო გამჭვირვალეს, საჯაროსა და საზოგადოების მიერ კონტროლირებადს, უზრუნველყოფს მოქალაქეთა ჩართულობას მართვაში, მთავრობის დაქვემდებარებას მოქალაქეებისადმი, მოქალაქეების რეალურ მონაწილეობას პოლიტიკურ პროცესებში, არჩევნებში, კანონშემოქმედებაში.

ე-მართვა აძლიერებს დემოკრატიულ ინსტიტუტებს, ზრდის უსაფრთხო ე-კომერციის წარმოების შესაძლებლობას,<sup>2</sup> სრულყოფს მოქალაქეებისთვის სახელმწიფო მომსახურებისა და ინფორმაციასთან წვდომას, სახელმწიფოს მენეჯმენტის შესაძლებლობებსა და უფლებებს, ეფექტიანობას, ბიზნესთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან ურთიერთქმედებას.<sup>3</sup>

ე-მართვის დანერგვით მიიღწევა შემდეგი: სახელმწიფო ინფორმაციის საჯაროობა, ობიექტურობა, სანდოობა; საჯარო სახელმწიფო ინფორმაციასთან მოქალაქეების შეუზღუდავი დაშვება; მოქალაქეებთან მუდმივი დიალოგის უზრუნველყოფა; სახელმწიფო უწყებებისა და ორგანიზაციების საქმიანობის საზოგადოებრივი კონტროლი; ტექნოლოგიური ინოვაციის მართვა; სახელმწიფო მართვის სისტემის სრულყოფა და სახელმწიფო ორგანოების სტრუქტურების ოპტიმიზაცია, მის შენახვაზე საჭირო ფინანსური და მატერიალური დანახარჯების შემცირება; ეფექტიანი ინტეგრირება რეგიონულ,

<sup>1</sup> <http://www.egovmonitor.com/node/6556>

<sup>2</sup> Durrant F. The World Wide Web enhancing e-government in the Caribbean. World Library and Information Congress: 71th IFLA General Conference and Council 'Libraries - A voyage of discovery~. Oslo, Norway. August 14th - 18th 2005. [http://archive.ifla.org/IV/ifla71/papers/167-e\\_Durrant.pdf](http://archive.ifla.org/IV/ifla71/papers/167-e_Durrant.pdf)

<sup>3</sup> REHEMA BAGUMA. AFFORDABLE E-GOVERNANCE USING FREE AND OPEN SOURCE SOFTWARE. [HTTP://CIT.MAK.AC.UG/ICCIR/DOWNLOADS/SREC\\_05/REHEMA%20BAGUMA\\_05.PDF](http://CIT.MAK.AC.UG/ICCIR/DOWNLOADS/SREC_05/REHEMA%20BAGUMA_05.PDF)

## **რახი აბულაძე**

საერთოეროვნულ და მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში; აქტუალური პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სახელმწიფო ამოცანების გადაწყვეტა; სახელმწიფო ორგანოების ურთიერთქმედება და თანამშრომლობა სხვა ქვეყნის სახელმწიფო ორგანოებთან, საერთაშორისო, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სხვა.

ე-მართვის პანორამა მოიცავს ე-მოქალაქის, ე-მომსახურების, ე-საზოგადოების, ე-მართვის დანართებს<sup>2</sup> და ახვენებს სიტუაციას, როდესაც სახელმწიფო მომსახურება და პროცესები ხორციელდება ქსელის მეშვეობით, ხოლო სახელმწიფო უფრო მეტად კონტროლისა და კოორდინაციის ცენტრალურ როლს თამაშობს, ვიდრე მომსახურების შექმნისა და უზრუნველყოფის.<sup>1</sup>

ე-მართვა მთავრობის ინსტრუმენტია საზოგადოების მშენებლობისთვის, მას დიდი მნიშვნელობა აქვს ე-მართვის სხვადასხვა კომპონენტის განსაზღვრასა და ურთიერთდამოკიდებულებაში. მისი ძირითადი კომპონენტებია: ტექნიკური კომპონენტები ელექტრონული სიდიდით; სოციალური კომპონენტები თანასწორობის სიდიდით; კულტურული კომპონენტები ეთიკური სიდიდით; პოლიტიკური კომპონენტები სამართლებრივი სიდიდით; ფსიქოლოგიური კომპონენტები ექსტენსიონალური სიდიდით; მომსახურების კომპონენტები უფლებებისა და შესაძლებლობების გაფართოების სიდიდით.<sup>2</sup>

ე-მართვა არ შეიძლება განვიხილოთ როგორც მთავრობის მექანიკური შეერთება ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან, რომელიც მთლიანობაში ქმნის სახელმწიფოს მართვის

<sup>1</sup> Aibar E. E-Governance and Citizen Information. Summary of the final Research Report Barcelona, July, 2006. [http://openaccess.uoc.edu/webapps/o2/bitstream/10609/300/1/pic\\_egovernance.pdf](http://openaccess.uoc.edu/webapps/o2/bitstream/10609/300/1/pic_egovernance.pdf)

<sup>2</sup> Sangeeta Sh. E- Governance: An Approach to Manage Bureaucratic Impediments. <http://unpan1.un.org/intradoc/groups/public/documents/un/unpan019250.pdf>



ფილოსოფიის ფორმირების პირობებს.

ე-მართვის მეშვეობით საზოგადოებრივი და სოციალური პრობლემების გადაჭრა ხდება IT-ის საფუძველზე, რომელიც დროსა და სივრცეში ათავისუფლებს ყოველგვარ შეზღუდვას. ე-მართვით იზრდება მთავრობის პასუხისმგებლობა მოქალაქეთა ცხოვრებასა და საკუთრების დაცვაზე.<sup>1</sup>

ე-მმართველობის გზა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული მართვისა და მომსახურების ხარისხის ამაღლებას, ინტერაქტიული ურთიერთობას, ინფორმირებას, იურიდიული ტრანსაქციის შესრულებას, მმართველობის ორგანოების საქმიანობის გამჭვირვალობას, საჯაროობას და ხარისხიან ფუნქციონირებას ყოველგვარი ზედმეტი ბიუროკრატიის გარეშე, დროისა და მატერიალური რესურსების ეკონომიას, ფლობს პირდაპირი პოლიტიკური სარგებლის მძლავრ კომპონენტებს.

ე-მმართველობა ე-მთავრობასა და ციფრულ საზოგადოებას უზრუნველყოფს ინფრასტრუქტურით და გააღწევა აქვს როგორც ე-მთავრობაზე, ასევე ციფრულ საზოგადოებაზე.<sup>2</sup>

ე-მმართველობის კონცეფცია შედგება ორი ურთიერთდაკავშირებული ქვეკონცეფციისაგან: შიგასამთავრობო ინფორმაციული ინფრასტრუქტურა (კორპორატიული ქსელის ანალოგი) და გარეინფორმაციული ინფრასტრუქტურა, რომელიც ურთიერთობს მოქალაქეებსა და ორგანიზაციებთან,<sup>3</sup> სადაც სახელმწიფო მხოლოდ ერთი სუბიექტია მრავალ სუბიექტთა შორის.

ე-მართვის სტრუქტურის ფუნქციური ვადღებულებები

<sup>1</sup>Song Joon H. E-Government in Developing Countries. Published by Communication and Information in Asia, UNESCO Bangkok. 2006 . <http://www2.unescobkk.org/elib/publications/083/e-government.pdf>

<sup>2</sup> <http://www.itgov.org.sa/jalasat/khalid-1.ppt#1>

<sup>3</sup><http://emag.iis.ru/arc/infosoc/emag.nsf/BPA/b423468353130801c325714-c004a0866>

## რახი აბულაძე

---

მოიცავს: მენეჯმენტის მუშაობის ცვლილების მიმართულებას (ორგანიზაციული ცვლილებები, კვალიფიკაციის ამაღლება, ლიდერობის განვითარება, შრომითი ურთიერთობები, ბიზნეს პროცესების რეინჟინინგი), მომხმარებელთა სერვისების მუშაობის მიმართულებას (მომხმარებელთა მოთხოვნების მართვა, მიწოდების მართვა, შედეგების განმტკიცება, ექსპლუატაციაში მიღება, ფართო სამომხმარებლო მომსახურება), მიწოდების აქტივობის მუშაობის მიმართულებას (მოთხოვნის ნაკრები, ანალიზი, პროექტირება, მიწოდების სწავლება, ექსპლუატაციაში გადაცემა, კადრებით უზრუნველყოფა) და ე-მთავრობის მუშაობის მიმართულებას (სტანდარტები, მეთოდოლოგია, ე-მთავრობის პროექტების ინიცირება და პრომოუშენი, ფინანსური კონტროლი, ურთიერთობის მართვა).<sup>1</sup>

ე-მართვისგან მიღებული სარგებელია: მართვის ეფექტიანობის ამაღლება და შედეგიანობა, ელექტრონული დოკუმენტბრუნვის ორგანიზაცია ტექნიკური და სამართლებრივი უზრუნველყოფის ჩარჩოებში; კორუფციის შემცირება, გამჭვირვალობის ზრდა, მეტი ხელსაყრელობა; კომუნიკაციური ტექნოლოგიების მეშვეობით მოქალაქეების ინფორმირება, მოქალაქეებსა და მთავრობას შორის ინტერაქტიულობა და ურთიერთობის შესაძლებლობა; მოქალაქეების მოზიდვა პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური პრობლემების განხილვისათვის; მონაწილეობის მიღება სახელმწიფო მართვაში; შემოსავლების ზრდა, დანახარჯების შემცირება, ეკონომიკური განვითარება, მოქნილობა, მასშტაბურობა და ა.შ.

ზემოაღნიშნული ღირსებების კონსტატირების საფუძველზე, სახელმწიფოში ე-მართვის დანერგვისათვის აუცილებელია: ინტერფეისი მოქალაქეებისა და სახელმწიფო

<sup>1</sup> United Nations. e-Government Survey 2008 New York, 2008. <http://unpan1.un.org/intrdoc/groups/public/documents/un/unpan028607.pdf>

ადმინისტრაციას შორის ურთიერთობებისთვის; სამართლებრივი, ორგანიზაციული, ტექნოლოგიური, საკადრო და ფსიქოლოგიური ასპექტების ფორმირება; ე-მართვის სამოქმედო წესები და პოლიტიკა; ე-მართვის სტრატეგიის ფორმირება; სამთავრობო ქსელური ინფორმაციული ინფრასტრუქტურის შექმნა, განვითარება და მართვის პროცესის ყველა სისტემის რეინჟინირი; სამთავრობო ქსელური ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობა; ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების ფორმალიზაცია; ინსტიტუციური მექანიზმები; ბიუჯეტური დაფინანსება; კვალიფიციური კადრები; ტექნოლოგიური ინოვაციების, ექსპერიმენტების, ახალი ელექტრონული მოდელების შემუშავების სტიმულირება; ბიუროკრატიული სტერეოტიპების მოშლა და სახელმწიფოს მართვის სისტემის მოდერნიზაცია;

## **Current Issues in Electronic Governance**

**R. Abuladze**

The article notes that catalyzation of information and communication technologies is resulting in the transformation of State governance, the need to develop the state administration system for delivering effective and valuable service, automation of service and formation of e-government.

Imperatives of e-Governance are targeted to expectancy, transparency, accountability and interaction among the various parts of society, where the formation of e-government is transformed, transparent, efficient and serves as a main instrument for a democratic of a society.

The article reviews the changes caused by e-Governance, concepts

and benefit of electronic governance. It also provides analysis of panorama of e-governance, a wide range of technologies for realization of electronic governance, the main factors of formation of e-government and mega trends.

The article presents the values caused due to introduction of E-Governance, these are as follows: publicity of information, objectivity, involvement in governance, giving the citizens unlimited access to state public information, interaction of the state with citizens and maintaining constant dialogue with them, control of the activities of governmental institutions and organizations by society, managing technological innovation, improvement of state governance system and optimization of the structures of government institutions, effective integration in regional, general national and world economy; etc.

კიბერტერორიზმი - XXI საუკუნის  
მწვავე გამოწვევა

გულაღი ნაკაშიძე  
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

ცივილიზებულ სამყაროში კომპიუტერიზაციის და ტექნოლოგიური პროგრესის ზრდასთან ერთად იზრდება მასზე დამოკიდებულება, რაც თავის მხრივ, მიუთითებს მისი დაცულობის და უსაფრთხოების უზრუნველყოფის აუცილებლობაზე. ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებამ და დანერგვამ შექმნა დანაშაულებრივი საქმიანობის ახალი სახე - კიბერდანაშაული.

ტერმინი - „კიბერტერორიზმი“, ინფორმაციული ტექნოლოგიების დექსიკონში 1997 წელს გაჩნდა, როდესაც ფედერალური გამოძიების ბიუროს აგენტმა მარკ პოლიტმა განსაზღვრა ტერორიზმის აღნიშნული სახეობა როგორც „სამოქალაქო მიზნების მიმართ, წინასწარ განსაზღვრული პოლიტიკურად მოტივირებული შეტევები ინფორმაციულ, კომპიუტერულ სისტემებზე, კომპიუტერულ პროგრამებსა და მონაცემებზე, სუბნაციონალური დაჯგუფებების ან საიდუმლო აგენტების მხრიდან, გამოსატყუელი ძალადობით“<sup>1</sup>.

ცნობილი ექსპერტი დოროთი დენინგი კიბერტერორიზმს განსაზღვრავს როგორც „ხელისუფლების ორგანოების იძულებითი დაყოლიების მიზნით პოლიტიკური ან სოციალური მიზნების მისაღწევად კანონსაწინააღმდეგო შეტევას ან შეტევის განხორციელების საფრთხეს კომპიუტერებზე, ქსელსა ან მასში არსებულ ინფორმაციაზე“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> Larry J. Siegel (2008) Criminology- Cyber crime and technology - Cyber terrorism: Cyber Crime With Political Motives . pp № 449

<sup>2</sup> Dorothy E. Denning. (23.05.2000). "CYBERTERRORISM". Special Oversight Panel on Terrorism Committee on Armed Services U.S. House of Representatives. Georgetown University <http://www.cs.georgetown.edu/~denning/infosec/cyberterror.html>

კიბერტერორიზმის ცნება შეიძლება, აგრეთვე, განსაზღვროთ როგორც ტერორისტული საქმიანობის განხორციელება კიბერსაშუალებათა გამოყენებით. აღნიშნული გულისხმობს კიბერსივრცეში ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, ტერორისტული ღონისძიებების (ოპერაციების) გატარებას. ტერორისტულ ოპერაციებს შესაძლებელია გააჩნდეს რელიგიური, ეთნიკური თუ რასობრივი მოტივაცია. რომელთა მიხედვითაც ტერორიზმის მიზანი შესაძლებელია იყოს როგორც პოტენციური სამიზნესთვის ეკონომიკური ზიანის მიყენება, აგრეთვე ადამიანთა სიცოცხლის ხელყოფა.

კიბერდანაშაული მოიცავს დანაშაულთა იმ კატეგორიას, რომელიც განხორციელდა კიბერსივრცის გამოყენებით. ხშირად, კიბერდანაშაულის და კიბერტერორიზმის ცნებებს ერთი კონტექსტით მოიაზრებენ. რეალურად კი, კიბერტერორიზმი არის კიბერდანაშაულის ერთ-ერთი სახე, რომელიც თავისი მიზნებიდან და პოტენციური შედეგებიდან გამომდინარე, სხვა სახეობის კიბერდანაშაულებებისგან იმით განსხვავდება, რომ ხელყოფს საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, სახელმწიფოს პოლიტიკურ, სტრატეგიულ ან ეკონომიკურ ინტერესებს და ქმნის მძიმე შედეგების მიღების საშიშროებას. აგრეთვე კიბერტერორიზმი, კიბერსივრცეში განხორციელებული სხვა დანაშაულებისაგან დანაშაულებრივი მოტივაციით და მისი განხორციელების შემთხვევაში მოსალოდნელი დანაკარგებით განსხვავდება.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში კიბერტერორიზმის შესახებ 324'-ე მუხლს აქვს შემდეგი დისპოზიცია: „კიბერტერორიზმი, ესე იგი კანონით დაცული კომპიუტერული ინფორმაციის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება, მისი გამოყენება ან გამოყენების მუქარა, რაც ქმნის მძიმე შედეგის საშიშროებას და ხელყოფს საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, სახელმწიფოს სტრატეგიულ, პოლიტიკურ ან ეკონომიკურ ინტერესს, ჩადენილი მოსახლეობის დაშინების, ან და ხელისუფლების ორგანოზე ზემოქმედების მიზნით“<sup>1</sup>.

კიბერტერორიზმს აგრეთვე გამოყოფენ როგორც ე.წ ტექნოლოგიური ტერორიზმის ერთ-ერთ სახეობას.

ტექნოლოგიური ტერორიზმი, ტერორისტული აქტების განხორციელებისას იყენებს უახლეს ინფორმაციულ ტექნოლოგიებს, რადიოელექტრონიკას, გენურ ინჟინერიას, იმუნოლოგიას და თანამედროვე მეცნიერების სხვა სფეროებში არსებულ მიღწევებს.

მსოფლიო მასშტაბით კიბერდანაშაულს რა წილი უკავია კიბერტერორიზმში, საკმაოდ რთული დასადგენია, რადგან შესაძლებელია ყოველთვის ვერ მოხერხდეს კიბერდანაშაულის სათანადო შეფასება კიბერტერორიზმის მაკვალიფიცირებელი ნიშნების მიხედვით. ეს, აგრეთვე, გამოდინარეობს იქიდან, რომ კიბერტერორისტული ოპერაცია ყოველთვის ვერ იქნება წარმატებული და შესაბამისად, ყოველთვის შესაძლებელია ვერ გამოვლინდეს კიბერტერორისტული ოპერაციის ნამდვილი მიზანი და დანიშნულება.

აგრეთვე, საყურადღებოა სამომავლო ტერორისტული ოპერაციების დაგეგმვის და მათი განხორციელების მიზნით, ტერორისტული ორგანიზაციების და კიბერდამნაშავეთა დაჯგუფებებს შორის აქტიური თანამშრომლობა. კიბერდამნაშავეებს გააჩნიათ ის ტექნიკური უნარჩვევები და პოტენციური შესაძლებლობები, რაც საჭიროა კიბერსივრცეში ტერორისტული ოპერაციების ჩასატარებლად და კინეტიკურ სფეროში ჩასატარებელი ტერორისტული ოპერაციების ტექნიკური მხარდაჭერისთვის. ამიტომაც, ტერორისტული დაჯგუფებების მხრიდან არსებობს დაინტერესება გამოიყენონ კიბერდამნაშავეები ტერორისტული საქმიანობისთვის.

მრავალი ტერორისტული დაჯგუფება თუ ორგანიზაცია დღეს უფრო მეტად ორიენტირებულია კიბერსივრცეში ტერორისტული აქტების განხორციელებისკენ. აღნიშნულს განსაზღვრავს რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი, მათ შორის: კიბერსივრცეში ჩატარებული ოპერაციების დაბალი ბარიერი, ადამიანური რესურსების ეფექტიანი გამოყენება,

<sup>1</sup> The criminal code of Georgia (1999) - (Georgian law code about crime)

ოპერაციის ფარულობა და მობილობა.

ზოგიერთი ოპერაციის ჩასატარებლად კიბერსივრცის გამოყენების მიზანშეწონილობა განისაზღვრება მის განსახორციელებლად გაწეული დაბალი დანახარაჯების მიხედვით, რასაც ოპერაციის ბარიერის დონეს უწოდებენ. სხვაგვარად რომ განვმარტოთ, ერთი და იმავე ეფექტის მისაღებად თუ კიბერსივრცეში ოპერაციების ჩასატარებლად გაწეული დანახარაჯები უფრო მცირეა, ვიდრე ნებისმიერ სხვა სფეროში გაწეული დანახარაჯები, მაშინ კიბერსივრცეს გააჩნია უფრო დაბალი ბარიერი დასახული მიზნის მისაღწევად.<sup>1</sup> ეს კი ნიშნავს იმას, რომ ზოგჯერ კიბერსივრცეში ოპერაციის ჩატარება უფრო ხელსაყრელია, ვიდრე კინეტიკურ სფეროში.

ნებისმიერი ადამიანის უნარ-ჩვევების გამოყენება შესაძლებელია როგორც დადებითი, ასევე უაყოფითი მიმართულებით. ადამიანური რესურსების ეფექტიანი გამოყენება გულისმობს მათი ინტელექტუალური შესაძლებლობების საშუალებით მაქსიმალური სარგებლის მიღებას. ტერორისტული დაჯგუფებები ინტერესდებიან ადამიანთა ინტელექტუალური პოტენციალით, რადგან ხშირად ტერორისტული ოპერაციის ჩატარება დასახული მიზნის მისაღწევად მოითხოვს სპეციფიკურ ცოდნას და სპეციალიზაციას. მაგალითისთვის, ჯიჰადის განსახორციელებლად ერთი პოტენციური კანდიდატის მომზადებაზე გაწეული დანახარაჯები მიზანმიმართულია ერთჯერადი ამოცანის შესასრულებლად, რადგან კინეტიკურ სფეროში ტერორისტს მხოლოდ ერთხელ შეუძლია ჯიჰადის განხორციელება, რითაც ამოღებულ სამიზნეს ერთჯერადად მიაყენებს ზიანს. კიბერტერორისტის უპირატესობა კი ტერორისტული საქმიანობის მრავალჯერადობაშია. მას შეუძლია არაერთხელ მიაყენოს კიბერნეტიკულ სფეროში სამიზნე ქვეყანას ზიანი და გარკვეული ქმედებების შე-

---

<sup>1</sup> Dorothy E. Denning (IO Journal, April 2009) - Barriers to Entry: Are They Lower for Cyber Warfare? <http://faculty.nps.edu/dedennin/publications/Denning-BarrierstoEntry.pdf> pp. 7-8



დებად კი, ხელეოს ადამიანთა სიცოცხლე. ამდენად, ზოგჯერ ტერორიზმისათვის ადამიანთა ტექნიკურ-ინტელექტუალური შესაძლებლობების მიზანმიმართული გამოყენება უფრო მაღალი ეფექტის მომტანი შეიძლება იყოს, ვიდრე ადამიანთა მხოლოდ ფიზიკური უნარი.

ტერორისტული საქმიანობის განხორციელებისათვის კიბერსივრცე, როგორც ბრძოლის ველი, ტერორისტებს მობილურობისა და ფარულობის უპირატესობას ანიჭებს, რაც, აგრეთვე, წარმოადგენს კიბეროპერაციების ჩასატარებლად კიბერსივრცის გამოყენების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს. ფარულობა წარმოადგენს კიბერდამნაშავის უნარს კიბერსივრცეში განახორციელოს შეტევა ისე, რომ პოტენციურმა სამიზნემ თავისი მონაცემების დაკარგვის, ცვლილების ანდა დაზიანების შესახებ კიბერშეტევის ამოცანის წარმატებული განხორციელების შემდეგ გაიგოს. კიბერსივრცის მობილურობის პრინციპი კი გულისხმობს უნარს დაფაროს ადგილი, საიდანაც ხორციელდება კიბერშეტევა, კიბერსივრცეში ოპერაცია მრავალი ობიექტიდან ერთდროულად განახორციელოს და დაფაროს კიბერშეტევის შემდეგ დარჩენილი კვალი.

კიბერსივრცეში თანამედროვე ტერორისტული ქმედებები ახალ საფეხურზე გადავიდა და მისგან მომდინარე საფრთხე დღეს უკვე განვითარებული ქვეყნების ნაციონალური უსაფრთხოების დაცვის სტრატეგიებში მოწინავე ადგილს იკავებს. აღნიშნული განპირობებულია კიბერტერორიზმიდან მომდინარე საფრთხეების რეალურობით და მნიშვნელოვნებით, რასაც ადასტურებს კიბერშეტევებით უკვე გამოწვეული, ანდა მისი განხორციელების შემთხვევაში მოსალოდნელი პოტენციური დანაკარგების მაჩვენებელი.

სახელმწიფოების და ხელისუფლების დისკრედიტაციის მიზნით კიბერტერორიზმი იყენებს ინტერნეტს - ტერორისტული ხასიათის ვებგვერდების განთავსებით, სახელმწიფო მნიშვნელობის ელექტრონულ სისტემებში ფალსიფიცირებული მონაცემების შეტანით ან ამ სისტემების მწყობრიდან სი-

სტემატური გამოყვანით, რითიც ქმნის შიშის ფაქტორს, რაც წარმოადგენს ტრადიციული ტერორიზმის დამახასიათებელ ნიშანთვისებას, ასევე განსაზღვრავს კიბერტერორიზმს, როგორც მის ერთ-ერთ სახეობას. მაშასადამე, კიბერტერორიზმი წარმოადგენს ტექნიკური საშუალებების გამოყენებით ტერორისტული და კრიმინალური საქმიანობის სპეციფიკურ ფორმას.

ტერორისტები კიბერსივრცეს იყენებენ შემდეგი მიზნებისათვის<sup>1</sup>:

- ინტერნეტის საშუალებით პოტენციურ სამიზნეებზე შეაგროვონ ინფორმაცია მდებარეობის და მახასიათებლების განსასაზღვრად;

- ტერორისტულ მოძრაობათა მხარდაჭერისათვის ფინანსური რესურსების შესაგროვებლად;

- ტერორისტული მოძრაობების შესახებ დეტალური ინფორმაციის შემცველი ვებგვერდების შესაქმნელად, რაც მოიცავს დაჯგუფებების მიზნების, ამოცანების, პროტესტის გამოხატვის ფორმების და დაჯგუფებებთან დაკავშირებული სხვა სახეობის შემცველ ინფორმაციას. რითაც ტერორისტული მოძრაობები ცდილობენ ტერორისტების მხარდამჭერ ჯგუფებზე სინერგიულ ზემოქმედებას, რაც გულისხმობს აღნიშნულ ჯგუფებზე გავლენის მოხდენას მართვის არაკლასიკური, ქვეცნობიერი მეთოდების გამოყენებით;

- ფინანსური ინსტიტუტებისგან ფულის გამოძალვისთვის, რათა მათ თავი აარიდონ კიბერტერორიზმის აქტებს და არ დაკარგონ რეპუტაცია;

- ინტერნეტის ფართო აუდიტორიის გამოსაყენებლად უკვე დაგეგმილი ან სამომავლო მოქმედებების, ან განხორციელებულ ტერაქტებზე პასუხისმგებლობის აღების თაობაზე ინფორმაციის გასავრცელებლად, აგრეთვე, მსგავსი შინაარსის ელექტრონული წერილების მასობრივად დასავაზავად;

<sup>1</sup>Tropina Tatyana Lvovna (2005) - Cybercriminality: concept, a condition, criminally-legal measures of struggle from <http://www.crime.vl.ru/index.php?p=986&more=1&c=1&tb=1&pb=1>

- ინტერნეტის გამოყენება ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური ზემოქმედებისთვის, „ფსიქოლოგიური ტერორიზმის“ ინიცირებისათვის. ინტერნეტის საშუალებით საზოგადოებაში შიშისა და პანიკის დასანერგად ან დეზინფორმირების გზით ადამიანების შეცდომაში შესაყვანად. აგრეთვე, ტერორისტული ორგანიზაციები აქტიურად იყენებენ ინტერნეტის მსოფლიო ქსელს სხვადასხვა ჭორის და მათ შორის საგანგაშო ინფორმაციის გასავრცელებლად;

- ტერორისტულ საქმიანობაში სათანადო პოტენციალის და გამოცდილების მქონე პიროვნებების ჩასართავად, რომელთათვისაც ცნობილი არ უნდა იყოს მათი საქმიანობის ნამდვილი მიზანი. მაგალითად, კომპიუტერული ხულიგნების დაყოლიება, რომელთათვის უცნობია, თუ რას ემსახურება მათი სამომავლო საქმიანობა;

- ელექტრონული ფოსტით ან ელექტრონული შეტყობინებების „დაფებით“ დაშიფრულ შეტყობინებათა გასაცვლელად;

- ტერორისტული შინაარსის ვებგვერდების განსათავსებლად, სადაც საუბარია ფეთქებად ნივთიერებებსა თუ საშუალებებზე, შხამებზე, მომწამვლელ გაზებსა და მათი დამოუკიდებლად მიღება-დამზადების ინსტრუქციებზე.

ინტერნეტში მრავლად არის განთავსებული მსგავსი ვებგვერდები, სადაც აღნიშნული ინფორმაციის მოპოვება თავისუფლადაა შესაძლებელი.

ყურადსაღებია ტერმინი – „ქსელური ომი“ რომელიც დევიდ რონფელდმა ( ავიდ ღონფელდ) და ჯონ არკრილამ (ჟოჰნ რქუილდა) შემოიტანეს. დევიდ რონფელდის განსაზღვრებით ომის ეს სახეობა - „წარმოადგენს საზოგადოებრივი კონფლიქტის ერთ-ერთ სახეს, რომელიც წარმოებული კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით მიმდინარეობს ინტერნეტის მეშვეობით“<sup>1</sup>. ჯონ არკრილას განმარტებით კი, „ქსელური ომი“ - „სოციალურ დონეზე, ტრადიციული საომარი ძალის გამოყენების გარეშე, კონფლიქტების წარმოების ახალი ხერხია, როდესაც პროტაგონისტები (მთავარ როლ-

ში მეოფი ადამიანები) იყენებენ ორგანიზაციის ქსელურ ფორმებს და მასთან დაკავშირებულ დოქტრინებს, სტრატეგიებს და ტექნოლოგიებს, რომლებიც შეესაბამება ინფორმაციული საზოგადოებას ეპოქას.<sup>24</sup>

ინფორმაციული ომის განსაზღვრების ძირითად ცნებებს წარმოადგენს ნეტწარ და ცებერწარ. ორივე კონფლიქტის წარმოების ერთგვარ ფორმაა, რომლის დროსაც შესაძლებელია გამოიყენონ კიბერტერორიზმის მეთოდები და საშუალებები. netwar – კიბერსივრცეში კონფლიქტის წარმოებაა სოციალურ დონეზე, ხოლო cyber war - კიბერსივრცეში კონფლიქტის წარმოებაა სამხედრო დონეზე. მათ შორის განსხვავება კიბერსივრცეში კონფლიქტის წარმოების ფორმა და მიზანია.

კიბერტერორიზმი ქსელური ომის წარმოების ფორმად იქცევა მაშინ, როდესაც ტერორისტული ოპერაციებით ცდილობს საზოგადოებრივი უსაფრთხოების დარღვევის და მოსახლეობის დაშინების გზით, ხელისუფლებაზე ზემოქმედების მიზნით, გავლენა მოახდინოს სოციუმზე. თუ კიბერსივრცეში ტერორისტული ქმედებების მიზნები სცდება სოციალური ზემოქმედების საზღვრებს და მიმართულია, მაგალითად, სახელმწიფოს ეკონომიკური უსაფრთხოების ან თავდაცვითი შესაძლებლობების დაზიანების ან განადგურებისკენ, მაშინ კონფლიქტის წარმოება გადავა სამხედრო დონეზე და მიიღებს კიბერომის სახეს.

კიბერტერორიზმი მიეკუთვნება სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა სახეობას, რაც აქცევს მას ნაციონალური უსაფრთხოების ერთ-ერთ პრიორიტეტად. მის მნიშვნელობას ადასტურებს: მოწინავე ქვეყნების ნაციონალური უსაფრთხოების სტრატეგიაში განსაზღვრული რისკებსა და საფრთხეებს შორის კიბერუსაფრთხოების მაღალი

<sup>1</sup> John Arquilla and David Ronfeldt (1993) - CYBERWAR IS COMING!: Both Netwar and Cyberwar Are Likely – pp. № 27

<sup>2</sup> J.Arquilla and D.Ronfeldt (2001) Networks And Netwars- THE ADVENT OF NETWAR (REVISITED): Defining Netwar pp. № 6

პრიორიტეტი, კიბერუსაფრთხოებაზე გაწეული დანახარჯების ყოველწლიური ზრდა და კიბერუსაფრთხოებაში ახალი და მრავალმხრივი კვლევების წარმოება და დაფინანსება, ინფორმაციის მასობრივი საშუალებების ყურადღება და მსოფლიო გამოხამაურება. ყოველივე აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ მსოფლიოში კიბერდანაშაულის რიცხვი ყოველდღიურად იზრდება და შესაბამისად იზრდება ამ დანაშაულით გამოწვეული დანაკარგების რაოდენობაც (2009 წლის 29 მაისს აშშ-ის პრეზიდენტის ბარაკ ობამას თეთრ სახლში გაკეთებული განცხადებით, ორი უკანასკნელი წლის მანძილზე კიბერდანაშაულით მიყენებული ზიანის ოდენობამ აშშ-სთვის 8 მლრდ დოლარით განისაზღვრა). აღნიშნულ საკითხებზე შედარებით დიდ ყურადღებას ამახვილებენ ის ქვეყნები, რომელთა ინფრასტრუქტურაც დამოკიდებულია კიბერსივრცის შეუფერხებელ ფუნქციონირებაზე და რომლის მართვაც ელექტრონულ სისტემებზეა ორიენტირებული.

მაგალითად, აშშ-მ 2008 წელს შეიმუშავა საინიციატივო პროგრამა, რომლის მიხედვითაც უნდა შექმნილიყო სახელმწიფო დაწესებულებათა შორის კიბერსივრცის კონტრაზვერგის სამსახური და აგრეთვე სახელმწიფო დაწესებულებების ქსელებში უსაფრთხოების დონის ამაღლების დონისძიებები ჩაატარა. გარდა ამისა, საინიციატივო პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული იყო სახელმწიფო ინფორმაციულ სისტემებში შეღწევის პოტენციური მეთოდების დადგენა და ინფორმაციული უსაფრთხოების სფეროში კვლევების წარმოება.

თანამედროვე მსოფლიოში კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა უკვე საერთაშორისო პრობლემად იქცა და თავისი მნიშვნელობით საერთაშორისო ტერორიზმსაც გაუტოლდა. ტრანსნაციონალური კომპიუტერული დანაშაულის და კიბერტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანი მეთოდების შემუშავება წარმოადგენს მსოფლიო კიბერსივრცის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძირითადი ელემენტი. სწორედ ამიტომ, კიბერსივრცის უსაფრთხოების კვლევა

მსოფლიოში მრავალი ქვეყნის მუშაობის პრიორიტეტულ მიმართულებად იქცა.

ესტონეთში 2007 წლის 27 აპრილს დაწესებული კიბერშეტევები, რომლებიც 3 კვირის განმავლობაში გრძელდებოდა, წარმოადგენდა სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული კიბერშეტევების პირველ და უპრეცედენტო შემთხვევას. შეტევის სამიზნედ იქცა როგორც სახელმწიფო, აგრეთვე კერძო სექტორის ინტერნეტ ინფრასტრუქტურა. აღნიშნული მოვლენა გახდა ესტონეთისა და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი ქვეყნებისათვის კიბერუსაფრთხოების სფეროში რიგი ღონისძიების გატარების საფუძველი, რათა სამომავლოდ სავალალო შედეგებისგან თავი აერიდებინათ და მოეხდინათ კიბერშეტევებით მიღებული დანაკარგების მინიმიზება. ამ მიზნით, ესტონეთში შეიქმმა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი ქვეყნების კიბერუსაფრთხოების ცენტრი, რომელმაც შეიმუშავა კადრების მომზადების ახალი პროგრამა და დაიწყო თანამედროვე დაცვის საშუალებების შექმნა და მათი განვითარება.

თანამედროვე მსოფლიოს მოთხოვნების შესაბამისად, საქართველოც გადადის ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის სისტემების აქტიურ გამოყენებაზე. სახელმწიფო დაწესებულებების ზოგიერთ სისტემაში უკვე დაინერგა და გამოიყენება საქმის წარმოების ელექტრონული სისტემები. ათასობით ელექტრონული დოკუმენტის გადაცემა ქსელში, მონაცემთა ბაზების ინფორმაციის მოძიება, დამუშავება, შენახვა, გადაცემა და ა.შ. თავის მხრივ საჭიროებს ინფორმაციული სისტემების დაცვის და უსაფრთხოების უზრუნველყოფას. რამდენადაც კიბერტეორიზმის შეტევის ობიექტს წამოადგენს ქვეყნის კიბერსივრცეში ფუნქციონირებადი ელექტრონული სისტემები, შესაძლებელი გამოვყოთ ტერორისტული მოტივაციის მქონე კიბერშეტევების შემდეგი ძირითადი სამიზნეები: სახელმწიფო საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საინფორმაციო ელექტრონული სისტემები; ქვეყნის ფინანსური სექტორის მართვის და

საინფორმაციო ელექტრონული სისტემები და მასმედია.

– სახელმწიფო საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საინფორმაციო ელექტრონული სისტემები ისეთი მასობრივი ინფორმაციის წყაროებია, რომლითაც ხელისუფლების მმართველი ორგანოები აწვდიან და იღებენ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების, ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის, ხელისუფლების მიერ მიღებული ოფიციალური გადაწყვეტილებების და მისი პოზიციების შესახებ ინფორმაციას. აღნიშნულს გააჩნია დომინანტური პოზიცია ხელისუფლების ოფიციალური ინფორმაციის გაცვლის თვალსაზრისით. ზემოხსენებულ სისტემებზე კიბერშეტევების განხორციელება მიმართულია აღნიშნულ ინფორმაციულ ნაკადებზე ზემოქმედების მოსახდენად – ინფორმაციის ფარულად მოპოვების, ანდა მისი შეზღუდვისა და პარალიზების მიზნით;

– როგორც ცნობილია, ფინანსური სექტორის ელექტრონული მართვის სისტემები ქვეყნის ეკონომიკური ფუნქციონირების ძირითადი რგოლია, რომელზეც დამოკიდებულია ქვეყნის შიგა და საგარეო ფინანსური ოპერაციები. ზემოხსენებულ სექტორზე კიბერშეტევების განხორციელება მიზნად ისახავს ქვეყნის ფინანსური ინფრასტრუქტურის პარალიზებას, მასში არსებული ინფორმაციის დაუფლებას კომერციული ან პოლიტიკური მიზნით, რითაც შესაძლებელია ქვეყნისათვის გრძელვადიანი და მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზიანის მიყენება;

– მასმედიის ამოცანაა საზოგადოებას მიაწოდოს უტყუარი ინფორმაცია ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ განვითარებული მოვლენების შესახებ. მისი დანიშნულებაა ჯანსაღი საზოგადოებრივი აზრის ფორმირება. აღნიშნულზე კიბერშეტევების განხორციელების მიზანია გარკვეული სახეობა ინფორმაციის მასობრივი გავრცელების და სისტემატური მიწოდების შეზღუდვა. მასმედიის ელექტრონული საშუალებები, აგრეთვე, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს დეზინფორმაციის გასავრცელებლად, მცდარი საზოგადოე-



ბრივი აზრის ფორმირების და ქაოსის გამოწვევის მიზნით.

2007 წელს (27 აპრილი – 18 მაისი) ესტონეთის კიბერსივრცეზე განხორციელებული კიბერშეტევების სამიზნეს წარმოადგენდა ზემოხსენებული სამივე სექტორი. კერძოდ, ესტონეთის პრეზიდენტის და პარლამენტის ვებგვერდები, ესტონეთის ყველა სამინისტროს ელექტრონული ფოსტა, პოლიტიკური პარტიების ვებგვერდები, სამი საინფორმაციო სამსახური, ქვეყნის ორი უდიდესი ბანკი, სამთავრობო ინტერნეტპროვაიდერები და სატელეკომუნიკაციო კომპანიები:

[www.mkm.ee](http://www.mkm.ee) (Ministry of Economic Affairs and Communications); [www.peaminister.ee](http://www.peaminister.ee) (Website of the prime minister); [www.riigikogu.ee](http://www.riigikogu.ee) (Estonian Parliament); [www.sisemin.gov.ee](http://www.sisemin.gov.ee) (Ministry of Internal Affairs); [www.valitsus.ee](http://www.valitsus.ee) (Estonian Government); [www.vm.ee](http://www.vm.ee) (Ministry of Foreign Affairs).

ესტონეთზე განხორციელებული კიბერშეტევების საფუძველს წარმოადგენდა ესტონეთის ხელისუფლების გადაწყვეტილება ტალინის ცენტრალური მოედნიდან საბჭოთა მემორიალის პერიფერიაში გადატანის თაობაზე.

2008 წელს (28 ივნისი – 30 ივლისი) ლიტვაზე განხორციელებული კიბერშეტევების სამიზნეს ამ შემთხვევაშიც წარმოადგენდა სახელისუფლებო, საფინანსო ორგანოების და მასმედიის ვებგვერდები. აღნიშნულ ფაქტს წინ უძღოდა ლიტვის პარლამენტის გადაწყვეტილება, რომელიც კრძალავდა საბჭოთა პერიოდის სიმბოლიკის საზოგადოებრივ ჩვენებას და მის წარმოჩინებას, მაგალითად, საბჭოთა ჰიმნის გაუღერება.

2008 წელს საქართველოს კიბერსივრცეზე განხორციელებული კიბერშეტევების სამიზნედ, აგრეთვე, იქცა სამივე ზემოაღნიშნული სექტორი. საქართველოს ხელისუფლების ვებგვერდები, რომლებზეც განხორციელდა კიბერშეტევები: საქართველოს პრეზიდენტის ვებგვერდი ([www.president.gov.ge](http://www.president.gov.ge)); საგარეო საქმეთა სამინისტრო ([www.mfa.gov.ge](http://www.mfa.gov.ge)); საქართველოს მთავრობის ვებგვერდი ([www.government.gov.ge](http://www.government.gov.ge)); საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი ([www.parliament.ge](http://www.parliament.ge));



თავდაცვის სამინისტროს ვებგვერდი ([www.mod.gov.ge](http://www.mod.gov.ge)); ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვებგვერდი ([www.cec.gov.ge](http://www.cec.gov.ge)); ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდი ([www.mof.ge](http://www.mof.ge)); აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ვებგვერდი ([www.abkhazia.gov.ge](http://www.abkhazia.gov.ge)); საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო ([www.mes.gov.ge](http://www.mes.gov.ge))

საქართველოს ფინანსური სექტორი, რომელზეც განხორციელდა კიბერშეტევები: საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდი ([www.nbg.gov.ge](http://www.nbg.gov.ge)); თიბისი ბანკის ვებგვერდი ([www.tbcbank.ge](http://www.tbcbank.ge)); რესპუბლიკა ბანკის ვებგვერდი ([www.republic.ge](http://www.republic.ge)); ვითბი ბანკის ვებგვერდი ([www.vtb.com.ge](http://www.vtb.com.ge))

2008 წლის 9 აგვისტოს, ფინანსურ სექტორის დაცვის მიზნით, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გასცა განკარგულება დროებით ყველა ბანკს შეეწყვიტა ელექტრონული მომსახურება.

მასმედიის ვებგვერდები, რომლებიც გახდა 2008 წლის კიბერშეტევების სამიზნე: სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2-ის ვებგვერდი ([www.rustavi2.com](http://www.rustavi2.com)); მთავარი საინფორმაციო სააგენტო ([www.interpress.ge](http://www.interpress.ge)); საინფორმაციო სააგენტო, ახალი ამბები საქართველოდან ([www.civil.ge](http://www.civil.ge)); საინფორმაციო სააგენტოს ვებგვერდი ([www.presa.ge](http://www.presa.ge)); ინფორმაციულ ანალიტიკური პორტალი ([www.apsny.ge](http://www.apsny.ge)); საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის საინფორმაციო სააგენტოს ვებგვერდი ([www.day.az](http://www.day.az)).

აგრეთვე შეტევები განხორციელდა ისეთ საზოგადოებრივ-კულტურულ ვებ გვერდებზეც როგორცაა: [www.internet.ge](http://www.internet.ge); [www.geres.ge](http://www.geres.ge); [www.chca.org.ge](http://www.chca.org.ge); [www.forum.ge](http://www.forum.ge); [www.museum.ge](http://www.museum.ge); [www.grena.ge](http://www.grena.ge) და სხვა.

ზემომოყვანილი სამივე კიბერკონფლიქტის დროს გამოვლენილი ფაქტები არ არის გამყარებული მტკიცებულებებით, რომ აღნიშნული კიბერშეტევები რომელიმე კონკრეტული სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ იყო ორგანიზებული. მაგრამ, სამივე შემთხვევაში განხორციელებულ კიბერშეტევებს აერთიანებს შეტევის სამიზნე, შეტევის

მიზანი და დამდგარი შედეგები. კიბერშეტევები, რომლებიც ესტონეთში, ლიტვასა და საქართველოში იქნა განხორციელებული, მრავალი საერთო ნიშნის მატარებელია და რაც მთავარია, სამივე შემთხვევაში შეტევები განხორციელებულ იქნა სახელმწიფო, ფინანსურ და მასმედიის სექტორებზე. საქართველოს სისიხლის სამართლის კოდექსის 324-ე მუხლის დისპოზიციაში განსაზღვრული შედეგები, რომლითაც კვალიფიცირდება კიბერტერორიზმი, შესაძლებელია დადგეს მხოლოდ აღნიშნულ სექტორებზე კიბერშეტევების განხორციელებით, რის საფუძველზეც მოცემულ ფაქტებს შეგვიძლია მივაჩიოთ კიბერტერორიზმის კვალიფიკაცია.

2008 წლის აგვისტოს მოვლენებმა საქართველოს დიდი გამოცდილება შესძინა კიბერშეტევების სტარატეგიის და ტაქტიკის მიმართულებით, რამაც 2007 წლის ესტონეთის კიბერშეტევების შემდეგ, კიდევ ერთხელ დაანახა მსოფლიოს კიბერუსაფრთხოების მნიშვნელობა. დღეისათვის საქართველოც აქტიურადაა ჩართული კიბერუსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაში.

2008 წლის აგვისტოს კიბერშეტევების შემდეგ საქართველომ მიიღო ქვეყნის კიბერსივრცის დაცვის რეალური გამოწვევა, რაც მოითხოვს ერთიანი ნაციონალური კიბერუსაფრთხოების სისტემის შექმნას, ესტონეთის მაგალითზე დაყრდნობით. აღნიშნული კი უპირველესად გულისხმობს:

- ქვეყანაში არსებული ინფორმაციული სისტემების „სუსტი რგოლების“ და მათი გამოყენებით კიბერშეტევების განხორციელების პოტენციური საფრთხეების გამოვლენას და მათ აღმოსაფხვრელად კონკრეტულ მუშაობას და კვლევების წარმოებას;

- აღნიშნული მიმართულებით კადრების აღზრდის მიზნით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში კონკრეტული სპეციალიზაციის შექმნას, რათა ამ მიმართულებით დაიწეოს კონკრეტული კვლევების წარმოება, რაც მომავალში ქვეყნის ინფორმაციული უსაფრთხოების დასაცავად და სამომავლო კიბერშეტევების შედეგად მიღებული

დანაკარგების თავიდან აცილების აუცილებელი წინაპირობაა;

- აგრეთვე, სამომავლოდ ისეთი თანამედროვე პროგრამული უზრუნველყოფის შექმნას, რომელიც არ იქნებოდა ზოგადად გავრცელებული და იქნებოდა შექმნილი ქვეყნის კონკრეტული მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად.

დასასრულს ხაზგასმითუნდა აღვნიშნოთ, რომ რამდენადაც ინფორმაციული უსაფრთხოების ფაქტორი დიდადაა დამოკიდებული კონკრეტული პროგრამული უზრუნველყოფების ცნობადობაზე, ამგვარი პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება მსოფლიო თანამედროვე კიბერუსაფრთხოების სტანდარტებთან ერთად, ხელს შეუწყობდა ინფორმაციული ოპერაციების შედარებით უსაფრთხო წარმოებას; ასევე კიბერუსაფრთხოების მიმართულებით საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში სამუშაო და ერთობლივი კვლევითი საქმიანობის და გამოცდილების გაზიარებას, რაც ქვეყნის ინფორმაციული უსაფრთხოების მნიშვნელოვანი ფაქტორია.

### **Cybersafety - Crucial Challenge of the 20th Century**

**G. Nakashidze**

The article focuses on the necessity of revealing attempts of using cyberspace for terrorist and criminal purposes. Cyberspace is considered as one of the forms and means of cooperation for the members of organized crime and terrorist organizations for organizing (planning and implementation) of criminal activities. The article shows the purpose of using cyberspace by terrorist groups and defines the role and function of cyber terrorism in information war. The paper provides definite tasks and activities to be implemented, methods for dealing with the problem are suggested to the countries for fighting against terrorism.

The article is based on the analysis of the reports of different competent organizations and appropriate arguments are provided from public sources.

**ფინანსური ინსტრუმენტების ასახვა  
ფინანსურ ანგარიშგებაში**

ნაღუჟა კვატაშიძე

ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ-ის  
ასოცირებული პროფესორი

ფინანსური ინსტრუმენტია ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოქმნის როგორც ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს<sup>1</sup>. ბასს 32 იძლევა რეკომენდაციას, რომ ვიდრე ემიტენტი მოახდენს ფინანსური ინსტრუმენტების ფინანსურ ანგარიშგებაში სათანადო ელემენტად კლასიფიკაციას, ხელშეკრულება უნდა იქნეს შესწავლილი და გაანალიზებული. კერძოდ, ემიტენტმა საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციის დროს, მხედველობაში უნდა მიიღოს მისი შინაარსი და არა სამართლებრივი ფორმა. ჩვეულებრივ, ფინანსური ინსტრუმენტის შინაარსი და სამართლებრივი ფორმა ერთმანეთს შეესაბამება, თუმცა ყოველთვის არა. მაგალითად, ზოგიერთი ფინანსური ინსტრუმენტი იღებს წილობრივი ინსტრუმენტის სამართლებრივ ფორმას, მაგრამ შინაარსით ვალდებულებას წარმოადგენს, ხოლო სხვები შეიძლება აერთიანებდეს როგორც წილობრივი ინსტრუმენტების, ასევე ფინანსური ვალდებულებების თვისებებს<sup>2</sup>.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მისი თავდაპირველად აღიარებისას, ფინანსური ინსტრუმენტის ემიტენტმა ფინანსური ინსტრუმენტის ან მისი შემადგენელი ნაწილების კლასიფიკაცია უნდა მოახდინოს ფინანსური

<sup>1</sup> ბასს 32 „ფინანსური ინსტრუმენტები: წარდგენა“, თბ., 2009. პ.11.

<sup>2</sup> იქვე, პ.18.

ვალდებულების, ფინანსური აქტივის ან წილობრივი ინსტრუმენტის სახით, ხელშეკრულების შინაარსისა და ფინანსური ვალდებულების, ფინანსური აქტივისა და წილობრივი ინსტრუმენტის განმარტებების შესაბამისად.

ასე, მაგალითად, პრივილეგიური აქციები შეიძლება გამოშვებულ იქნეს სხვადასხვა უფლებით, პრივილეგიური აქციების ვალდებულებად და საკუთარ კაპიტალად კლასიფიცირების დროს, საწარმომ უნდა შეაფასოს აქციებთან დაკავშირებული განსაკუთრებული უფლებები იმის დასადგენად, თუ როგორ გამოვლინდება ფინანსური ანგარიშგების ელემენტების ძირითადი მახასიათებლები.

პრივილეგიური აქციების შინაარსს განსაზღვრავს გამოშვების პირობები, რაც ძირითადად ეხება ხმის უფლებას, გამოსყიდვასა და დივიდენდების გაცემას. როგორც წესი, პრივილეგიურ აქციებს არა აქვს ხმის უფლება და მათზე გაიცემა გარანტირებული ფიქსირებული დივიდენდები – პროცენტი ნომინალური ღირებულებიდან. მაგრამ, საერთაშორისო პრაქტიკაში ცნობილია სხვადასხვა პირობით გამოშვებული პრივილეგიური აქციები, რომლებიც ითვალისწინებს აქციების დაბრუნების/გამოსყიდვისა და დივიდენდების გაცემის საკითხებს. აქციების დაბრუნების პირობები, აქციონერთა უფლებები წმინდა მოგების განაწილებაში (დივიდენდების განაწილებაში) და წმინდა აქტივებზე საწარმოს ლიკვიდაციის დროს განსაზღვრავს აქციის ბუნებას. ამდენად, გამოშვების პირობებიდან გამომდინარე პრივილეგიური აქციები შეიძლება იყოს წილობრივი ინსტრუმენტი (კაპიტალი) ან ფინანსური ვალდებულება:

წილობრივი ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ადასტურებს საწარმოს აქტივებში ყველა მისი ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ დარჩენილი წილის საკუთრების უფლებას. აქციები კლასიფიცირდება წილობრივ ინსტრუმენტად (კაპიტალად), როდესაც არ

არსებობს სახელშეკრულებო ვალდებულები ფუჟადი სახსრებისა ან სხვა ფინანსური აქტივის გადაცემაზე.

ბასს 32-ის თანახმად, ინსტრუმენტი წილობრივია მხოლოდ ორივე პირობის (ა) და (ბ) შესრულებისას:

ა) ინსტრუმენტი არ შეიცავს სახელშეკრულებო ვალდებულებას:

- გადასცეს ფუჟადი თანხა ან სხვა ფინანსური ვალდებულება მეორე საწარმოს; ან

- გაუცვალოს ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება სხვა საწარმოს ემიტენტისათვის პოტენციურად არახელსაყრელი პირობებით.

ბ) ინსტრუმენტს აქვს ან შეიძლება ჰქონდეს უნარი, დაიფაროს ემიტენტის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტებით.

როდესაც ემიტენტს აქვს სახელშეკრულებო ვალდებულება საკუთარი აქციები შეისყიდოს ნაღდი ფუჟით ან სხვა ფინანსური აქტივით (ანუ არის დაბრუნებადი), ეს არის ვალდებულება. მაგალითად: თუ პრივილეგიური აქციები ითვალისწინებს ემიტენტის მიერ მათ სავალდებულო გამოსყიდვას ფიქსირებული ან განსაზღვრადი თანხით, რომელიმე ფიქსირებული ან განსაზღვრადი მომავალი თარიღისათვის, ასეთი ვალდებულება ფინანსური ვალდებულებაა; ან პრივილეგიური აქცია, რომლის დაფარვას ითვალისწინებს გარკვეული თარიღისათვის მფლობელის არჩევანით, აკმაყოფილებს ფინანსური ვალდებულების ცნებას, რადგან ემიტენტი ვალდებულია აქციის მფლობელს გადასცეს ფინანსური აქტივები. ემიტენტის არჩევანის უფლება, დაფაროს აქციები, არ აკმაყოფილებს ფინანსური ვალდებულების ცნებას, რადგან ემიტენტს აღებული არა აქვს მიმდინარე ვალდებულება აქციების მფლობელთათვის ფინანსური აქტივების გადაცემის შესახებ. აქციების დაფარვა დამოკიდებულია მხოლოდ ემიტენტის გადაწყვეტილებაზე, მაგრამ ვალდებულება შეიძლება წარმოიქმნას, როდესაც ემიტენტი



განახორციელებს თავის არჩევანის უფლებას, ჩვეულებრივი აქციების გამოსყიდვის განზრახვის შესახებ ოფიციალური შეტყობინების საფუძველზე.

ამდენად, ფინანსური ინსტრუმენტი<sup>1</sup> კლასიფიცირდება ფინანსურ ვალდებულებად, თუ საწარმოს არა აქვს უპირობო უფლება თავი აარიდოს ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის გადაცემას სახელშეკრულებო ვალდებულების დასაფარად და დაფარვისას გადასცემს:

- ფულად სახსრებს ან სხვა ფინანსურ აქტივს; ან
- საკუთარ აქციებს, რომელთა ღირებულება მნიშვნელოვნად აჭარბებს ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის ღირებულებას.

ფინანსური ვალდებულება ნებისმიერი ვალდებულებაა, როგორცაა:

- ა) საწარმოს სახელშეკრულებო ვალდებულება:
  - სხვა საწარმოს გადასცეს ფულადი სახსრები ან სხვა ფინანსური აქტივები; ან
  - პოტენციურად არახელსაყრელი პირობებით სხვა საწარმოს გაუცვალოს ფინანსური აქტივები ან ვალდებულებები; ან

ბ) ხელშეკრულება, რომელიც დაიფარება ან შესაძლებელია დაიფაროს საწარმოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტებით.

როდესაც პრივილეგიური აქციები არ შეიძლება იქნეს გამოსყიდული ინვესტორის მოთხოვნით, მაშინ მათ კლასიფიკაციას კაპიტალად და ვალდებულებად განსაზღვრავს უფლებები დივიდენდებზე. როდესაც დივიდენდები არ არის კონტროლირებადი ემიტენტის მიერ, ანუ ემიტენტი ვალდებულია გადაიხადოს დივიდენდები გარკვეული პერიოდულობით, მაშინ ეს ნიშნავს სახელშეკრულებო ვალდებულებას და კლასიფიცირდება ემიტენტის ფინანსურ ანგარიშგებაში ფინანსურ ვალდებულებად.

<sup>1</sup> ფასს 7 „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“. თბ., 2009. 3.7.

მაგრამ, არსებობს გამონაკლისიც, როდესაც დაბრუნებადი აქციები კლასიფიცირდება წილობრივ ინსტრუმენტად. გამონაკლია ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც აკმაყოფილებს ფინანსური ვალდებულების განმარტებას, მაგრამ კლასიფიცირდება წილობრივ ინსტრუმენტად, თუ მას ახასიათებს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი ნიშანი:

ა) ინსტრუმენტი მფლობელს საწარმოს წმინდა აქტივების პროპორციული წილის მიღების უფლებას ანიჭებს საწარმოს ლიკვიდაციის შემთხვევაში;

ბ) ეს ინსტრუმენტი ისეთ კლასს განეკუთვნება, რომელსაც ინსტრუმენტების ყველა სხვა კლასთან შედარებით დაქვემდებარებული პოზიცია აქვს. ასეთ კატეგორიას რომ მიეკუთვნოს, ინსტრუმენტს:

- არ უნდა ჰქონდეს უპირატესობა ლიკვიდაციის დროს საწარმოს აქტივებთან დაკავშირებულ სხვა მოთხოვნებთან შედარებით; და

- არ უნდა საჭიროებდეს სხვა ინსტრუმენტად კონვერტაციას, სანამ ინსტრუმენტების ისეთ კლასს მიეკუთვნება, რომელსაც დაქვემდებარებული<sup>1</sup> პოზიცია უკავია ყველა სხვა ინსტრუმენტთან შედარებით.

გ) ყველა სხვა კლასთან შედარებით დაქვემდებარებული პოზიციის მქონე ინსტრუმენტების კლასში შემავალ ყველა ინსტრუმენტს იდენტური მახასიათებლები აქვს. მაგალითად, ყველა მათგანი დაბრუნებადი უნდა იყოს და უკან დაბრუნების ანუ გამოსყიდვის ფასის გამოსაანგარიშებლად გამოყენებული ფორმულა ან სხვა მეთოდი ერთი და იგივე უნდა იყოს ამ კლასში შემავალი ყველა ინსტრუმენტ-

<sup>1</sup> ინსტრუმენტს ლიკვიდაციის შემთხვევაში უპირატესი უფლება იმ შემთხვევაში გააჩნია, თუ ის მფლობელს უფლებას ანიჭებს ფიქსირებული სიდიდის დივიდენდის მიღებაზე ლიკვიდაციის დროს საწარმოს წმინდა აქტივების პროპორციულ წილთან ერთად, როდესაც სხვა მასზე დაქვემდებარებული პოზიციის მქონე კლასის ინსტრუმენტებს (რომლებსაც საწარმოს წმინდა აქტივების პროპორციულ წილზე აქვს უფლება) არა აქვს ანალოგიური უფლება ლიკვიდაციის დროს (ბასს 32, მგ14გ).



ტისთვის.

დ) გარდა იმისა, რომ ემიტენტს აკისრია სახელშეკრულებო ვალდებულება, გამოისყიდოს ეს ინსტრუმენტი ფულად სახსრებზე ან სხვა ფინანსურ აქტივზე გაცვლის გზით, ეს ინსტრუმენტი არ მოიცავს სხვა სახელშეკრულებო ვალდებულებას – სხვა საწარმოს გადასცეს ფულადი სახსრები ან სხვა ფინანსური აქტივი, ასევე პოტენციურად არახელსაყრელი პირობებით სხვა საწარმოს გაუცვალოს ფინანსური აქტივები ან ვალდებულებები და არ არსებობს ისეთი ხელშეკრულება, რომელიც დაიფარება ან შესაძლებელია დაიფაროს საწარმოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტებით, როგორც ესა განსაზღვრულია ფინანსური ვალდებულების განმარტებაში.

თუ საწარმოს არ შეუძლია იმის განსაზღვრა, რომ ზემოაღნიშნული პირობა დაკმაყოფილებულია, მან დაბრუნებად ინსტრუმენტს არ უნდა მიანიჭოს წილობრივი ინსტრუმენტის კლასიფიკაცია.

დაბრუნებადი აქციები, რომლებიც გამონაკლისის სახით კაპიტალად არის კლასიფიცირებული ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში და არ არის არამაკონტროლებელი წილები, ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კლასიფიცირდება ვალდებულებად.

კონვერტირებად სასესხო ვალდებულებებში ჩართულია კონვერტაციის ოფციონი და შესაბამისად შეიცავს ორ კომპონენტს: ფინანსურ ვალდებულებას (სახელშეკრულებო შეთანხმებას ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივების მიწოდების შესახებ) და წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც მოიცავს როგორც ვალდებულების, ასევე საკუთარი კაპიტალის კომპონენტს, რთული ფინანსური ინსტრუმენტია. ფასს 7 „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“, იძლევა რეკომენდაციას განმარტება მიეცეს ინფორმაციას საწარმოს მიერ ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების

შინაარსსა და ხარისხზე, ასევე საწარმოს მიზნებს, რომელსაც ემსახურება ისინი, მათთან დაკავშირებულ რისკებსა და ამ რისკების კონტროლის პოლიტიკას<sup>1</sup>. ფასს-ი ასევე მოითხოვს რთული ფინანსური ინსტრუმენტების კომპონენტებად კლასიფიცირებას ფინანსურ ვალდებულებად და წილობრივ ინსტრუმენტად და მათ აღიარებას ხელშეკრულების შინაარსისა და განმარტებების შესაბამისად. ამდენად, შინაარსისა და აღიარების კრიტერიუმებიდან გამომდინარე, ემისიიდან მიღებული შემოსავალი ორ ნაწილად უნდა გაიყოს და ემიტენტის ბალანსში ცალ-ცალკე უნდა აისახოს საკუთარი კაპიტალი (კონვერტაციის უფლებაზე მისაკუთვნებელი ნაწილი) და ვალდებულება.

ჯერ გამოითვლება ვალის ინსტრუმენტზე მისაკუთვნებელი თანხა, როგორც წმინდა ფულადი სახსრების დისკონტირებული ღირებულება, ხოლო შემდეგ – წილობრივ კომპონენტზე მისაკუთვნებელი თანხა, როგორც სხვაობა საემისიო შემოსავალსა და ვალის კომპონენტს შორის.

### **Reflecting Financial Instruments in Financial Reporting**

N. Kvatashidze

Financial instruments, such as convertible debt liabilities, share repurchase and privileged shares are share instruments or financial liabilities; but sometimes they include both components. According to International Financial Reporting Standards, before reflecting such financial instruments in financial reporting it's necessary to analyze the summary of the agreement. Financial instruments should be tested as private equity and financial liabilities. Financial instruments can be classified as private equity or liabilities only in case they meet the relevant criteria.

---

<sup>1</sup> ფასს 7 „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“. ფასს. თბ., 2009, პ. 6, 30-33.

**წარმოებული ფინანსური  
ინსტრუმენტების აღრიცხვის  
თავისებურებები**

**ნანა სრქელი**

**ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ-ის  
ასოცირებული პროფესორი**

ობიექტური ისტორიული მიზეზების გამო, თანამედროვე ბაზარზე დამკვიდრებული ფინანსური ინსტრუმენტების ბუღალტრულ აღრიცხვისა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის როგორც მეთოდოლოგიური, ასევე პრაქტიკული საკითხები, ქართულ აღრიცხვაში ნაკლებადაა შესწავლილი.

თანამედროვე ფინანსური ბაზრის დინამიკური განვითარების პირობებში, საწარმოს საქმე აქვს მრავალფეროვან ფინანსურ ინსტრუმენტებთან, რომლებიც შინაარსით მუდმივად იცვლება და რთულდება. შესაბამისად, ფინანსური ინსტრუმენტების ფინანსური აღრიცხვა რთული და საკამათო საკითხია. ორი ათწლეულზე მეტია პროფესიონალებს შორის მიმდინარეობს მწვავე პოლემიკა, რამაც გარკვეულწილად დახვეწა ფინანსური ინსტრუმენტების შეფასების, აღრიცხვისა და აღიარების საკითხები.

ბასს 32 - „ფინანსური ინსტრუმენტები: წარდგენა“ განმარტავს, რომ „ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს“<sup>1</sup>. სახელშეკრულებო ურთიერთობა შეიძლება იყოს როგორც ორმხრივი, ასევე მრავალმხრივი, მთავარია, წარმოქმნას მკაფიოდ

<sup>1</sup> ბასს 32 ფინანსური ინსტრუმენტები: წარდგენა – ფასს (II ნაწილი) 2009 წელი – გვ. 165 .

## ნანა სრამელი

ფორმულირებული ეკონომიკური შედეგები, რომლის აცილება მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მხარეებს არ შეეძლებათ.

ფინანსური ინსტრუმენტებია: ფინანსური აქტივები; ფინანსური ვალდებულებები; წილობრივი ინსტრუმენტები.

ფინანსური აქტივია:	ფინანსური ვალდებულება:	წილობრივი ინსტრუმენტებია:
<ul style="list-style-type: none"> <li>• ფულადი სახსრები;</li> <li>• სხვა საწარმოს წილობრივი ინსტრუმენტები;</li> <li>• საწარმოს სახელშეკრულებო უფლება: მიიღოს ფული ან ფინანსური აქტივი, ან პოტენციურად ხელსაყრელი პირობით გაცვალოს ფინანსური აქტივი ან ვალდებულება;</li> <li>• ხელშეკრულება, რომელიც შეიძლება ანაზღაურდეს საწარმოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტით.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• საწარმოს ნებისმიერი სახელშეკრულებო ვალდებულება: გადასცეს ფული ან სხვა ფინანსური აქტივი, ან პოტენციურად არახელსაყრელი პირობით გაცვალოს ფინანსური აქტივი ან ვალდებულება;</li> <li>• ხელშეკრულება, რომელიც შეიძლება დაიფაროს საწარმოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტით.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ადასტურებს საწარმოს აქტივებში ყველა მისი ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ დარჩენილი წილის საკუთრების უფლებას;</li> <li>• ჩვეულებრივი აქციები;</li> <li>• ემიტენტის ოფციონი ჩვეულებრივი აქციების გამოშვებაზე.</li> </ul>

ბასს-ის თანახმად, ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება თავდაპირველი აღიარების თარიღისათვის, უნდა შეაფასდეს რეალურ ღირებულებას დამატებული ოპერაციის ის დანახარჯები, რომელიც უშუალოდ მიეკუთვნება ფინანსური აქტივის შეძენის ან ფინანსური ვალდებულების ემისიას.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო განმსაზღვრელი ფაქტორი გარიგების ფასია. ამდენად, ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების საწყისი შეფასება /გარიგების მთელი ღირებულება/ მოიცავს გარიგების ფასს და გარიგების დანახარჯებს: აგენტების, კონსულტანტების, ბროკერებისა და დილერებისთვის გადახდილი საკომისიოებს

და გასამრჯელოებს; მარეგულირებელი ორგანოებისა და საფონდო ბირჟების მიერ დაწესებული გადასახადებს; ტრანსფერის გადასახადს და მოსაკრებელს. გარიგების დანახარჯები არ მოიცავს სავალო ინსტრუმენტის პრემიას, დისკონტს, დაფინანსების ან შიგა ადმინისტრაციულ ხარჯებს.

ბასს-ით საწარმომ ფინანსური აქტივი ბალანსში მხოლოდ მაშინ უნდა აღიაროს, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის შესახებ დადებული ხელშეკრულების მონაწილე გახდება.

ფინანსური ინსტრუმენტები მოიცავს <sup>1</sup>:

- პირველად ფინანსურ ინსტრუმენტებს- დებიტორულ და კრედიტ-ორულ დავალიანებებს (ობლიგაციებს), წილობრივ ფასიან ქაღალდებს და ა.შ

- წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს-ფინანსურ ოფციონებს, ფიუჩერსებს, ფორვარდებს, საპროცენტო განაკვეთიანი სვოპებს, სავალუტო სვოპებს, ქეფებს, ქოლარებს, ფლოებს და ა.შ.

ბასს-ით განსაზღვრულია რომ წარმოებული არის ფინანსური ინსტრუმენტი ან სხვა კონტრაქტი: 1. რომლის ღირებულება იცვლება განსაზღვრული საპროცენტო განაკვეთის, ფასიანი ქაღალდების კურსის, საქონლის ფასის, ვალუტის გაცვლითი კურსის, ფასების ინდექსის, საკრედიტო ინდექსის ან მსგავსი ცვლადის (ბაზისის) ცვლილებით;

2. რომელიც არ ითხოვს საწყისი ნეტო ინვესტიციას, ან სხვა ხელშეკრულებებთან შედარებით საჭიროებს მცირე საწყის ნეტო ინვესტიციას; 3. რომლის განაღდება ხორციელდება მომავალი თარიღით.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი წარმოქმნის ისეთ უფლებებსა და ვალდებულებებს, რომელიც თან ახლავს ძირითადი პირველადი ფინანსური ინსტრუმენტისათვის დამახასიათებელი ფინანსური რისკების ერთი მხარის მიერ მეორეზე გადაცემას. ამასთან, წარმოებული ინსტრუმენტები არ გულისხმობს რომ ძირითადი პირველადი ფინანსური ინსტრუმენტის გადაცემა აუცილებელია ხელშეკრულების მექანიზმების ვადის განმავლობაში.

<sup>1</sup> ბასს 32 ფინანსური ინსტრუმენტები: წარდგენა – ფასს (II ნაწილი) 2009 წელი, გვ. 185.

განვიხილოთ წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვის ზოგიერთი თავისებურება.

ოფციონი არის ორ ინვესტორს შორის დადებული კონტრაქტი, რომელთაგან ერთი გამოწერს ოფციონს და ყიდის, ხოლო მეორე ყიდულობს მას და ღებულობს უფლებას, ოფციონის პირობებით გათვალისწინებულ ვადაში, ფიქსირებული ფასით იყიდოს აქციების განსაზღვრული რაოდენობა ოფციონის გამომწერი პირისგან ან მიჰყიდოს მას. ოფციონის თავისებურებაა ის, რომ მყიდველი იძენს არა აქციებს, არამედ უფლებას აქციების შეძენაზე.

საერთაშორისო პრაქტიკაში არსებობს ოფციონის ორი ტიპი: ოფციონი ყიდვაზე (Call options) “C” და ოფციონი გაყიდვაზე (Put options) “P”.

ოფციონის კონტრაქტის მყიდველი გამყიდველს უხდის საკომისიოს, რომელსაც პრემია ეწოდება. ოფციონის პრემია მნიშვნელოვნად ნაკლებია ინვესტიციაზე, რომელიც საჭირო იქნებოდა იმ ფინანსური ინსტრუმენტის შესაძენად, რომელზეც მიბმულია ოფციონი. კონტრაქტი იდება ერთ ლოტზე, ანუ 100 აქციაზე და ერთეულ კონტრაქტად იწოდება. კონტრაქტში დაფიქსირებულია ოფციონის რეალიზაციის ფასი და კონტრაქტის ამოწურვის თარიღი.

ოფციონის რეალიზაციის ფასია ის, რომლითაც „C“ ოფციონის მფლობელმა შეიძლება შეიძინოს და „P“ ოფციონის მფლობელმა შეიძლება გაყიდოს აქცია.

კონტრაქტის გასვლის ვადად მიღებულია თვე, როდესაც იწურება კონტრაქტი. ოფციონის რეალიზაცია შეიძლება მოხდეს ოფციონის დამთავრებამდე ნებისმიერ დღეს (ამერიკული ტიპის ოფციონები) ან მხოლოდ დადგენილ ვადაში, ჩვეულებრივ, ოფციონის მოქმედების დამთავრების დღეს (ევროპული ტიპის ოფციონი).

ოფციონით წარმოქმნილი ოპერაციები მონაწილე საწარმოს ბუღალტრულ აღრიცხვაში აისახება შემდეგი მუხლებით:

საპრემიო გასამრჯელოს ანაზღაურება ოფციონის

კონტრაქტის შექმნისას აისახება გატარებით:

დებეტი – 1790 ოფციონზე გადახდილი პრემია

კრედიტი – 1110, 1210 ფულადი სახსრები

ოფციონის კონტრაქტით აქციების შესყიდვაზე შედგება ბუღალტრული მუხლი:

დებეტი – 1310 მოკლევადიანი ინვესტიციები აქციებში

კრედიტი – 1110, 1210 ფულადი სახსრები

აქციების გაყიდვა აისახება გატარებით (აქციის საბალანსო ღირებულება ჩამორჩება გასაყიდ ფასს):

დებეტი – 1110, 1210 ფულადი სახსრები

კრედიტი – 8130 არასაოპერაციო მოგება

კრედიტი – 1310 მოკლევადიანი ინვესტიციები აქციებში

ოფციონის პრემიის ჩამოწერაზე შესაბამისად შედგება მუხლი:

დებეტი – 8220 არასაოპერაციო ზარალი

კრედიტი – 1790 ოფციონზე გადახდილი პრემია

ფიუნერსული კონტრაქტი არის შეთანხმება, რომლითაც ინვესტორი (მყიდველი) დებულობს, ხოლო გამყიდველი ახორციელებს განსაზღვრული საქონლის ან ფინანსური ინსტრუმენტის მიწოდებას განსაზღვრულ ადგილსა და დროში კონტრაქტის შედგენის თარიღით დადგენილი ფასით.

ფიუნერსული კონტრაქტების ვადის გასვლის შემდეგ ანგარიშსწორება სავალდებულოა. ამდენად, ფიუნერსული გარიგებების რისკი მაღალია ინვესტორისათვის. ფიუნერსული გარიგებები ქმნის ისეთ გარემოს, რომელიც საბირჟო საქონლის მწარმოებელ ან მომხმარებელ საწარმოებს გარკვეულწილად უმცირებს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ რისკს ამ უკანასკნელის იმ პირებისათვის გადაცემის გზით, რომლებსაც სურთ პასუხისმგებლობის აღება შესაძლებელი მოგების მიღების სანაცვლოდ.

ფიუნერსული საბირჟო ბაზარი არეგულირებს ფასების არასასურველი ცვლილებებისაგან დაცვას რისკის სხვაზე გადატანით, ანუ ჰეჯირებით (შემოფარგვლით).



ფიუნქერსული ვაჭრობის მონაწილე მხარეები ახორციელებენ საგარანტიო შენატანებს ყოველი გარიგების მიხედვით.

საგარანტიო შენატანი ორი სახეობისაა: თავდაპირველი (დეპოზიტი), ანუ საწყისი მარჟა და ცვლადი, ანუ ვარიაციული მარჟა. სწრაფი საფონდო ოპერაციების შესრულებისას მარჟა არის სხვაობა მყიდველისა და გამყიდველის ფასებსა და ფასიანი ქაღალდების კურსებს შორის, გარიგების დადებისა და მისი შესრულების თარიღების მიხედვით.

გარიგების დადების თარიღი არის თარიღი, რა დროისთვისაც საწარმო იღებს აქტივის შეძენის ვალდებულებას.

ანგარიშსწორების (გარიგების შესრულების) თარიღი არის საწარმოსთვის აქტივის მიწოდების თარიღი.

დეპოზიტის საწყისი მარჟის ოდენობა ფიქსირდება ყოველ კონტრაქტზე და შეადგენს კონტრაქტის ღირებულების 2-10%-ს, თუმცა, საერთაშორისო პრაქტიკაში დაფიქსირებულია უფრო მაღალი პროცენტიც.

სახსრების შეტანა დეპოზიტის ანგარიშზე ხდება ნაღდი ფულით, გადარიცხვით, აკრედიტით ან ბირჟის წესებით გათვალისწინებული სხვა საბუთებით. გარიგების მთელ პერიოდში აუცილებელია ბროკერთან, დეპოზიტის სახით, იყოს შენატანი – ფულადი თანხა ან გირაო, რაც საშუალებას მისცემს განახორციელოს ყიდვა მარჟით. ტერმინი - „ყიდვა მარჟით“, ნიშნავს, რომ ინვესტორი იხდის ნაღდი ფულის სახით ფასის მხოლოდ ნაწილს, შესაბამისად მიმართავს ბროკერის კრედიტს.

ვაჭრობის მონაწილე საწარმო საწყისი მარჟის გადარიცხვას ფიუნქერსულ ბირჟაზე ასახავს გატარებით:

დებეტი – 1470 ფიუნქერსული კონტრაქტის დეპოზიტი

კრედიტი – 1210, 1290 ფულადი სახსრები

დეპოზიტის (საწყისი მარჟა) დაბრუნების შემთხვევაში შეადგება გატარება:

დებეტი – 1210, 1290 ფულადი სახსრები

კრედიტი – 1470 ფიუნქერსული კონტრაქტის დეპოზიტი



ვარიაციული მარჯა შეიტანება მონაწილე საწარმოს მიერ მხოლოდ ფასების არახელსაყრელი ცვლილებისას. კერძოდ, თუ ფასები ისე შეიცვლება, რომ მონაწილე საწარმოს ანგარიშზე რჩება საწყისი მარჯის (დეპოზიტის) 75%-ზე ნაკლები, იგი ვალდებულია შეავსოს მარჯა. ვარიაციული მარჯის შეტანა მონაწილე საწარმოს მიერ აისახება ერთდროულად ორი გატარებით:

ვარიაციული მარჯის გადარიცხვა გატარდება:

დებეტი – 1470 ფიუნერსული კონტრაქტის დეპოზიტი

კრედიტი – 1210, 1290 ფულადი სახსრები

გადარიცხული ვარიაციული მარჯის მიკუთვნება არასაოპერაციო ხარჯებისათვის (ზარალისათვის) გატარდება:

დებეტი – 8220 არასაოპერაციო ზარალი

კრედიტი – 1470 ფიუნერსული კონტრაქტის დეპოზიტი

გარიგებებით შეიძლება წარმოიქმნას არა მხოლოდ უარყოფითი ვარიაციული მარჯა (ფასების დაცემის შემთხვევაში), არამედ დადებითიც (ფასების აწვევის პირობებში), შესაბამისად, ე.წ. დადებითი ვარიაციული მარჯა ექვემდებარება მონაწილე საწარმოსათვის დაბრუნებას, რაც აისახება გატარებით:

დებეტი – 1110, 1210 ფულადი სახსრები

კრედიტი – 8130 არასაოპერაციო მოგება

ფორვარდი არის განსაზღვრული ფინანსური ინსტრუმენტის მომავალი თარიღით, ფიქსირებული ფასით შექმნის ან გაყიდვის ვალდებულება. ფორვარდის ხელშეკრულება, როგორც ფიქსირებული ფასიანი ვალდებულება განსაზღვრული დროით, ჩვეულებრივ გარიგების დადებისა და ანგარიშსწორების თარიღებს შორის შესაბამისი მონაკვეთით, აკმაყოფილებს წარმოებულის განმარტებას. თუმცა, ვალდებულების ხანმოკლეობის გამო შეიძლება არც იყოს აღიარებული ფინანსურ ინსტრუმენტად. პრაქტიკაში ასეთი ხელშეკრულება ზოგჯერ „ჩვეულებრივ ხელშეკრულებად“ იწოდება. ფინანსური აქტივის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციები კი – „ჩვეულებრივი გზით“ შექმნის ან

„ჩვეულებრივი გზით“ გაყიდვის ოპერაციებად მოიხსენიება. ფორვარდული კონტრაქტი მნიშვნელოვნად განსხვავდება ოფციონის კონტრაქტისგან, რადგან ფორვარდული კონტრაქტის დროს მხარეებს ვალდებულის შესრულება ევალებათ დათქმულ დროში, ხოლო ოფციონის კონტრაქტით შედეგი დგება მაშინ როდესაც ოფციონის მფლობელი გადაწყვეტს მის განხორციელებას.

ფინანსური აქტივების შექმნა აღირიცხება ორიდან ერთ-ერთი მეთოდით:

- გარიგების თარიღით აღრიცხვის მეთოდით;
- ანგარიშსწორების თარიღით აღრიცხვის მეთოდით.

გარიგების თარიღით აღრიცხვისას მისაღები აქტივისა და, შესაბამისად, გადახდის ვალდებულების აღიარება ხდება გარიგების დღის რეალური ღირებულებით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით). ამასთან, ანგარიშსწორების თარიღამდე არ წარმოებს პროცენტის დარიცხვა აქტივზე და შესაბამის ვალდებულებაზე.

ანგარიშსწორების თარიღით აღრიცხვისას მისაღები აქტივის აღიარება ხდება მისი საწარმოსათვის გადაცემის დღეს. ამასთან, საწარმო მისაღები აქტივის რეალური ღირებულების ნებისმიერ ცვლილებას გარიგების და ანგარიშსწორების თარიღებს შორის პერიოდში აღრიცხავს ისევე, როგორც შექმნილი ფინანსური აქტივის რეალური ღირებულების ცვლილებას.

არსებობს ბასს 32-ით რეგლამენტირებული ფორვარდის კონტრაქტის უზრუნველყოფის სამი ვარიანტი:

1. ნეტო ფულით უზრუნველყოფა (ფული ფულის სანაცვლოდ); 2. ნეტო აქციით უზრუნველყოფა (აქცია აქციის სანაცვლოდ); 3. ბრუტო ფიზიკური უზრუნველყოფა (ნაღდი ფული აქტივების სანაცვლოდ). საწარმოს ფორვარდული ხელშეკრულების მონაწილე მხარედ გახდომისას უფლებებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულებები ხშირად თანაბარია და ფორვარდის ნეტო რეალური ღირებულება ნულია. აქტივად ან ვალდებულებად

შეიძლება აღიარებული იყოს ნულისგან განსხვავებული ნეტო რეალური ღირებულება.

მაგალითი: 2011 წლის 1 თებერვალს ფირმებმა-“ელეგანტი”და “ფავორიტი“ გააფორმეს კონტრაქტი, რომლის თანახმად “ელეგანტი” 1000 ჩვეულებრივი აქციის რეალური ფასის მისაღებად ცვლიდა მათ 115 000 ლარის თანხაზე. ერთი აქციის საბაზრო ფასი შეადგენს :

- 01.02. 2011წ. 110 ლარი
- 31.12. 2011წ. 125 ლარი
- 31.01. 2012წ. 120 ლარი
- 31.12 2012წ. 115 ლარი

2012 31 იანვარს დასაფარია 115000 ლარი. “ელეგანტი“-ს აღრიცხვაში გაკეთდება შემდეგი სააღრიცხვო ჩანაწერები:

01.02.2011 წ. კონტრაქტის გაფორმების თარიღით ერთი აქციის ფასი 110 ლარია. ფორვარდული კონტრაქტის საწყისი რეალური ღირებულება არის ნული. შესაბამისად, ბუღალტრული გატარება არ შედგება, ვინაიდან არ მომხდარა ფულადი სახსრების არც მიღება და არც გაცემა. 31.12.2011წ. ერთი აქციის ფასი გაიზარდა და შეადგინა 125 ლარი, შესაბამისად, ფორვარდული კონტრაქტის რეალური ღირებულება 10 000  $((125-115)*1000)$  ლარამდე გაიზარდა. ფორვარდის რეალური ღირებულების ზრდაზე შედგება გატარება:

- დებეტი -1390 ფორვარდები 10 000
- კრედიტი -8130 მოგება 10 000

31.01.2012 წ. ერთი აქციის საბაზრო ფასმა დაიწია და შეადგინა 120 ლარი. შესაბამისად, ფორვარდის რეალური ღირებულება 5 000  $((120* 1000- 115 000)$  ლარია. იმავე თარიღით კონტრაქტის უზრუნველყოფა მოხდა ნეტო თანხით. “ელეგანტი“ ვალდებული იყო “ფავორიტისთვის” გადაეხადა 115 000 ლარი, ხოლო “ფავორიტი” ვალდებული იყო “ელეგანტისთვის” გადაეცა 120 000 ლარი. ამრიგად “ფავორიტ“-მა გადაიხადა ნეტო თანხა 5 000 ლარი. ფორვარდული კონტრაქტის რეალური ღირებულების

შემცირება აისახება გატარებით:

დებეტი – 8220 არასაოპერაციო ზარალი 5 000

კრედიტი – 1390 ფორვარდები 5 000

ხოლო ფორვარდის კონტრაქტის უზრუნველყოფაზე

შედგება გატარება:

დებეტი – 1110,1210 ფულადი საშუალებები 5 000

კრედიტი – 1390 ფორვარდები 5 000

განხილული საკითხები, როგორც თეორიულ,

ასევე პრაქტიკული ასპექტით, საკმაოდ რთულად არის წარმოდგენილი ბასს 32 „ფინანსური ინსტრუმენტები: წარდგენა“ და ბასს 39 „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“.

ბასს საბჭოს გადაწყვეტილებით მიმდინარეობს ფინანსური ინსტრუმენტების ბუნდოვანი საკითხების დახვეწა, გადამუშავება და უახლოეს პერსპექტივაში სამოქმედოდ შემოვა ახალი ფასს, რომელიც ჩაანაცვლებს ბასს 32-ს და ბასს 39-ს.

### **Peculiarities of Accounting Derived Financial Instruments**

**N. Sreseli**

The article emphasizes that both methodological and practical issues of reflecting the current financial instruments in accounting and financial reporting are not sufficiently studied in accounting in Georgia. Methods and principles of assessing and accounting of financial instruments, including derivatives, and their recognition in financial reportings are given in International Accounting Standards 32 and 39. In addition, the article provides assessment of financial assets, financial liabilities and components of partial instruments during initial recognition. Derivative instruments are classified based on the company's shares. Peculiarities of accounting forward and futures contracts are revealed with respect to their collateral („net cash provided“, „net share provided“).

ქურნალ „ეკონომიკა და ბიზნესისა“ და მის  
ქართველ ავტორთა  
საერთაშორისო აღიარება

რედაქციისაგან

გასული 2011 წლის მაის-ივნისის ნომერში ჩვენს ჟურნალში რუსულ ენაზე გამოქვეყნდა პროფესორ იური ანანიას-ვილისა და პროფესორ ვლადიმერ პაპაეას ერთობლივი სტატია – “Макроэкономическая модель лафферо-кейнсианского синтеза”. ავტორებმა სტატიაში მათ მიერ შექმნილი საინტერესო თეორიული კონცეფცია მაკროეკონომიკური წონასწორობის მოდელის ორიგინალური ვარიანტის სახით წარმოადგინეს, რომელშიც ერთობლივი მოთხოვნა და ერთობლივი მიწოდება არა ფასების დონის ფუნქციებადაა განხილული, როგორც ამას ტრადიციული მიდგომების შემთხვევაში აქვს ადგილი, არამედ საშუალო საგადასახადო განაკვეთზე დამოკიდებული ფუნქციების სახითაა მოცემული. ასეთმა მიდგომამ ავტორებს საშუალო საგადასახადო განაკვეთის როლის კომპლექსური განხილვის საშუალება მისცა.

სტატიაში შემოღებულია ოპტიმალური და წონასწორული საშუალო საგადასახადო განაკვეთის ცნებები. პირველი მათგანი ახასიათებს საგადასახადო ტვირთს, რომლის პირობებშიც ერთობლივი მიწოდების სიდიდე მაქსიმალურ მნიშვნელობას აღწევს; საგადასახადო განაკვეთის მეორე მნიშვნელობის დროს კი ერთობლივი მოთხოვნა და ერთობლივი მიწოდება ერთმანეთს ემთხვევა. როგორც წესი, საგადასახადო განაკვეთის ეს ორი მნიშვნელობა ერთმანეთისგან განსხვავებულია. საყურადღებოა, რომ, როცა წონასწორული საგადასახადო განაკვეთი უცვლელ დონეზეა შენარჩუნებული, მაშინ საგადასახადო განაკვეთის ოპტიმალური მნიშვნელობა ფასების დონეზე დამოკიდებული სიდიდე ხდება და ერთობლივი მოთხოვნის გარკვეული მიმართულებით ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს ამ ორი განაკვეთის ურთიერთგატოლება. შემოთავაზებული მოდელის გამოკვლევის საფუძველზე სტატიის ავტორებმა ორი მნიშვნელოვანი დასკვნა გააკეთეს:

პირველი, ოპტიმალური საშუალო საგადასახადო განაკვეთის შემოღებას თავისთავად არ შეუძლია დასაქმების დონის ზრდა და პოტენციური, ანუ მაქსიმალურად შესაძლო გამოშვების შესაბამის წონასწორობაში გადასვლის ინიცირება. ლაფერ-კეინზიანური სინთეზის პირობებში ეკონომიკური აქტიურობის ამაღლებასა და სრული დასაქმების მიღწევაში მნიშვნელოვან როლს, დაბეგერის რეჟიმთან ერთად, ერთობლივი მოთხოვნა ასრულებს;

მეორე, წონასწორული საგადასახადო განაკვეთის ყოველ მოცემულ კონკრეტულ მნიშვნელობას შეიძლება შეესაბამებოდეს ერთობლივი მიწოდების მრუდების მთელი ერთობლიობა, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავებულია ოპტიმალური საგადასახადო განაკვეთის მნიშვნელობებით, ასევე შეიძლება შეესაბამებოდეს ლაფერის მრუდების ერთობლიობა ბიუჯეტის მაქსიმალური საგადასახადო შემოსავლების მომტანი განაკვეთის განსხვავებული მნიშვნელობებით.

სტატიის გამოქვეყნებიდან რამდენიმე თვის შემდეგ ჟურნალ “ეკონომიკა და ბიზნესის” მთავარმა რედაქტორმა მიიღო წერილი, რომელშიც ერთ-ერთი ამერიკული გამომცემლობა – “M. E. SHARPE” ითხოვდა ნებართვას პროფესორების – იური ანანიაშვილისა და ვლადიმერ პაპავას სტატიის “Макроэкономическая модель лафферо-кейнсианского синтеза” ინგლისურად თარგმნასა და ჟურნალში – “Problems of Economic Transition”-ში გამოქვეყნებაზე. ეს ჟურნალი თემატურ ხასიათს ატარებს და ინგლისურენოვანი მკითხველსათვის ხელმისაწვდომს ხდის ყოველ ბოლო ორ წელიწადში ძირითადად რუსულ ენაზე გამოქვეყნებულ საინტერესო სტატიებს. ნიშანდობლივია, რომ ჟურნალის 2012 წლის აპრილის ნომერში, რომლის თემატური სახელწოდებაცაა “Tax Burden, Government Spending, and Economic Growth”, ზემოთ აღნიშნული სტატიის გარდა, იური ანანიაშვილისა და ვლადიმერ პაპავას რუსეთის ფედერაციის ჟურნალებში გამოქვეყნებული კიდევ ორი სტატიაა წარმოდგენილი. აღსანიშნავია, რომ ამ ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრია პროფესორი ვლადიმერ პაპავა. ჟურნალის მოცემული კონკრეტული ნომერი სწორედ მისი რედაქტორობით გამოვიდა.

ჟურნალ “ეკონომიკა და ბიზნესის” რედაქცია ქართველ მეცნიერებს ულოცავს ამ წარმატებას.

---

---

**ქურნაღში – „კონომიკა და ბიზნესი“, სამეცნიერო  
სტატიის წარმოღვენის და გამოქვეყნების წესი**

1. სტატიაში წარმოდგენილი უნდა იყოს: საკვლევი პრობლემის აქტუალურობა, კვლევის მიზანი და ამოცანები, კვლევის მეთოდოლოგია; კვლევის შედეგები (სიახლე); რეკომენდაციები;

2. სტატიაში უნდა ჩანდეს საკვლევე პრობლემასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ლიტერატურის გამოყენება, რისთვისაც აუცილებელია რამდენიმე მათგანის მითითება ტექსტში (მიღებული წესით სქოლიოების მინიშნებებით შესაბამის გვერდებზე);

3. სტატიის ქართული ტექსტი უნდა აიკრიფოს Sylfaen-ით, 12-იანი შრიფტით და ხაზებს შორის 1,5-იანი დაშორებით;

4. სტატია წარმოდგენილი უნდა იყოს 4 ფორმატით, 6-10 გვერდის მოცულობით;

5. სტატიის სათაურის ქვემოთ (მარჯვენა მხარეს) უნდა მიეთითოს ავტორის (ან ავტორების) სრული სახელი, გვარი, აკადემიური ხარისხი, თანამდებობა, ტელეფონი და ელექტრონული ფოსტის მისამართი;

6. სტატიას უნდა ახლდეს რეზიუმე ქართულ და ინგლისურ ენებზე (8-10 სტრიქონის მოცულობით);

7. სტატიები წარმოდგენილი უნდა იყოს ელექტრონული და ქაღალდზე ამობეჭდილი ფორმით (2 ეგზემპლარად);

8. მოთხოვნების დარღვევით წარმოდგენილი მასალა ჟურნალში არ დაიბეჭდება;

9. ქურნაღში სტატიის გამოქვეყნება უფასოა ივ. ჯავახიშვილის თსუ-ის პროფესორ-მასწავლებელთა, დოქტორანტებისა და ყველა თანამშრომლისათვის, ხოლო სხვა (გარე) ავტორები იხდიან საფასურს – ერთ გვერდზე 10 (ათი) ლარს, რაც მათ მიერ ჩაირიცხება ივ. ჯავახიშვილის თსუ-ის ეკონომიკური შემოსავლების ანგარიშში.

ISSN 1987-5789



დაიბეჭდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე

კომპიუტერული უზრუნველყოფა -  
მანანა ჯიხვიშვილი